338+339.186
ა-49

ოთარ კიკვაძე, ირმა მახარაშვილი, მიხეილ ძაგანია



მესყიდველების ადმინისტრირება

თბილისი

338+ 339.166
ა-49

ოთარ კიკვაძე, ირმა მახარაშვილი, მიხეილ ძაგანია

შესყიდვების ადმინისტრირება

№ 53468

თბილისი
2017

სახელმძღვანელოში გაშუქებულია, როგორც კერძო სუბიექტების, ასევე სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელი შესყიდვების პრინციპები, საშუალებები და ფორმები და ზოგადად შესყიდვების ადმინისტრირება.

წინამდებარე სახელმძღვანელო ქართულ ენაზე შექმნილი პირველი სახელმძღვანელოა. იგი განკუთვნილია სტუდენტებისთვის, მეცნიერებისთვის და ნებისმიერი დაინტერესებული პირებისთვის.

ავტორთა ჯგუფი განსაკუთრებულ მადლობას უხდის ყველა იმ პირს, რომლებიც სხვადასხვა ფორმით აქტიურად იყვნენ ჩართული წინამდებარე სახელმძღვანელოს მომზადებაში მათ შორის: **მერაბ კიკვაძე, შოთა გეთია, დავით გიორგიძე** და სხვ. ამასთან ავტორთა ჯგუფი სიამოვნებით მიიღებს ყველა იმ შენიშვნასა თუ წინადადებას, რომლებიც ნაშრომს უფრო სრულყოფილს გახდის.

რედაქტორი: ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფ. **დავით ნარმანია**

რეცენზენტები:

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფ. **ევგენი ბარათაშვილი**

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფ. **გიორგი ცაავა**

ეკონომიკის დოქტორი, პროფ. **ბადრი გეჩბაია**

© გამომცემლობა **ნაკადული**

ISBN 978-99928-47-71-8

სარჩევი

შესავალი 11

თავი 1. პროკიურემენტი ანუ ყიდვა-გაყიდვის ხელოვნება 12

1.1. პროკიურემენტის არსი, მიზნები და ამოცანები 12

1.2. პროკიურემენტის პრინციპები 17

1.3. შესყიდვების ორგანიზება 19

1.3.1. შესყიდვების მოდელების კლასიფიკაცია 20

1.4. შესყიდვების რეგლამენტაცია 23

1.4.1. შესყიდვების დებულება 24

1.4.2. შესყიდვების ჩატარების რეგლამენტი 25

1.4.3. საკონკურსო კომისია 26

1.5. კონკურენტული შესყიდვების ეფექტიანობის შესახებ 27

1.6. არაკეთილსინდისიერება შესყიდვების პროცესში 28

1.7. შესასყიდი პროდუქციის, სამუშაოების და მომსახურების კლასიფიკატორები 29

თავი 2. კონკურენტული შესყიდვების ძირითადი მეთოდები 32

2.1 კონკურენტული შესყიდვის ძირითადი მეთოდები 32

2.2. ღია კონკურსი 37

2.3. დახურული კონკურსი 39

2.4. სელექციური კონკურსი 40

2.5. ორეტაპიანი კონკურსი 41

2.6. კოტირების გამოთხოვა 41

2.7. კონკურენტული მოლაპარაკებები 48

2.8. წინადადებების გამოთხოვა 49

2.9. შესყიდვა ერთი წყაროდან 51

2.10. აუქციონი 53

2.10.1. პირდაპირი აუქციონი 54
2.10.2. პირველი ფასის აუქციონი 55
2.10.3. მეორე ფასის აუქციონი 55
2.10.4. უკუსაბითუმო აუქციონი 56
2.10.5. რედუქციონი (უკუაუქციონი) 56
2.10.6. აუქციონი, რომელზეც „ყველა იხდის“ 57
თავი 3. ღია კონკურსის მომზადება და ჩატარება 58
3.1. ღია კონკურსის ძირითადი ეტაპები 60
3.2. კონკურსის ჩატარების მომზადება 65
3.2.1. ნორმატიული ბაზის შექმნა 65
3.2.2. გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები
და ტექნიკური დავალების შემუშავება 66
3.2.3. საკონკურსო დოკუმენტების მომზადება 66
3.3. საკონკურსო დოკუმენტაცია 67
3.3.1. ხაზობრივი საკონკურსო დოკუმენტაცია 67
3.3.2. მოდულური საკონკურსო დოკუმენტაცია 70
3.3.3. ღია კონკურსის შეტყობინება 71
3.4. წინასაკვალიფიკაციო შერჩევა 72
3.4.1. მიმწოდებლის უფლებამოსილება 74
3.4.2. მიმწოდებლის გამოცდილება და კვალიფიკაცია 75
3.4.3. საჭირო რესურსების და საწარმოო
სიმძლავრეების არსებობა 76
3.4.4. ფინანსური სიმყარე 76
3.4.5. მიმწოდებლის რეპუტაცია 76
3.4.6. საკვალიფიკაციო შერჩევის პროცედურა 76
3.4.7.ინფორმაციის წყაროები მიმწოდებლების
კვალიფიკაციის შესახებ 78
3.4.8. კონსორციუმი 78

3.5. საკონკურსო განაცხადების მომზადება 80
3.6. საკონკურსო განაცხადის უზრუნველყოფა 81
3.6.1. თავდებობა 82
3.6.2 გირაო 85
3.6.3. საბანკო გარანტია 85
3.7. განაცხადების წარმოდგენა და გახსნა 87
3.7.1. წინადადებების შეფასება 89
3.7.2. შეფასების ეტაპები 89
3.7.3. საკონკურსო წინადადებების შეფასების მეთოდები 90
3.7.4. ფასისმიერი შეფასება 90
3.7.5. ბალური (ქულობრივი) შეფასება 91
3.7.6. ბალური შეფასების პრობლემები 92
3.7.7. „დაბალი რეიტინგი“ 92
3.7.8. ექსპერტულ-ბალური მეთოდი 93
3.8. გამარჯვებულის გამოვლენა 93
3.8.1. გამარჯვებულის კვალიფიკაციის დადასტურება 93
3.8.2. გამარჯვებულის გამოვლენასთან
დაკავშირებული ოქმის გაფორმება 93
3.8.3. საშემსყიდველო დოკუმენტაციის შენახვა 96
3.9. ლოტური და ნაწილობრივი მოწოდების კონკურსები 96
**თავი 4. საერთაშორისო შესყიდვები და შესყიდვების
პრაქტიკა განვითარებულ ქვეყნებში** 99
4.1. საერთაშორისო შესყიდვების ზოგადი დახასიათება 99
4.1.1. საერთაშორისო შესყიდვების ფორმები 99
4.1.2. საერთაშორისო შესყიდვების საკანონმდებლო
უზრუნველყოფა 102
4.1.3. შესყიდვების პრინციპები 103
4.1.4. შესყიდვის საგანი 103

4.1.5 შესყიდვების განყოფილების ფუნქციები..... 104
4.2 სახელმწიფო შესყიდვები განვითარებულ ქვეყნებში..... 105
4.2.1 სახელმწიფო შესყიდვები ამერიკის
შეერთებულ შტატებში..... 105
4.2.2. სახელმწიფო შესყიდვები დიდ ბრიტანეთში..... 106
4.2.3. სახელმწიფო შესყიდვები გერმანიაში 107
4.2.4. შესყიდვები ევროპის თანამეგობრობის კავშირში..... 109
4.2.5. სახელმწიფო შესყიდვები არგენტინასა და
აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში (სლოვაკეთი)..... 110
4.2.6. შესყიდვები მსოფლიო ბანკის პროექტებით..... 110
4.2.6.1. მსოფლიო ბანკის ჯგუფები 111
4.2.6.2. მსოფლიო ბანკის შესყიდვების პროცედურები 111
4.3. შესყიდვები ევროპის რეკონსტრუქციისა და
განვითარების ბანკის პროექტებით..... 115
თავი 5. შესყიდვების ლოგისტიკა..... 118
5.1. შესყიდვების ლოგისტიკის არსი..... 118
5.2. მიმწოდებლის შერჩევა და შეფასება..... 128
5.3. შესყიდვის პროცესის მაჩვენებლების
განსაზღვრა და შეფასება 137
**თავი 6. სახელმწიფო შესყიდვების როლი საჯარო
ფინანსების ადმინისტრირებაში**..... 140
6.1 საჯარო ფინანსების არსი 140
6.2 ბიუჯეტი, საბიუჯეტო მოწყობა და ბიუჯეტირების
ძირითადი პრინციპები..... 142
6.3 საქართველოს საბიუჯეტო სისტემა და
საბიუჯეტო მოწყობა 148
6.4 ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები..... 150

6.5 სახელმწიფო შესყიდვების როლი საჯარო ფინანსებისა და მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირების პროცესში 154
თავი 7. სახელმწიფო შესყიდვები საქართველოში..... 160
7.1 სახელმწიფო შესყიდვების არსი და ცნება 160
7.2 საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ჩამოყალიბების ისტორია..... 163
7.3 სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა საქართველოში 168
7.3.1 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების სფერო 169
7.3.1.1. კანონის მიზანი 174
7.3.2 სფეროს მარეგულირებელი სხვა სამართლებრივი აქტები..... 175
7.4 სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელი სუბიექტები..... 179
თავი 8. სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვა..... 182
8.1 დაგეგმვის მნიშვნელობა სახელმწიფო შესყიდვებში..... 182
8.2 ერთგვაროვნების ცნება, სახელმწიფო შესყიდვებში და სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის ეტაპები..... 185
8.2.1 შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროებების განსაზღვრა და შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავება 185
8.2.2. ერთგვაროვნების განსაზღვრა სახელმწიფო შესყიდვების კლასიფიკატორის შესაბამისად 188
8.2.3. შესყიდვის ობიექტის ფასის განსაზღვრა..... 191
8.2.4. შესყიდვის განხორციელება..... 195
თავი 9. ელექტრონული ტენდერები 196
9.1. სახელმწიფო შესყიდვის საშუალებები 196

9.2 ელექტრონული ტენდერები 197
9.3 წინამოსამზადებელი სამუშაოები 199
9.4 სატენდერო განცხადების ერთიან ელექტონულ სისტემაში
განთავსება და ტენდერის მიმდინარეობის ეტაპები..... 209
9.5 ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება 218
9.6. შესყიდვა პრეისკურანტის გამოყენებით 219
9.7 ორეტაპიანი ტენდერი 222
9.8 ტენდერის გამოცხადება ვაჭრობის დაფარული
მონაცემებით, ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი
რაუნდების გარეშე 225
9.9 ინფორმაციის წარდგენა საქართველოს მთავრობისთვის
და თანხმობის მიღება შესყიდვის განხორციელებაზე 227
9.10 სატენდერო კომისია 227
9.11 ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების
წესი და პირობები 230
თავი 10. მონაწილეობა ელექტრონულ ტენდერებში..... 233
10.1. მიმწოდებლის რეგისტრაცია სახელმწიფო
შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში 233
10.2 ტენდერში მონაწილეობის მიღება 234
10.2.1 აფიდავიტი 235
10.2.1 ტენდერში მონაწილეობის საფასური და სატენდერო
წინადადების უზრუნველყოფის გარანტია 236
10.2.4 სატენდერო დოკუმენტაციის სისტემაში განთავსება. 239
10.3. განმარტების მიღების უფლება..... 244
თავი 11. გამარტივებული შესყიდვა..... 246
11.1 გამარტივებული შესყიდვის არსი 246
11.2 გამარტივებული შესყიდვის გამონაკლისი
შემთხვევების სააგენტოსთან შეთანხმება..... 254

11.3 მიმწოდებელთა რანჟირება გამარტივებული
შესყიდვის დროს 264
თავი 12. კონკურსი და კონსოლიდირებული ტენდერი 267
12.1 კონკურსი 267
12.2 ხარისხის შეფასების კრიტერიუმები კონკურსში 270
12.3 კონკურსის მიმდინარეობის ეტაპები 272
12.3.1 წინადადების წარდგენა კონკურსში 273
12.4 კონსოლიდირებული ტენდერი 275
12.4.1 2016 წელს ჩატარებული კონსოლიდირებული
ტენდერების მოკლე მიმოხილვა 279
**თავი 13. ხელშეკრულება და ხელშეკრულების მართვა
შესყიდვებში** 281
13.1 ხელშეკრულების არსი და მნიშვნელობა 281
13.2 ხელშეკრულების სტრუქტურა 281
13.3 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების
თავისებურებები 282
13.4 ხელშეკრულების უზრუნველყოფისა და წინასწარი
ანგარიშსწორების გარანტია 287
13.5 წინასწარი ანგარიშსწორება და წინასწარი
ანგარიშსწორების გარანტია 288
13.6 სახელშეკრულებო ფასისა და პირობების ცვლილება ... 290
13.7 ხელშეკრულების კონტროლი 292
13.8 ხელშეკრულების პირობების დარღვევა და
ხელშეკრულების გაწყვეტა 293
13.9 ხელშეკრულების მიმდინარეობის სტატუსები 295
**თავი 14. სახელმწიფო შესყიდვების მაკოორდინირებელი
ორგანო საქართველოში** 297
14.1 სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო 297

14.2 სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიზანი, ფუნქციები და უფლებამოსილებები 298
14.3 სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სტრუქტურა..... 302
14.4 არაკეთილსინდისიერ და კვალიფიციურ მიმწოდებელთა რეესტრის წარმოება 303
14.5 კვალიფიციურ პირთა რეესტრი - თეთრი სია..... 308
14.6 მონიტორინგი სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესში 312
თავი 15. შესყიდვების სფეროში წარმოშობილი დავები და მედიაციის როლი მათ გადაწყვეტაში..... 315
15.1 დავები სახელმწიფო შესყიდვებში და დავების განხილვის საბჭო..... 315
15.2 გასაჩივრების ვადები და პირობები..... 316
15.3 დავების განხილვის საბჭოს შემადგენლობა..... 319
15.4 საბჭოს აპარატის სტრუქტურა და საქმიანობის წესი 321
15.5 დავების საბჭოს უფლებამოსილება და გადაწყვეტილება..... 324
15.6 დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის სტატისტიკა..... 325

გამოყენებული ლიტერატურა..... 328
მოკლე ბიოგრაფიული ცნობები ავტორთა შესახებ 336

შესავალი

თანამედროვე ღია საბაზრო პირობებში, სადაც კერძო კომპანიებსა თუ სახელმწიფოებს მაღალკონკურენტულ გარემოში უწევთ არსებობა უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მათ მიერ სხვადასხვა საჭიროებისათვის განხორციელებულ შესყიდვების სწორ ადმინისტრირებას. ნებისმიერი ორგანიზაციისა თუ დაწესებულებისთვის შესყიდვის პროცესში რამდენიმე ძირითადი ამოცანა დგას, მათ შორის: ვიყიდოთ კონკრეტული საჭიროებისათვის შესაბამისი შესყიდვის ობიექტი, ვიყიდოთ ზუსტად ის ხარისხი, რაც გვჭირდება, ვიყიდოთ ოპტიმალური ფასით და ვიყიდოთ ზუსტად მაშინ, როცა გვჭირდება. სწორედ ამ ამოცანების დაკმაყოფილება მოგვცემს საშუალებას შესყიდვის პროცესი გავხადოთ მაქსიმალურად მომგებიანი და თუ შესყიდვის პროცესი ამ ამოცანებს პასუხობს შეიძლება თამამად ითქვას, რომ შესყიდვა წარმატებულად შედგა.

კერძო კომპანიებისა და სახელმწიფო შესყიდვები ბუნებრივია ერთმანეთისგან განსხვავებულია. სახელმწიფოს განსხვავებით კერძო კომპანიებისაგან აქვს ვალდებულება და პასუხიმგებლობა შესყიდვის პროცესი გახადოს მაქსიმალურად ღია და ამავე დროს შექმნას არადისკრიმინაციული და თანაბარი კონკურენტული გარემო, ამასთან სახელმწიფო შესყიდვის პროცესი დარეგულირებულია შესაბამისი სამართლებრივი აქტებით. რაც შეეხება კერძო სუბიექტების შესყიდვებს ამ შემთხვევაში არსებობს არაერთი სხვადასხვა ტიპის და ფორმის შესყიდვის საშუალება, რომელთა გამოყენება ბუნებრივია სავალდებულო არ არის თუმცა ხშირ შემთხვევაში გაცილებით მოსახერხებელი ვიდრე დაუგეგმავი და არასისტემური შესყიდვის განხორციელება.

წინამდებარე სახელმძღვანელოში განხილულია ერთი მხრივ კერძო სუბიექტების შესყიდვის ადმინისტრირება, კერძოდ: სხვადასხვა პროცედურები, ფორმები და სახეები, ხოლო მეორე მხრივ სახელმწიფო შესყიდვის ადმინისტრირება, როგორც საქართველოში ასევე განვითარებულ ქვეყნებში. ამასთან აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ შესყიდვების ადმინისტრირებასთან დაკავშირებით წინამდებარე ნაშრომი ქართულ ენაზე შექმნილი პირველი სახელმძღვანელოა.

თავი 1. პროკიურემენტი ანუ ყიდვა-გაყიდვის ხელოვნება

1.1. პროკიურემენტის არსი, მიზნები და ამოცანები

პროკიურემენტი წარმოადგენს პროცესს, რომელშიც გამოყენებული მეთოდების ერთობლიობა საქონელზე, სამუშაოებზე და მომსახურებაზე შემკვეთის (შემსყიდველი ორგანიზაცია) მოთხოვნილებების მაქსიმალურად ეფექტიანი დაკმაყოფილების საშუალებას იძლევა.

პროკიურემენტი მოიცავს (ნახაზი 1):

- შესყიდვების დაგეგმვას;
- შეთავაზებული შესყიდვების მიზანშეწონილობის განსაზღვრას;
- შესყიდვების რეგლამენტირებას;
- შესყიდვების განხორციელებას;
- შესყიდვების კონტროლს.



ნახაზი 1. პროკიურემენტის ელემენტები

ტერმინი „პროკიურემენტი" სათავეს რომის იმპერიაში იღებს. ადამიანებს, რომელთაც რომის იმპერიის ჯარების (ლეგიონების) მომარაგება ევალებოდათ, პროკიურატორები ეწოდებოდათ. ხშირად ისინი რომის იმპერიის რომელიმე პროვინციის მმართველებიც იყვნენ.

პროკიურემენტის ძირითადი ამოცანაა, რაც შეიძლება მაქსიმალურად ეფექტიანად დააკმაყოფილოს შემსყიდველი ორგანიზაციის ანუ შემკვეთის ობიექტური მოთხოვნილებები პროდუქციაზე, სამუშაოებზე და მომსახურებაზე. ეს მიიღწევა პროკიურემენტის სწორი მეთოდების შერჩევით - შესყიდვების სწორი დაგეგმვით, მისი სახეების და მოცულობის მიზანშეწონილობის განსაზღვრით და აგრეთვე კონტროლით. თითოეულ ამ პროცედურას საფუძვლად უნდა დაედოს ფინანსური სახსრების ეკონომია. მაგრამ ეს მიღწეული უნდა იყოს არა საჭირო საქონლის[1] არ შეძენით, ან ნაკლები რაოდენობით შეძენით, არამედ მხოლოდ იმის შეძენით, რაც შემკვეთისთვის ობიექტურად აუცილებელია მოცემულ მომენტში.

საჭირო საქონლის, სამუშაოს და მომსახურების შესყიდვის ეფექტური დაკმაყოფილება აუცილებლად გულისხმობს, აგრეთვე, მიმწოდებლისგან მოწოდების ვადების დაცვას, საქონლის მაღალ ხარისხს და შეთავაზებულ საქონელზე შემკვეთისთვის მისაღებ ფასს.

შემკვეთმა ამ სამი მაჩვენებლითაც უნდა შეაფასოს ბაზარზე წარმოდგენილი მიმწოდებლები და მათ შორის აირჩიოს ის (ისინი), რომელიც ყველაზე უკეთ უზრუნველყოფს ამ მოთხოვნების შესრულებას. ეს დავალება უნდა შეასრულონ შემკვეთი ორგანიზაციის მარკეტინგის და შესყიდვების სპეციალისტებმა.

გვახსოვდეს, რომ იზოლირებულად არც ერთ ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნას - მოცულობა, ხარისხი, ფასი, მოწოდების ვადა - არ უნდა მიეცეს უპირატესობა. ისინი ურთიერთშეთანხმებული უნდა იყოს. მხოლოდ ასეთ პირობებში იქნება პროკიურემენტი ეფექტიანი და წარმატებული.

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, შემსყიდველის ობიექტური მოთხოვნილებების განსაზღვრა - ეს მეტად დიდი პრობლემაა არა მხოლოდ ორგანიზაციებში, არამედ ოჯახების და

---

[1] საქონლის ქვეშ ყველგან ვიგულისხმებთ პროდუქციას, სამუშაოს და მომსახურებას.

ცალკეული ფიზიკური პირების დონეზეც. ყველგან, ყოველ წელს იგეგმება სხვადასხვა საქონლის შესყიდვა. შემსყიდველი ორგანიზაციების სპეციალური საშემსყიდველო-მომმარაგებელი სამსახურები შესყიდვებს ახორციელებენ სხვადასხვა აუქციონების, ტენდერებისა და კონკურსების საშუალებით. არჩევენ მიმწოდებლებსაც და მათ მიერ მოსაწოდებელ საქონელსაც. თითოეულმა შემსყიდველმა ორგანიზაციამ იცის და ამის სურვილიც აქვს, რომ შეიძინოს საუკეთესო, საიმედო, მაღალ მწარმოებლური (თუ ეს ტექნიკას ეხება) საქონელი, რაღა თქმა უნდა, მისაღებ ფასად. მაგრამ იშვიათი გამონაკლისის სახით, თითქმის არავინ არ ასაბუთებს ამ შესყიდვის საჭიროებას. ორგანიზაციის რომელიმე განყოფილების განცხადება, რომ მას სჭირდება თანამედროვე სკანერი, სრულიად საკმარისი ხდება მომარაგების განყოფილებისთვის, რომ მან იგი ჩასვას კვარტალური შესყიდვის გეგმაში და შეიძინოს დამკვეთი განყოფილებისთვის. არავინ, არც ეს განყოფილება და, არც მომარაგების განყოფილება, არ ანგარიშობს და არ ასაბუთებს ამ სკანერის საჭიროებას, მის სარგებლიანობას ფასთან მიმართებაში. სკანერი შესაძლებელია ამ განყოფილებამ რამდენჯერმე გამოიყენოს თვეში, დანარჩენ დროს კი უფუნქციოდ იყოს. სამწუხაროა, რომ ქართულ რეალობაში ასეთი ქმედება არ არის შემთხვევითი და შესაძლებელია პრაქტიკაში ხშირად შეგვხვდეს. ასე იქცევიან ორგანიზაციები, ოჯახები და ცალკეული ადამიანებიც კი. მათ სჭირდებათ ნივთი და ყიდულობენ მას. ეს ნივთი მისი ფუნქციების მრავალფეროვნების და ესთეტიური გამომსახველობის გამო, შეიძლება სხვადასხვა ფასიანი იყოს - ძალიან ძვირიც, საშუალოდ ძვირიც და იაფიც. როგორც აღვნიშნეთ, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად თანამედროვეა, რა ბრენდს წარმოადგენს და რამდენ ფუნქციას ასრულებს იგი.

საქართველოში საჭირო საქონლის შესყიდვა ხორციელდება არა პრაგმატულობის, არამედ მოდის გავლენით. ყოველთვის მოდაში ბოლო თაობის საქონელია. ეს განსაკუთრებით ეხება ტექნიკას - კომპიუტერი, ტელეფონი, საოჯახო ტექნიკა და სხვა.

ასეთი საქონელი მისი მფლობელისთვის პრესტიჟად ითვლება. აღსანიშნავია, რომ თითქმის იგივე მდგომარეობაა როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლის იურიდიულ პირებში. შედეგად არამიზნობრივად იხარჯება დიდი ფინანსური რესურსი.

ოჯახებში და ცალკეული პიროვნებების ქცევებშიც რომ იგივე ხდება, ეს ჩვენ იმ სოციოლოგიური გამოკვლევით დავადგინეთ, რომელიც ჩავატარეთ სტუდენტებში. კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 50 სტუდენტი და აღმოჩნდა, რომ მათგან:

30-ს -აღმოაჩნდა „IPHONE 7".

18-ს - „SAMSUNG S7".

2-ს - „LENOVO P780".

ორი სტუდენტი რომელიც LENOVO-ს მარკის მობილურ ტელეფონებს ფლობს აცხადებს, რომ ჯერ-ჯერობით მათთვის სრულიად საკმარისია ამ ტელეფონის ფუნქციები. აღსანიშნავია, რომ ამ სტუდენტებმა მობილური ტელეფონი შეიძინა არა „პრესტიჟის", არამედ, საჭიროების მოტივით.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ პროკიურემენტი არის პროდუქციის, მომსახურების და სამუშაოს შესყიდვა-გაყიდვის პროცესი. ერთად ისინი წარმოადგენენ საქონელს. ავხსნათ თუ რა იგულისხმება თითოეულ მათგანში:

პროდუქციაში შედის მზა პროდუქცია, ნედლეული (მაგალითად, ხორბალი წისქვილკომბინატის ნედლეულია, მაგრამ სასოფლო-სამეურნეო ფირმისთვის, რომელსაც ხორბალი მოჰყავს მზა პროდუქცია არის), ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი, სხვადასხვა პროგრამული პროდუქტები, ინოვაციური სიახლეები და სხვა.

მომსახურებაში შედის არანივთიერი ფორმის საქმე, მაგალითად, მანქანის შეკეთება, კომპიუტერული მომსახურება და სხვა.

სამუშაოებში შედის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, რეკონსტრუქცია, შენობის დაშლა-აწყობა, გეოლოგიური, გეოდეზიური სამუშაოები და სხვა.

პროკიურემენტის ამოცანებია:

- რესურსებზე მოთხოვნილების სწორი განსაზღვრა და დაგეგმვა;
- ბაზარზე არსებული ვარიანტებიდან საჭირო რესურსების შესყიდვის თავისუფალი და ოპტიმალური არჩევანის გაკეთება;
- არსებული რესურსების ეფექტიანი გამოყენება.

განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე:

რესურსებზე მოთხოვნილების სწორი განსაზღვრა და დაგეგმვა. უმრავლეს საჯარო და კერძო სამართლის ორგანიზაციებში რესურსების შეძენა წლიური და კვარტალური გეგმების მიხედვით ხდება. თავდაპირველად ორგანიზაციის განყოფილებები ადგენენ მათთვის საჭირო საქონლის ჩამონათვალს. ამ ჩამონათვალის საფუძველზე დგება გასაწევი ხარჯების გეგმა (ხარჯთაღრიცხვა). შემდეგ ხდება ამ ხარჯთაღრიცხვის კორექტირება (პლიუს-მინუსით) იმ შემოსავლის მიხედვით, რომელიც ორგანიზაციას გააჩნია. ასე ჩასწორებული ხარჯთაღრიცხვა იქნება შესყიდვის საბოლოო გეგმა. შესყიდვების თანამედროვე მენეჯერები აკრიტიკებენ გეგმის არსებობას. მას შესყიდვების თავისდროულად და სწორად განხორციელების შემაფერხებელ ფაქტორად თვლიან. ისინი თავიანთ პოზიციას იმით ასაბუთებენ, თანამედროვე სამყაროში მოვლენები იმდენად სწრაფად იცვლება, რომ რიგ შემთხვევაში შეუძლებელი ხდება წინასწარ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად მოქმედება.

ასეთი მიდგომა ნაწილობრივ სწორია და ასეთ შემთხვევაში უნდა განხორციელდეს შესყიდვის გეგმის ოპერატიული კორექტირება და არა საერთოდ უარის თქმა მასზე. ამ საკითხზე ერთობლივად უნდა შეთანხმდნენ ორგანიზაციის მართვის აპარატი (დირექტორატი), შესყიდვის განყოფილება, ფინანსების და კონტროლის (შიდა აუდიტი) განყოფილებები.

ბაზარზე არსებული შემოთავაზებებიდან საჭირო რესურსების მოწოდების თავისუფალი და ოპტიმალური არჩევანის გაკეთება. შემსყიდველ ორგანიზაციას ასეთი არჩევანის გაკეთე-

ბა ყველაზე უკეთ შეუძლია ღია საკონკურსო შესყიდვების გამოყენებით, სადაც სხვადასხვა მიმწოდებლები იქნებიან წარმოდგენილნი. ამის მიღწევა შეიძლება მიმწოდებლებზე სრული ინფორმაციის ფლობითაც.

არსებული რესურსების ეფექტიანი გამოყენება. ვიდრე შემსყიდველი ორგანიზაცია ამა თუ იმ მისთვის საჭირო საქონლის შესყიდვას დაგეგმავდეს, მან უნდა გადახედოს თავის შიდა, არსებულ რესურსებს. მან შეიძლება თავისთან აღმოაჩინოს გამოუყენებელი ან ნაწილობრივ გამოყენებული ასეთივე საქონელი. პირველ რიგში მან სწორედ ეს საქონელი უნდა გამოიყენოს. იგივე ეხება საქონლის მარაგსაც, რომელსაც თითქმის ყველა ორგანიზაცია ქმნის. შეიძლება ამ მარაგში აღმოჩნდეს ადრე, რეზერვად ნაყიდი ასეთი საქონელი. შესაბამისად მისი ხელახალი ყიდვა აღარ იქნება საჭირო.

-55468-

1.2. პროკიურემენტის პრინციპები

პროკიურემენტის ძირითადი პრინციპებია:

- ღიაობა და გამჭვირვალობა;
- პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება;
- კონკურენტულობა;
- თანასწორობა და სამართლიანობა;
- ეფექტიანობა;
- რეალური საჭიროება.

განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე და ვნახოთ რა იგულისხმება თითოეულ მათგანში:

ღიაობა და გამჭვირვალობა. შესყიდვის განხორციელების შესახებ ინფორმაცია თავისდრულად და სრული მოცულობით ყველა მიმწოდებლისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი. ეს იმისთვის არის საჭირო, რომ მიმწოდებლებს ჰქონდეთ დრო, რათა თავიანთი კომერციული შეთავაზები იმ კრიტერიუმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს უნივერსიტეტი
ბიბლიოთეკა
N.

ბის და მოთხოვნების მიხედვით მოამზადონ, რომელთა მიხედვით შემკვეთი (შემსყიდველი) ირჩევს მიმწოდებელ-კონტრაგენტს.

შესყიდვების ჩატარების შესახებ მიმწოდებელთა ინფორმირებისთვის შემკვეთი იყენებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს (ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების ჩათვლით). დაინტერესებულ მიმწოდებლებს, რომლებმაც ადრეც გამოიჩინეს მასთან მუშაობის ინტერესი და რომელთა კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მის მოთხოვნებს, უგზავნის მოწვევებს და ა.შ.

შესყიდვასთან დაკავშირებული ყველა პროცედურა გამჭვირვალე და დოკუმენტირებული უნდა იყოს, ასევე მკაფიოდ უნდა იყოს გამოკვეთილი ყველა ნიუანსი რათა თავიდან იქნეს აცილებული ნებისმიერი გაუგებრობა, რომელიც შესაძლოა ამ პროცესში წარმოიშვას მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის.

პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება. შესყიდვების ორგანიზატორმა ეს პროცესი დადგენილი წესების და პროცედურების სრული დაცვით და მაღალი პასუხისმგებლობით უნდა ჩაატაროს.

შესყიდვების ყველა საკვანძო მომენტი შესაბამის დოკუმენტებში - ოქმები, ანგარიშგებები და სხვა - უნდა დაფიქსირდეს. საჭირო შემთხვევაში ისინი წარედგინება შესყიდვებზე კონტროლის განმახორციელებელ უფლებამოსილ განყოფილებას.

კონკურენტულობა. შესყიდვის განხორციელებისას ოპტიმალური შედეგი მხოლოდ თავისუფალი კონკურენციის პირობებში მიიღება. იშვიათი გამონაკლისის დროს შეიძლება პირდაპირი შესყიდვაც, მაგალითად, ბუნებრივი მონოპოლიები (ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი და ა.შ.), სამხედრო იარაღი და სხვ. ასე რომ, მიმწოდებელ-კონტრაგენტის არჩევა ხდება მათ მიერ შემოთავაზებული საუკეთესო პირობის საფუძველზე, რომელიც მაღალი კონკურენციის არსებობისას გამოვლინდება.

ამასთან კონკურენცია არ შეიძლება იყოს აბსოლუტური, ანუ შესყიდვის პროცედურაზე ყველა მიმწოდებელი კი არ უნდა დაიშვას, არამედ, მხოლოდ ისინი, რომლებიც აკმაყოფილებენ შემკვეთის ე. წ. „საკვალიფიკაციო მოთხოვნებს“.

თანასწორობა და სამართლიანობა. შესყიდვის განხორციელებისას, მიმწოდებლების კვალიფიკაციისადმი წარდგენილი მოთხოვნები და გამარჯვებულის გამოვლენის წესი ყველა მიმწოდებლისთვის ერთნაირი და წინასწარ განსაზღვრული უნდა იყოს. არანაირი დისკრიმინაცია და შესყიდვების პროცესში წესების შეცვლა არ დაიშვება.

ეფექტიანობა. შესყიდვები მაქსიმალური ეფექტიანობით უნდა ჩატარდეს. ამის ანგარიში შესყიდვაზე გაწეული ხარჯების იმ შედეგთან (ეკონომიკური სარგებელი) შედარებით ხდება, რომლის შედეგიც მისცა შემკვეთს შეძენილმა საქონელმა.

რეალური საჭიროება. შემკვეთმა მხოლოდ ის საქონელი უნდა შეისყიდოს, რომელიც ნამდვილად სჭირდება მას და დააკმაყოფილებს მის რეალურ მოთხოვნილებებს.

1.3. შესყიდვების ორგანიზება

შესყიდვების სისტემა, როგორც წესი, სამი ბლოკისგან შედგება:

1. **შესყიდვების ბლოკი**. ამ ბლოკში შედიან შემკვეთის ანუ შემსყიდველი ორგანიზაციის ის განყოფილებები, რომლებიც მიმწოდებელ-კონტრაგენტების ძებნას და ამორჩევას ახდენენ, აფორმებენ მათთან ხელშეკრულებებს, ხელმძღვანელობენ შესყიდვის პროცესს და მიღებული საქონლის ორგანიზაციის შიგნით განაწილებას;

2. **დაფინანსების ბლოკი**. ამ ბლოკში შედის ის განყოფილებები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ შესყიდვების განხორციელებაზე მიმართული ფინანსების მოცულობის განსაზღვრაში, ხარჯთაღრიცხვის შედგენა-დამტკიცებაში და ხელშეკრულებების მომზადებაში;

3. **კონტროლის ბლოკი**. ამ ფუნქციას ასრულებს შემკვეთის (შემსყიდველის) ხელმძღვანელობა ან ხელმძღვანელის მიერ უფლებამოსილი შესაბამისი პირები.

როლების ასეთი განაწილება დამახასიათებელია როგორც სახელმწიფო, ისე კომერციული შესყიდვებისთვის. პირველ შემთხვევაში შემსყიდველის ზოგიერთი ფუნქცია, გადაცემული აქვს სხვა ორგანოს. ასე, მაგალითად, სახელმწიფო შესყიდვების დაფინანსებას ახორციელებს ხაზინა, ხოლო კონტროლს - ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო და სახელმწიფო აუდიტის სამსახური (ყოფილი კონტროლის პალატა).

1.3.1. შესყიდვების მოდელების კლასიფიკაცია

შესყიდვები ზოგადად ხორციელდება ცენტრალიზებული, დეცენტრალიზებული, ან განაწილებითი მოდელით. პრაქტიკაში გამოიყენება შერეული მოდელიც, თუმცა იგი უმეტესად ერთერთ ზემოთ აღნიშნულ მოდელს ეფუძნება.

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

ცენტრალიზებული მოდელი. ამ მოდელის ბირთვი არის ის სტრუქტურული ქვედანაყოფი (განყოფილება, დეპარტამენტი ან სამმართველო), რომლის ძირითადი ფუნქცია არის შემსყიდველი ორგანიზაციის შეკვეთების შეკრება და მათ საფუძველზე მთელი საშემსყიდველო ციკლის ჩატარება (კონტრაგენტის არჩევიდან დაწყებული მიწოდების კონტრაქტის შესრულების კონტროლით დამთავრებული).



ნახაზი 2. შესყიდვების ცენტრალიზებული მოდელი

დეცენტრალიზებული მოდელი. ამ მოდელით მომუშავე ორგანიზაციაში ყოველი დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული თვითონ ახორციელებს მისთვის საჭირო პროდუქციის შესყიდვას - სამეურნეო განყოფილება შეისყიდის საკანცელარიო საქონელს, ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილება - კომპიუტერებს და ა.შ.

შესყიდვების დეცენტრალიზებული მოდელის სქემა ასეთია:



ნახაზი 3. შესყიდვების დეცენტრალიზებული მოდელი

შესყიდვების დეცენტრალიზებული მოდელის დროსაც შემსყიდველ ორგანიზაციაში არსებობს შესყიდვების ერთიანი სამსახური, მაგრამ იგი ასრულებს მხოლოდ მაკოორდინირებელ როლს, ახორციელებს ბაზრის მონიტორინგს და სხვა.

განაწილებითი მოდელი. განაწილებით მოდელის დროსაც მთელ საშემსრულებლო საქმიანობას ორგანიზაციის განყოფილებები თავისი საჭიროებისთვის თვითონ ასრულებენ (ნახაზი 4).



ნახაზი 4. შესყიდვების განაწილებითი მოდელი

1.4. შესყიდვების რეგლამენტაცია

შესყიდვების ეფექტურად ჩატარებისთვის მინიმუმ სამი ელემენტი არის საჭირო:

- შესყიდვების ჩატარების კარგად დამუშავებული წესი;
- კონტრაგენტებთან მომუშავე კვალიფიციური სპეციალისტები;
- კონტრაგენტების ობიექტურად ამომრჩევი ორგანო.

კონკურენტული წესით კონტრაგენტების არჩევის ყველაზე ზოგადი სქემა სამ ელემენტს მოიცავს. ესენია: შემკვეთი, შემსყიდველი, და კონტროლის განმახორციელებელი. მისი ერთ-ერთი სქემა მე-5 ნახაზზეა მოცემული.



ნახაზი 5. ურთიერთობები შესყიდვის პროცესში

შესყიდვა მიმდინარეობს შემდეგნაირად: შემკვეთი ადგენს ტექნიკურ დავალებას (მოთხოვნებს საჭირო პროდუქციაზე) და ათანხმებს მას შესყიდვების განყოფილებასთან. ეს უკანასკნელი ამზადებს შესყიდვების ჩასატარებლად ყველა საჭირო მასალებს (მათ საკოტირებადო და საკონკურსო დოკუმენტები ეწოდებათ) და დასამტკიცებლად საკონკურსო კომისიას გადასცემს.

ამის შემდეგ შესყიდვების განყოფილება იწვევს მიმწოდებლებს და საკონკურსო კომისია მათ შორის აკეთებს არჩევანს. არჩეულ მიმწოდებელთან შემკვეთის შესყიდვების განყოფილება აწარმოებს მოლაპარაკებებს და აფორმებს კონტრაქტს.

შესყიდვის ჩვენს მიერ აღწერილი პროცესის განსახორციელებლად და მის დასარეგულირებლად საჭიროა გარკვეული დოკუმენტები. მათი მინიმალური რიცხვი და ჩამონათვალი შემდეგია:

1. შესყიდვების დებულება;
2. შესყიდვების ჩატარების რეგლამენტი;
3. საკონკურსო კომისიის დებულება;
4. ორგანიზაციის ხელმძღვანელობის ბრძანებები, რომლებიც ეხება საკონკურსო კომისიის საქმიანობას (პირველ რიგში საკონკურსო კომისიის დაკომპლექტებას);
5. ტიპიური საკონკურსო დოკუმენტაცია, მეთოდური მასალები და სხვა.

1.4.1. შესყიდვების დებულება

შესყიდვების დებულება, როგორც წესი, შემდეგი განყოფილებებისგან შედგება:

1. საერთო დებულებები (სფერო და გამოყენების წესი).
2. ტერმინების და განსაზღვრებების სია და მოკლე შინაარსი.
3. მიმწოდებლებისადმი მოთხოვნები (მაგ. საკვალიფიკაციო).
4. შესყიდვების საშუალებები და მათი გამოყენების პირობები.
5. შესყიდვების ძირითადი საშუალებები.
6. ღია კონკურსისგან განსხვავებული შესყიდვების მეთოდები.
7. დოკუმენტბრუნვა (ოქმების, ანგარიშგებების და ა.შ. გაფორმებისადმი მოთხოვნები).
8. საკონკურსო კომისიის მუშაობის რეგლამენტი.
9. დასკვნითი დებულებები.

1.4.2. შესყიდვების ჩატარების რეგლამენტი

შესყიდვების ჩატარების რეგლამენტი აღწერს შესყიდვებში მონაწილე შემკვეთის ქვედანაყოფების სამუშაოს, ურთიერთქმედების წესს და გადაწყვეტილების მიღების მექანიზმს. ამდენად შესყიდვების რეგლამენტი აჩვენებს შესყიდვების ტაქტიკას.

მოვიყვანთ მის ნიმუშს ერთ-ერთი ორგანიზაციის გამოცდილებიდან, რომელიც შესყიდვებს ერთი წყაროდან (მიმწოდებელი) ახორციელებს:

- ორგანიზაცია ერთი წყაროდან აწარმოებს შესყიდვებს „შესყიდვების დებულების" თანახმად;
- ერთი წყაროდან შესყიდვის განსახორციელებლად შესყიდვებზე პასუხისმგებელი განყოფილება ამზადებს საჭირო პროდუქციის შესყიდვის აუცილებლობის დასაბუთებას და საჭირო შემთხვევაში ახორციელებს მიმწოდებლებთან წინასწარ მოლაპარაკებას;
- მომზადებული დოკუმენტები გადაეგზავნება შესყიდვების განყოფილებას;
- შესყიდვების განყოფილება ამოწმებს გამიზნული შესყიდვის მიზანშეწონილობას და ბიუჯეტში სახსრების საკმარისობას;
- შესყიდვების განყოფილება იღებს გადაწყვეტილებას შესყიდვაზე და ამ გადაწყვეტილებას ოქმის სახით თანდართულ წინასწარ მომზადებულ დოკუმენტებთან ერთად დასამტკიცებლად საკონკურსო კომისიას წარუდგენს;
- შესყიდვების უშუალოდ შემსრულებელი განყოფილება უზრუნველყოფს მიმწოდებელთან ხელშეკრულების დადებას და შემდეგ მის შესრულებას. ხელმოწერამდე ხელშეკრულება უთანხმდება შესყიდვების განყოფილებას;
- თუ საქონლის მოწოდება ხორციელდება ხელშეკრულების დადების გარეშე, ანგარიშები გასანაღდებლად გადაგზავნამდე ვიზირებისთვის იგზავნება შესყიდვების განყოფილებაში.

1.4.3. საკონკურსო კომისია

კონტრაგენტის არჩევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კოლეგიალური ორგანო - საკონკურსო კომისია. საკონკურსო კომისიის დაკომპლექტება ხდება ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირებისგან, რომელთაც უფლება აქვთ საჭირო შემთხვევაში სამუშაოში ჩართონ მოწვეული ექსპერტები.

კომისიის მუშაობას ორი მიზანი აქვს: ერთის მხრივ, კომისიის შემადგენლობაში ორგანიზაციის საკვანძო ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა შეყვანა იძლევა კონტრაგენტის ობიექტურად ამორჩევის საშუალებას და მეორეს მხრივ კონტროლდება შესყიდვის პროცედურის პროცესში შემკვეთის საქმიანობა ეფექტიანობის და მიზანშეწონილობის თვალსაზრისით.

საკონკურსო კომისიის ძირითადი ფუნქციებია:

- შესყიდვის წესების შეთანხმება;
- საშემსყიდველო დოკუმენტაციის შეთანხმება;
- შეკვეთების (წინადადებების) გახსნის პროცედურის ჩატარება;
- შეკვეთების შეფასება;
- მიმწოდებლების არჩევის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- კონკურსის მონაწილეთა საკითხების და კონკურსის შედეგებზე საჩივრების განხილვა;
- კონკურენტულ შესყიდვებზე სხვა პრინციპული გადაწყვეტილებების მიღება.

საკონკურსო კომისიის წევრთა რაოდენობა სასურველია 5-7 იყოს. კომისიის წევრთა მეტი რაოდენობა იწვევს კომისიის ქმედუნარიანობის შემცირებას.

კომისიის პერსონალური შემადგენლობა ორგანიზაციის ფუნქციონალურ სტრუქტურაზე არის დამოკიდებული. ამის მიუხედავად მასში წევრებად შეყვანილი უნდა იყვნენ საშემსყიდველო საქმიანობაში მონაწილე ყველა ქვედანაყოფის წარმომადგენლები (ხელმძღვანელი, ან მოადგილე).

საკონკურსო კომისიის საქმიანობას შესყიდვების შესახებ დებულება, შესყიდვების ჩატარების რეგლამენტი და საკონკურსო კომისიის დებულება არეგულირებს. ეს უკანასკნელი შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

1. საკონკურსო კომისიის მიზნები და ამოცანები.
2. საკონკურსო კომისიის ფორმირების წესი.
3. საკონკურსო კომისიის ფუნქციები.
4. საკონკურსო კომისიის უფლებები.
5. საკონკურსო კომისიის სხდომათა ჩატარების წესი.
6. საკონკურსო კომისიის საქმიანობის ორგანიზაციული და დოკუმენტური უზრუნველყოფა.

1.5. კონკურენტული შესყიდვების ეფექტიანობის შესახებ

შესყიდვების ეფექტიანობის შეფასების რამდენიმე მეთოდი არსებობს. ეს მეთოდები ძირითადად ეფუძნებიან შესასყიდი პროდუქციის, მომსახურებისა და სამუშაოს საბოლოო ფასების შედარებას:

- წარსულში ანალოგიური შესყიდვის ფასთან;
- შესყიდვებში მონაწილე ყველა მიმწოდებლის ფასებთან;
- საშუალო საბაზრო ფასთან;
- შესყიდვების შედეგების შედარებას ძირითადი კონკურენტების ანალოგიურ მაჩვენებლებთან.

თითოეულ ამ ვარიანტს თავისი სირთულეები აქვს:

1. ყოველთვის არ ხდება ადრინდელი და მიმდინარე შესყიდვების ფასის ობიექტური შედარება.
2. არ არსებობს იმის გარანტია, რომ შესყიდვებში მონაწილე პოტენციურ მიმწოდებლებს შორის აღმოჩნდება ისეთი, რომელიც ბაზარზე არსებულ ვარიანტებს შორის ყველაზე უკეთეს ფასს შემოგვთავაზებს;
3. საშუალო საბაზრო ფასი მეტად პირობითი კატეგორიაა;

4. ძნელია, ხშირად კი - შეუძლებელი ბაზარზე არსებული მოთხოვნის და მიწოდების სწორი შეფასება, აგრეთვე, კონკურენტების შესყიდვების შესახებ ინფორმაციის მოპოვება.

1.6. არაკეთილსინდისიერება შესყიდვების პროცესში

ხშირად, პროცედურების თვალსაზრისით თვით საუკეთესოდ ორგანიზებული შესყიდვაც კი, სხვადასხვა მიზეზით იშლება. ეს შეიძლება მოხდეს შესყიდვის ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირის დაბალი კვალიფიკაციით, არაკეთილსინდისიერებით, ან მიმწოდებლების დანაშაულებრივი შეთანხმებით.

თუ დარღვევა შემსყიდველი ორგანიზაციის მიზეზით მოხდა, შიდა აუდიტის მეშვეობით მისი გამოვლენა ადვილია, მაგრამ თუ იგი მიმწოდებლების მიზეზით მოხდა, რამდენადმე რთულია. თუმცა, არსებობს რამდენიმე ნიშანი, რომელთა მეშვეობით შეიძლება შესყიდვების დარღვევაში მიმწოდებლების არაკეთილსინდისიერების მიგნება. ეს ნიშნები შემდეგია:

- წინა წლებში შემოთავაზებებთან შედარებით მიმწოდებელი გაცილებით გაზრდის გასაყიდი პროდუქციის ღირებულებას, იმ ფონზე, როცა საბაზრო კონიუნქტურაში არაფერი სერიოზული ცვლილებები არ მომხდარა;
- მიმწოდებლის მიერ სხვადასხვა შემკვეთების კონკურსებზე შეთავაზებულ პროდუქციის ფასებს შორის დიდი განსხვავებაა;
- მეტად შემცირებულია კონკურსის მონაწილეთა რიცხვი;
- კონკურსში მუდმივად იმარჯვებს ერთი და იგივე მიმწოდებელი;
- დიდი სხვაობაა გამარჯვებულის და ყველა დანარჩენი მიმწოდებლების ფასებში;
- კონკურსში გამარჯვებულის მიერ ქვემოიჯარეების როლში სხვა მონაწილეების მოწვევა.

1.7. შესასყიდი პროდუქციის, სამუშაოების და მომსახურების კლასიფიკატორები

სახელმწიფოსთვის მთლიანად და მსხვილი შემსყიდველი სუბიექტებისთვის შესყიდვების კატეგორიებად უნიფიცირება აუცილებელია. კლასიფიკატორი მთელ შესასყიდ პროდუქციას შეიცავს, ამდენად შემკვეთისთვის როგორც შესყიდვების განხორციელების დაგეგმვა, აღრიცხვა და კონტროლი, ისე ლოტების ფორმირება და გაერთიანებული კონკურსის ჩატარება ადვილდება.

მიმწოდებლებისთვისაც ადვილია შესყიდვების შესახებ ინფორმაციის მიღება. ნაცვლად იმისა, რომ იგი გაეცნოს მთელ ინფორმაციას შესყიდვების შესახებ, ასეთ შემთხვევაში ეცნობა მხოლოდ იმ განყოფილების განაცხადებს, რომელიც მის ინტერესებშია. კლასიფიკატორი ელექტრონული შესყიდვებით მოსარგებლე ორგანიზაციებს და ინფორმაციულ ბაზებსაც სჭირდებათ.

შესყიდვების კლასიფიკატორის შესაქმნელად მთელ მსოფლიოში მუშაობა მიმდინარეობს. მის მრავალ ვარიანტებს შორის განსაკუთრებულ მოწონებას შემდეგი ორი იმსახურებს. პირველში კლასიფიკატორი მთლიანად შემუშავებულია, შედგენილია მისი სტრუქტურა, მისი ელემენტები და სიღრმე, მხოლოდ გამოყენების პირობებში კორექტირებას მოითხოვს. მეორე ვარიანტი ფაქტიურად არის კლასიფიკატორის ზოგადი სტრუქტურა ასეთი ფორმით ინერგება და გამოყენებისას საჭიროების მიხედვით ივსება.

კლასიფიკატორი დეტალიზაციის დონის მიხედვით შეიძლება იყოს ერთდონიანი და მრავალდონიანი. ერთდონიანი კლასიფიკატორის ნიმუში წარმოდგენილი გვაქვს ქვემოთ მოტანილ ცხრილში 1.

ცხრილი 1

ერთდონიანი კლასიფიკატორი

10	საწვავი და საცხი მასალები
20	ქიმიური პროდუქტები, რეზინა, პლასტიკატი და პლასტმასის სხვა ნაწარმი
30	მედიკამენტები, სამედიცინო მასალები, მოწყობილობა, ინსტრუმენტები
40	სოფლის მეურნეობის პროდუქცია
50	კვების პროდუქტები, სასმელები, თამბაქოს ნაწარმი
60	მერქანი და ხე-ტყის გადამუშავების პროდუქცია
70	ქაღალდი, მუყაო, ბეჭდვით-საგამომცემლო საქმიანობის პროდუქცია
80	ავეჯი
90	ქსოვილები, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ქუდები, ტყავის ნაწარმი, ბეწვეული
100	ლითონი და ლითონდამუშავების ნაწარმი
110	მოწყობილობა, მანქანების მექანიზმები, მექანიკური ნაწილები
120	ელექტრონული მანქანები, მოწყობილობა, მასალები
130	ელექტრონული, ოპტიკური და რადიო-მოწყობილობა, ხმის და ჩანაწერის კვლავწარმოების აპარატურა
140	კომპიუტერული და საოფისე მოწყობილობა, ინფორმაციული ტექნოლოგიები
150	მიწისზედა, საჰაერო და წყლის ტრანსპორტი, ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის მომსახურება
160	სხვადასხვა სამრეწველო და სამომხმარებლო საქონელი
170	არასაწარმოო სფეროს მომსახურება
180	საწარმოო სფეროს მომსახურება (რომელიც არ შეიდა სხვა განყოფილებებში)
190	სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო სამუშაოები
200	სამშენებლო მომსახურება
210	საშენი მასალები

კლასიფიკატორის შექმნის თუ შერჩევის დროს, ყველაზე მთავარი არის დეტალიზაციის სიღრმის სწორი განსაზღვრა, რადგან მისი ზედმეტად ღრმა დეტალიზაცია გააძნელებს და გაართულებს მისი გამოყენების საშუალებას, ზედმეტად გამსხვილებული კი - გამოუყენებელი დარჩება. ზოგადად უფრო მეტად მისაღებია იმ კლასიფიკატორით მუშაობა, რომელიც 3-4 დონეს მოიცავს.

საკონტროლო კითხვები:

- განმარტეთ პროკიურემენტი.
- რისი შესყიდვა ხდება პროკიურემენტით?
- ჩამოთვალეთ პროკიურემენტის ამოცანები.
- ჩამოთვალეთ პროკიურემენტის პრინციპები.
- ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ შესყიდვების მოდელები.
- ჩამოთვალეთ საკონკურსო კომისიის ფუნქციები.
- რა ნიშნებით შეიძლება შესყიდვებში არაკეთილსინდისიერების მიგნება?

თავი 2. კონკურენტული შესყიდვების ძირითადი მეთოდები

2.1 კონკურენტული შესყიდვის ძირითადი მეთოდები

მსხვილი შესყიდვების განხორციელებისას ყველაზე საუკეთესო შეთავაზების მიღება ღია კონკურსის ჩატარებით შეიძლება. ღია კონკურსი ეს არის ვაჭრობა, რომელიც ეფუძნება შეჯიბრებითობის, სამართლიანობის და ეფექტიანობის პრინციპებს და წარმოადგენს საქონლის მოწოდების, მომსახურების ან სამუშაოს მიღების საშუალებას წინასწარ გამოცხადებული საკონკურსო დოკუმენტაციის პირობების მიხედვით.

კონკურსში გამარჯვებულთან იდება ხელშეკრულება (კონტრაქტი). ეს არის კონკურსის მონაწილე, რომლის საკონკურსო შეთავაზება შეესაბამება საკონკურსო დოკუმენტაციის მოთხოვნებს და შეიცავს ყველაზე საუკეთესო პირობებს. ამიტომ საშემსყიდველო საქმიანობაში შესყიდვის ეს მეთოდი, ეს საშუალება, ერთ-ერთ ძირითად საშუალებად ითვლება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ღია კონკურსით შესყიდვის პროცესი მეტად ხანგრძლივია (არა ნაკლებ ერთი თვე) და შრომატევადი (საკონკურსო დოკუმენტაციის მომზადება, შეკვეთების შეფასება და ა.შ.). ამიტომ, რიგ შემთხვევებში, შესყიდვების სხვა, უფრო ეფექტური ფორმები გამოიყენება. მათ შორისაა (ნახაზი 6):

- დახურული კონკურსი;
- სელექციური კონკურსი;
- ორეტაპიანი კონკურსი;
- კოტირებების გამოთხოვა;
- კონკურენტული მოლაპარაკებები;
- წინადადებების გამოთხოვნა;
- ერთი წყაროდან შესყიდვა;რედუქციონი;
- აუქციონი, რომელზეც „ყველა იხდის“.



ნახაზი 6. შესყიდვების ძირითადი ფორმები

შესყიდვების ფორმები ორ კატეგორიად - **კონკურენტულ** (კონკურსების ჩატარება, კოტირებების გამოთხოვნა და ა.შ.) და **არაკონკურენტულ** (მიმწოდებლებიდან პირდაპირი შესყიდვა) კატეგორიად იყოფა. ამის გარდა, კონკურსები იყოფა ღიაობის ნიშნითაც. ამ ნიშნით არსებობს **ღია** და **დახურული** კონკურსები. ღია კონკურსში ყველა მიმწოდებელს შეუძლია მონაწილეობა. რაც შეეხება დახურულ კონკურსს, ის იმართება მაშინ, როცა პროდუქციის მიმწოდებელთა რიცხვი შეზღუდულია, ან როცა პროდუქციის (ან მომსახურების) წარმოება იმდენად რთულია, რომ მისი შესრულება შეუძლია მხოლოდ მაღალი კვალიფიკაციის მიმწოდებელს. ასეთ კონკურსზე კონკურსის განმახორციელებელი ორგანიზაციები მხოლოდ მას იწვევენ. დახურული კონკურსები ისეთ პროდუქციაზეც ტარდება, რომელიც მოითხოვს უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

ღია და **დახურული** კონკურსები შეიძლება იყოს **ორეტაპიანი**. ეს ხდება მაშინ, როცა შემკვეთს უჭირს კონკურსის საგნის მიმართ თავისი მოთხოვნების ფორმულირება, ანდა მაშინ, როცა ის საჭიროდ თვლის მისი პრობლემის უკეთესად გადასაწყვეტად შეისწავლოს სხვა პოტენციური მიმწოდებლების ვარიანტები და შესაძლებლობები. ასეთი მიდგომა შემკვეთს ეხმარება გაეცნოს ბაზარზე წარმოდგენილ მიმწოდებლების შესაძლებლობებს და თავისი საბოლოო მოთხოვნები ჩამოაყალიბოს.

ორეტაპიანი კონკურსის მონაწილეები კონკურსის პირველ ეტაპზე თავიანთ წინადადებებს ფასის მითითების გარეშე წარმოადგენენ. წარმოდგენილი წინადადებების შესწავლის შემდეგ, კონკურსის ორგანიზატორს უფლება აქვს საკონკურსო დოკუმენტაციაში განახორციელოს ცვლილებები და დამატებები. კონკურსის მეორე ეტაპისთვის მონაწილეები უკვე ითვალისწინებენ ამ ცვლილებებს და თავიანთ წინადადებებს ფასის მინიშნებით წარმოადგენენ.

სელექციური კონკურსი არის ღია და დახურული კონკურსის ერთგვარი სინთეზი. ამ კონკურსზე ყველა მიმწოდებელს შეუძლია მონაწილეობის მიღება, ხოლო მათი სელექცია (გადარჩევა) კონკურსამდე წინასწარ შემკვეთის მიერ ხორციელდება.

სერიული პროდუქციის შედარებით მცირე მოცულობით შესყიდვისას გამოიყენება **საფასო კოტირების გამოთხოვის წესი**, რომლის დროსაც ერთი და იგივე პროდუქციაზე მიმწოდებელთა ფასების გაცნობა შემსყიდველს აძლევს შესაძლებლობას აირჩიოს მათ შორის ყველაზე იაფი. საფასო კოტირებების გამოთხოვის მეთოდის გამოყენება არანაკლებ სამ მიმწოდებლიდან უნდა მოხდეს. თითოეულმა მხოლოდ ერთი ფასი უნდა შესთავაზოს.

ერთი წყაროდან შესყიდვა ხდება მაშინ თუ მიმწოდებელი ბუნებრივი მონოპოლიის მქონეა (მაგალითად, ქ. თბილისში ბუნებრივი აირის მიწოდება მხოლოდ ერთ კომპანიას („ყაზტრანსგაზი") შეუძლია, ასევეა წყლისა და ელექტროენერგიის შემთხვევაშიც), ერთი წყაროდან ხდება შესყიდვა მაშინაც, როცა სირთულის გამო, პროდუქციას მხოლოდ ერთი მწარმოებელი აწარმოებს და ა.შ.

წინადადებების გამოთხოვა და **კონკურენტული მოლაპარაკებები** ძირითად შემთხვევაში საკონსულტაციო მომსახურების შეძენისას გამოიყენება.

რაც შეეხება რედუქციონს, ეს არის აუქციონის შებრუნებული ფორმა. ამ დროს პროდუქციის (მომსახურების) გამყიდველები ერთმანეთს „ევაჭრებიან“ თუ რომელი მათგანი დაუთმობს შემსყიდველს თავის საქონელს მისთვის ყველაზე სასურველი პირობებით.

შესყიდვის თითოეულ სახეს აქვს უპირატესობებიც და ნაკლოვანებებიც. ეს ინფორმაცია ქვემოთ მოცემულ მე-2 ცხრილშია წარმოდგენილი.

ცხრილი 2

კონკურენტული შესყიდვების ძირითადი ფორმების მახასიათებლები

შესყიდვის ფორმა	ტენდერების საშუალო ვადა	ტენდერების ღირებულება	უპირატესობები	ნაკლოვანებები	ეფექტიანობა შემკვეთისთვის
ღია კონკურსი	1,5-2 თვე	მაღალი	მეტი კონკურენტული წინადადებების მოზიდვა და საშუალო საბაზრო ფასზე დაბალი ფასით შესყიდვა	საჭიროებს დიდ დროს და საკონკურსო დოკუმენტაციის მოსამზადებლად კვალიფიციური სპეციალისტების მოწვევას	მაღალი
დახურული	1,5 თვე	საშუალო	მხოლოდ გადამოწმებული მიმწოდებლების მოწვევა. შედარებით დაბალი ფასით შესყიდვა	საჭიროებს დიდ დროს, სპეციალისტების მოწვევას. ხშირად არ ხერხდება ოპტიმალური ფასის მიღწევა	საშუალოზე მაღალი
სელექციური კონკურსი	2 თვე	საშუალო	კვალიფიციური მიმწოდებლების მოწვევა. შედარებით დაბალი ფასით შესყიდვა	საჭიროებს დიდ დროს და კვალიფიციურ სპეციალისტების მოწვევას	მაღალი

ორეტაპიანი კონკურსი	2-3 თვე	მაღალი	მრავალი საკონ-კურსო წინადა-დების მოზიდვა. ვაჭრობის მიმდი-ნარეობისას მოთ-ხოვნების დაზუს-ტების შესაძლებ-ლობა	საჭიროებს დიდ დროს და კვალი-ფიციურ სპეცია-ლისტთა მოწვევას	მაღალი
კონკურენ-ტული მოლაპარაკება	1-2 კვირა	დაბალი	შემსყიდველის ყველა სურვი-ლის აღრიცხვის და წინადა-დებების დაზუსტების შესაძლებლობა	საბოლოო ფასი ყოველთვის არ არის საშუალო საბაზრო ფასზე დაბალი	საშუალო
წინადადე-ბების გამოთხოვა	1-2 კვირა	დაბალი	შემსყიდველის ყველა სურ-ვილის აღრიცხვის და წინადადებების დაზუსტების შესაძლებლობა	ფასი უფრო მაღალია, ვიდრე კონკურენტული შესყიდვის სხვა ფორმების შემთხვევაში.	საშუალო
კოტირებების გამოთხოვა	1-7 დღე	დაბალი	შედარებით სწრაფი პროცე-დურა, რომელიც არ მოითხოვს განსაკუთრებუ ლ ხარჯებს	ფასი უფრო მაღალი-ა, ვიდრე კონკუ-რენტული შესყიდ-ვის სხვა ფორმების შემთხვევაში. საბოლოო ფასი ყოველთვის არ არის საშუალო საბაზრო ფასზე დაბალი.	საშუალო
ერთი წყარო	1-7 დღე	ძალზე დაბალი	სწრაფი პროცედურა	ფასს ხშირად მიმწოდებელი კარნახობს	დაბალი
რედუქციონი	1-7 დღე	დაბალი	საშუალო საბაზრო ფასზე დაბალი ფასის მიღწევა	ამორჩევის ძირი-თადი კრიტერიუმი არის მოწოდების ფასი	ძალიან მაღალი

უნდა აღვნიშნოთ, რომ როცა შემსყიდველი ორგანიზაციისთვის უცნობია მიმწოდებელი და ის პროდუქციაც, რომლის ყიდვაც მას სჭირდება, მან უნდა გამოითხოვოს ამ პროდუქტის ნიმუში, ანუ უნდა შეასრულოს საცდელი შეკვეთა. მაგრამ ამ შემთხვევაში წარმოიშობა მასშტაბის პრობლემა, კერძოდ იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი წარმატებით დაამზადებს ერთ ერთეულ საცდელ პროდუქტს, ეს არ იძლევა იმის გარანტიას, რომ იგი ასეთივე წარმატებით გაართმევს თავს მის მასშტაბურ წარმოებას.

საბოლოოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ყიდვის ფორმის ამორჩევა საბოლოო ჯამში დამოკიდებულია:

1. შესყიდვის მიზანზე;
2. შესყიდვის საგანზე;
3. საბაზრო კონიუნქტურაზე;
4. შემსყიდველი ორგანიზაციის საშემსყიდველო პოლიტიკაზე.

2.2. ღია კონკურსი

კონკურენტული შესყიდვების ძირითადი ფორმა არის ღია კონკურსი (ტენდერი, ვაჭრობა). მასში მონაწილეობა შეუძლია მიიღოს ყველა მიმწოდებელმა, რომელიც კი გამოეხმაურება შემკვეთის მიერ კონკურსის გამოცხადებას (იხ. ნახაზი 7). კონკურსის შესახებ განცხადება, როგორც წესი სპეციალურ გამოცემებში (მ. შ. ელექტრონული) იბეჭდება, ხშირად შემკვეთის საიტზე იდება, იშვიათად კი წამყვან ჟურნალ-გაზეთებშიც ხვდება.

კონკურსს თვით შემკვეთი ან/და მისი უფლებამოსილი ორგანიზატორი ატარებს. ყველა ინფორმაცია შესყიდვების შესახებ (შესასყიდი პროდუქცია, მიმწოდებელთა კვალიფიკაცია, გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები და ა.შ.) ფიქსირდება საკონკურსო დოკუმენტაციაში.



ნახაზი 7. ღია კონკურსის ჩატარების სქემა

წინადადებების მომზადების ვადის გასვლამდე, რომელიც საკონკურსო დოკუმენტაციაში არის დაფიქსირებული, კონკურსის მონაწილეები ადგენენ თავიანთ განაცხადს. განაცხადები მკაცრად უნდა შეესაბამებოდეს მოთხოვნებს (ხან/და ხან შემსყიდველი ორგანიზაციები მოითხოვენ განაცხადი შეიცავდეს საბანკო გარანტიას ან თავდებობის ხელშეკრულებას). თუ კონ-

კურსზე მხოლოდ ერთი განაცხადი შემოვიდა, კონკურსი არ შედგება.

კონკურსზე წარმოდგენილი ყველა მიმწოდებლების წარმომადგენლებს იწვევენ იმ საჯარო პროცედურაზე, სადაც ხდება განაცხადების (წინადადებების) გახსნა, რომლის დროსაც სახელდებიან კონკურსის მონაწილეები და მათი საფასო შეთავაზებები.

საკონკურსო კომისია საჭირო შემთხვევაში იწვევს ექსპერტს და მისი დახმარებით ახდენს წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადების, აგრეთვე, მიმწოდებლის კვალიფიკაციის და უფლებამოსილების შეფასებას. ამის შემდეგ იმ კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც საკონკურსო დოკუმენტაციაში არის დაფიქსირებული, ხდება გამარჯვებული მიმწოდებლის გამოვლენა, რომელთანაც იწყება მოლაპარაკება კონტრაქტის გასაფორმებლად. თუ კონკურსში გამარჯვებულთან მოლაპარაკება წარმატებით არ დასრულდა, მაშინ კონკურსის განმახორციელებელი მოლაპარაკებას იწყებს მეორე მიმწოდებელთან, რომელსაც გამარჯვებულის შემდეგ ყველაზე კარგი წინადადება ჰქონდა, ანუ რომელმაც კონკურსში მეორე ადგილი დაიკავა.

2.3. დახურული კონკურსი

დახურული კონკურსის პროცედურა ღია კონკურსის იდენტურია. განსხვავება მხოლოდ კონკურსის მონაწილეთა შერჩევაშია. დახურული კონკურსის დროს, განსხვავებით ღია კონკურსისგან მონაწილეთა მოწვევის განცხადებები არ საჯაროვდება. მასში მონაწილეობისთვის წინასწარ შერჩეულ მიმწოდებლებს ეგზავნებათ სპეციალური მოსაწვევები, ამასთან არ ხდება კონკურსის შედეგების გასაჯაროება.

დახურული კონკურსი ტარდება შემდეგ შემთხვევებში:

- როცა შემკვეთისთვის საინტერესო საქონელი აქვს მხოლოდ მიმწოდებელთა შეზღუდულ რაოდენობას;

- როცა შესყიდვა კონფიდენციალური ხასიათისაა;
- როცა შესყიდულ საქონელი ხმარდება ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

2.4. სელექციური კონკურსი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სელექციურ კონკურსს ღია და დახურულ კონკურსს შორის უჭირავს ადგილი. იგი შემდეგი ელემენტებისგან შედგება:

- კონკურსში მონაწილეობისთვის წარმოდგენილი განაცხადების შეკრება და მათი გადარჩევა (სელექცია);
- შერჩეულ პრეტენდენტებს[2] შორის კონკურსის ჩატარება.

ასე რომ, მართალია სელექციურ კონკურსში ყველა მსურველი მიმწოდებელი მოიწვევა, ისე როგორც ღია კონკურსზე, მაგრამ უშუალოდ კონკურსზე დაიშვებიან მხოლოდ ამორჩეული მიმწოდებლები (ისე როგორც დახურულ კონკურსზე).

მსოფლიო პრაქტიკაში სელექციური კონკურსი ძირითადად საკონსულტაციო მომსახურებების შესყიდვისას გამოიყენება, საქართველოს პრაქტიკაში გამოყენებული იქნა მსოფლიო ბანკის მიერ განხორციელებული პროექტების მსვლელობისას.

სელექციურ კონკურსში წარმოდგენილი მიმწოდებლების განაცხადებით დგება ერთი საერთო სია. საიდანაც შემკვეთი ამოირჩევს 5-7 მიმწოდებელს, რომლებიც ადგენენ საკონკურსო განაცხადებს. პრაქტიკაში ხშირია ისეთი სელექციური კონკურსი, როდესაც ხდება რამდენიმე გამარჯვებულის შერჩევა, რომლებიც კვალიფიციურ მიმწოდებელთა ბაზაში ხვდებიან და საჭიროების შემთხვევაში სწორედ მათგან იყიდის შემსყიდველი ორგანიზაცია საქონელს, მომსახურებასა თუ სამუშაოს.

---

[2] პრეტენდენტი – კონკურსის, ტენდერის მონაწილე პოტენციური მიმწოდებელი სუბიექტი.

2.5. ორეტაპიანი კონკურსი

შესყიდვის ორეტაპიანი კონკურსი იმართება შემდეგ შემთხვევებში:

- როდესაც შემკვეთს მოლაპარაკება სჭირდება მიმწოდებლებთან იმის დასადგენად, რომ შეაფასოს მათი შესაძლებლობები;
- როდესაც საჭიროა ბაზარზე წარმოდგენილ წინადადებათა წინასწარი შესწავლა. ეს ხდება მაშინ, როცა არ არსებობს საქონელზე, სამუშაოებზე და მომსახურებაზე დეტალური ტექნიკური სპეციფიკაციის შედგენის შესაძლებლობა;
- როდესაც ხდება ისეთი მოწყობილობის შესყიდვა, რომლის განახლება ხდება სწრაფი ტემპით და შემკვეთს მის უკანასკნელ, თანამედროვე მოდელზე ინფორმაცია არა აქვს (მაგალითად, კომპიუტერული ტექნიკა).

კონკურსის პირველ ეტაპზე მიმწოდებლები წარმოადგენენ მხოლოდ ტექნიკურ წინადადებას, მეორე ეტაპზე კი - საბოლოო საკონკურსო წინადადებას საქონელზე ფასის მითითებით.

ხშირად კონკურენტულ მოლაპარაკებებს, რომლის დროსაც მიმწოდებელთა კვალიფიკაციის შემოწმება ხდება, მიიჩნევენ ორეტაპიან კონკურსად. ასეთი მიდგომა არ არის სწორი. მიმწოდებლების კვალიფიკაციის შემოწმება არ უნდა ჩაითვალოს ცალკე ეტაპად.

2.6. კოტირების გამოთხოვა

კოტირების გამოთხოვა სტანდარტული საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) შეძენისას გამოიყენება. მათი ბაზარი ჩამოყალიბებულია, მსოფლიო პრაქტიკაში კოტირების გამოთხოვას „პრაის ფურცლების (ინვოისი) გამოთხოვა“ ეწოდება. ასე რომ,

საქმე ეხება ისეთი პროდუქციის შეძენას, რომელიც ღია გაყიდვისთვის მზადდება და არა შემსყიდველის სპეციალური შეკვეთით. ასეთ საქონელს მიეკუთვნება: საკანცელარიო საქონელი, კომპიუტერები, საწვავი და საცხი, შენობის იჯარა, ბილეთების დაჯავშნა და სხვა.

რადგან კოტირების გამოთხოვა ეხება სერიული წარმოების საქონელს, რომელთა მიმწოდებლები ბაზარზე მრავლად არიან წარმოდგენილნი, მათგან კოტირების გამოთხოვა არ არის ძნელი. ამ საქმეში სულ მცირე სამი მიმწოდებელი მაინც უნდა მონაწილეობდეს. მიმწოდებლის ამორჩევა მათ მიერ მოწოდებული „პრაის ფურცლებით" ხდება. მათში ფასებია დაფიქსირებული. სწორედ ფასი წარმოადგენს არჩევანის გაკეთების კრიტერიუმს.

ზოგიერთ შემთხვევაში სპეციალისტები ცდილობენ მხედველობაში მიიღონ სხვა პარამეტრებიც, კერძოდ, მოწოდების პირობები, დამატებითი მომსახურება და სხვა. თუმცა, მეცნიერები თვლიან, რომ ეს არის მეთოდური ხასიათის შეცდომა.

კოტირების გამოთხოვის ფორმით შესყიდვის უპირატესობა მის ოპერატიულობაშია. შესყიდვის მთელი პროცედურა შეიძლება ერთ დღეში განხორციელდეს. ამ მეთოდის გამოყენებით შემკვეთი გარკვეული მოცულობის ფინანსური სახსრების ეკონომიასაც აკეთებს.

კოტირების გამოთხოვისას თავდაპირველად შემკვეთი სწავლობს ბაზარს, იქ წარმოდგენილ იმ მიმწოდებლებს, რომელთაც შეუძლიათ მისთვის საინტერესო პროდუქციის შემოთავაზება და მათ უგზავნის ფასის კოტირების მოთხოვნებს.

აღნიშნული მოთხოვნა იგზავნება მიმწოდებლის მისამართით, იმ სპეციალისტის სახელზე, რომელიც დაკავებულია ამ პროდუქციის გაყიდვით ან მიმწოდებლის ხელმძღვანელის სახელზე. სასურველია გაგზავნილი მოთხოვნის მიღება გაკონტროლდეს ტელეფონის მეშვეობით.

მიმწოდებლიდან კოტირების გამოთხოვის ნიმუში ასეთია:

14 იანვარი, 2016 წ. #8/16

შპს „იმერეთის“ გენერალურ დირექტორს ვ. ვაშაკიძეს

სააქციო საზოგადოება „კოლხეთი“ გეგმავს განახორციელოს სამი ტონა მარცვლის შესყიდვა (არტიკული ...).

პროდუქციის მიწოდების ადგილი: ქუთაისი, ყიფშიძის ქ. #18.

პროდუქციის მიწოდების ვადა: არაუგვიანეს ერთი კვირისა მომწოდებლის ანგარიშზე თანხის გადმორიცხვის შემდეგ.

აღნიშნული პროდუქციის მოწოდებაში თქვენი დაინტერესების შემთხვევაში გთხოვთ წარმოგვიდგინოთ ფასის კოტირება 2016 წლის 25 იანვრამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, ყიფშიძის ქ. #18, შპს „კოლხეთი“. ტელეფონი: 599 – – – – – –, ფაქსი: 931-0002, E-mail: kolxeti@mail.ru

დასახელებული პროდუქცია შეისყიდება იმ მომწოდებლებიდან, რომელიც შემოგვთავაზებს საუკეთესო ფასს.

პროდუქციის ფასში ჩართული უნდა იყოს ტრანსპორტირების ხარჯი, დაზღვევა, გადასახადების გადახდა, ბაჟი, მოსაკრებლები და ყველა სხვა გადასახადები.

გაცნობებთ, რომ მოცემული მოთხოვნა მხარეებს არ გვავალებს რაიმე დამატებით ვალდებულებას.

სააქციო საზოგადოება
„კოლხეთის“ დირექტორი /ნ. ირემაძე/

რიგ შემთხვევებში შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან მიმწოდებელს ეგზავნება ისეთი ფორმა, რომელ ფორმითაც მან უნდა გამოგზავნოს კოტირებული ფასი. ამ სტანდარტული ფორმის გამოყენება მიზანშეწონილია მაშინ, როცა პროდუქცია დიდი ასორტიმენტით შეისყიდება.

მიმწოდებელი მიიღებს რა კოტირების გამოთხოვას, შესყიდვებში მონაწილეობის სურვილის შემთხვევაში შემსყიდველის მისამართით აგზავნის პროდუქციაზე ფასის შეთავაზების წინადადებას. მას კოტირების დაკვეთა ეწოდება. მისი ფორმა ასეთია:

2017 წ. 17 იანვარი N 13/21

სააქციო საზოგადოება „კოლხეთის“ დირექტორს ნ. ირემაძეს მივიღეთ რა თქვენთვის საინტერესო პროდუქციაზე ფასის კოტირების გამოთხოვა, გთავაზობთ ამ პროდუქციის მოწოდებას ქვემოთ ნაჩვენები პირობებით:

N	პროდუქციის (მომსახურების, სამუშაოს) დასახელება	ზომის ერთეული	რაოდ.-ბა	ერთ.-ის ფასი	დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ)
1					
2					
3					
	სულ პროდუქციის ფასი				
	გადაზიდვის ღირებულება				
	საერთო ღირებულება				

ჩვენს მიერ წარმოდგენილი კოტირებული ფასის შემთხვევაში, ვალდებულებას ვიღებთ, მოგაწოდოთ პროდუქცია თქვენს მიერ დადგენილი პირობებით.

წინამდებარე კოტირების დაკვეთა მხარეებს არავითარ დამატებით ვალდებულებებს არ აკისრებს.

შპს „იმერეთის“ გენერალური დირექტორი /ვ. ვამაკიძე/

ერთ კოტირებაში მრავალი დასახელების პროდუქციის ფასის კოტირებას მიმწოდებელი უნდა მოერიდოს, რადგან შემსყიდველს იგი სხვა მიმწოდებლის იგივე დასახელების პროდუქციის ფასთან შესადარებლად სჭირდება. ასეთ დროს ამ სხვა მიმწოდებელს (მათი რიცხვი არ უნდა იყოს სამზე ნაკლები)

შეიძლება არ ჰქონდეს ასეთი ასორტიმენტის პროდუქცია და მაშინ შედარებაც ვერ მოხდება.

მიმწოდებლებიდან კოტირებული საფასო წინადადებების მიღების შემდეგ, შემსყიდველი აყალიბებს კოტირების კომისიას. იგი აფასებს თითოეული მიმწოდებლის შემოთავაზებებს და გამოავლენს გამარჯვებულს. გამარჯვებული ხდება ის, ვინც პასუხობს შემსყიდველის ყველა მოთხოვნას და ამასთან წარმოადგენს ყველაზე დაბალ კოტირებას (დაბალ ფასს). დანარჩენ პრეტენდენტებს ეცნობებათ მათი კოტირების დაკვეთების უარყოფის შესახებ.

შეკვეთის გაფორმება ხდება კოტირებების გამოთხოვნის ოქმის შედგენით, რომელსაც თან დაერთვის მიმწოდებლებიდან მიღებული ყველა კოტირების დაკვეთები.

კოტირების გამოთხოვით შესყიდვის ჩატარება ძირითადად სერიული წარმოების, შედარებით მცირე მოცულობით შესყიდვების დროს ხდება. რადგან დიდი მოცულობის შემთხვევაში ამ პროცედურის ეფექტიანობა მცირდება. ამ მიზნით წესდება შესყიდვის ზღვარი, რომელზე მეტი პროდუქციის შესყიდვისას კოტირების გამოთხოვის მეთოდის გამოყენება დაუშვებელია. ასეთი შესყიდვა ღია კონკურსით უნდა ჩატარდეს.

არჩევანის გაკეთება კოტირების გამოთხოვასა და კონკურსს შორის ხდება შემდეგი კრიტერიუმებით:

1. პროდუქციის სტანდარტულობა.
2. პროდუქციის მოცულობა.
3. პროდუქციის ფასი.

ჩამოთვლილ კრიტერიუმებს შორის ყველაზე დიდ ინტერესს იმსახურებს პროდუქციის მოცულობის ზედა ზღვარი, რომლის ზევით კოტირების გამოთხოვის მეთოდის გამოყენება არაეფექტიანია. სწორედ ამ ზღვარის დადგენაა ძნელი.

გარკვეული დაშვებების გამოყენებით შევეცადოთ პირობით მაგალითზე ვიანგარიშოთ პროდუქციის მოცულობის ის ზედა ზღვარი, რომლის ზევით კოტირების გამოთხოვის მეთოდით შესყიდვის ჩატარება არაეფექტიანია.

გამოვიყენოთ კოტირების გამოთხოვის ზედა ზღვარის გამოსაანგარიშებელი ფორმულა:[3]

$$C = \sum_{i=1}^{n} \frac{Z_i \cdot T_i}{W_i} \cdot \frac{100}{k - s}$$

ფორმულაში:

n - არის შესყიდვაში ჩართულ სპეციალისტების რაოდენობა.

Z_i - არის თვეში i - სპეციალისტის ხელფასი.

T_i - არის საათების რაოდენობა, რაც i - სპეციალისტმა დახარჯა შესყიდვის პროცედურების განხორციელებისას.

W_i - არის სამუშაო საათების რაოდენობა i - სპეციალისტისთვის თვეში.

k - შესყიდვის კონკურსით ჩატარებით მიღებული საშუალო ეკონომია (%).

s - კოტირების გამოთხოვის მეთოდით შესყიდვების ჩატარების საშუალო ეკონომია (%).

პირობითად დავუშვათ, რომ:

$s = 5\%$ -ს.

$k = 10\%$ -ს.

w =168 საათი.

Z_i = 1540 საათი.

T_i = 90 საათი.

ჩავსვათ პირობითი ციფრები ფორმულაში და მივიღებთ:

$$C = \sum_{i=1}^{n} \frac{1540 \cdot 90}{148} \cdot \frac{100}{10 - 5} = 16500$$

მაშასადამე, 16500 ლარი არის შესყიდვის ობიექტის (საქონლის, სამუშაოს, მომსახურების) ის ზღვრული მოცულობა, რო-

[3] Кузнецов К., Прокьюремент: тендеры, конкурсы, конкурентные закупки, М., 2001, გვ. 49.

მელზე მეტი ღირებულების პროდუქციის კოტირების გამოთხოვის მეთოდით შესყიდვა არაეფექტურია.

აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი სხვადასხვა იქნება სხვადასხვა შემსყიდველთან და იგი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ მან რამდენი სპეციალისტი ჩართო შესყიდვებში, რამდენი საათით დაკავდნენ ისინი ამ საქმით, როგორი იყო მათი ანაზღაურება, ჩაირთო თუ არა შესყიდვებში გარე ექსპერტი, რომელსაც ასევე შრომის ანაზღაურება დასჭირდება და ა.შ.

კოტირების გამოთხოვის პროცედურის ჩატარებისას დაშვებულ დარღვევებს შორის ყველაზე ხშირად გვხვდება შემდეგი დარღვევები:

- **მიმწოდებლის არასწორი შერჩევა**. თუ შემსყიდველი არაკეთილსინდისიერია, იგი კოტირებას გამოითხოვს არა ფასით და საქონლის ხარისხით საუკეთესო მიმწოდებლებიდან, არამედ, სიაში ჩართავს ორ მაღალ ფასიან მიმწოდებელს და ერთს საშუალო ფასიანს (რომელიც ე.წ. „თავისი კლიენტია“). ასეთი კოტირების გამოთხოვით, რაღა თქმა უნდა, ამ სამ მიმწოდებელს შორის გაიმარჯვებს მისი საშუალო ფასიანი კლიენტი;
- **შედარების არასწორი ბაზა**. როგორც წესი, კოტირების გამოთხოვის მეთოდით შესყიდვის დროს ერთმანეთს უდარდება ხარისხით და თვისობრივი მაჩვენებლებით ერთნაირი პროდუქცია და იმარჯვებს ის მიმწოდებელი, რომლის პროდუქციაც აღმოჩნდება შედარებით იაფი. თუმცა, არის შემთხვევები, როცა შემსყიდველები მიმწოდებლს ირჩევენ არა ფასის სიმცირით, არამედ, სხვადასხვა მაჩვენებლების ერთობლიობით. ასეთი მიდგომა დასაშვებია კონკურსის დროს და არა კოტირების გამოთხოვის მეთოდით შესყიდვის დროს;
- **„სასურველი შედეგის მიღწევა“**. შემსყიდველი ორგანიზაციის შესყიდვებზე პასუხისმგებელი პირი კოტირების გამოთხოვის დოკუმენტების კომპლექტში აწყობს მიმწოდებლის ფიქტიურ კოტირების დაკვეთებს, რომლებშიც

მაღალი ფასებია შემოთავაზებული. მათ შორის ჩართავს თავის კლიენტს, რომელსაც ამ ფიქტიურ მიმწოდებლებთან შედარებით დაბალი ფასი ექნება დაფიქსირებული, და, რაღა თქმა უნდა, გამარჯვებულიც იგი გამოვა.

2.7. კონკურენტული მოლაპარაკებები

თუ შემსყიდველმა (შემკვეთმა) სხვადასხვა საკონკურსო მეთოდებით ვერ მიაღწია მიმწოდებლებთან ხელშეკრულების დადებას, ან თუ მასთან წარმოიშვა შესყიდვის სწრაფად განხორციელების აუცილებლობა, მაშინ იგი პოტენციურ მიმწოდებლებთან მოლაპარაკებით იფარგლება და დებს მათთან ხელშეკრულებას.

მოლაპარაკებები შეიძლება იყოს ერთდროული (ანუ ყველა მიმწოდებელთან ერთად) და თანამიმდევრული.

ერთდროულ მოლაპარაკებას შემსყიდველი ახორციელებს იმ მიმწოდებლებთან, რომელთა შემოთავაზებები მისთვის მეტ-ნაკლებად მისაღებია. მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ შემსყიდველი სთხოვს მიმწოდებლებს, რომ მათ კონკრეტული თარიღისათვის მასთან საბოლოო წინადადებები წარადგინონ.

წარმოდგენილ წინადადებებს უტარდება ტექნიკური შეფასება. ცალკე განიხილება და ფასდება ფასის კომპონენტი, ხელშეკრულება შესყიდვა-მოწოდებაზე იდება იმ მიმწოდებელთან, რომლის წინადადება ყველაზე სრულად აკმაყოფილებს შემკვეთის მოთხოვნებს.

თუ შემსყიდველი თანამიმდევრულ (რიგითობით) მოლაპარაკებებს აწარმოებს, მაშინ ის მათ უწესებს მინიმალურად დასაშვებ ზღვარს, რომლის ქვევით წინადადება აღარ მიიღება. ამ ზღვარით იგი ახდენს მათ რანჟირებას და მოსალაპარაკებლად იწვევს შესყიდვის ობიექტის (საქონლის, მომსახურების, სამუშაოს) ფასის მიხედვით ყველაზე საუკეთესო მიმწოდებელს.

2.8. წინადადებების გამოთხოვა

ეს მეთოდი გამოიყენება მომსახურების შესყიდვისას. მას იყენებენ ის შემსყიდველებიც, როცა შესყიდვა გადაწყვეტილი აქვთ, მაგრამ მისი ჩატარების მეთოდი ვერ აურჩევიათ. ასეთ დროს ისინი მიმწოდებლებს წინასწარ სთხოვენ წინადადებების წარმოდგენას, რათა უკეთ დაამუშაონ თავიანთი პრობლემის გადაწყვეტის ვარიანტები.

წინადადებების გამოთხოვის მეთოდი გამოიყენება მაშინაც, როცა ღია კონკურსით შესყიდვის ჩატარებისას ყველა საკონკურსო განაცხადი დაწუნებული იქნა, ან/და როცა კონკურსზე არცერთმა მიმწოდებელმა არ შემოიტანა განაცხადი (ეს შეიძლება მოხდეს პრობლემის სირთულით, ან/და შემსყიდველის თანამშრომელთა ცუდი მუშაობით).

წინადადებების გამოთხოვით შესყიდვის ფორმა შემდეგი საინფორმაციო ბლოკებისგან შედგება:

- შეკვეთის შესახებ ინფორმაცია;
- შესყიდვაზე შემსყიდველის მოთხოვნების აღწერა, რომელთაც უნდა შეესაბამებოდეს წარმოდგენილი წინადადება;
- კრიტერიუმების ჩამონათვალი, რომლებითაც შეფასდება წარმოდგენილი წინადადება;
- წარმოდგენილი წინადადების გაფორმების წესი;
- წინადადების წარმოდგენის ვადა და ადგილი.

შემსყიდველის მხრიდან წინადადებების გამოთხოვის ფორმის ნიმუში ასეთია:

2016 წ. 14 დეკემბერი

საკონსულტაციო-აუდიტორული ფირმის - №3/10 „ბაკაშვილი და კომპანია“

დირექტორს ნ. ბაკაშვილს

ბატონო ნიკოლოზ,

იმის გამო, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსში 2017 წლის 1 იანვრიდან ცვლილებები განხორციელდა, ჩვენი ორგანიზაცია სააქციო საზოგადოება „სამება“ გეგმავს საფინანსო განყოფილების 4-მუშაკს აუმაღლოს კვალიფიკაცია. კვალიფიკაციის ამაღლების პროცესი უნდა განხორციელდეს 2017 წლის იანვარ-თებერვალში, საღამოს საათებში (18 საათის შემდეგ).

ამ საქმით თქვენი დაინტერესების შემთხვევაში, გთხოვთ, ჩვენი მისამართით გადმოაგზავნოთ თქვენი წინადადებები, რომლებიც მინიმუმ უნდა შეიცავდეს:

1. კვალიფიკაციის ამაღლების კურსის სასწავლო-თემატურ გეგმას.
2. პროგრამის შესასწავლად გამოსაყენებელ სასწავლო-მეთოდურ და საინფორმაციო მასალებს.
3. მასწავლებელთა სიას მათი პროფესიული გამოცდილების ჩვენებით.
4. 4-კაციანი ჯგუფის 2-თვით მომზადების ღირებულებას.

სწავლებაზე ხელშეკრულება დაიდება იმ მიმწოდებელთან, რომელიც მზად იქნება შეასრულოს ზემოჩამოთვლილი პირობები და დაკმაყოფილოს ჩვენი მოთხოვნები სწავლების ხარისხზე და ფასზე.

თქვენი დაინტერესების შემთხვევაში გთხოვთ წარმოგვიდგინოთ სწავლების პროგრამის და სწავლების ორგანიზების წინადადებები არა უგვიანეს 2016 წლის 30 დეკემბრისა.

ჩვენი მისამართია:

ქ. თბილისი, მშვიდობის ქ. 20

ტელეფონი: 591 18 21 13

ფაქსი: 932-0013

E-mail: Sameba@mail.ru

გაცნობებთ, რომ მოცემული დოკუმენტი მხარეებს არავითარ დამატებით ვალდებულებას არ აკისრებს.

პატივისცემით,

სააქციო საზოგადოება „სამება“-ს

კადრების განყოფილების უფროსი /ი. გოგოხია/

წინადადებების გამოთხოვას შემსყიდველი უგზავნის ყველა იმ მიმწოდებელს, რომელსაც თვლის მისი მოთხოვნების რეალურ შემსრულებლად. შემსყიდველს ევალება, რომ ნებისმიერი ცვლილება, რომელიც მის მოთხოვნებში ან წარმოდგენილი წინადადებების შეფასების კრიტერიუმებში მოხდება, დაუყოვნებლივ აცნობოს დასახელებულ პროცედურაში მონაწილე ყველა მიმწოდებელს.

2.9. შესყიდვა ერთი წყაროდან

ერთი წყაროდან შესყიდვა ხორციელდება შემდეგ შემთხვევებში:

- როცა ბაზარზე არ არსებობს კონკურენცია და შემკვეთისთვის (შემსყიდველისთვის) საჭირო საქონელს (ან მომსახურებას) აწარმოებს მხოლოდ ერთი მწარმოებელი, მხოლოდ მას აქვს მისი წარმოების პატენტი და ჩანაცვლებაც არაფრით შეიძლება;
- როცა ამ მიმწოდებელთან ადრე იყო დადებული ხელშეკრულება, რომელმაც გაამართლა. ასეთ დროს შემსყიდველს, რა თქმა უნდა, სურვილი აქვს გააგრძელოს მასთან ურთიერთობა;
- როცა მიმწოდებლიდან ადრე ნაყიდი მოწყობილობისთვის შემსყიდველს დასჭირდა სათადარიგო ნაწილი. ასეთ შემთხვევაშიც შემკვეთი ამ მიმწოდებელს მიმართავს იმის ვარაუდით და ალბათ იმედითაც, რომ იგი არ აამაღლებს ამ ნაწილის ფასს. ამ გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიიღება აგრეთვე ალტერნატიული მიმწოდებლის არსებობაც;
- როცა ვითარება განსაკუთრებულია, მაგალითად, როცა მოხდა სტიქიური უბედურება, მაგრამ მისი შედეგების აღსაკვეთად შემკვეთის სპეციალისტების დაუდევრობით საჭირო საშუალებები არ არის დროულად შესყიდუ-

ლი. ასეთ დროს მხოლოდ ერთი წყაროდან და თანაც სწრაფად უნდა მოხდეს შესყიდვა;

- როცა კონკურენტული მეთოდებით შესყიდვების განსახორციელებლად მისაღები წინადადება არ შემოვიდა.

ერთი წყაროდან საქონლის შესყიდვა მიზანშეწონილია მაშინაც, როცა შემსყიდველს საქონლის მცირე მოცულობაზე აქვს დაინტერესება. ასეთ დროს სასურველია შემსყიდველ ორგანიზაციებს ჰქონდეთ შესყიდვის ღირებულების გარკვეული ქვედა ზღვარი, რომლის ქვევით შესყიდვა აუცილებლად მხოლოდ ერთი წყაროდან უნდა განხორციელდეს.

არსებობს სპეციალური ფორმულა, რომლის მიხედვით ამ ქვედა ზღვარის გაანგარიშება შეიძლება:

$$p = \sum_{i=1}^{n} \frac{Z_i \cdot T_i}{W_i} \cdot \frac{100}{S}$$

ფორმულაში:

n - არის შესყიდვებში მონაწილე შემკვეთის სპეციალისტების რიცხვი.

Z_i - არის i - სპეციალისტის ხელფასი.

T_i - არის შესყიდვებზე i - სპეციალისტის მიერ დახარჯული საათების რაოდენობა.

W_i - i - სპეციალისტის სამუშაო საათები თვეში (168 საათი)

S - კოტირების გამოთხოვის მეთოდით შესყიდვების ჩატარებით მიღებული ეკონომია (%).

დავუშვათ:

n = 5-ს.

Z_i = 1500 ლარი.

T_i = 5-ს.

W_i = 168 საათი.

S = 5%.

მაშინ:

$$p = \frac{1500 \cdot 5}{168} \cdot \frac{100}{5} = 892 \text{ ლარი}$$

ეს გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ ასეთი პირობითი მონაცემების შემთხვევაში, შემსყიდველმა საქონლის შესყიდვა თუ მისი მოცულობითი ღირებულება 892 ლარზე ნაკლებია აუცილებლად ერთი წყაროდან უნდა განახორციელოს.

ერთი წყაროდან შესყიდვის დროს შემსყიდველი სთავაზობს კონტრაქტის დადებას საქონლის მოწოდებაზე, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ შემსყიდველმა ავტომატურად მიიღოს მიმწოდებლის პირობები. შემსყიდველი ხელშეკრულების დადებამდე მიმწოდებელთან აწარმოებს მოლაპარაკებას, რომლის დროსაც ისინი ურთიერთშეთანხმებას მიაღწევენ.

2.10. აუქციონი

აუქციონი წარმოადგენს საქონლის ყიდვა-გაყიდვის ისეთ ფორმას როდესაც შემსყიდველს უწევს გამყიდველის მიერ განსაზღვრული პირობების/წესების შესაბამისად მოქმედება.

აუქციონი, ისე როგორც კონკურსი არის ღია და დახურული. თუ დახურულ კონკურსში ისეთივე წესები მოქმედებს როგორც ღია კონკურსში იმ განსხვავებით, რომ დახურულ კონკურსში მიმწოდებელთა შეზღუდული რაოდენობა დაიშვება, ხოლო ღია აუქციონზე მიმწოდებელთა დაშვებაში არავითარი შეზღუდვა არ არის. დახურული აუქციონის განმასხვავებელი ღია აუქციონისაგან ის არის, რომ აუქციონერებმა სხვა მონაწილეთა შეთავაზებები არ იციან. ისინი დალუქულ კონვერტებში არის ჩადებული.

დახურული აუქციონები უფრო მეტად შემკვეთის (შემსყიდველის) რისკის შესამცირებლად გამოიყენება.

განხორციელების დროის მიხედვით აუქციონები არის ერთდროული და თანმიმდევრული. ერთნაირი რამდენიმე ლოტი შეიძლება გამოყენებულ იქნეს აუქციონზე ერთდროულადაც

და თანმიმდევრულადაც. როგორც პრაქტიკა აჩვენებს ყოველი მომდევნო ლოტის სარეალიზაციო ფასი წინა ლოტზე ნაკლებია.

აუქციონზე დადებული თანხები შეიძლება იყოს დისკრეტული (ე. ი. გარკვეული ბიჯით) და უწყვეტი. ზოგიერთ შემთხვევაში წესდება შეზღუდვები ბიჯზე (როგორც მინიმუმის, ისე მაქსიმუმის მიმართულებით). აუქციონი შეიძლება რამდენიმე რაუნდით მოეწყოს. რაუნდების სიხშირე ცვალებადია. მაქსიმალური სიხშირე არის 10-20 წუთში ერთი რაუნდი, მინიმალური კი - ერთ დღეში ერთი რაუნდი.

აუქციონის მონაწილეთა განზრახვების სერიოზულობის შესამოწმებლად რიგ შემთხვევებში უწევთ დაუბრუნებადი (გამოუთხოვადი) ან დაბრუნებადი გადასახდელის გადახდა, რომლის მოცულობა ხშირ შემთხვევაში შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებიდან გამომდინარეობს.

აუქციონის ყველაზე მეტად გავრცელებული სახეებია:

- პირდაპირი (ე.წ. ინგლისური) აუქციონი;
- პირველი ფასის აუქციონი;
- მეორე ფასის აუქციონი;
- უკუსაბითუმო (ე.წ. ჰოლანდიური) აუქციონი;
- რედუქციონი (უკუაუქციონი);
- აუქციონი - „ყველა იხდის“.

აუქციონის ტიპს მიეკუთვნება ე.წ. „იანკების“ აუქციონიც, ანუ „თავისი ფასის“ აუქციონი.

2.10.1. პირდაპირი აუქციონი

პირდაპირი ანუ ე.წ. ინგლისური აუქციონი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული აუქციონია. მისი თავისებურება იმაშია, რომ მისი მონაწილეები ბიჯების შესაბამისად ზრდიან ფასს საწყის ფასთან შედარებით. აუქციონზე შემოსული წინადადებები საჯაროვდება და გამარჯვებულად გამოვლინდება ის მონაწილე, რომელსაც აუქციონის დახურვის მომენტში ყველაზე მაღალი ფასი აღმოაჩნდება.

პირდაპირი აუქციონი ფიქსირებული დროით ან ახალ-ახალი წინადადებების შემოსვლის შეწყვეტამდე გრძელდება. ფიქსირებული დრო უფრო ელექტრონულ, ინტერნეტით ჩატარებულ აუქციონებს ახასიათებთ.

ზოგიერთ შემთხვევაში გამყიდველი ლოტზე ფასის მინიმალურ ზღვარს აწესებს. თუ ვაჭრობის განმავლობაში ეს მინიმალური ფასი არ იქნა მიღწეული, მაშინ ლოტი აუქციონიდან მოიხსნება.

პირდაპირი აუქციონის ასევე ერთ-ერთი სახე არის ე.წ. იაპონური აუქციონი. ეს არის ღია აუქციონი, რომელზეც ფასები მუდმივად მაღლა იწევს, მონაწილეები კი რიგ-რიგობით ეთიშებიან აუქციონს უკან დაბრუნების უფლების გარეშე.

2.10.2. პირველი ფასის აუქციონი

პირველი ფასის აუქციონი არის დახურული. ამიტომ აუქციონის მონაწილეები თავიანთ ფასებს დახურული კონვერტებით აგზავნიან. იმარჯვებს ის, ვინც ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს. იგი ლოტში იხდის თავის ფასს. ეს არის „პირველი ფასი“.

სტატისტიკის მიხედვით მსოფლიო აუქციონების ორ მესამედზე მეტი პირველი ფასის მეთოდით ტარდება. ასეთ აუქციონებზე ყველაზე მეტად იყიდება სახელმწიფო კონტრაქტები, სხვადასხვა ქონება, მ. შ. კომპანიებიც.

2.10.3. მეორე ფასის აუქციონი

მეორე ფასის აუქციონიც დახურულია. აქაც გამარჯვებული არის ყველაზე მაღალი ფასის შემომთავაზებელი. თუმცა, გამარჯვებულს ლოტი მეორე ფასში გადაეცემა.

ასეთი აუქციონების ლოგიკა მარტივია. ასეთ აუქციონებზე წარმოქმნილი ფასი ყველაზე უფრო მაღალია, რომლის დროსაც არსებობს კონკურენტული საბაზრო მიწოდება და მოთხოვნა.

სწორედ ამ მიზეზით იგი ყველაზე ობიექტურად ასახავს ლოტის საბაზრო ღირებულებას.

ასეთი ტიპის აუქციონები პრაქტიკაში იშვიათად გამოიყენება, რადგან იგი ხელოვნურად ზღუდავს ლოტის მფლობელის მაქსიმალურ მოგებას (ლოტის მფლობელს ურჩევნია იგი არა მეორე, არამედ პირველი ფასით გაყიდოს).

მეორე ფასის აუქციონით იყიდება საფოსტო მარკები, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები და სხვა.

2.10.4. უკუსაბითუმო აუქციონი

ამ ტიპის აუქციონზე გამყიდველს ზედმეტად მაღალ ფასად გამოაქვს რამდენიმე ერთეული საქონელი და ეტაპობრივად აკლებს მას ფასს. როგორც კი, რომელიმე მონაწილე დათანხმდება, რომ მზად არის გადაიხადოს ეს ფასი, აუქციონი მაშინვე წყდება. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის აუქციონზე სარეზერვო ფასი არ გამოიყენება.

როგორც წესი, აუქციონის ეს ფორმა (შემსყიდველის ფასით) საქონლის რამდენიმე ერთეულის გაყიდვის აუცილებლობის დროს გამოიყენება. ამ ფორმას ხშირად ვხვდებით ფასიანი ქაღალდების, ყვავილების, დაუმთავრებელი მშენებლობების, ნახმარი საგნების და სხვათა გაყიდვაში.

2.10.5. რედუქციონი (უკუაუქციონი)

რედუქციონის დროს შემკვეთი კი არ ყიდის, არამედ, მისთვის საჭირო პროდუქციას იძენს. იგი თვითონ აწესებს საწყის ფასს, რომლის გადახდისთვისაც მზად არის. გამყიდველები ვაჭრობენ მასთან და თანდათან უკლებენ ფასს.

აუქციონის გამარჯვებული ის აუქციონერია, რომელმაც შეკვეთის შესრულებისთვის ყველაზე დაბალი ფასი შესთავაზა.

2.10.6. აუქციონი, რომელზეც „ყველა იხდის“

ამ აუქციონზე ვაჭრობის განმავლობაში ლოტის დასახელებულ ღირებულებას ყველა იხდის, ლოტი კი შეხვდება მხოლოდ ერთ გამარჯვებულს.

წმინდა სახით ასეთი აუქციონები თითქმის არ გვხვდება. ისინი სხვა ტიპის აუქციონებზე პროცედურული ელემენტების როლში გამოდიან. როდესაც მიმწოდებლები თავიანთ წინადადებებს კონკურსისთვის ამზადებენ, ისინი ამაზე საკმაოდ მნიშვნელოვან თანხებს ხარჯავენ, რომელთაც მათ არავინ აუნაზღაურებს. გამარჯვება და კონტრაქტი (ე.ი. ლოტი) კი შეხვდება მხოლოდ ერთს. მართალია, ეს დანახარჯი არ არის ლოტის ღირებულების ტოლი, მაგრამ თვითონ გადახდის პროცედურა „ყველა იხდის“ ტიპის აუქციონის მსგავსია.

საკონტროლო კითხვები:

- ჩამოთვალეთ შესყიდვების ძირითადი ფორმები.
- დაახასიათეთ შესყიდვის თითოეული ფორმა.
- რა ღირსება აქვს ღია კონკურსით შესყიდვის ჩატარებას?
- რა ნაკლოვანება აქვს კონკურენტული მოლაპარაკების მეთოდის გამოყენებას?
- რაზეა დამოკიდებული შესყიდვის ფორმის ამორჩევა?
- დაახასიათეთ სელექციური კონკურსი. რა მიზნით ტარდება იგი?
- როგორ საქონელზე ხდება კოტირების გამოთხოვით შესყიდვის განხორციელება?
- როდის არის მიზანშეწონილი შესყიდვა ერთი წყაროდან?
- რა განსხვავებაა ღია და დახურულ აუქციონებს შორის?
- დაახასიათეთ პირველი ფასის აუქციონი და მეორე ფასის აუქციონი.

თავი 3. ღია კონკურსის მომზადება და ჩატარება

ღია კონკურსი, როგორც ნაშრომის მეორე თავში აღვნიშნეთ, ეს არის შეჯიბრებითობის, სამართლიანობის და ეფექტიანობის პრინციპზე აგებული საკონკურსო დოკუმენტაციით წინასწარ გამოცხადებული პირობებით და ვადებით საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოს მიღების საშუალება. ღია კონკურსი საქონლის, მომსახურების და სამუშაოს კონკურსის წესით შეძენის ძირითად ფორმას წარმოადგენს. შესყიდვის ამ მეთოდის გამოყენებისას, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ეკონომია საშუალოდ 10-15%-ს შეადგენს. მაგრამ, ეს ყოველთვის ასე არ ხდება.

ეკონომია შესყიდვებში დამოკიდებულია:

- შესყიდვის ობიექტზე;
- შესყიდვის მოცულობაზე;
- მიმწოდებლებისადმი შემკვეთის მოთხოვნებზე;
- შემკვეთის რეპუტაციაზე;
- კონკურსში მონაწილეობის მსურველ მიმწოდებელთა რიცხვზე;
- შესყიდვის პროცესის ნორმატიულ-სამართლებრივ რეგულირებაზე;
- კონკურსის ორგანიზატორის კვალიფიკაციაზე.

განვიხილოთ ისინი:

შესყიდვის საგანი. ღია კონკურსით შეიძლება შესყიდულ იქნეს ყველა სახის საქონელი და მომსახურება.

შესყიდვის მოცულობა. რაც დიდია შესყიდვის მოცულობა, უფრო მეტ ფასდათმობაზე მიდიან მიმწოდებლები. მაგრამ ეს, ე.წ. წესი, გარკვეულ ზღვრამდე მუშაობს. ძალზე დიდი მოცულობის საქონლის მოწოდება ყველა მიმწოდებელს არ შეუძლია, ამიტომ რაც უფრო იზრდება შესყიდვის მოცულობა, მცირდება მისი შემსრულებელ-მიმწოდებელთა რიცხვი. ეს პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს რიგ მიმწოდებლებს და რაღა თქმა უნდა, ისინი ფასდათმობებზე აღარ მიდიან.

მიმწოდებლებისადმი შემკვეთის მოთხოვნები. რაც უფრო მკაცრია აღნიშნული მოთხოვნები, მით უფრო ნაკლები მიმწოდებელი მონაწილეობს კონკურსში. ხშირ შემთხვევაში კონკრეტული კონკურსისთვის იქმნება მიმწოდებელთა „ძლიერი გუნდები", რომლებიც პასუხობენ შემკვეთის მაღალ მოთხოვნებს. შემკვეთს სთავაზობენ საკმაოდ მაღალ ფასებს და წინასწარი მოლაპარაკებების საფუძველზე ერთმანეთს რიგ-რიგობით უთმობენ კიდევაც კონკურსში გამარჯვებას, რაც ბუნებრივია ეწინააღმდეგება კონკურსის იდეას.

შემკვეთის რეპუტაცია. მიმწოდებლების აზრი შესყიდვების პატიოსნად და მაღალპროფესიულად ჩატარებაზე, ხშირად ხდება კონკურსში მონაწილეობა-არმონაწილეობის საფუძველი. მაგალითად, თუ ცნობილია, რომ შემკვეთი კორუმპირებულია, მრავალი წესიერი მიმწოდებელი არ ჩაერთვება კონკურსში, ან არ შესთავაზებს შემკვეთს მისთვის სასარგებლო ფასს.

კონკურსში მონაწილეობისთვის მზადმყოფი მიმწოდებლები. როგორც წესი, რაც მეტია კონკურსის მონაწილეთა რიცხვი, მით მაღალია კონკურენცია. ეს პრინციპი არ მუშაობს მაშინ, როცა შესყიდვების პროცედურა არ ითვალისწინებს კონკურენტების რიცხვის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას.

რაც მეტია კონკურსის მონაწილეთა რიცხვი, მეტი დანახარჯები აქვს კონკურსის ორგანიზატორს. ეს ხარჯი საკონკურსო განაცხადების შეფასებაზე მოდის. მეტი განაცხადების შეფასებას, დროც მეტი სჭირდება. ამიტომ მიჩნეულია, რომ საკონკურსო განაცხადების ყველაზე ოპტიმალური რაოდენობა არის ხუთიდან შვიდამდე. კონკურსის ორგანიზატორს შეუძლია შეზღუდოს საკონკურსო განაცხადების რაოდენობა მიმწოდებლებისადმი უფრო მკაცრი მოთხოვნების დაწესებით.

კონკურსის ორგანიზატორის კვალიფიკაცია. კონკურსი შეიძლება ჩაატაროს თვითონ შემკვეთმა (შემსყიდველი), ან სპეციალიზებულმა ორგანიზაციამ, რომელსაც შემკვეთი დაავალებს მის შესრულებას. საკონკურსო დოკუმენტაციის მომზა-

დებაში და წინადადებების შეფასებაში შიდა და გარე ექსპერტები და კონსულტანტები შეიძლება იყვნენ ჩართულნი.

შესყიდვების კონკურსში ჩართული სპეციალისტების, კონსულტანტების და ექსპერტების კვალიფიკაციაზე არის დამოკიდებული იმ მოთხოვნების ხარისხი და სიღრმე, რომლებიც მიმწოდებლებს მოეთხოვებათ, ყველა ნიუანსის გათვალისწინება, შემოთავაზებული წინადადებების ობიექტური შეფასება და სხვა.

3.1. ღია კონკურსის ძირითადი ეტაპები

ნებისმიერი კონკურსი რამდენიმე ეტაპად იყოფა (ცხრილი 3). მათ შორის ძირითადი ეტაპებია:

- კონკურსის მომზადება;
- წინასაკვალიფიკაციო შერჩევის ჩატარება;
- საკონკურსო შეკვეთების მოზიდვა;
- კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენა.

ცხრილი 3

ღია კონკურსის ძირითადი ეტაპები

ეტაპი	ეტაპის შინაარსი	ინიციატორი	დოკუმენტები	შენიშვნა
0	**კონკურსწინარე პროცედურები**			
0.1	ხარჯთაღრიცხვის შედგენა	შემკვეთი	ხარჯთაღრიცხვა	დგება შემკვეთის ქვედანაყოფიდან შემოსული შეკვეთების საფუძველზე
0.2	საბაზრო წინადადებების გამოკვლევა	შემკვეთი	შესყიდვის მეთოდის არჩევის რეკომენდაციები	-
0.3	შესყიდვის გეგმის შედგენა	შემკვეთი	შესყიდვის გეგმა	-

1	კონკურსის მომზადება			
1.1	ვაჭრობის ჩამტარებელი ორგანიზაციის არჩევა	შემკვეთი	ბრძანება ხელშეკრულება	-
1.2	საკონკურსო კომისიის შედგენა	შემკვეთი, ვაჭრობის ორგანიზა-ტორი	ბრძანება რეგლამენტი	კომისია შეიძლება მუდმივი იყოს
1.5	საკონკურსო დოკუმენტაციის შედგენა	ორგანიზა-ტორი	საკონკურსო დოკუმენტები	-
2	წინასაკვალიფიკაციო შერჩევა			
2.1	წინასაკვალიფიკაციო დოკუ-მენტების შემუშავება	კონკურსის ორგანიზა-ტორი	წინასაკვალიფი-კაციო დოკუმენტები	წინასაკვალიფი-კაციო ამორჩევა არ არის სავალ-დებულო
2.2	კვალიფიკაციის წინასწარ შემოწმება	კონკურსის ორგანიზა-ტორი	წინასაკვალიფი-კაციო შემოწმების ჩატარება	-
2.3	წინასაკვალიფიკაციო შემოწ-მებაში მონაწილე-ობის თხოვნა	მიმწოდებე-ლი	წინასაკვალიფი-კაციო არჩევაში ჩართვის თხოვნა	-
2.4	მიმწოდებლებისადმი თხოვ-ნა, რათა მათ წარმოადგი-ნონ დოკუმენ-ტები წინასა-კვალიფიკაც-იო შემოწმე-ბისთვის	კონკურსის ორგანიზა-ტორი	წინასაკვალიფი-კაციო დოკუმენტაცია	-
2.5	წინასაკვალიფიკაციო დოკუ-მენტაციის ახსნა-განხილვა	მიმწოდებ-ლები, კონკურსის ორგანიზა-ტორი	დამატებითი ახსნა-განმარტებები მიმწოდებლების მხრიდან ოქმის შედგენა-განხილ-ვაზე	დეტალურად იხილება მიმწო-დებლების დოკუმენტები

2.6	განაცხადის მომზადება წინასაკვალიფიკაციო შერჩევაზე	მიმწოდებელი	წინასაკვალიფიკაციო არჩევის განაცხადი	მიმწოდებელი ამ განაცხადით ითხოვს დაშვებას კვალიფიკაციის შემოწმებაზე
2.7	მიმწოდებლებისგან განაცხადის წარდგენა და კომისიის მიერ მისი მიღება	მიმწოდებელი, საკონკურსო კომისია	განაცხადის რეგისტრაცია; განაცხადის მიღებაზე ხელმოწერა	-
2.8	წინასაკვალიფიკაციო შერჩევაზე წარმოდგენილი განაცხადების განხილვა	საკონკურსო კომისია	ოქმი	ისაზღვრება და ზუსტდება საკონკურსო განაცხადების (შეკვეთებით) მოწოდებაში დამვებულ პირთა სია
2.9	მიმწოდებელთა ინფორმირება წინასაკვალიფიკაციო ამორჩევის შედეგების შესახებ	კონკურსის ორგანიზატორი	შეტყობინება	
3	საკონკურსო განაცხადების მომზადება და მოზიდვა			
3.1	კონკურსში მონაწილეობისთვის მოწვევა	საკონკურსო კომისია; კონკურსის ორგანიზატორი	შეტყობინება	-
3.2	საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენა	საკონკურსო კომისია; კონკურსის ორგანიზატორი	საკონკურსო დოკუმენტები	შეიძლება იგი მათ გადაეცეთ ფასის გადახდით, შეიძლება უფასოდ

3.3	საკონკურსო დოკუმენ-ტების ახსნა	საკონკურსო კომისია ან ორგანიზა-ტორი	ახსნისთვის მიმწოდებელთან მუშაობა	-
3.4	საკონკურსო განაცხადის მომზადება	მიმწოდებე-ლი	საკონკურსო განაცხადი	-
3.5	საკონკურსო განაცხადის წარმოდგენა	მიმწოდებე-ლი, საკონ-კურსო კომისია, კონკურსის ორგანიზა-ტორი	რეგისტრაცია, ხელმოწერა მიღებაზე	-
3.6	საკონკურსო განაცხადის გახმობა	მიმწოდებე ლი საკონ-კურსო კომისია, კონკურსის ორგანიზა-ტორი	განაცხადის გახმობა, ოქმი	მიმწოდებელს აქვს უფლება თავის განაცხადი უკან დაიბრუნოს
4	**კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენა**			
4.1	საკონკურსო განაცხადების კონვერტების გახსნა და მის შედეგებზე ოქმის შედგენა	საკონკურ-სო კომისია; მონაწილე	კონვერტების გახსნის ოქმი	-
4.2	კონვერტის გახსნის შედე-გების იმ მონა-წილეებისთ-ვის ინფორმი-რება, რომლე-ბიც ამ პროცესს არ ესწრებოდნენ	საკონკურსო კომისია	ოქმის ამონაწერი	-
4.3	საკონკურსო განაცხადების შეფასება	საკონკურ-სო კომისია; ექსპერტები კონკურსის ორგანიზა-ტორი	შეფასების ოქმი; ახსნა-განმარტების გამოთხოვა მიმწო-დებლიდან	-

4.4	კონკურსში გამარჯვებაზე მთავარი პრეტენდენტის შემდგომი კვალიფიკაციის შემოწმება	საკონკურსო კომისია; ექსპერტები; კონკურსის ორგანიზატორი	შეფასების ოქმი	-
4.5	გადაწყვეტილების მიღება კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენაზე	საკონკურსო კომისია; შემკვეთი	კონკურსის შედეგის ოქმი	ოქმი უნდა დამტკიცოს შემკვეთმა
4.6	კონკურსის შედეგის გამოცხადება	საკონკურსო კომისია; კონკურსის ორგანიზატორი	კონკურსის შედეგის შესახებ შეტყობინება	გაეგზავნება ყველა მონაწილეს
5	ხელშეკრულების დადება			
5.1	შემკვეთის წარმომადგენლის დანიშვნა კონტრაქტის ხელმძღვანელად	შემკვეთი	გრძანება	-
5.2	კონტრაქტის შეთანხმება და ხელმოწერა	ორგანიზატორი	ხელშეკრულება	-
5.3	წინასახელშეკრულებო პირობების შესრულება	შემკვეთი; მიმწოდებელი	დოკუმენტის დამოწმება	მაგალითად, საბანკო გარანტიები და სხვა

ნებისმიერი კონკურსი იწყება შესყიდვების დაგეგმვით და მთავრდება კონკურსში გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებით.

3.2. კონკურსის ჩატარების მომზადება

კონკურსი საშემსყიდველო პროცედურების ერთ-ერთი ელემენტია და იგი შედგება შემდეგი ეტაპებისგან:

1. ნორმატიული ბაზის შექმნა, კერძოდ:
   - ორგანიზაციაში შესყიდვების შესახებ დებულების შემუშავება;
   - შესყიდვების რეგლამენტის შემუშავება;
   - შესყიდვებზე ტიპიური საკონკურსო დოკუმენტების და მეთოდური მასალების დამუშავება;
   - საკონკურსო კომისიის შემადგენლობის დაკომპლექტება და დამტკიცება.
2. ტექნიკური დავალების და გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმების შემუშავება.
3. საკონკურსო დოკუმენტების მომზადება.

მხოლოდ ამ ეტაპების გავლის შემდეგ შეიძლება განხორციელდეს კონკურსი.

3.2.1. ნორმატიული ბაზის შექმნა

შესყიდვების დებულების შემუშავება. დებულება არის შესყიდვების ძირითადი დოკუმენტი, სადაც განსაზღვრულია შემკვეთის მიერ შესყიდვების ჩატარების შიდა წესები - შესყიდვის პროცედურები, პირობები და მათი გამოყენების ფორმები.

შესყიდვების რეგლამენტის შემუშავება. რეგლამენტში დეტალურად გაიწერება შემკვეთის შესყიდვებში მონაწილე ქვედანაყოფების ვალდებულებები და ურთიერთობების წესი.

მეთოდური მასალების და ტიპიური საკონკურსო დოკუმენტების შემუშავება. ნორმატიული ბაზის ეს ელემენტი შესყიდვების განხორციელებისათვის აუცილებლობას არ წარმოადგენს, მაგრამ შესყიდვების პრაქტიკა აჩვენებს, რომ თანდათან

ასეთი სტანდარტული მეთოდიკის და სხვა დოკუმენტების არსებობა აუცილებელი ხდება.

კომისიის შექმნა. ჩვეულებრივ საკონკურსო კომისიის ფუნქციებში შედის შესყიდვის ფორმის შერჩევა, საკონკურსო დოკუმენტების დამტკიცება, წარმოდგენილი წინადადებების შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა. ზოგჯერ კომისია ფორმალურად არსებობს საბოლოო გადაწყვეტილებაზე ხელმოსაწერად. ამ დროს ზემოთჩამოთვლილ საქმეებს შესყიდვების სპეციალისტები ასრულებენ. ამის მიუხედავად კომისიის პერსონალურ შემადგენლობას შესყიდვების პროფესიულ დონეზე ჩატარებისთვის მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს.

კომისიის შემადგენლობას ბრძანებით ამტკიცებს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი. იგი ყველა შესყიდვისთვის შეიძლება იყოს ერთი და შეიძლება რამდენიმე - შესასყიდი საქონლის ჯგუფების მიხედვით.

3.2.2. გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები და ტექნიკური დავალების შემუშავება

ამ ფუნქციას ასრულებს შემსყიდველის ის სტრუქტურული ერთეული, რომელთაც აინტერესებთ საქონლის შესყიდვა. მასში მონაწილეობენ კონკურსის ჩატარებაზე პასუხისმგებელი სპეციალისტები. ისინი აყალიბებენ შესასყიდი საქონლის მიმართ ტექნიკურ მოთხოვნებს.

3.2.3. საკონკურსო დოკუმენტების მომზადება

საკონკურსო დოკუმენტებმა უნდა უპასუხოს ყველა იმ კითხვას, რომელიც მიმწოდებელს საკონკურსო განაცხადის მომზადებისას წარმოეშვება, კერძოდ, როგორია კონკურსის ჩატა-

რების წესები, რა მოეთხოვებათ კონკურსის მონაწილეებს, რა წარმოადგენს შესყიდვის საგანს და ა.შ.

3.3. საკონკურსო დოკუმენტაცია

შესყიდვების თანამედროვე პრაქტიკაში საკონკურსო დოკუმენტების შედგენა ორი მიდგომით ხდება. ესენია: ხაზობრივი და მოდულური მიდგომები.

3.3.1. ხაზობრივი საკონკურსო დოკუმენტაცია

ხაზობრივი საკონკურსო დოკუმენტაცია შემდეგი დანაყოფებისგან შედგება:

1. კონკურსის შესახებ შეტყობინება (ინფორმაციის მიწოდება მიმწოდებლებისათვის კონკურსის პირობების და მასში მონაწილეობის წესის შესახებ);

2. ინსტრუქცია კონკურსის მონაწილეებისთვის (მასში მოცემულია მოთხოვნები მიმწოდებლებისადმი, საკონკურსო განაცხადის შედგენილობა, მომზადების წესი და წარდგენა, გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები და სხვა);

3. ტექნიკური დავალება (იგი დეტალურად აღწერს შესყიდვის საგანს, შეიცავს ყველა საჭირო ტექნიკურ სპეციფიკაციებს და ა.შ.);

4. ხელშეკრულების პროექტი (იგი წარმოადგენს შემსყიდ--ველსა და მომავალ გამარჯვებულს შორის შესადგენი ხელშეკრულების „ჩარჩოს“);

5. საკონკურსო განაცხადის ფორმები წარმოდგენილი უნდა იქნეს, როგორც ბეჭდური ასევე ელექტრონული ფორმით. ფასების, მათ შორის პროდუქტის ფასების ელექტრონული ვერსია

შესაძლებელია წარმოდგენილ იქნეს MS-Excel-ის ფორმატში, სხვა დოკუმენტები - MS Word-ისა და გრაფიკულ ფორმატში.

ქვემოთ წარმოგიდგენთ საკონკურსო განაცხადის ფორმების ნიმუშს.

საკონკურსო განაცხადი (ფორმა 1)

18 ივნისი, 2017 წელი

კონკურსი

კონკურსის დასახელება

ბატონებო!

გავეცანით რა საკონკურსო დოკუმენტაციას და მასში მოცემულ კონკურსის მოთხოვნებს და პირობებს ჩვენ - ქ. თბილისის სააქციო საზოგადოება „ორგტექნიკა" გთავაზობთ დავდოთ კონტრაქტი იმ პირობებით და ფასებით, რაც საკონკურსო განაცხადში გვაქვს წარმოდგენილი (ფორმა 2, 3, 4) საერთო თანხით 515 000 ლარი (ხუთას თხუთმეტი ათასი ლარი).

თანახმა ვართ დავიცვათ ამ საკონკურსო განაცხადის დებულებები საკონკურსო განაცხადების მიღების შეწყვეტის დღიდან 50 დღის განმავლობაში. ეს საკონკურსო განაცხადი ჩვენთვის იქნება სავალდებულო.

დანართები:
კონკურსის მონაწილის ანკეტა
ფასების ცხრილი
ტექნიკური სპეციფიკაციების ცხრილი
სხვა დოკუმენტები
ფასების ცხრილის ასლი MS-Excel და ერთი კომპაქტ-დისკი თან ერთვის.

სს „ორგტექნიკის"
დირექტორი /ი. ლობჟანიძე/

№	კონკურსის მონაწილის ანკეტა (ფორმა 2)	
	დასახელება	ცნობები კონკურსის მონაწილეზე
1	კონკურსის მონაწილის საფირმო სახელწოდება	„ორგტექნიკა“
2	ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	სააქციო საზოგადოება
3	დამფუძნებლები.	ლომიძე მიხეილი გიგაური ეკატერინე
4	რეგისტრაციის მოწმობა	№1512516, 15/02/2013
5	იურიდიული მისამართი	თბილისი, თამარაშვილის 19
6	ფაქტ. ადგილმდებარეობა	თბილისი, თამარაშვილის 19
7	ფილიალები	-
8	ბანკის რეკვიზიტები და დასახელება	საქართველოს ბანკი EB100100K2170
9	საკონტაქტო ტელ.:-ბი	599 172 128; 2 329 001
10	ფაქსი	10-0012
11	ელ-ფოსტა	E-mail: orgteknika@mail.ru
12	პასუხისმგებელი მუშაკი	ნ. კორკელია
13	კონკურსის თემატიკა	კომპიუტერების ყიდვა
	სს „ორგტექნიკის“ დირექტორი /ი. ლობჟანიძე/	

ფასების ცხრილი (ფორმა 3)						
№	პროდუქციის, სამუშაოს, მომსახურების დასახელება	ზომის ერთ.	რაო დე-ნობა	ერთეუ-ლის ღირებუ-ლება	დღგ, 18%	საერთო ღირებუ-ლება (ლარი)
1	კომპიუტერები	ცალი	30	1950	245	40745
2	საბეჭდი მოწყო-ბილობები	ცალი	30	250	45	7545
	სულ					48290
	გადაზიდვის ღირებულება					960
	მთლიანი ღირებულება, საკონკურსო წინადადების ფასი					49250
	სს „ორგტექნიკის“ დირექტორი /ი. ლობჟანიძე/					

3.3.2. მოდულური საკონკურსო დოკუმენტაცია

მოდულური დოკუმენტაცია წყვილ დოკუმენტებს შეიცავს. მათ შორის ერთი იძლევა ზოგადი საკითხების აღწერას, მეორე კი - აკონკრეტებს მათ მოცემულ კონკურსთან მისადაგებით. ამ წყვილის პირველი წევრი მუდმივია, იგი არ იცვლება იმისდამიხედვით, თუ რას ყიდულობს შემკვეთი.

ზოგადად მოდულური საკონკურსო დოკუმენტაცია შედგება შემდეგი თავებისაგან:

თავი I. კონკურსის შეტყობინება;

თავი II. ინსტრუქცია ვაჭრობის მონაწილეებისთვის;

თავი III. საკონკურსო წინადადების საინფორმაციო რუქა (შესასყიდი საქონლის დეტალური აღწერა);

თავი IV. ხელშეკრულების საერთო პირობები;

თავი V. ხელშეკრულების სპეციალური პირობები;

თავი VI. მოწოდებაზე შეკვეთა;

თავი VII. ტექნიკური სპეციფიკაციები (მოთხოვნების დაკონკრეტება);

თავი VIII. ფორმების ნიმუშები;

ხშირად IV და V თავებს ცვლიან ერთი თავით, რომლის სახელწოდებაა „ხელშეკრულების პროექტი".

ხაზობრივი და მოდულური დოკუმენტაციის შედარება

	უპირატესობები	ნაკლოვანებები
ხაზობრივი	დოკუმენტაცია არის კომპაქტური, ადვილად საკითხავი	მიმწოდებელს ყოველ შესყიდვაზე სჭირდება დოკუმენტაციის შესწავლა
მოდულური	მიმწოდებელს შეუძლია ერთხელ წაიკითხოს უცვლელი თავები, შემდეგ კი შემკვეთის ყველა კონკურსის შემთხვევაში იმუშაოს მხოლოდ შესყიდვის მაკონკრეტებელ სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან	დოკუმენტაცია მოცულობითია

3.3.3. ღია კონკურსის შეტყობინება

ღია კონკურსის შეტყობინებაში აუცილებლად უნდა შედიოდეს:

- კონკურსის ფორმა, ადგილი და დრო;
- კონკურსის საგანი და კონკურსის ჩატარების წესი;
- კონკურსში მონაწილეობის შესაძლებლობა;
- გამარჯვებულის გამოვლენა;
- გამარჯვებულთან ხელშეკრულების დადების ვადა.

თუ შემკვეთი ვარაუდობს კონკურსის გადადებას, ეს შეტყობინებაში აუცილებლად უნდა იყოს ჩაწერილი. სხვა შემთხვევაში, თუ კონკურსი მის ჩატარებამდე 30 დღეზე ნაკლებ ვადაში გადაიდო, მაშინ კონკურსის ორგანიზატორს ევალება მონაწილეებს აუნაზღაუროს მიყენებული ზარალი.

კონკურსის ჩატარების შესახებ შეტყობინების ნიმუშის ფორმა ასეთია:

კონკურსის შესახებ შეტყობინება

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მდებარე ქ. თბილისში, კოსტავას ქ. №70-ში (ცენტრალური კორპუსი) აცხადებს ღია კონკურსს კომპიუტერების და პრინტერების მოწოდებაზე:
კომპიუტერი PW – 30 ცალი
პრინტერი - 30 ცალი
მოწოდება განხორციელდება შემკვეთის - ტექნიკური უნივერსიტეტის ცენტრალურ კორპუსში მისამართით - კოსტავას ქ. №70.
კონკურსის მონაწილეებს უნდა ჰქონდეთ კომპიუტერული მოწყობილობის მოწოდებაში არა ნაკლებ 3-წლის გამოცდილება. მოწოდების ჯამური ღირებულება არ უნდა იყოს 45 000 ლარზე ნაკლები.
კონკურსში გაიმარჯვებს ის მონაწილე, რომელიც დააკმაყოფილებს საკონკურსო დოკუმენტაციის მოთხოვნებს და რომლის მიერ შემოთავაზებული საქონელი იქნება დაბალი ფასის და ტექნიკური სპეციფიკაციების შესაბამისი. მასთან ხელშეკრულება კონკურსის შედეგებზე ოქმის ხელმოწერიდან არა უგვიანეს 20 დღეში დაიდება.
კონკურსი ჩატარდება 2017 წლის 17 ივნისს. უფლებამოსილ მიმწოდებლებს საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება შეუძლიათ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში (კოსტავას ქ. №70, ოთახი 17),

პასუხისმგებელი პირი ლ. მიქელაძე,
ტელ.: 599 181 920,
E-mail: miqeladze@mail.ru

მიმწოდებლებიდან საკონკურსო განაცხადები მიიღება 2017 წლის 10 ივნისამდე, 9 საათიდან 18 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა. საკონკურსო დოკუმენტაცია უფასოა. შემოთავაზებული წინადადების მინიმალური ფასი არ არის დადგენილი.

საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის რექტორი /ა. ფრანგიშვილი/

3.4. წინასაკვალიფიკაციო შერჩევა

საკონკურსო განაცხადების შეფასების პროცესი ძალზე შრომატევადი და გრძელვადიანია. თუ განაცხადები 10-ზე მეტია, შემკვეთის ხარჯები მეტად იზრდება და შეფასებაც დროში იწელება. ამასთან დაბალკვალიფიციურმა მიმწოდებელმა, შეიძლება ფორმალურად ყველაზე უკეთესი შემოთავაზება გააკეთოს, მაგრამ სათანადო დონეზე მისი შესრულება, შესაძლოა, ვერ შეძლოს. ამიტომ საკონკურსო განაცხადების მომზადებამდე მიზანშეწონილია შემოწმდეს მიმწოდებლების კვალიფიკაცია. ღია წესით მოწყობილ კონკურსში ეს პროცედურა აუცილებლად ტარდება. ეს ხდება იმიტომ, რომ კონკურსში განიხილება მხოლოდ კვალიფიციური მიმწოდებლების წინადადებები.

წინასაკვალიფიკაციო შერჩევის ჩატარება არც მიმწოდებლებისთვის არის ურიგო, რადგან ისინი ვინც აღარ მოხვდებიან და გამოირიცხებიან კონკურსის სიიდან მნიშვნელოვან თანხებს (და ძალებს) დაზოგავენ. მათ აღარც საკონკურსო დოკუმენტაციის ყიდვა დასჭირდებათ და არც საკონკურსო განაცხადის მომზადება.

წინასაკვალიფიკაციო შერჩევა ძირითადად ხორციელდება მსხვილი ობიექტების მშენებლობის, რთული საკონსულტაციო

პროექტების და სპეცმოწყობილობის მოწოდების კონკურსების ჩატარებისას.

კვალიფიკაციური შერჩევის კრიტერიუმებს წარმოადგენს: მიმწოდებლის გამოცდილება, რეპუტაცია, ფინანსური სიმყარე, პერსონალის კვალიფიკაცია, საჭირო რესურსები და საწარმოო სიმძლავრეების არსებობა (ნახაზი 8).



ნახაზი 8. კვალიფიკაციური გადარჩევის კრიტერიუმები

საკვალიფიკაციო გადარჩევის დაწყებამდე შემკვეთის საკონკურსო კომისია უნდა დარწმუნდეს, რომ ყველა მიმწოდებელი არის საკონკურსო საგნის (პროდუქცია, მომსახურება, სამუშაო) მოწოდებაზე უფლებამოსილი, ე.ი. მათ შეუძლიათ ამ სამუშაოს მეტ-ნაკლებად შესრულება. ამის შემდეგ იწყება მათი ფილტრაცია (გაცხრილვა). ეს ხდება მათი შესაძლებლობების შედარებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, რომლის ზღვარს (საკვალიფიკაციო ზღვარს) აწესებს შემკვეთი. გვახსოვდეს, რომ საკვალიფიკაციო ზღვარი არც ძალიან დაბალი არ უნდა იყოს და არც ძალიან მაღალი. პირველ შემთხვევაში კონკურსში დაშვებულ მიმწოდებელთა სია ძალიან გაიზრდება, მეორე შემთხვევაში კი ძალიან შემცირდება.

საკვალიფიკაციო შერჩევისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მიმწოდებლის გამოცდილება ამ სფეროში (თუ კონკურსი ცხადდება ხორბლის მოწოდებაზე, მაშინ ხორბლის წარმოებასა და მიწოდებაში, თუ საცხოვრებელ ბინებზე, მაშინ ბინათმშენებლობაში და ა.შ.). ეს გამოცდილება მოწმდება ამ სფეროში მუ-

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში (კოსტავას ქ. №70, ოთახი 17),

პასუხისმგებელი პირი ლ. მიქელაძე,
ტელ.: 599 181 920,
E-mail: miqeladze@mail.ru

მიმწოდებლებიდან საკონკურსო განაცხადები მიიღება 2017 წლის 10 ივნისამდე, 9 საათიდან 18 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა. საკონკურსო დოკუმენტაცია უფასოა. შემოთავაზებული წინადადების მინიმალური ფასი არ არის დადგენილი.

საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის რექტორი /ა. ფრანგიშვილი/

3.4. წინასაკვალიფიკაციო შერჩევა

საკონკურსო განაცხადების შეფასების პროცესი ძალზე შრომატევადი და გრძელვადიანია. თუ განაცხადები 10-ზე მეტია, შემკვეთის ხარჯები მეტად იზრდება და შეფასებაც დროში იწელება. ამასთან დაბალკვალიფიციურმა მიმწოდებელმა, შეიძლება ფორმალურად ყველაზე უკეთესი შემოთავაზება გააკეთოს, მაგრამ სათანადო დონეზე მისი შესრულება, შესაძლოა, ვერ შეძლოს. ამიტომ საკონკურსო განაცხადების მომზადებამდე მიზანშეწონილია შემოწმდეს მიმწოდებლების კვალიფიკაცია. ღია წესით მოწყობილ კონკურსში ეს პროცედურა აუცილებლად ტარდება. ეს ხდება იმიტომ, რომ კონკურსში განიხილება მხოლოდ კვალიფიციური მიმწოდებლების წინადადებები.

წინასაკვალიფიკაციო შერჩევის ჩატარება არც მიმწოდებლებისთვის არის ურიგო, რადგან ისინი ვინც აღარ მოხვდებიან და გამორიცხებიან კონკურსის სიიდან მნიშვნელოვან თანხებს (და ძალებს) დაზოგავენ. მათ აღარც საკონკურსო დოკუმენტაციის ყიდვა დასჭირდებათ და არც საკონკურსო განაცხადის მომზადება.

წინასაკვალიფიკაციო შერჩევა ძირითადად ხორციელდება მსხვილი ობიექტების მშენებლობის, რთული საკონსულტაციო

პროექტების და სპეცმოწყობილობის მოწოდების კონკურსების ჩატარებისას.

კვალიფიკაციური შერჩევის კრიტერიუმებს წარმოადგენს: მიმწოდებლის გამოცდილება, რეპუტაცია, ფინანსური სიმყარე, პერსონალის კვალიფიკაცია, საჭირო რესურსები და საწარმოო სიმძლავრეების არსებობა (ნახაზი 8).



ნახაზი 8. კვალიფიკაციური გადარჩევის კრიტერიუმები

საკვალიფიკაციო გადარჩევის დაწყებამდე შემკვეთის საკონკურსო კომისია უნდა დარწმუნდეს, რომ ყველა მიმწოდებელი არის საკონკურსო საგნის (პროდუქცია, მომსახურება, სამუშაო) მოწოდებაზე უფლებამოსილი, ე.ი. მათ შეუძლიათ ამ სამუშაოს მეტ-ნაკლებად შესრულება. ამის შემდეგ იწყება მათი ფილტრაცია (გაცხრილვა). ეს ხდება მათი შესაძლებლობების შედარებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, რომლის ზღვარს (საკვალიფიკაციო ზღვარს) აწესებს შემკვეთი. გვახსოვდეს, რომ საკვალიფიკაციო ზღვარი არც ძალიან დაბალი არ უნდა იყოს და არც ძალიან მაღალი. პირველ შემთხვევაში კონკურსში დაშვებულ მიმწოდებელთა სია ძალიან გაიზრდება, მეორე შემთხვევაში კი ძალიან შემცირდება.

საკვალიფიკაციო შერჩევისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მიმწოდებლის გამოცდილება ამ სფეროში (თუ კონკურსი ცხადდება ხორბლის მოწოდებაზე, მაშინ ხორბლის წარმოებასა და მიწოდებაში, თუ საცხოვრებელ ბინებზე, მაშინ ბინათმშენებლობაში და ა.შ.). ეს გამოცდილება მოწმდება ამ სფეროში მუ-

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში (კოსტავას ქ. №70, ოთახი 17),

პასუხისმგებელი პირი ლ. მიქელაძე,
ტელ.: 599 181 920,
E-mail: miqeladze@mail.ru

მიმწოდებლებიდან საკონკურსო განაცხადები მიიღება 2017 წლის 10 ივნისამდე, 9 საათიდან 18 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა. საკონკურსო დოკუმენტაცია უფასოა. შემოთავაზებული წინადადების მინიმალური ფასი არ არის დადგენილი.

საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის რექტორი /ა. ფრანგიშვილი/

3.4. წინასაკვალიფიკაციო შერჩევა

საკონკურსო განაცხადების შეფასების პროცესი ძალზე შრომატევადი და გრძელვადიანია. თუ განაცხადები 10-ზე მეტია, შემკვეთის ხარჯები მეტად იზრდება და შეფასებაც დროში იწელება. ამასთან დაბალკვალიფიციურმა მიმწოდებელმა, შეიძლება ფორმალურად ყველაზე უკეთესი შემოთავაზება გააკეთოს, მაგრამ სათანადო დონეზე მისი შესრულება, შესაძლოა, ვერ შეძლოს. ამიტომ საკონკურსო განაცხადების მომზადებამდე მიზანშეწონილია შემოწმდეს მიმწოდებლების კვალიფიკაცია. ღია წესით მოწყობილ კონკურსში ეს პროცედურა აუცილებლად ტარდება. ეს ხდება იმიტომ, რომ კონკურსში განიხილება მხოლოდ კვალიფიციური მიმწოდებლების წინადადებები.

წინასაკვალიფიკაციო შერჩევის ჩატარება არც მიმწოდებლებისთვის არის ურიგო, რადგან ისინი ვინც აღარ მოხვდებიან და გამოირიცხებიან კონკურსის სიიდან მნიშვნელოვან თანხებს (და ძალებს) დაზოგავენ. მათ აღარც საკონკურსო დოკუმენტაციის ყიდვა დასჭირდებათ და არც საკონკურსო განაცხადის მომზადება.

წინასაკვალიფიკაციო შერჩევა ძირითადად ხორციელდება მსხვილი ობიექტების მშენებლობის, რთული საკონსულტაციო

პროექტების და სპეცმოწყობილობის მოწოდების კონკურსების ჩატარებისას.

კვალიფიკაციური შერჩევის კრიტერიუმებს წარმოადგენს: მიმწოდებლის გამოცდილება, რეპუტაცია, ფინანსური სიმყარე, პერსონალის კვალიფიკაცია, საჭირო რესურსები და საწარმოო სიმძლავრეების არსებობა (ნახაზი 8).



ნახაზი 8. კვალიფიკაციური გადარჩევის კრიტერიუმები

საკვალიფიკაციო გადარჩევის დაწყებამდე შემკვეთის საკონკურსო კომისია უნდა დარწმუნდეს, რომ ყველა მიმწოდებელი არის საკონკურსო საგნის (პროდუქცია, მომსახურება, სამუშაო) მოწოდებაზე უფლებამოსილი, ე.ი. მათ შეუძლიათ ამ სამუშაოს მეტ-ნაკლებად შესრულება. ამის შემდეგ იწყება მათი ფილტრაცია (გაცხრილვა). ეს ხდება მათი შესაძლებლობების შედარებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, რომლის ზღვარს (საკვალიფიკაციო ზღვარს) აწესებს შემკვეთი. გვახსოვდეს, რომ საკვალიფიკაციო ზღვარი არც ძალიან დაბალი არ უნდა იყოს და არც ძალიან მაღალი. პირველ შემთხვევაში კონკურსში დაშვებულ მიმწოდებელთა სია ძალიან გაიზრდება, მეორე შემთხვევაში კი ძალიან შემცირდება.

საკვალიფიკაციო შერჩევისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მიმწოდებლის გამოცდილება ამ სფეროში (თუ კონკურსი ცხადდება ხორბლის მოწოდებაზე, მაშინ ხორბლის წარმოებასა და მიწოდებაში, თუ საცხოვრებელ ბინებზე, მაშინ ბინათმშენებლობაში და ა.შ.). ეს გამოცდილება მოწმდება ამ სფეროში მუ-

შაობის ხანგრძლივობით, ბრუნვით და ამ პერიოდში ამავე ტიპის კონტრაქტებით აღებული ვალდებულებების შესრულებით. მიმწოდებელი საკმაოდ საიმედოდ ჩაითვლება, თუ მას 3-5 ამ ტიპის კონტრაქტი აქვს შესრულებული. რაც შეეხება ბრუნვას, სპეციალისტები თვლიან, რომ მიმწოდებელს ახალი კონტრაქტის ბრუნვასთან შედარებით სავარაუდოდ 5-ჯერ მეტი ბრუნვა უნდა ჰქონდეს.[4]

3.4.1. მიმწოდებლის უფლებამოსილება

მიმწოდებელი უფლებამოსილად ითვლება თუ იგი უფლებამოსილი პირის ხელმოწერით დარეგისტრირებულია იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომელსაც სანქციები არა აქვს წარდგენილი შემკვეთის ქვეყნიდან. მაგალითად, ამჟამად აშშ-ს სანქციები აქვს წარდგენილი რუსეთისთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ აშშ-ი დარეგისტრირებული შემსყიდველისთვის რუსეთის ფედერაციაში დარეგისტრირებული მიმწოდებლები უფლებამოსილები არ არიან.

მიმწოდებლის უფლებამოსილი პირი ძირითად შემთხვევაში არის მისი გენერალური დირექტორი. თუმცა, არის შემთხვევები, როცა კომპანიის წესებით მას სრული უფლებები შეზღუდული აქვს. მაგალითად, თუ მსხვილი (ღირებულებით კომპანიის აქტივების 25-50%-ზე მეტი) საშემსყიდველო გარიგება გადის კონკურსზე, მაშინ დირექტორთა საბჭოს, აქციონერთა კრების (თუ კომპანია არის სააქციო საზოგადოება) ან დამფუძნებლების (თუ კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება) გადაწყვეტილება არის საჭირო. ამიტომ მიმწოდებლის უფლებამოსილება უნდა შემოწმდეს დამამტკიცებელი საბუთებით, კერძოდ, წესდების და სადამფუძნებლო ხელშეკრულების ასლებით, თუ მიმწოდებლის გენერალურ დირექ-

---

[4] Кузнецев К., Прокьюремент: тендеры, конкурсы, конкурентные закупки, М., 2011, გვ. 77.

ტორს თავისი უფლებამოსილება (კერძოდ, ხელმოწერის) დელეგირებული აქვს რომელიმე თანამშრომელზე, მაშინ უნდა არსებობდეს მინდობილობაც. ყველა ამ დოკუმენტს სჭირდება ნოტარიალური დამოწმება.

მიმწოდებლის უფლებამოსილება მოწმდება აგრეთვე ლიცენზიით (თუ მისი სამოქმედო სფერო მოითხოვს ლიცენზიას), სერთიფიკატით (თუ ქვეყნის კანონმდებლობით ეს გათვალისწინებულია) და ნებართვით (თუ მიმწოდებელი არის შუამავალი, მაშინ მას მწარმოებლის ნებართვა სჭირდება).

მიმწოდებლის უფლებამოსილების ზოგიერთი ასპექტი მოწმდება შემოსავლების სამსახურში (მაგალითად, ფინანსური სიმყარე), შინაგან საქმეთა სამინისტროში (მაგალითად, სამართლებრივი მდგომარეობა) და ა.შ.

3.4.2. მიმწოდებლის გამოცდილება და კვალიფიკაცია

ხელშეკრულების წარმატებით შესრულება შემსრულებლის კვალიფიკაციაზე არის დამოკიდებული. იგი ორი ელემენტისგან შედგება:

- **მთლიანად კომპანიის კვალიფიკაცია;**
- **პროექტის შემსრულებელი თანამშრომლების კვალიფიკაცია.**

კომპანიის კვალიფიკაცია ფასდება მისი **საერთო გამოცდილებით** და **სპეციფიური გამოცდილებით**.

საერთო გამოცდილების შესახებ ინფორმაციას თვით მიმწოდებელი იძლევა. ეს მოჩანს მისი ბალანსიდან, მოგება-ზარალის ანგარიშიდან, აუდიტის დასკვნიდან და ა.შ. სპეციფიური გამოცდილების დასადგენად შეისწავლება მოცემულ სფეროში მის მიერ შესრულებულ ხელშეკრულებაოა რაოდენობა და მათი მოცულობები.

შაობის ხანგრძლივობით, ბრუნვით და ამ პერიოდში ამავე ტიპის კონტრაქტებით აღებული ვალდებულებების შესრულებით. მიმწოდებელი საკმაოდ საიმედოდ ჩაითვლება, თუ მას 3-5 ამ ტიპის კონტრაქტი აქვს შესრულებული. რაც შეეხება ბრუნვას, სპეციალისტები თვლიან, რომ მიმწოდებელს ახალი კონტრაქტის ბრუნვასთან შედარებით სავარაუდოდ 5-ჯერ მეტი ბრუნვა უნდა ჰქონდეს.[4]

3.4.1. მიმწოდებლის უფლებამოსილება

მიმწოდებელი უფლებამოსილად ითვლება თუ იგი უფლებამოსილი პირის ხელმოწერით დარეგისტრირებულია იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომელსაც სანქციები არა აქვს წარდგენილი შემკვეთის ქვეყნიდან. მაგალითად, ამჟამად აშშ-ს სანქციები აქვს წარდგენილი რუსეთისთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ აშშ-ი დარეგისტრირებული შემსყიდველისთვის რუსეთის ფედერაციაში დარეგისტრირებული მიმწოდებლები უფლებამოსილები არ არიან.

მიმწოდებლის უფლებამოსილი პირი ძირითად შემთხვევაში არის მისი გენერალური დირექტორი. თუმცა, არის შემთხვევები, როცა კომპანიის წესებით მას სრული უფლებები შეზღუდული აქვს. მაგალითად, თუ მსხვილი (ღირებულებით კომპანიის აქტივების 25-50%-ზე მეტი) საშემსყიდველო გარიგება გადის კონკურსზე, მაშინ დირექტორთა საბჭოს, აქციონერთა კრების (თუ კომპანია არის სააქციო საზოგადოება) ან დამფუძნებლების (თუ კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება) გადაწყვეტილება არის საჭირო. ამიტომ მიმწოდებლის უფლებამოსილება უნდა შემოწმდეს დამამტკიცებელი საბუთებით, კერძოდ, წესდების და სადამფუძნებლო ხელშეკრულების ასლებით, თუ მიმწოდებლის გენერალურ დირექ-

---

[4] Кузнецев К., Прокьюремент: тендеры, конкурсы, конкурентные закупки, М., 2011, გვ. 77.

ტორს თავისი უფლებამოსილება (კერძოდ, ხელმოწერის) დელეგირებული აქვს რომელიმე თანამშრომელზე, მაშინ უნდა არსებობდეს მინდობილობაც. ყველა ამ დოკუმენტს სჭირდება ნოტარიალური დამოწმება.

მიმწოდებლის უფლებამოსილება მოწმდება აგრეთვე ლიცენზიით (თუ მისი სამოქმედო სფერო მოითხოვს ლიცენზიას), სერთიფიკატით (თუ ქვეყნის კანონმდებლობით ეს გათვალისწინებულია) და ნებართვით (თუ მიმწოდებელი არის შუამავალი, მაშინ მას მწარმოებლის ნებართვა სჭირდება).

მიმწოდებლის უფლებამოსილების ზოგიერთი ასპექტი მოწმდება შემოსავლების სამსახურში (მაგალითად, ფინანსური სიმყარე), შინაგან საქმეთა სამინისტროში (მაგალითად, სამართლებრივი მდგომარეობა) და ა.შ.

3.4.2. მიმწოდებლის გამოცდილება და კვალიფიკაცია

ხელშეკრულების წარმატებით შესრულება შემსრულებლის კვალიფიკაციაზე არის დამოკიდებული. იგი ორი ელემენტისგან შედგება:

- **მთლიანად კომპანიის კვალიფიკაცია;**
- **პროექტის შემსრულებელი თანამშრომლების კვალიფიკაცია.**

კომპანიის კვალიფიკაცია ფასდება მისი **საერთო გამოცდილებით** და **სპეციფიური გამოცდილებით**.

საერთო გამოცდილების შესახებ ინფორმაციას თვით მიმწოდებელი იძლევა. ეს მოჩანს მისი ბალანსიდან, მოგება-ზარალის ანგარიშიდან, აუდიტის დასკვნიდან და ა.შ. სპეციფიური გამოცდილების დასადგენად შეისწავლება მოცემულ სფეროში მის მიერ შესრულებულ ხელშეკრულებათა რაოდენობა და მათი მოცულობები.

შაობის ხანგრძლივობით, ბრუნვით და ამ პერიოდში ამავე ტიპის კონტრაქტებით აღებული ვალდებულებების შესრულებით. მიმწოდებელი საკმაოდ საიმედოდ ჩაითვლება, თუ მას 3-5 ამ ტიპის კონტრაქტი აქვს შესრულებული. რაც შეეხება ბრუნვას, სპეციალისტები თვლიან, რომ მიმწოდებელს ახალი კონტრაქტის ბრუნვასთან შედარებით სავარაუდოდ 5-ჯერ მეტი ბრუნვა უნდა ჰქონდეს.[4]

3.4.1. მიმწოდებლის უფლებამოსილება

მიმწოდებელი უფლებამოსილად ითვლება თუ იგი უფლებამოსილი პირის ხელმოწერით დარეგისტრირებულია იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომელსაც სანქციები არა აქვს წარდგენილი შემკვეთის ქვეყნიდან. მაგალითად, ამჟამად აშშ-ს სანქციები აქვს წარდგენილი რუსეთისთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ აშშ-ი დარეგისტრირებული შემსყიდველისთვის რუსეთის ფედერაციაში დარეგისტრირებული მიმწოდებლები უფლებამოსილები არ არიან.

მიმწოდებლის უფლებამოსილი პირი ძირითად შემთხვევაში არის მისი გენერალური დირექტორი. თუმცა, არის შემთხვევები, როცა კომპანიის წესებით მას სრული უფლებები შეზღუდული აქვს. მაგალითად, თუ მსხვილი (ღირებულებით კომპანიის აქტივების 25-50%-ზე მეტი) საშემსყიდველო გარიგება გადის კონკურსზე, მაშინ დირექტორთა საბჭოს, აქციონერთა კრების (თუ კომპანია არის სააქციო საზოგადოება) ან დამფუძნებლების (თუ კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება) გადაწყვეტილება არის საჭირო. ამიტომ მიმწოდებლის უფლებამოსილება უნდა შემოწმდეს დამამტკიცებელი საბუთებით, კერძოდ, წესდების და სადამფუძნებლო ხელშეკრულების ასლებით, თუ მიმწოდებლის გენერალურ დირექ-

---

[4] Кузнецев К., Прокьюремент: тендеры, конкурсы, конкурентные закупки, М., 2011, გვ. 77.

ტორს თავისი უფლებამოსილება (კერძოდ, ხელმოწერის) დელეგირებული აქვს რომელიმე თანამშრომელზე, მაშინ უნდა არსებობდეს მინდობილობაც. ყველა ამ დოკუმენტს სჭირდება ნოტარიალური დამოწმება.

მიმწოდებლის უფლებამოსილება მოწმდება აგრეთვე ლიცენზიით (თუ მისი სამოქმედო სფერო მოითხოვს ლიცენზიას), სერთიფიკატით (თუ ქვეყნის კანონმდებლობით ეს გათვალისწინებულია) და ნებართვით (თუ მიმწოდებელი არის შუამავალი, მაშინ მას მწარმოებლის ნებართვა სჭირდება).

მიმწოდებლის უფლებამოსილების ზოგიერთი ასპექტი მოწმდება შემოსავლების სამსახურში (მაგალითად, ფინანსური სიმყარე), შინაგან საქმეთა სამინისტროში (მაგალითად, სამართლებრივი მდგომარეობა) და ა.შ.

3.4.2. მიმწოდებლის გამოცდილება და კვალიფიკაცია

ხელშეკრულების წარმატებით შესრულება შემსრულებლის კვალიფიკაციაზე არის დამოკიდებული. იგი ორი ელემენტისგან შედგება:

- **მთლიანად კომპანიის კვალიფიკაცია;**
- **პროექტის შემსრულებელი თანამშრომლების კვალიფიკაცია.**

კომპანიის კვალიფიკაცია ფასდება მისი **საერთო გამოცდილებით** და **სპეციფიური გამოცდილებით**.

საერთო გამოცდილების შესახებ ინფორმაციას თვით მიმწოდებელი იძლევა. ეს მოჩანს მისი ბალანსიდან, მოგება-ზარალის ანგარიშიდან, აუდიტის დასკვნიდან და ა.შ. სპეციფიური გამოცდილების დასადგენად შეისწავლება მოცემულ სფეროში მის მიერ შესრულებულ ხელშეკრულებათა რაოდენობა და მათი მოცულობები.

3.4.3. საჭირო რესურსების და საწარმოო სიმძლავრეების არსებობა

მოცემულ მაჩვენებელზე ინფორმაციას თვითონ მიმწოდებელი იძლევა. ეს არის სხვადასხვა ცნობები საკუთარ ან იჯარით აყვანილ ტრანსპორტზე, საწარმოო მოწყობილობასა და დანადგარებზე, სასაწყობო და საწარმოო ფართებზე და ა.შ.

3.4.4. ფინანსური სიმყარე

ამ მაჩვენებლის შესახებ ინფორმაციას ბუღალტრული ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში იძლევა. ამ ინფორმაციით უნდა გამოითვალოს და შეფასდეს მიმწოდებლის შემდეგი საფინანსო კოეფიციენტები: რენტაბელობის დონე (ბრუნვის, აქტივების, ინვესტიციების, საკუთარი კაპიტალის), ლიკვიდობის დონე (საერთო, სწრაფი, აბსოლუტური), ამორტიზაციის, დაგროვების, კრედიტუნარიანობის და მრავალი სხვა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად შემკვეთებს არ ჰყავთ ისეთი რანგის სპეციალისტები, რომ მათ შეძლონ მიმწოდებლების ამ მაჩვენებლების ანგარიში და შეფასება.

3.4.5. მიმწოდებლის რეპუტაცია

რეპუტაციის შესახებ ინფორმაცია მიიღება მიმწოდებლის მსხვილი კლიენტებიდან, ცხადია, ეს ინფორმაცია სანდო უნდა იყოს. თუმცა ხშირ შემთხვევაში ძნელია რეალური ინფორმაციის მიღება.

3.4.6. საკვალიფიკაციო შერჩევის პროცედურა

საკვალიფიკაციო შერჩევა შეიძლება იყოს შესყიდვის პროცედურის ერთ-ერთი კომპონენტი (მაგალითად, ღია კონკურსში) ან შეიძლება თვითონ იყოს დამოუკიდებელი პროცედურა. ორივე შემთხვევაში მისი მიზანია იმ კვალიფიციური მიმწოდებ-

ლების რეესტრის ფორმირება, რომლებიც გარკვეული პერიოდ-ით დაიშვებიან შესყიდვების ორგანიზებაში მონაწილეობისთვის.

საკვალიფიკაციო შერჩევის ძირითადი ეტაპები მოცემულია ნახაზზე 9.



ნახაზი 9. საკვალიფიკაციო შერჩევის ჩატარების სქემა

3.4.7. ინფორმაციის წყაროები მიმწოდებლების კვალიფიკაციის შესახებ

საკვალიფიკაციო შერჩევა უნდა დაეყრდნოს არა მხოლოდ მიმწოდებლების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, არამედ, მათგან დამოუკიდებლად მიღებულ ინფორმაციასაც. ამისთვის გამოიყენება ინტერნეტში არსებული ღია მონაცემთა ბაზები, შემკვეთის უსაფრთხოების სამსახურის მიერ მოპოვებული მასალა და სხვა.

ზოგადად საკვალიფიკაციო მოთხოვნის (ან საკონკურსო) დოკუმენტაციაში მითითებული უნდა იყოს თუ რა დოკუმენტები უნდა წარმოადგინოს მიმწოდებელმა შემკვეთის ამა თუ იმ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ამ დოკუმენტებს შორის ყველაზე მოთხოვნადია ის დოკუმენტები, რომელთა ჩამონათვალი ცხრილში (ცხრილი 4) გვაქვს მოცემული.

ხშირად კონკურსის ორგანიზატორები ზედმეტად ართულებენ საკვალიფიკაციო შერჩევის პროცესს და დაუსაბუთებელ მოთხოვნებს უყენებენ მიმწოდებლებს. არ არის იშვიათი, როცა ეს კეთდება არასასურველი კლიენტების დასაფრთხობად და „თავისი" კლიენტების შესანარჩუნებლად.

3.4.8. კონსორციუმი

არის შემთხვევები, როცა შემკვეთი უფლებას აძლევს მიმწოდებლებს გაერთიანდნენ და ჩამოაყალიბონ კონსორციუმი. ეს საჭიროა მაღალი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დასაძლევად. კონსორციუმის შემთხვევაში მიმწოდებლების საკვალიფიკაციო შერჩევის დროს მხედველობაში მიიღება მათი ჯამური და არა ინდივიდუალური მახასიათებლები. კონსორციუმის წევრები ნიშნავენ მთავარ პარტნიორს. კონსორციუმის გამარჯვების შემთხვევაში შემკვეთი მთავარ პარტნიორთან დებს ხელშეკრულებას, რომლის შესრულებაზეც სწორედ ის აგებს პასუხს. როგორც წესი, შემკვეთის მოთხოვნების 70%-ს სწორედ მთავარი პარტნიორი უნდა აკმაყოფილებდეს, დანარჩენი - მოთხოვნების 30%-ს.

ცხრილი 4

კვალიფიკაციური გადარჩევისთვის საჭირო დოკუმენტები

კვალიფიკაციის კითხვარი	დამადასტურებელი დოკუმენტი	შენიშვნა (პარამეტრის მნიშვნელობაში სარეკომენდაციო ზღვარი)
1. უფლებამოსილება		
➢ დარეგისტრირებულია კანონის შესაბამისად? ➢ რამდენი ხანია ეწევა საქმიანობას? ➢ ვის აქვს დოკუმენტებზე ელმოწერის უფლება? ➢ აქვს მოცემული საქმიანობის განხორციელების უფლება?	ცნობა რომ რეგისტრირებულია იურიდიული პირების ერთიან სახელმწიფო რეესტრში	
	სადამფუძნებლო ხელშეკრულება	
	რეგისტრაციის ცნობა	
	ცნობა საგადასახადო ორგანოში აღრიცხვაზე დადგომის შესახებ	
	აქციონერთა კრების ოქმის ამონაწერი ან დამფუძნებელთა გადაწყვეტილების ამონაწერი გენერალური დირექტორის დანიშვნის შესახებ	
	წესდება, მინდობილობა	
	ლიცენზია	
	მწარმოებლის ავტორიზაცია (თუ ამას მოითხოვს შემკვეთი)	
2. მიმწოდებლის გამოცდილება		
	ცნობა (შევსებული ცხრილი) მის მიერ შესრულებული ხელშეკრულებების შესახებ	➢ ბრუნვა უნდა ჰქონდეს 3-5-ჯერ მეტი, ხოლო მოგება საანგარიშო წელში 5-10-ჯერ უნდა აჭარბებდეს ამ ხელშეკრულებით მოსალოდნელ შემოსავალს. რეკომენდაცია ორზე
	მოგება-ზარალის ანგარიში	
	მსხვილი კლიენტების რეკომენდაციები	

		მეტი
3. პერსონალის კვალიფიკაცია		
	საკვანძო პერსონალის რეზიუმე	მხედველობაში მიიღება მხოლოდ ავტორიტეტული ორგანიზაციების მიერ გაცემული რეკომენდაცია
	ატესტატები, დიპლომები, ცნობები, სერთიფიკატები	
4. რესურსები (საწარმოო სიმძლავრეები და სხვა)		
	მიმწოდებლის ცნობა რესურსების არსებობის შესახებ	
	არენდის ხელშეკრულება, ლიზინგი, საწყობის ტრანსპორტის და სხვათა ჩვენება	
5. ფინანსური სიმყარე		
	ბუღალტრული ბალანსი, მოგება-ზარალის აწგარიში	მიზანშეწონილია მხოლოდ მსხვილი და რთული პროექტებისთვის გამოთხოვა
	აუდიტორული დასკვნა	
	ცნობა ბანკიდან	
6. რეპუტაცია		
	ცნობა მიმწოდებლის სასამართლო დავებში მონაწილეობის შესახებ	მიმწოდებლის სასარგებლოდ უნდა იყოს მიღებული გადაწყვეტილებების 80%
	მიმწოდებლის ცნობა შესრულებულ პროექტებზე	
	მსხვილი კლიენტების რეკომენდაცია	არა ნაკლებ ორი კლიენტის

3.5. საკონკურსო განაცხადების მომზადება

მიმწოდებლები საკონკურსო განაცხადის მომზადებას საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების მომენტში იწყებენ.

კონკურსის ორგანიზატორს მიმწოდებლებზე საკონკურსო დოკუმენტაციის გაყიდვაც შეუძლია და უფასო გადაცემაც. დოკუმენტაციის ყიდვის შემთხვევაში მიმწოდებელს ეს ხარჯი თა-

ვისი წინადადების ფასში შეაქვს და თუ კონკურსში გაიმარჯვა, უკან იბრუნებს მას. მაგრამ საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების ეტაპზე ზოგიერთ მიმწოდებელს ამის გამო გარკვეული სირთულეები უჩნდებათ, კერძოდ, ეს ეხება დოკუმენტაციის ღირებულების გადახდას, რომელსაც საფინანსო განყოფილებასთან შეთანხმება სჭირდება. საფინანსო განყოფილება რიგ შემთხვევებში შესაძლოა არ დაეთანხმოს ამას. დათანხმების შემთხვევაშიც კი, ამ პროცედურას სჭირდება გარკვეული პერიოდი.

მიმწოდებლის საკონკურსო განაცხადი ზუსტად უნდა პასუხობდეს საკონკურსო დოკუმენტაციაში მოცემულ შემკვეთის მოთხოვნებს. ყურადღების გარეშე არ უნდა დარჩეს ფორმალური მოთხოვნებიც კი, მაგალითად, განაცხადზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა, მასზე ბეჭდის დასმა და სხვა.

საკონკურსო განაცხადების შევსების პროცესში მიმწოდებლებს უფლება აქვთ მიმართონ კითხვებით საკონკურსო კომისიას. კონკურსის ორგანიზატორი დასმულ კითხვებზე პასუხობს, ასევე, ამ კითხვების შედეგად მის მიერ საკონკურსო დოკუმენტაციაში შეტანილ ცვლილებებს, აუცილებლად აცნობებს ყველა მიმწოდებელს.

3.6. საკონკურსო განაცხადის უზრუნველყოფა

კონკურსის ჩატარება დიდ დროს და შემკვეთის მხრიდან საკმაო რაოდენობის რესურსებს მოითხოვს. ეს განსაკუთრებით ეხება მაღალკვალიფიციური სპეციალისტების არსებობას. ყველა მოთხოვნის დაცვის შემთხვევაში ღია კონკურსის ჩატარებას სულ მცირე 1,5-2 თვე სჭირდება. აქედან საკონკურსო განაცხადის მომზადებას - დაახლოებით ერთი თვე. თითქმის ამდენივე დრო სჭირდება საკონკურსო დოკუმენტაციის მომზადებას და მიმწოდებლების (პრეტენდენტები) მიერ წარმოდგენილი წინადადებების შეფასებას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შესყიდვების ორგანიზება შემკვეთისგან გარკვეულ რესურსს მოითხოვს და თუ კონკურსი ჩავარდა, იგი ზარალდება. კონკურსი შეიძლება ჩავარდეს არასაკმარისი მიმწოდებლების გამო, მათი დაბალი კვალიფიკაციის გამო, ან/და გამარჯვებული მიმწოდებლის მხრიდან კონტრაქტზე ხელის მოწერაზე უარის თქმის გამო.

ეს რომ არ მოხდეს შემკვეთი მიმწოდებლების ვალდებულებებს უზრუნველყოფს შემდეგი გზებით:

- პირგასამტეხლო;
- გირაო;
- ქონების დაყადაღება;
- საბანკო გარანტია და თავდებობა;
- წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი).

საშემსყიდველო საქმიანობაში ძირითადად გამოიყენება საბანკო გარანტია, ფულადი გირაო და თავდებობა.

3.6.1. თავდებობა

თავდებობა შემკვეთსა და თავდებ პირს შორის ხელშეკრულების ფორმით ფორმდება. ამით თავდები პირი იღებს პასუხისმგებლობას მიმწოდებლის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა არ შესრულებაზე.

თავდებობის ნიმუში ასეთი ფორმისაა:

თავდებობის ხელშეკრულება №

ქ. თბილისი 14 იანვარი, 2017

ერთის მხრივ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდეგში „შემკვეთი“) წარმომადგენელმა ლ. ისაკაძემ მოქმედი 2017 წლის 3 იანვრის №1/2 მინდობილობით, მეორეს მხრივ, „თიბისი ბანკის“ (შემდეგში თავმდები“)

წარმომადგენელი კ. ღონღაძემ მოქმედმა „თიბისი ბანკის“ წესდებით დავდეთ ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა (შემკვეთი) და სს „ორგტექნიკას“ (აღმასრულებელი) შორის დადებული ხელშეკრულება 30 ცალი კომპიუტერის და 30 ცალი პრინტერის მოწოდებაზე ღირებულებით 49 000 ლარი (ორმოცდაცხრა ათასი). ამ ხელშეკრულების თანახმად აღმასრულებელი ვალდებულია შეასრულოს ვალდებულება, შემკვეთი კი ვალდებულია გადაიხადოს მოწოდებული საქონლის ფასი. გადახდის ვადა არის 21 დღე მოწოდების მომენტიდან (შაბათ-კვირის და სხვა დასვენების დღეების გამოკლებით).

1.2. წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და „თიბისი ბანკს“ შორის დაიდო კომპიუტერების და პრინტერების მოწოდების ხელშეკრულებაზე მხარეების - „შემკვეთი“ და „შემსრულებელი“ ვალდებულებების შესრულების გარანტირების მიზნით.

2. მხარეების ვალდებულებები:

2.1. თავმდები - „თიბისი ბანკი“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წინაშე სს „ორგტექნიკასთან“ ერთად იღებს პასუხისმგებლობას სოლიდარულად აგოს პასუხი კომპიუტერული ტექნიკის მიწოდებაზე. მიწოდების ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში გადაიხადოს სს „ორგტენიკასთან“ ერთად ჯარიმა, ხოლო 20 დღეზე მეტი დაგვიანებისთვის შემკვეთს აუნაზღაურონ ზარალი.

2.2. მიწოდების ხელშეკრულების მთლიანად ან ნაწილობრივ დარღვევის შემთხვევაში შემკვეთს უფლება აქვს თავმდებს ან აღმასრულებელს მოსთხოვოს დანაკარგის სრული ანაზღაურება. ამ უკანასკნელს კი ევალება 10 დღის ვადაში გადაურიცხოს მას იგი.

2.3. თავმდებს ცალმხრივად არა აქვს თავდებობაზე უარის თქმის უფლება.

შემკვეთი ვალდებულია:

2.4. თავმდების მიერ თავისი ვალდებულებების შესასრულებლად გადასცეს მას დოკუმენტები, რომელშიც დაფიქსირებულია აღმსრულებლისადმი მისი მოთხოვნების უფლება.

3. დამატებითი პირობები

3.1. თუ შემკვეთსა და აღმსრულებელს შორის გაგრძელდება კომპიუტერული ტექნიკის მიწოდებაზე ხელშეკრულების ვადა, არსებული პირობები ძალაში რჩება.

3.2. თავდებს, რომელმაც აღმსრულებლის მაგივრად შემკვეთს გადაუხადა საჭირო თანხა, უფლება აქვს რეგრესული მოთხოვნა წარუდგინოს აღმსრულებელს ამ თანხის მისთვის უკან დაბრუნებაზე.

4. დავების გადაწყვეტის წესი

4.1. ყველა სადავო საკითხი უპირველესად წყდება ურთიერთმოლაპარაკებით. თუ შეთანხმება მოლაპარაკებით ვერ იქნა მიღწეული, მაშინ ქვეყანაში მოქმედი სამართლებრივი წესით.

5. თავდებობის ვადა

5.1. თავდებობა ძალაშია კომპიუტერულ ტექნიკაზე მოწოდების მთელი ვადის განმავლობაში, მ.შ. პროლონგაციის ვადის განმავლობაშიც.

6. დასკვნითი დებულებები

1.1. ხელშეკრულება ორ ცალად დგება. ორივეს აქვს თანაბარი ძალა.

7. მხარეების რეკვიზიტები და მისამართი

შემკვეთი:	**თავმდები:**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	„თიბისი ბანკი“
თბ., კოსტავას 70	თბ., მარჯანიშვილის. №7

3.6.2 გირაო

როცა შემკვეთის და მიმწოდებლის ურთიერთობებში ვალდებულებების უზრუნველსაყოფად გირაო გამოიყენება, მათ შორის ფორმდება კონტრაქტი (გირაოს შესახებ). თუ მიმწოდებელი არ (ან ვერ) შეასრულებს თავის მოვალეობებს საქონლის (სამუშაოს მომსახურების) მოწოდების სფეროში, მაშინ, შემკვეთს ამ ხელშეკრულებით უფლება ეძლევა თავისი ხარჯების საკომპენსაციოდ გამოიყენოს ეს გირაო.

გირაოს როლში შეიძლება გამოვიდეს არა მხოლოდ მატერიალური ქონება, არამედ ფასიანი ქაღალდებიც.

3.6.3. საბანკო გარანტია

საბანკო გარანტია გაიცემა ბანკის, საკრედიტო ორგანიზაციის ან სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ. ის წარმოადგენს მათ ვალდებულებას გადაუხადონ შემკვეთს ფულადი თანხა მიმწოდებლის მიერ ვალდებულებების არ შესრულების ან დარღვევით შესრულების გამო.

საბანკო გარანტიაში მიეთითება:

- გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულებები;
- თანხის სიდიდე, რომელზეც გაიცემა გარანტია;
- გარანტიის ამოქმედების რიცხვი;
- გარანტიის მოქმედების ვადა;
- მხარეების დასახელება და იურიდიული მისამართები.

საბანკო გარანტიის ფორმა შემდეგნაირია:

საკონკურსო განაცხადის საბანკო გარანტია

რადგან სს „ორგტექნიკამ“ (შემდეგში „მიმწოდებელი“) წარადგინა თავისი საკონკურსო განაცხადი კომპიუტერული ტექნიკის გაყიდვაზე, ჩვენ - „ლიბერთი ბანკი“, მისამართით, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 54 (შემდეგში „ბანკი“) ვალდებულებას ვიღებთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდეგში „კონკურსის ორგანიზატორი“) წინაშე 4925 ლარით.

ამ ვალდებულების პირობები შემდეგია:

- თუ მიმწოდებელი კონკურსის ორგანიზატორიდან უკან გამოითხოვს თავის საკონკურსო განაცხადს მისი მოქმედების ვადის დამთავრებამდე;
- თუ მიმწოდებელი კონკურსში გამარჯვებულის როლში უარს იტყვის კონტრაქტზე ხელისმოწერაზე.

ჩვენ ვალდებულებას ვიღებთ გადავუხადოთ კონკურსის ორგანიზატორს ზემოთ დასახელებული თანხა პირველსავე წერილობით მოთხოვნისთანავე, თუ მის მოთხოვნაში დასახელებული იქნება რომელიმე ზევით დასახელებული ორი პირობიდან ერთ-ერთის დარღვევაც კი.

საქართველო, თბილისი	საქართველო, თბილისი
ლიბერთი ბანკი	სს „ორგტექნიკა“
ვაჟა-ფშაველას, №54	დოლიძის 1, №13
გენერალური დირექტორი	გენერალური დირექტორი
ვ. გურგენიძე	ი. ლობჟანიძე

საბანკო გარანტია უმეტესად მიმწოდებლებისათვის საკმაოდ არახელსაყრელი პირობებით გაიცემა. ხშირ შემთხვევაში საბანკო დაწესებულებები ითხოვენ მიმწოდებლისგან, რომ მან ბანკში გახსნილ ანგარიშზე დაარეზერვოს შემსყიდველისათვის წარსადგენი საბანკო გარანტიის ოდენობის არანაკლები მოცულობის თანხა.

3.7. განაცხადების წარმოდგენა და გახსნა

საკონკურსო დოკუმენტაციაში და თვით საკონკურსო ვაჭრობებში მონაწილეობის მისაღებად მიმწოდებლების მოწვევებში მითითებულია წინადადებების წარმოდგენის და მათი გახსნის დრო (რიცხვი) და ადგილი.

მიმწოდებლების განაცხადების მიღება ტარდება განაცხადების რეგისტრაციის ჟურნალში. ამ ჟურნალის ფორმა შემდეგნაირია:

საკონკურსო განაცხადების რეგისტრაციის ჟურნალი				
№	მიღების რიცხვი	სარეგისტრაციო ნომერი	მიმწოდებლის დასახელება და საკონტრაქტო ინფორმაცია	განაცხადის წარმომდგენის გვარი და სახელი, წარმოდგენილი დოკუმენტის დასახელება, რომელიც გვიხსნის წარმომდგენის რწმუნებულებას, დოკუმენტის ნომერი, ვინ და როდის გასცა იგი

მიმწოდებლის წარმომადგენელს განაცხადის ჩაბარებაზე ეძლევა ცნობა.

კონკურსში მონაწილე მიმწოდებელს უფლება აქვს საკონკურსო განაცხადი წარადგინოს საკონკურსო კომისიაში კონკურსის შესახებ შეტყობინებაში ნაჩვენებ ბოლო დღეს. რაც შეეხება განაცხადების გახსნას, ეს პროცედურა იწყება განაცხადების მიღების დამთავრებისთანავე.

კონკურსის მონაწილეთა წარმომადგენლებს უფლება აქვთ დაესწრონ მიმწოდებელთა წინადადებების კონვერტების გახს-

ნას. კონვერტების გახსნის შემდეგ მასში მოთავსებული ინფორ-მაცია საჯარო ხდება. ამასთან, დგება კონვერტების გახსნის ოქ-მიც. აღნიშნული ოქმის ნიმუში ასეთი ფორმისაა:

საკონკურსო განაცხადის გახსნის ოქმი №

5 თებერვალი, 2017 წელი

კონკურსის საგანი: კომპიუტერული ტექნიკა
ესწრებოდნენ:
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე - ე. ნიკოლაძე
საკონკურსო კომისიის წევრები:

1. ვ. ვახტანგაძე
2. რ. სისაური
3. ნ. კაციტაძე
4. ვ. ალავიძე - საკონკურსო კომისიის მდივანი

ღია კონკურსზე დალუქულ კონვერტებში წარმოდგენილი იყო 5 (ხუთი) განაცხადი.
კონვერტები გახსნეს საკონკურსო კომისიის წევრებმა მიმწოდებლების წარმომადგენლების თანდასწრებით.
კონვერტებში აღმოჩნდა შემდეგი მიმწოდებლების განაცხადები:

№	კონკურსის მონაწილის დასახელება და მისამართი	წარმოდგენილი დოკუმენტების რაოდენობა	განაცხადის საერთო ღირებულება, ლარი	შენიშვნა
1	სს „ორგტექნიკა“	5	48500	-
2	შპს „კომპიუტერი“	6	49200	-
3	შპს „არგო“	7	50000	-
4	სს „პროგრესული ტექნიკა“	4	49310	-
5	შპს „ელექტროტექნიკა“	5	51217	

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე - ე. ნიკოლაძე

საკონკურსო კომისიის წევრები:

1. ვ. ვახტანგაძე
2. რ. სისაური
3. ნ. კაციტაძე

საკონკურსო კომისიის მდივანი ვ. ალავიძე

კონკურსის იმ მონაწილეებს, რომელთა წარმომადგენლები ვერ დაესწრნენ კონვერტების გახსნას, უფლება აქვთ გამოითხოვონ გახსნის ოქმიდან ამონაწერი.

3.7.1. წინადადებების შეფასება

კონტრაგენტის ამორჩევის საკვანძო ელემენტია საკონკურსო განაცხადების შეფასება. სწორედ ყველაზე საუკეთესო განაცხადი ხდება მიმწოდებლის გამარჯვების საფუძველი.

3.7.2. შეფასების ეტაპები

საკონკურსო განაცხადების შეფასება ჩვეულებრივ სამ ეტაპად ხდება (ნახაზი 10). პირველ ეტაპზე მოწმდება საკონკურსო დოკუმენტაციაში ჩადებული ფორმალური მოთხოვნების დაცვა, კერძოდ, საკონკურსო წინადადებების მიზნობრიობის, საჭირო დოკუმენტების არსებობის, დოკუმენტებზე ხელისმომწერის უფლებამოსილება და ა.შ.

ნახაზი 10. საკონკურსო განაცხადების შეფასების ძირითადი ეტაპები

შეფასების მეორე ეტაპზე მოწმდება რამდენად შეესაბამება შესყიდვის საგანი საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, დაცულია თუ არა ფასი, მოწოდების პირობები, გაყიდვის შემდგომი მომსახურება და სხვა.

განაცხადების შეფასების მესამე ეტაპზე ხდება წინადადებების რანჟირება და გამარჯვებულის გამოვლენა.

3.7.3. საკონკურსო წინადადებების შეფასების მეთოდები

მიმწოდებელთა წინადადებების შეფასება რამდენიმე მაჩვენებლით ხდება. ამ მაჩვენებლების ნაწილი რაოდენობრივი მაჩვენებელია, ნაწილი კი ხარისხობრივი. ხარისხობრივი მაჩვენებლების შეფასება ხშირად შეუძლებელია, ამიტომ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენა მეტად რთული საქმეა.

საშემსყიდველო საქმეში გამარჯვებულის გამოსავლენად გამოიყენება შემდეგი მეთოდები:

- ფასისმიერი შეფასება;
- ბალური (ქულობრივი) შეფასება;
- ე.წ. „დაბალი რეიტინგი";
- ექსპერტულ-ბალური შეფასება;
- მინიმალური ფასი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისობის პირობებში.

არსებობს მათემატიკური მეთოდებიც, მაგალითად, იერარქიული ანალიზის მეთოდი, მაგრამ მისი გამოყენება საქართველოს პრაქტიკაში თითქმის არ ხდება, ამ მეთოდის მცოდნე სპეციალისტების სიმცირის გამო.

3.7.4. ფასისმიერი შეფასება

კონკურსში საბოლოო გამარჯვებულის გამოვლენა მაქსიმალურად ობიექტური მაშინ არის როცა შეიძლება თითოეული მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ყველა პირობის ფულად მაჩვენებლებში გადაყვანა. ამისათვის გამოიყენება ცნება - „წინადადების შეფასებითი ღირებულება".

წინადადების შეფასებით ღირებულებაში შედის თვითონ მოსაწოდებელი პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების) ფასი და აგრეთვე მისი სხვა არასაფასო მოდიფიკატორები, რომლებიც უფრო ობიექტურს ხდიან წინადადების შეფასებას, თუმცა არ ზრდიან კონტრაქტის ღირებულებას.

ფასისმიერი შეფასება ერთ-ერთი ობიექტური და გამჭვირვალე შეფასებაა. მისი გამოყენებით მარტივი შესყიდვები ხორციელდება. გამოიყენება მსოფლიო ბანკის - „გამარჯვებულად ჩაითვლება მინიმალური შეფასებითი ღირებულების წინადადება“ და ევროკავშირის - „გამარჯვება ეკუთვნის ეკონომიკურად ყველაზე მიზანშეწონილ წინადადებას“ მიდგომები.

3.7.5. ბალური (ქულობრივი) შეფასება

ბალური შეფასება არის მეტად მარტივი და ცხადი, ამდენად შესყიდვების პრაქტიკაში იგი ყველაზე მეტად გამოიყენება. ბალური მეთოდის გამოყენებისას ხდება შესაფასებელი კრიტერიუმების ამორჩევა. ესენია: ფასი, მიმწოდებლის კვალიფიკაცია, ანგარიშსწორების გრაფიკი, მოწყობილობის მწარმოებლურობა, ექსპლოატაციის ვადა და სხვა. ისაზღვრება ამ კრიტერიუმების მნიშვნელობების შეფარდებითი წინაპირობა საერთო ჯამის მიმართ, რომელიც ერთ ერთეულს შეადგენს (მაგალითად, ფასის წონადობა - 0,9, კვალიფიკაცია - 0,1). ეს მეთოდი ყველაზე ეფექტიანია რაოდენობრივ კრიტერიუმებთან მუშაობის შემთხვევაში.

ქვემოთ წარმოდგენილია ბალური შეფასების მაგალითი:

ორგანიზაცია შეკვეთით ყიდულობს 5 ერთეულ სპეცტექნიკას. მათი მარკა, კომპლექტაცია და ა.შ. მკაცრად შეესაბამება ტექნიკური დავალების მოთხოვნებს, რადგან მათი გამოყენების დაწყების ვადაზე არის დამოკიდებული მთელი რიგი პროექტების დაწყება, ამდენად, მიმწოდებლის შერჩევის ძირითადი ფაქტორებია ფასი (70%) და მოწოდების დრო (30%).

№	კრიტერიუმები	წონადობა	№1 მიმწოდებელი	№2 მიმწოდებელი	№3 მიმწოდებელი
1	ფასი	0,7	9 ათასი ლარი	8 ათასი ლარი	6 ათასი ლარი
	ქულები		10	7	5
	შეწონილი შეფასება		7	4,9	3,5

2	მოწოდების დრო	0,3	7 კვირა	9 კვირა	12 კვირა
	ქულები		10	9	6
	შეწონილი შეფასება		3	2,7	1,8
	შეწონილი ბალების ჯამი		10	7,6	5,3

წინადადების მაქსიმალური ბალური შეფასება 10-ია, მინიმალური - 0. შეწონილი შეფასების დასადგენად წონადობა მრავლდება ქულებზე. მაგალითში ასე არის გამოთვლილი: №1 მიმწოდებლისთვის - 10 · 0,7 = 7 ქულა, №2 მოწოდებისთვის 7 · 0,7 = 4,9 ქულა და №3 მიმწოდებლისთვის 5 · 0,7 = 3,5 ქულა. საუკეთესოდ ჩაითვლება №1 მიმწოდებელი, რადგან აიღო 7 ქულა.

3.7.6. ბალური შეფასების პრობლემები

ბალური შეფასების ყველაზე დიდი პრობლემა ისაა, რომ თუ მიმწოდებელმა იცის, რომ მისი წინადადება ფასდება ბალური მეთოდით და იცის მისი ყველაზე მეტად წონადი კრიტერიუმებიც, ასეთ შემთხვევაში თავის საკონკურსო განაცხადში ამ კრიტერიუმების პარამეტრებს ხელოვნურად აამაღლებს. ასეთ შემთხვევაში გამარჯვებული არაობიექტურად იქნება შერჩეული.

3.7.7. „დაბალი რეიტინგი“

„დაბალი რეიტინგის“ არსი იმაში მდგომარეობს, რომ უპირველესად რომელიმე მეთოდით, მაგალითად, ბალური მეთოდით შეირჩევა არა ერთი, არამედ, სამი საუკეთესო წინადადება, ხოლო შემდეგ ამ სამიდან ერთ-ერთს შეარჩევენ ექსპერტები. ეს

მეთოდი ჯერ-ჯერობით ნაკლებად გამოიყენება, რადგან, ექსპერტების საბოლოო გადაწყვეტილება არ არის გამჭვირვალე.

3.7.8. ექსპერტულ-ბალური მეთოდი

როცა რომელიმე შესაფასებელი კრიტერიუმის (მაგალითად, მიმწოდებლის პერსონალის კვალიფიკაცია) ფორმირება ძნელდება, მაშინ მათ ექსპერტები აფასებენ. ეს მეთოდიც, ისე როგორც „დაბალი რეიტინგის" მეთოდი არ არის გამჭვირვალე. ამის გარდა ზოგიერთი საკონკურსო კრიტერიუმის ადექვატური შეფასება ექსპერტებსაც კი უჭირთ, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც ექსპერტებს მეტად ინდივიდუალური შეფასებები და შესაბამისად ერთმანეთისგან მეტად ურთიერთგანსხვავებული შედეგები აქვთ.

3.8. გამარჯვებულის გამოვლენა

3.8.1. გამარჯვებულის კვალიფიკაციის დადასტურება

თუ მოხდა ისე, რომ გამარჯვებულად გამოვლენამდე პრეტენდენტს კვალიფიკაციის წინასწარი შეფასება არ ჰქონდა გავლილი, ან გაჩნდა რაღაცა ეჭვი მის კვალიფიკაციაში, მას ხელმეორედ ჩაუტარებენ კვალიფიკაციის შემოწმებას. თუ არ დადასტურდა მისი სათანადო კვალიფიკაცია, მაშინ, მისი განაცხადი გვერდზე გადაიდება და საკონკურსო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შესაბამისი რიგით მეორე განაცხადის პატრონი იღებს გამარჯვებულის სტატუსს.

3.8.2. გამარჯვებულის გამოვლენასთან დაკავშირებული ოქმის გაფორმება

საკონკურსო განაცხადების შეფასება ფორმდება ოქმით. მასში ჩანს ვინ გაიმარჯვა. ამ ოქმის ფორმა ასეთია:

საკონკურსო განაცხადების შეფასების ოქმი

№-- „-----“ ---------- 2017 წელი

კონკურსის საგანი: ----------

ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე:----------

კომისიის წევრები:

1. ----------
2. ----------
3. ----------

4. კომისიის მდივანი ----------

განაცხადების ურთიერთშედარება და შეფასება:

1.გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმებია:

(ეს კრიტერიუმები გადმოიწერება საკონკურსო დოკუმენტაციიდან).

- ----------
- ----------
- ----------
- ----------
- ----------

2. დაწუნებული იქნა კონკურსის შემდეგი მონაწილენი: (თითოეულს მიეთითება დაწუნების მიზეზი)

- №1 მიმწოდებელი ----------
- №2 მიმწოდებელი ----------
- №3 მიმწოდებელი ----------
- №4 მიმწოდებელი ----------
- №5 მიმწოდებელი ----------

3. საკონკურსო განაცხადების ურთიერთშედარებით და ექსპერტების დასკვნით ყველაზე საუკეთესო აღმოჩნდა №5 მიმწოდებელი ----------

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე ---------- კომისიის წევრები: 1. ---------- 2. ---------- 3. ---------- საკონკურსო კომისიის მდივანი ----------

კონკურსის შედეგების ოქმს აუცილებლად თან უნდა დაერთოს საკონკურსო განაცხადების შედარების ცხრილი. მისი ფორმა ასეთია:

კრიტერი-უმები	კრიტერი-უმის წონადობა	№1 მიმწო-დებელი	№2 მიმწო-დებელი	№3 მიმწო-დებელი	№4 მიმწო-დებელი
კრიტერიუმი 1					
კრიტერიუმის მნიშვნელობა					
შეფასება ბალებში					
შეფასება წონა-დობის გათვა-ლისწინებით					
კრიტერიუმი 2					
კრიტერიუმის მნიშვნელობა					
შეფასება ბალებში					
შეფასება წონადობის გათვალის-წინებით					
ჯამური შეფასება					

ზემოაღნიშნულ ოქმს უნდა დაერთოს ექსპერტების დასკვნაც. აღნიშნული ოქმი ხელმოწერის შემდეგ მიმწოდებელსა და შემკვეთს შორის ხელშეკრულების ძალას იძენს. ამის მიუხედავად მათ შორის დამატებითი ხელშეკრულებაც ფორმდება.

3.8.3. საშემსყიდველო დოკუმენტაციის შენახვა

ზოგადად მიღებულია, რომ საშემსყიდველო დოკუმენტები არანაკლებ 1-3 წლის ვადით ინახებოდეს. აქედან საკონკურსო დოკუმენტაცია ერთი წლით, ხოლო ხელშეკრულება არანაკლებ სამი წლით.

3.9. ლოტური და ნაწილობრივი მოწოდების კონკურსები

ზოგიერთ შემთხვევაში, შემკვეთი ერთ კონკურსში რამდენიმე განსხვავებულ შესყიდვის ობიექტის გაერთიანებას მიზანშეწონილად თვლის, ან/და უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ კონკურსში გამარჯვებულმა მიმწოდებელმა შეკვეთის მხოლოდ ნაწილი შეასრულოს. პირველ შემთხვევაში ლოტური შესყიდვის მეთოდი გამოიყენება, მეორე შემთხვევაში კი - ნაწილობრივი მოწოდების მეთოდი.

ლოტური შესყიდვა. ზოგჯერ მიზანშეწონილია მთელი შეკვეთის ერთ მიმწოდებელზე გადაცემა. სხვა შემთხვევაში კი რამდენიმე მიმწოდებლის მოწვევა. მაგალითად, საინფორმაციო სისტემების შესყიდვა შეიძლება ერთ ლოტადაც იქნეს შეძენილი და შეიძლება დაიყოს ცალკეულ ლოტებად და მათი მიწოდება სპეციალიზებულ მიმწოდებლებიდან მოხდეს.

ლოტური შესყიდვისას, როგორც სახელწოდებაც გვიჩვენებს, შეკვეთა ლოტებად იყოფა. ლოტებად დაყოფას სხვადასხვა პრინციპები უდევს საფუძვლად. ეს პრინციპებია:

- **ტექნიკური** (ლოტები იკვრება მსგავსი პროდუქციის ტიპების მიხედვით. ლოტი I - კომპიუტერები, მიმწოდებელი

სს „ორგტექნიკა“, ლოტი II - ინფორმაციული პროგრამები, მიმწოდებელი შპს „პროგრესული ტექნიკა“ და ა.შ).

- **ტერიტორიული** (ლოტებად პროდუქცია იკვრება მოწოდების ადგილის მიხედვით. მაგალითად, ლოტი I - კომპიუტერები, მთავარი ოფისი ქ. თბილისში; ლოტი II - ინფორმაციული პროგრამები, მთავარი ოფისი ბათუმში და ა.შ.).
- **რაოდენობრივი** (პროდუქციის დაყოფა ლოტებად ხდება რაოდენობის მიხედვით. მაგალითად, 800 ცალი მონიტორის შეკვეთა შეიძლება დაიყოს ორ ლოტად: ლოტი I – 500 ცალი, ლოტი II – 300 ცალი).
- **დროითი** (ამ შემთხვევაში ლოტის შეკვრის საფუძველი არის დრო, კერძოდ, შეკვეთების შესრულების დრო. მაგალითად, ლოტი I - მოწოდება იანვარში, ლოტი II - მოწოდება თებერვალში და ა.შ.).

რამდენიმე ლოტის შემთხვევაში საკონკურსო განაცხადები ყოველ ლოტზე ცალ-ცალკე უნდა შემოვიდეს (თითოეულ ლოტზე არანაკლებ ორი). სხვა შემთხვევაში ლოტური კონკურსი არ შედგება.

მიმწოდებელს უფლება აქვს განაცხადები ნებისმიერი რაოდენობის ლოტებზე წარმოადგინოს. ამასთან მას საკვალიფიკაციო მოთხოვნები წარედგინება არა შეკვეთის მთელ საქონელზე ერთად, არამედ, ცალ-ცალკე ლოტების მიხედვით. მიმწოდებლების მიერ წარმოდგენილი წინადადებების შეფასებაც ლოტების მიხედვით ხდება.

შეკვეთის ლოტებად დაყოფას ფრთხილად უნდა მივუდგეთ. მისი ძალზე დანაწევრება არ შეიძლება, რადგან შესყიდვა დაკარგავს საბითუმო შესყიდვის სახეს და გახდება საცალო. არც ლოტების დიდი რაოდენობა არის გამართლებული. სასურველია ლოტების რაოდენობა იყოს 3-5, თუმცა, ტიპიური პროდუქციის შესყიდვისას 10 ლოტზეც შეიძლება შესყიდვის განხორციელება.

ნაწილობრივი შესყიდვა. ნაწილობრივი შესყიდვა ლოტური შესყიდვის ალტერნატივაა მაშინ, როცა არ მოიძებნება ისეთი მიმწოდებელი, რომელსაც შეუძლია შეკვეთა მთელი მოცულობით შეასრულოს. იგი გამოიყენება მაშინაც, როდესაც არსებობენ მსხვილი მიმწოდებლები რომელიც მთელ შეკვეთას შეასრულებენ, მაგრამ ასევე არსებობენ მცირე მწარმოებლებიც, რომლებიც შეკვეთის გარკვეულ ნაწილს შემკვეთისთვის უფრო სასარგებლოდ (მაგალითად, უფრო დაბალ ფასად) შეასრულებენ, ვიდრე ამას შეასრულებს მსხვილი მიმწოდებლები.

საკონტროლო კითხვები:

- რა საქონელი შეიძლება გაიყიდოს ღია კონკურსით?
- რამდენ ეტაპს გაივლის ღია კონკურსი?
- რომელი პროცედურით იწყება და მთავრდება ღია კონკურსი?
- ჩამოთვალეთ რა დოკუმენტები უნდა შემუშავდეს კონკურსის ჩასატარებლად?
- აღწერეთ მოდულური დოკუმენტაცია.
- ახსენით მიმწოდებელთა წინასწარი საკვალიფიკაციო შერჩევის აზრი.
- რით მოწმდება მიმწოდებლის უფლებამოსილება.
- რა შემთხვევაში ქმნიან მიმწოდებლები კონსორციუმს და რა მიზნით?
- რით არის უზრუნველყოფილი მიმწოდებლის ვალდებულებები შემკვეთის წინაშე?
- რა მეთოდებით ხდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შეფასება?
- როდის გამოიყენება ლოტური შესყიდვის მეთოდი და რა მიზნით?
- ახსენით ნაწილობრივი შესყიდვის არსი.

თავი 4. საერთაშორისო შესყიდვები და შესყიდვების პრაქტიკა განვითარებულ ქვეყნებში

4.1. საერთაშორისო შესყიდვების ზოგადი დახასიათება

4.1.1. საერთაშორისო შესყიდვების ფორმები

საერთაშორისო შესყიდვების განხორციელების საჭიროება თითქმის ყველა ქვეყანას გააჩნია, რაც ძირითადად ორი ფაქტორით არის განპირობებული:

1. საქონელი კონკრეტულ ქვეყანაში არ იწარმოება;
2. საქონელი შესაძლოა საზღვარგარეთ უფრო იაფად შევისყიდოთ.

უცხოელი მიმწოდებლის არჩევაში არის სხვა მოტივებიც, კერძოდ:[5] მოწოდება არის სწრაფი, საქონელი არის უფრო მაღალი ხარისხის, საქონელი უზრუნველყოფილია მრავალწლიანი საგარანტიო მომსახურებით, შესაძლებელია ბარტერული გაცვლა და ა. შ.

მაგრამ საერთაშორისო შესყიდვების განხორციელებაში კომპანიებს აქვთ გარკვეული სიძნელეებიც. კერძოდ:[6]

- უცხოური მიმწოდებლების ძებნა და შეფასება არის მეტად შრომატევადი და ძვირადღირებული პროცედურა;
- ტერიტორიული დაშორების გამო ძნელდება საქონლის ტრანსპორტირება;
- კრედიტით ანგარიშსწორება შესაძლოა არ იყოს დაშვებული;
- ძნელდება საქონლის ხარისხის კონტროლი, რადგანაც სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სტანდარტი მოქმედებს.

---

[5] Международная закупка, конспект лекции, Одесса, Пласке-от, 2013, გვ. 11.

[6] იქვე, გვ. 12-13.

მსოფლიოს მაღალგანვითარებულ ქვეყნებში პროკიურემენტი, ანუ შესყიდვების სისტემა ჰარმონიულად განვითარებულია. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ არცერთი შესყიდვების სისტემა არ არის დაზღვეული ნაკლოვანებებისგან. ერთ-ერთი და ყველაზე მთავარი ხარვეზი არის მიმწოდებლის ლობირება.

საზღვარგარეთ საშემსყიდველო საქმიანობის ორგვარი მოდელი გამოიყენება: 1. განაწილებითი (დეცენტრალიზებული); 2. ცენტრალიზებული. ორივე მოდელი მთელ განვითარებულ მსოფლიოში არის დანერგილი. აშშ-ში ფედერალური შესყიდვები „General Services Administration (GSA)"-ის კომპეტენციას წარმოადგენს, დიდ ბრიტანეთში კი იგი სახელმწიფო ხაზინის (Her Majest's Treasury – HM Treasury) კომპეტენციაა. ის თუ რომელი მოდელით მოეწყობა შესყიდვა, დამოკიდებულია ორგანიზაციის ტიპსა და სიდიდეზე. საშუალო და მცირე ზომის ორგანიზაციაში მომარაგებაზე ერთი პირი აგებს პასუხს, საშუალო და მსხვილ ორგანიზაციაში კი შესყიდვების სპეციალური განყოფილება იქმნება. როცა ორგანიზაციაში შესყიდვები დეცენტრალიზებული წესით მიმდინარეობს, მაშინ განყოფილებები თვითონვე შეისყიდიან თავისთვის საჭირო საგნებს (იხ. ნახაზი 11).

დეცენტრალიზებული შესყიდვების უპირატესობებია:[7]

- ნებისმიერმა მცირე ზომის დაწესებულებამ, როგორც შესასყიდი საქონლის მომხმარებელმა უკეთ იცის თავის საჭიროებები;
- შესყიდვის პროცესის ოპერატიულობა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დეცენტრალიზებულ შესყიდვებს აქვთ ნაკლოვანებებიც. მაგალითად შესყიდვის სპეციალისტთა არასათანადო კვალიფიკაცია შესყიდვების განხორციელებაში, საქონლის დასაწყობების, მარაგის მართვის არცოდნა და სხვა მრავალი.

---

[7] *Международная закупка, конспект лекции, Одесса, Пласке-от, 2013,* გვ. 16.



ნახაზი 11(ა). შესყიდვების დეცენტრალიზებული მოდელი



ნახაზი 11(ბ). შესყიდვების ცენტრალიზებული მოდელი

როგორც ამ ნახაზიდან ჩანს, ცენტრალიზებული შესყიდვების დროს ორგანიზაციაში არსებობს შესყიდვების (იგივე მომარაგების) ერთი ქვედანაყოფი და იგი ასრულებს ორგანიზაციის მომარაგების ყველა ფუნქციას.

ცენტრალიზებული წესით შესყიდვის უპირატესობებია:

- ხორციელდება დიდი მოცულობის შეკვეთა, რის გამოც მიმწოდებელი იძლევა მნიშვნელოვან ფასდათმობას;
- თავიდან არის აცილებული ოპერაციების დუბლირება;
- მიმწოდებელს ერთი წერტილიდან („ერთი ფანჯრიდან") მიეწოდება ინფორმაცია;
- მომარაგებაზე პასუხისმგებლობა კონცენტრირებულია ერთ განყოფილებაზე და მისი კონტროლიც ადვილია.

ყველაზე ეფექტურია შესყიდვების კომბინირებული მოდელი. კომბინირებული მოდელის დროს საშემსყიდველო საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას - ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის შემუშავებას, დაგეგმვას, კონტრაქტის მართვას და კოორდინაციას ახორციელებს ფინანსთა ან ეკონომიკის სამინისტრო, ხოლო კონკრეტულ შესყიდვებს ახორციელებენ სპეციალიზებული საშემსყიდველო სტრუქტურები (განყოფილებები). სწორედ ასეთი შესყიდვის სტრუქტურა აქვს დიდ ბრიტანეთს, რომელშიც მთავარი მაკოორდინებელი უწყების პარალელურად ფუნქციონირებენ დარგობრივი საშემსყიდველო სამსახურები, ისეთები, როგორიცაა ეროვნული ჯანდაცვის სისტემის შესყიდვების სამსახური (National Health Service Supplies) და სხვ.

შესყიდვების მსოფლიო პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ საქონლის და მომსახურების მსხვილ შესყიდვებში ერთ-ერთი ეფექტური ფორმა არის ღია კონკურსი (ტენდერი).

მსოფლიო საშემსყიდველო პრაქტიკაში ორი ტენდენცია შეინიშნება, ერთია შესყიდვების ეტაპობრივი დეცენტრალიზაცია და მეორეა შესყიდვის პრიორიტეტის შეცვლა, კერძოდ, შესყიდვის მინიმალური ფასის ჩანაცვლება შემსყიდველისთვის მაქსიმალურად ეფექტური წინადადებით, თუნდაც ეს წინადადება (ეს შეთავაზება) არ იყოს მინიმალური ფასის.

4.1.2. საერთაშორისო შესყიდვების საკანონმდებლო უზრუნველყოფა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მსოფლიოს უმრავლეს განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო შესყიდვები ძირითადად ღია ტენდერებით ტარდება. შესყიდვები, რომლის ძირითადი მეთოდი კონკურსია, ტარდება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის (UNCITRAL) რეკომენდაციების მიხედვით.

4.1.3. შესყიდვების პრინციპები

შესყიდვების უცხოურ პრაქტიკაში უკვე ჩამოყალიბებულია საბაზრო პრინციპები რომელშიც შედის:[8]

- გამჭვირვალობა, ანუ შესყიდვების შესახებ ინფორმაციის ღიაობა და ხელმისაწვდომობა;
- პროცედურების თანამიმდევრული დაცვა და ანგარიშვალდებულება, ანუ შესყიდვების პროცედურების მკაფიო დაცვა და მათი კონტროლი;
- ღია და ეფექტური კონკურენციის არსებობის უზრუნველყოფა, ანუ დისკრიმინაციის არ დაშვება;
- სამართლიანობა, ანუ შესყიდვებში ყველა მონაწილისთვის თანაბარი პირობების შექმნა.

4.1.4. შესყიდვის საგანი

საერთაშორისო შესყიდვების კანონმდებლობაში შესყიდვის ობიექტი დაყოფილია სახეებად - საქონლად, სამუშაოებად და მომსახურებად.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის (UNCITRAL) კლასიფიკაციით საქონელს მიეკუთვნება ნედლეული, ნაწარმი, მოწყობილობა, ელექტროენერგია და ყველა სხვა საქონელი, რომელიც მოცემულია მყარი, თხევადი ან აირადი სახით.

სამუშაოს მიეკუთვნება მშენებლობასთან, რეკონსტრუქციაგაფართოებასთან, რემონტთან, მონტაჟთან დაკავშირებული სამუშაოები. აგრეთვე ბურღვა, გეოდეზიური სამუშაოები, გრუნტის ამოღება, აერო და კოსმიური გადაღებები და სხვა.

---

[8] Кузнецов К., Прокьюремент: тендеры, конкурсы, конкурентные закупки, М., 2011, გვ. 126.

მომსახურებაში შედის ნივთიერი შემადგენლობის არმქონე საქმე. ეს არის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური შეკეთება/მომსახურება, დასუფთავების მომსახურება, სარეკლ-ამო მომსახურება, აუდიტორული მომსახურება, იურიდიული მომსახურება, არქიტექტურული დიზაინი, სადაზღვევო მომსა-ხურება, ტურისტული მომსახურება და სხვა.

4.1.5 შესყიდვების განყოფილების ფუნქციები

შესყიდვების განყოფილებას შემდეგი ფუნქციები აქვს (იხ. ნახაზი 12):[9]

- მატერიალურ რესურსებზე მოთხოვნილების განსაზღვრა (ამის შესახებ შესყიდვების განყოფილება ინფორმაციას იღებს ორგანიზაციის შესაბამისი ქვედანაყოფიდან);
- მატერიალური რესურსების შექმნისთვის საჭირო თანხ-ის გამოანგარიშება და მისი დაფარვის შესაძლებლობის გარკვევა ორგანიზაციის საფინანსო განყოფილებაში;
- მიმწოდებლის მოძებნა, მის მიერ საქონლის მოწოდების დროული შესრულების შეფასება;
- მოწოდების და ანგარიშსწორების პირობების შეთანხმება მიმწოდებელთან;
- ხელშეკრულების გაფორმება და მის შესრულებაზე კონ-ტროლის განხორციელება (კონტროლი ხორციელდება იურიდიულ განყოფილებასთან ერთად);
- მიწოდების პირობების დარღვევის შემთხვევაში მიმწო-დებლისთვის სანქციების წარდგენა;
- მატერიალური რესურსების მიღება, პროდუქციის იდენ-ტიფიკაცია, რაოდენობის შემოწმება, გამოყენების ადგი-ლზე გადატანა ან დასაწყობება;

---

[9] Международные закупки, Одесса, 2013, გვ. 25-26.

➢ მიღებული პროდუქციის ხარისხის შემოწმება.



ნახაზი 12. შესყიდვების განყოფილების ფუნქციები

4.2 სახელმწიფო შესყიდვები განვითარებულ ქვეყნებში

4.2.1 სახელმწიფო შესყიდვები ამერიკის შეერთებულ შტატებში

აშშ-ში შესყიდვები დეცენტრალიზებულია. სახელმწიფო შესყიდვების ფედერალური რეგულირების კანონი აშშ-ში პირველად 1792 წელს მიიღეს. ამ კანონით სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების უფლება ქვეყნის ფინანსთა და თავდაცვის სამინისტროებმა მიიღეს.

ამჟამად, აშშ ხელისუფლების ფედერალური ორგანოების საჭიროებებისთვის შესყიდვების განხორციელება საერთო მომსახურების სამმართველოს (General Servieses Administration) აქვს დავალებული. ცალკეული სამინისტროებიდან და უწყებებიდან მიღებული შეკვეთების საფუძველზე იგი იყენებს კონკურსულ შესყიდვებს (ძირითადად ტენდერებს) და მსხვილმასშტაბიან საბითუმო შესყიდვებს ახორციელებს.

ეროვნული თავდაცვის საჭიროებისთვის შესყიდვებს აშშ-ში თავდაცვის სამინისტრო (Department of Defense) ახორციელებს, სპეციალიზებულ შესყიდვებს ახორციელებენ აგრეთვე ზო-

გიერთი უწყებები, მაგალითად, ენერგეტიკის განვითარების და კვლევის სამმართველო, აერონავტიკის და კოსმიური სივრცის კვლევის ეროვნული მართვის სამმართველო და სხვები.

აშშ-ში ფედერალური შესყიდვების მონიტორინგი ფედერალური საშემსყიდველო პოლიტიკის სამმართველოს (Office of Federal Procurement Policy) აქვს დავალებული, ხოლო საშემსყიდველო საქმეში სამინისტროთაშორის კოორდინაციას ახორციელებს ფედერალური შესყიდვების რეგულირების საბჭო (Federal Acquisition Regulatory Council).

აშშ-ში სახელმწიფო შესყიდვებს არეგულირებს: „ფედერალური საჭიროებებისთვის სახელმწიფო შესყიდვების წესები" (Federal Acquisition Regulation – FAR) და აგრეთვე „თავდაცვის საჭიროებებისთვის შესყიდვების წესები" (Defense Federal Acquisition Regulation Supplement – DEARS). ამ დოკუმენტებში აშშ შესყიდვების სისტემა მეტად დეტალურად არის გაწერილი.

აშშ-ში სახელმწიფო შესყიდვებში ცალკეული კატეგორიის მიმწოდებელთა მონაწილეობის ქვოტების და პრეფერენციების მეტად მძლავრი მექანიზმი მოქმედებს. განსაკუთრებით დაცულია შემდეგი სფეროს მწარმოებელთა მონაწილეობა:

- მცირე ბიზნესი;
- საწარმოები, რომელთაც ხელმძღვანელობენ ქალები;
- ეროვნულ უმცირესობათა საწარმოები;
- მოზიდული ინვესტიციებით შექმნილი საწარმოები;
- პენიტენციალური სისტემის ორგანიზაციები (სასჯელაღსრულების დაწესებულებები).

4.2.2. სახელმწიფო შესყიდვები დიდ ბრიტანეთში

დიდ ბრიტანეთში სახელმწიფო შესყიდვების მთავარი მაკოორდინირებელი ორგანოა სახელმწიფო ხაზინა (Her Majesty's Treasury). დიდი ბრიტანეთის შესყიდვების პრაქტიკაში მეტად მიღებულია უფლებამოსილების და ფუნქციების დელეგირება. ეს ფაქტიურად არის სახელმწიფო შესყიდვების პრინციპი.

დიდ ბრიტანეთში შესყიდვები ცალკეული სამინისტროების პროგრამებია, რომლებშიც მოქმედებენ სპეციალიზებული დარგობრივი საშემსყიდველო სამსახურები. თითოეულ სამინისტროში შექმნილია საკონტრაქტო საქმიანობის დეპარტამენტი. მაგალითად, ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სისტემის უზრუნველყოფის სამსახური (National health service supplies) ყველა დონის სამედიცინო დაწესებულებებს უზრუნველყოფს მათთვის საჭირო ყველა საქონლით და მომსახურებით (ელექტროენერგიის და ბუნებრივი აირის ჩათვლით).

უკანასკნელ წლებში დიდ ბრიტანეთში აქტიური მუშაობა მიმდინარეობს ევროპის თანამეგობრობის მიერ შემუშავებული საშემსყიდველო პრინციპების და პროცედურების დანერგვისთვის. ამ მიზნით სპეციალური ორგანო - „Office of Government Commerce" - არის შექმნილი. დიდ ბრიტანეთში სახელმწიფო შესყიდვების სისტემას არეგულირებს „საშემსყიდველო პოლიტიკის სახელმძღვანელო" (Procurement Policy Guidelins).

4.2.3. სახელმწიფო შესყიდვები გერმანიაში

გერმანიაში შესყიდვების სისტემის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფო და კორპორაციულ შესყიდვების წესებს შორის არის მინიმალური განსხვავება, ფედერალური, რეგიონული და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები, აგრეთვე, მათ დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციები შესყიდვებში საბიუჯეტო სამართლით ხელმძღვანელობენ.

გერმანიაში შესყიდვების კონტროლი ფედერალურ სააღრიცხვო პალატას და ფედერალური მიწების შესაბამის საკონტროლო-სარევიზიო ორგანოებს აკისრიათ.

სახელმწიფო შესყიდვები ხორციელდება სამ ნორმატიულ დოკუმენტზე დაყრდნობით:

- მომსახურებაზე სახელმწიფო შეკვეთის დებულება (VOL) „ა" და „ბ" ნაწილები (1937 წლის 12 მაისის რედაქციით);

- სამშენებლო საქმეზე სახელმწიფო შეკვეთების დებულება (VOB) „ა“ და „ბ“ ნაწილები (1996 წლის 3 ივლისის რედაქციით);
- თავისუფალ პროფესიის პირთა მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების დებულება (VOF) (1997 წლის 12 მაისის დებულებით).

გერმანიაში სახელმწიფო შესყიდვებზე შეკვეთების განთავსება ღია ან დახურულ კონკურსებზე ხდება (გამონაკლის შემთხვევებში კონკურსების გამოცხადების გარეშეც). შესყიდვის პროცედურები გერმანიაში ჩვეულებრივისგან ცოტა განსხვავებულია. მაგალითად, მიმწოდებელთა სატენდერო წინადადებების გახსნას კონკურსის მონაწილეები (მხედველობაშია მიმწოდებლები) არ ესწრებიან. თვით ამ წინადადებების მოწოდების პროცესიც განსხვავებულია. კერძოდ, საკონკურსო კომისიაში შემოსული მიმწოდებელთა დახურულ კონვერტებში განთავსებული წინადადებები თანდართულ განცხადებასთან ერთად რეგისტრირდება და ინახება არა საკონკურსო კომისიაში, არამედ შუამავალთან. როცა საკონკურსო განაცხადების მიღების ვადა ამოიწურება, მაშინ კონვერტები იხსნება შემკვეთის და საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის თანდასწრებით.

იმისათვის რომ მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო შესყიდვებში ჩართვა უზრუნველყოფილი იყოს, გერმანიის კანონმდებლობა ითვალისწინებს მსხვილი შეკვეთების მცირე ლოტებად დაყოფას.

გერმანიაში შესყიდვის კონკურსის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება ფედერალურ სამთავრობო უწყებაში, დამატებით მისი განთავსება ხდება წამყვან ჟურნალ-გაზეთებშიც. მსხვილი შესყიდვების შესახებ ინფორმაცია იბეჭდება ევროკავშირის ბიულეტენშიც.

4.2.4. შესყიდვები ევროპის თანამეგობრობის კავშირში

ევროპის თანამეგობრობის კავშირში (EC) სახელმწიფო შესყიდვების წილი მასში შემავალი ქვეყნების მთლიან შიდა პროდუქტში დაახლოებით 11%-ს შეადგენს. აქედან 20% მომსახურეგაა, 45% - საქონელი (პროდუქცია) და 35% - სამუშაოები.

ევროკავშირში სახელმწიფო შესყიდვები რეგულირდება მთელი რიგი დირექტივებით, რომელთა რიცხვშია:

- საქონლის შესყიდვა - The Supplies Directive 93/36/EEC;
- მომსახურების შესყიდვა - The Services Directive 92/50/EEC;
- სამუშაოების შესყიდვა - The Works Directive 93/37/EEC
- სახელმწიფო შესყიდვების შესახებ შეთანხმება - Government Procurement (GPA) და რიგი სხვა (97/52 EC, 89/665/EEC, 87/95/EEC).

ზემოთ აღნიშნულ დირექტივებს შემდეგი პრინციპები უდევს საფუძვლად:

- დაგეგმილი შესყიდვების შესახებ ინფორმაციაზე თანაბარი წვდომა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში;
- ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის შესყიდვებში დისკრიმინაციის არ დაშვება (მ.შ. ტექნიკურ სპეციფიკაციებში);
- გამარჯვებულის გამოსავლენად და მასთან კონტრაქტის დადების უფლების მისანიჭებლად ობიექტური კრიტერიუმების გამოყენება.

შემკვეთების და მიმწოდებლების სამუშაოების უნიფიკაციისთვის ევროპის კავშირში შესყიდვების ერთიანი ლექსიკონი გამოიყენება. მისი ახალი ვერსია 2006 წლის 16 დეკემბერს შევიდა ძალაში.

4.2.5. სახელმწიფო შესყიდვები არგენტინასა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში (სლოვაკეთი)

არგენტინის სახელმწიფო შესყიდვების სისტემა ადგილობრივ მწარმოებელთა ინტერესების დაცვაზეა ორიენტირებული. ტენდერებში მათ 5-10% პრეფერენციები ეძლევათ.

ინფორმაცია შესყიდვებზე კონკურსის ჩატარების შესახებ ოფიციალურად ქვეყნდება 30-60 დღით ადრე. საკონკურსო დოკუმენტაციის ღირებულება 1000-2000 აშშ დოლარია, თუმცა, მისი წინასწარ უფასოდ გაცნობა ყველა დაინტერესებულ მიმწოდებელს შეუძლია.

აღმოსავლეთ ევროპის ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში ამ სფეროში შემდეგნაირი მდგომარეობაა: სლოვაკეთმა ერთ-ერთმა პირველმა მიიღო კანონი შესყიდვების შესახებ. შემდეგში, სლოვაკეთის ევროკავშირში გაწევრიანების მზადების პერიოდში ეს დოკუმენტი გადაკეთდა და მაქსიმალურად მიუახლოვდა ევროკავშირში შესყიდვების მარეგულირებელ დოკუმენტებს. ეს მოხდა 2000 წლის 1 იანვარს. ამჟამად, სახელმწიფო შესყიდვები სლოვაკეთში რეგულირდება №263/1999 Corpus Juris დადგენილებით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

შესყიდვებზე კონტროლს ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვების ოფისი.

4.2.6. შესყიდვები მსოფლიო ბანკის პროექტებით

მსოფლიო ბანკი ყოველწლიურად თავისი პროექტების შესრულებისთვის 20-25 მლრდ. დოლარზე მეტს გამოყოფს. ამ თანხის დიდი ნაწილი საქონლის, საკონსულტაციო მომსახურების და სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე იხარჯება. მსოფლიო ბანკის პროექტების შესასრულებლად წელიწადში კომერციულ სტრუქტურებთან 40 ათასზე მეტი კონტრაქტი იდება. თითოეული კონტრაქტის ღირებულება რამდენიმე ათასიდან რამდენიმე ათეულ მილიონ დოლარამდე მერყეობს.

იმის მიუხედავად თუ სად ხდება პროექტის რეალიზაცია მსოფლიო ბანკის შესყიდვების წესი ყველგან ერთნაირია და საკმაოდ ნათლად არის გადმოცემული მის ნორმატიულ და მეთოდურ დოკუმენტებში. ასეთებია: „IBRD"[10]-ის სესხებით და „IDA"[11]-ის კრედიტებით განხორციელებული შესყიდვების სახელმძღვანელო „მსოფლიო ბანკის მსესხებლების მიერ კონსულტანტების გამოყენების სახელმძღვანელო". პირველი ასრულებს საქონლის შესყიდვას, მეორე - მომსახურების შესყიდვას.

4.2.6.1. მსოფლიო ბანკის ჯგუფები

მსოფლიო ბანკის ჯგუფი მოიცავს:

- რეკონსტრუქციის და განვითარების საერთაშორისო ბანკს (IBRD);
- განვითარების საერთაშორისო ასოციაციას (IDA);
- საერთაშორისო ფინანსურ კორპორაციას (IFC);
- ინვესტიციების გარანტირების მრავალმხრივ სააგენტოს (MIGA);
- საინვესტიციო დავების მარეგულირებელ საერთაშორისო ცენტრს (ICSID).

4.2.6.2. მსოფლიო ბანკის შესყიდვების პროცედურები

მსოფლიო ბანკის პროექტების პირობებში შესყიდვები საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობით (MK, ICB) ხორციელდება. მის შესახებ ინფორმაცია ვრცელდება „Development Business" ოფიციალურ გამოცემაში და აგრეთვე, იმ ქვეყნის ეროვნულ ბეჭდურ მედიაში, რომელ ქვეყანაშიც ეს პროექტი ხორციელდება.

---

[10] რეკონსტრუქციის და განვითარების საერთაშორისო ბანკი

[11] განვითარების საერთაშორისო ასოციაცია

რთული პროექტებისთვის საჭირო საქონლის შესყიდვებზე მსოფლიო ბანკი მიმწოდებელთა წინასწარ საკვალიფიკაციო გადარჩევას ახდენს, აგრეთვე იყენებს ორეტაპიან პროცედურებს.

წინასაკვალიფიკაციო გადარჩევების შესახებ სახელმძღვანელოს წინა თავებში ვისაუბრეთ. როგორც უკვე აღინიშნა, ეს არის მიმწოდებლების შესაძლებლობების შეფასების პროცესი. ამ პროცესში ფასდება მათი გამოცდილება ამ სფეროში, რესურსები, კადრების კომპეტენცია, ფინანსური მდგომარეობა, საწარმოს სიმძლავრეები და სხვა მრავალი. რაც შეეხება ორეტაპიან ვაჭრობას: პირველ ეტაპზე მიმწოდებლები საკონკურსო კომისიას წარუდგენენ ტექნიკურ შეთავაზებას ფასის მითითების გარეშე, მეორე ეტაპზე კი წარუდგენენ დაზუსტებულ და საბოლოოდ გაფორმებულ ტექნიკურ წინადადებას ფასთან ერთად.

მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებულ პროექტებში არის შემთხვევები, როცა არ არის მიზანშეწონილი შესყიდვებზე საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობების ჩატარება. ასეთ შემთხვევაში მსოფლიო ბანკი შემკვეთს აძლევს უფლებას გამოიყენოს სხვა პროცედურები, კერძოდ:

- შეზღუდული საერთაშორისო ვაჭრობა;
- ეროვნული საკონკურსო ვაჭრობა;
- თავისუფალი შესყიდვა;
- კონტრაქტის პირდაპირი გაფორმება.

საქონლის შესყიდვის ტენდერებზე მხედველობაში მიიღება:

- საქონლის ფასი და გადაზიდვის ხარჯები;
- ანგარიშსწორების გრაფიკი;
- მოწოდების გრაფიკი;
- საექსპლუატაციო დანახარჯები;
- პერსონალის კომპეტენცია;
- უსაფრთხოების ტექნიკის მოთხოვნების დაცულობა.

მსოფლიო ბანკის პროექტებში საქონლის შესყიდვა ხორციელდება უმცირესი შეფასებითი ღირებულების მეთოდით, ხოლო მომსახურების შესყიდვა - ექსპერტულ-ბალური მეთოდით. რაც შეეხება წონით კოეფიციენტებს, საქონლის შესყიდვისას მსოფლიო ბანკი მათი გამოყენების საშუალებას 0,6-0,9-ის, ხო-

ლო მომსახურების შესყიდვისას 0,1-0,3-ის დიაპაზონში იძლევა. სხვადასხვა საქონელზე დაწესებულია სხვადასხვა ფასისა და ხარისხის თანაშეფარდებები. მაგალითად, ინფორმაციულ-გამოთვლითი სისტემების შესყიდვისას სტანდარტულ მოწყობილობაზე ფასის ხარისხთან შესაბამისობა 9:1-თან, ხოლო რთულ ინფორმაციულ სისტემებზე 1:1-თან არის დადგენილი.

კონკურსში გამარჯვებულს მასთან კონტრაქტის დადებისას ევალება საკონკურსო დოკუმენტაციაში მოცემული ფორმით წარმოადგინოს კონტრაქტის შესრულების გარანტია, ან/და ბანკის გარანტია.

კონტრაქტის ანაზღაურება ხდება იმ ვალუტაში, რომელშიც კონკურსში გამარჯვებული მიმწოდებლის წინადადების ფასი იყო გამოხატული.

რაც შეეხება მსოფლიო ბანკის პროექტებით განხორციელებულ საკონსულტაციო მომსახურეობის შესყიდვებს. აქ მთავარი არის არა ფასი, არამედ ხარისხი.

საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვას მსოფლიო ბანკი ახორციელებს შემდეგ მეთოდებით:

- **შერჩევა მომსახურების ხარისხით და ფასით (QCBS)**. ამ მეთოდით წარმოდგენილი საკონსულტაციო მომსახურების წინადადებები ორ ეტაპად ფასდება. პირველ ეტაპზე შეფასდება მომსახურების ხარისხი, მეორე ეტაპზე - მისი ფასი. ხარისხის შეფასების დროს ფასდება კონსულტანტის გამოცდილება, მის მიერ შემოთავაზებული მეთოდიკა, პერსონალის კვალიფიკაცია, ცოდნის გადაცემის მეთოდი და ამ საქმეში ადგილობრივი მოქალაქეების ჩართულობა. ჩამოთვლილთაგან პირველ ფაქტორს ეძლევა 5-დან 10 ქულამდე, მეორეს - 20-დან 50-მდე, მესამეს - 30-დან 60-მდე, მეოთხეს - 0-დან 10 ქულამდე, მეხუთეს - 0-დან 10 ქულამდე. ქულათა ჯამი უნდა იყოს 100. ამის შემდეგ ხდება მომსახურების ფასის შეფასებაც. იმარჯვებს წინადადება, რომელშიც კონსულტანტი სხვა წარმოდგენილ წინადადებებთან შედარებით დაბალ ფასს წარადგენს. იგი იღებს 100

ქულას. ამის შემდეგ იწყება ხარისხის და ფასის ქულების შეწონვა და შეჯამება. გამოიყენება შეფარდება „სამი შვიდთან“, თუ ფასის „წონა“ 30 ქულაა, ხოლო ხარისხის მაჩვენებლის „წონა“ კი 70 ქულაა (ჯამში 100). იმარჯვებს ის პრეტენდენტი, რომელიც დააგროვებს ყველაზე მეტ ქულას;

- **შერჩევა მომსახურების ხარისხით (QBS).** იგი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა დავალება რთულია და მისი მატერიალურ-ტექნიკური დანახარჯების განსაზღვრა შეუძლებელია. აგრეთვე ისეთი ტიპის დავალებების შემთხვევაში, რომელთა მიზანი არის ყველაზე საუკეთესო საექსპერტო მომსახურების მიღება, ისეთი ტიპის დავალებებზე, რომელთა შესრულება მრავალი სხვადასხვა მეთოდით შეიძლება, რაც არ იძლევა წინადადებების შედარების შესაძლებლობას;
- **შერჩევა ფიქსირებული ბიუჯეტის პირობებში (EBS).** გამოიყენება მარტივი დავალებისთვის, რომელთაც ფიქსირებული ბიუჯეტი აქვთ;
- **შერჩევა უმცირესი ღირებულებით (LCS)** (გამოიყენება ტიპიური დავალებების შესასრულებლად ექსპერტების არჩევისას);
- **შერჩევა კონსულტანტების კვალიფიკაციის მიხედვით (SBCQ).** გამოიყენება არადიდი დავალებების შესრულებისას, როცა კონკრეტული წინადადებების მომზადება და შეფასება არ არის სავალდებულო;
- **კონკურსგარეშე შერჩევა (SSS)** გამოიყენება გამონაკლის შემთხვევაში, როცა მას კონკურსით შერჩევასთან შედარებით დიდი უპირატესობა აქვს (ეს ხდება ადრე დაწყებულ სამუშაოთა გაგრძელების შემთხვევებში, საგანგებო სიტუაციებში და სხვა).

მსოფლიო ბანკის პროექტებით საკონსულტაციო მომსახურების ყიდვის კონკურსებში ხუთი ტიპის კონტრაქტი გამოიყენება:

1. **კონტრაქტი ფიქსირებული ფასით** (გამოიყენება იმ მომსახურებაზე, რომელთა შინაარსი, ხანგრძლივობა და საბოლოო შედეგის განსაზღვრა წინასწარ მარტივია);
2. **კონტრაქტი დროითი ანაზღაურებით** (გამოიყენება მაშინ, როცა შემოთავაზებული საკონსულტაციო მომსახურების მოცულობისა და ხანგრძლივობის განსაზღვრა რთულია);
3. **კონტრაქტი, რომელიც ითვალისწინებს ჰონორარს წარმატებული მომსახურებისთვის;**
4. **კონტრაქტი პროცენტული ანაზღაურებით** (გამოიყენება არქიტექტურულ დავალებების კონსულტირებაზე);
5. **კონტრაქტი მომსახურების განუსაზღვრელი ვადის პირობებში** (გამოიყენება იმ შემთხვევებში, როცა შემკვეთმა წინასწარ არ იცის როდის დასჭირდება საკონსულტაციო მომსახურება).

4.3. შესყიდვები ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პროექტებით

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) არის ორგანიზაცია, რომელიც ფინანსურად და მეთოდურად ეხმარება ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლაში.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს მსოფლიო ბანკის მსგავსად, შესყიდვების კონკურსებში რაიმე შეზღუდვები არა აქვს დაწესებული.

რეკონსტრუქციის და განვითარების ევროპის ბანკის პროექტებით შესყიდვების განხორციელების წესები მოცემულია დოკუმენტში - „ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტებისთვის საქონლისა და მომსახურების შესყიდვის პრინციპები და წესები". აღნიშნული დოკუმენტი 5 განყოფილებისგან შედგება. ეს განყოფილებებია:

1. შესავალი (აღწერილია შესყიდვების სფეროში ბანკის პოლიტიკა).
2. პრინციპები და მოსაზრებები.
3. სახელმწიფო სექტორის ოპერაციებისთვის საჭირო საქონლის და მომსახურების შესყიდვის წესები (შესყიდვა ხდება მხოლოდ კონკურსით).
4. კერძო სექტორში საჭირო საქონლის და მომსახურების შესყიდვის წესები (კონკურსული ვაჭრობა არ არის სავალდებულო).
5. კონსულტანტების მომსახურების შესყიდვა.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პროექტებში შესყიდვები მსოფლიო ბანკის ანალოგიური პრინციპებით ხორციელდება (გამჭვირვალობა, სამართლიანობა, ეფექტიანობა და სხვა).

სახელმწიფო სექტორში 200 000 ევროს ღირებულების საქონელი და მომსახურება, ხოლო 5 000 000 ევროს ღირებულების სამუშაოს შესყიდვა აუცილებლად ღია საკონკურსო ვაჭრობით ხორციელდება. შესყიდვების ხელოვნური დაყოფა ლოტებად ამ წესის დარღვევად ითვლება და იკრძალება.

თუ კონსულტანტი ფიზიკური პირია და მის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება 50 000 ევროზე მეტია, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში 200 000 ევროზე მეტია მაშინ საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა ხდება პირდაპირი შესყიდვის გზით, ერთ პირთან მოლაპარაკებით.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი შესყიდვებს აცხადებს თავის ბიულეტენში - „Procurement Opportunities“ და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბიულეტენში - „Development Business“ შესყიდვების დაწყებამდე 45 დღით ადრე (რთულ სამშენებლო სამუშაოთა შესყიდვაზე 90 დღით ადრე). ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი საქონლის და მომსახურების შესყიდვისას იყენებს როგორც ღია საერთაშორისო, ისე ადგილობრივი ვაჭრობის, ორეტაპიანი ვაჭრობის, დახურული ვაჭრობის, ერთი წყაროდან შესყიდვის და სხვათა პროცედურებს.

საკონტროლო კითხვები:

- რომელი ორი ფაქტორი განაპირობებს საერთაშორისო შესყიდვების საჭიროებას?
- რა სიძნელეებს ვხვდებით საერთაშორისო შესყიდვებში?
- ჩამოთვალეთ ცენტრალიზებული წესით საერთაშორისო შესყიდვების უპირატესობები.
- როგორია საერთაშორისო შესყიდვების საკანონმდებლო უზრუნველყოფა?
- დაახასიათეთ შესყიდვები აშშ-ში.
- დაახასიათეთ შესყიდვები დიდ ბრიტანეთში.
- დაახასიათეთ შესყიდვები გერმანიაში.
- დაახასიათეთ შესყიდვები ევროკავშირში.

თავი 5. შესყიდვების ლოგისტიკა

5.1. შესყიდვების ლოგისტიკის არსი

შესყიდვების ლოგისტიკა ეს არის მატერიალური რესურსებით საწარმოთა უზრუნველყოფის, მათი დასაწყობების, შენახვის და საჭირო დროს წარმოებისთვის მიწოდების პროცესი.[12] სხვა მეცნიერთა განმარტებით ეს არის საქონლის, მომსახურების და სამუშაოების შესყიდვის და მიწოდების მთელი ჯაჭვის ერთობლიობა.[13]

მაშასადამე, თუ შესყიდვა მხოლოდ შესყიდვის მიმწოდებლებიდან მოწოდებული პროდუქციის შესყიდვის პროცესს ასახავს, მისი ლოგისტიკა იწყება შესყიდვამდე ადრე - მიმწოდებლების მოძებნა, მათი შესაძლებლობების შეფასება, ტენდერზე დაშვება და ა.შ. - და მთავრდება შესყიდული საქონლის საწყობებში განთავსებით და საჭირო დროს და საჭირო ადგილზე ეტაპობრივი მიწოდებით.

საშემსყიდველო საქმიანობის ჩატარება ლოგისტიკური მიდგომით გაცილებით უფრო ეფექტურია, ვიდრე ტრადიციული მიდგომით. ეს კარგად ჩანს ცხრილში 5.

ცხრილი 5

ტრადიციული და ლოგისტიკური მიდგომებით შესყიდვების ურთიერთშედარება[14]

№	შედარების მახასიათებლები	ტრადიციული მიდგომა	ლოგისტიკური მიდგომა
1	ხელშეკრულების დადების მიზნები	მაქსიმალურად დაბალი ფასები, ერთჯერადი შესყიდვები	გრძელვადიანი ხელშეკრულებები, მოწოდების მაღალი ხარისხი, ოპტიმალური ფასები

[12] Лизакова Р., Закупочная логистика, Гомель, 2013, გვ. 5.

[13] Крылова М., Закупочная и распределительная логистика в книжном деле, М., 2011, გვ. 7.

[14] Долов А., Козлов В. и др., Логистический менеджмент фирмы, М., «Бизнес-пресса», 2005, გვ. 69.

2	მიმწოდებლის ამორჩევის ძირითადი კრიტერ.-ბი	დაბალი ფასი, მოწოდების მისაღები პირობები და მისაღები ხარისხი	მოწოდების საიმედოობა, პროდუქციის მაღალი ხარისხი
3	მიმწოდებელთა რაოდ.-ბა	შესაძლებელია მრავალი წყაროდან მოწოდება	ერთადერთი მიმწოდებელი ხანგრძლივი ხელშეკრულებით
4	მოწოდების პარამეტრები	დიდი მოცულობის პარტიები, დაბალი სიხშირის მოწოდებები	ხშირი მოწოდებები, მცირე ზომის პარტიები
5	ტრანსპორტირების ორგანიზება	მოწოდების გრაფიკს ადგენს მიმწოდებელი, საქონლის გადაგზავნა კონტროლდება	მოწოდების გრაფიკს ადგენს შემკვეთი (შემსყიდველი). კონტროლდება მოწოდების საიმედოობა
6	საქონლის ნაკადის შემოსვლის კონტროლი (მიღების კონტროლი)	მიღებას აკონტროლებს შემსყიდველი	მიღების კონტროლი უგულებელყოფილია, თუ მიმწოდებლიდან შემსყიდველს საქონლის ხარისხის გარანტია აქვს მიცემული
7	შეკვეთების გაფორმება	მოითხოვს დროს და სხვადასხვა შეთანხმებებს, მოწოდების პარამეტრების შეცვლის შემთხვევაში საჭირო ხდება ახალი შეკვეთის გაკეთება	შეკვეთის დროის და ზომის შეთანხმება ოპერატიულად ხდება. ამისთვის გამოიყენება კომპიუტერული ქსელი
8	საქონლის შეფუთვა	თითოეული საქონლის შეფუთვა ინდივიდუალურია	შეფუთვა უნიფიცირებული და სტანდარტიზებულია

გამომდინარე იქიდან, რომ შესყიდვების ლოგისტიკური მიდგომით განხორციელებას ტრადიციულ მიდგომასთან შედარებით მეტი უპირატესობა აქვს, იგი მე-20 საუკუნის დასაწყისიდან ფართოდ გავრცელდა საწარმოთა მომარაგებაში.

შესყიდვების ლოგისტიკა იწყება შესყიდვების წინამოსამზადებელი სამუშაოებით და მთავრდება საწყობებში ტვირთის დამუშავების და წარმოებაში მიწოდების ეტაპით. ასე რომ, შესყიდვების ლოგისტიკა არის მთელი ლოგისტიკის ჯაჭვის პირ-

ველი რგოლი. თუ ამ რგოლში მატერიალური რესურსის ნაკადი სწორად არ წარიმართა, ბუნებრივია დარღვევები იქნება შემდეგ რგოლებშიც.

შესყიდვების ლოგისტიკა გვიჩვენებს შემომავალ მატერიალურ ნაკადებს, მიმწოდებლებიდან მიღებული მასალების, ნედლეულის, პროდუქციის, დეტალების, მოწყობილობის და სხვათა მოძრაობას. მოცემულ თავში ჩვენ ვისაუბრებთ არა ზოგადად ლოგისტიკაზე, არამედ, მხოლოდ შესყიდვების ლოგისტიკაზე.

აღსანიშნავია, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში შეიცვალა საწარმო სუბიექტების უზრუნველყოფის ხასიათი: ხისტად ცენტრალიზებული, საფონდო მომარაგებიდან - მატერიალური რესურსებით თავისუფალ საბითუმო ვაჭრობაზე, ამ პროცესმა აუცილებელი გახადა მომარაგების ქვედანაყოფების, საწარმოთა მუშაობის ახალი ფორმებისა და მეთოდების შემუშავება, მატერიალური რესურსების მიმწოდებლებთან, პრინციპულად ახალი და ამასთანავე ისეთი სტრატეგიული და ტაქტიკური ამოცანების გადაჭრა, რომლებიც მიეკუთვნებიან ლოგისტიკის პროგროგატივას. გამომდინარე აქედან ზოგადად თანამედროვე, საბაზრო პრინციპებზე აგებული ლოგისტიკა, როგორც ცნება საკმაოდ სიახლეა პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის განსხვავებით დასავლეთის განვითარებული ქვეყნებისგან, სადაც საბაზრო ურთიერთობათა პირობებში შემკვეთი ფირმების უზრუნველყოფამ მატერიალური რესურსების საჭირო სახეებით, აქტიურად დაამკვიდრა ისეთი ტერმინები, როგორებიცაა „Purchasing“ და „Procurement“ რომელთა ქვეშ ზოგადად მოიაზრება შესყიდვების მენეჯმენტი. ზოგიერთი მეცნიერი და პრაქტიკოსი თვლის, რომ ტერმინი „Purchasing“ მიეკუთვნება მხოლოდ შეძენის პროცესს (საქონლის ან/და მომსახურების), მიმწოდებლის ძიებას და მოლაპარაკების წარმოებას ფასის, ან/და კონტრაქტის სხვა ძირითადი პირობების შესახებ, მიწოდებათა პირობების უზრუნველყოფის შემდგომ მოქმედებებს.

თანამედროვე ლოგისტიკის თეორიაში ტერმინები - შეძენა (Purchasing), მიწოდების მართვა (Supply management) და შესყიდვა/მომარაგება (Procurement) ითვლება ურთიერთშემცვლელად (სინონიმებად). აღსანიშნავია, რომ შესყიდვებისა და მიწოდებათა მართვის ასეთი გაიგივება დაკავშირებულია მომარაგების პროცესის სტანდარტულ ეტაპებთან:

1. მოთხოვნილებათა გამოვლენა;
2. პოტენციური მიმწოდებლების მოძიება;
3. მიწოდების შესაბამისი წყაროს შერჩევა;
4. შეთანხმების დადება შეკვეთის ან კონტრაქტის დეტალების შესახებ;
5. საქონლის ან მომსახურების მიღება;
6. მიმწოდებლებთან ანგარიშსწორება.

შესყიდვების განყოფილების დამატებითი ფუნქციები, რომელსაც ასევე განიხილავენ მომარაგების კონტექსტშიც, შემდეგია:

- მასალების მიღება, შემოწმება, შენახვა, ტვირთგადამუშავება;
- სამუშაოთა გრაფიკების შედგენა, შიდა და გარე სატრანსპორტო ნაკადები და ნარჩენების გადამუშავება.

შესყიდვის ფუნქციამ აგრეთვე შეიძლება უზრუნველყოს ურთიერთქმედება მიწოდებათა ჯაჭვის სხვა მონაწილეებთან: შემკვეთ ორგანიზაციებთან, მათ ქვეკონტრაქტორებთან (მცირე დონის შემკვეთებთან) და რომლებიც ემსახურებიან მათ მიმწოდებლებს (მცირე დონის მიმწოდებლები). ასეთი გაფართოებული ურთიერთქმედება გამოიხატება ტერმინით - მიწოდებათა ჯაჭვების მართვა (Supply chain management). აქ ყურადღება ეთმობა დანახარჯების მართვას და მიმწოდებელთა გავლით პროდუქციის გაცვლის სიჩქარეს ჯაჭვში ბოლო მომხმარებლების ინტერესების გათვალისწინებით. იდეა მდგომარეობს იმაში, რომ კონკურენცია მაღლდება ცალკეული კომპანიების დონიდან მიწოდებათა ჯაჭვის დონემდე, რაც გამოხატავს კონკურენციის ევოლუციის მეორე ეტაპის არსს.

ტერმინები „შეძენა“ (Purchaising) და „შესყიდვა/მომარაგება“ (Procurement) როგორც აღვნიშნეთ, ითვლება სინონიმებად. თუმცა, ისინი განსხვავდებიან გამოყენების სახეების მიხედვით. ტერმინი „შეძენა“ ფაქტიურად მიეკუთვნება მატერიალური რესურსების ფაქტიურ შესყიდვებს და შესყიდვის პროცესებთან დაკავშირებულ საქმიანობის სახეებს. დროთა განმავლობაში შესყიდვები გადადის მომარაგების პროცესში, რომელიც ჩართულია მიწოდებათა ჯაჭვში. მომარაგების თვალსაზრისით საქმიანობის ეს სახეები განიხილება როგორც პროცესზე და ისე სტრატეგიაზე ორიენტირებულად თვით მომარაგების პროცესი ნაკლებად და დამოკიდებული ცალკეულ ტრანზაქციებზე და დიდწილად არის დამოკიდებული კარგი საინფორმაციო სისტემების არსებობაზე. იგი ძირითად აქცენტს აკეთებს ნაკლები რიცხვის მიმწოდებლებზე.

მომარაგების ძირითად მიზნებს მიეკუთვნება:

1. უზრუნველყოფილ იქნეს მატერიალური რესურსების, სახარჯავი მასალებისა და მომსახურებათა უწყვეტი ნაკადი, რომელიც საჭიროა შემკვეთი ორგანიზაციის საქმიანობისათვის;
2. უზრუნველყოფილ იქნეს პროდუქციის მაღალი ხარისხი და მიღწეულ იქნეს ხარისხის მუდმივი კონტროლი;
3. დამყარდეს და განვითარდეს კავშირები კომპეტენტურ მიმწოდებლებთან;
4. სტანდარტიზებულ იქნეს შესასყიდი კომპონენტები იქ, სადაც ეს შესაძლებელია;
5. შესყიდულ იქნეს მოთხოვნილი საქონელი და მომსახურება მინიმალური დანახარჯებით;
6. გამყარდეს ორგანიზაციის კონკურენტული უპირატესობა;
7. მიღწეულ იქნეს ორგანიზაციის ჰარმონიული და ნაყოფიერი სამუშაო ურთიერთობა ორგანიზაციის სხვადასხვა ფუნქციონალურ განყოფილებებთან.
8. მოხერხდეს შესყიდვების მიზნების მიღწევა მინიმალური დანახარჯებით.

ორგანიზაციისათვის შესყიდვების განყოფილებას აქვს სტრ-ტეგიული მნიშვნელობა. სწორედ შესყიდვების განყოფილება ეხ-მარება ორგანიზაციას როგორც საერთო მიზნების ასევე სტრატე-გიული წარმატების მიღწევაში.

მიმწოდებლის ბაზართან გარე კონტაქტების მეშვეობით შე-მკვეთის შესყიდვების განყოფილებამ შეიძლება მიიღოს მნიშვ-ნელოვანი ინფორმაცია ახალი ტექნოლოგიების, ახალი მასალე-ბის, მომსახურების მიწოდებათა ახალი წყაროებისა და საბაზ-რო პირობების ცვლილებათა შესახებ. აწოდებს რა მსგავს ინფო-რმაციას სხვა ქვედანაყოფებს, შესყიდვების განყოფილება ეხმა-რება შემკვეთს მოახდინოს მისი სტრატეგიული გეგმების კო-რექცია ბაზრის ახალ შესაძლებლობათა გათვალისინებით.

გარდა ძირითადი შესყიდვების ფუნქციებისა, რომელიც გა-ვლენას ახდენს შემკვეთ კომპანიის უნარზე, მიაღწიოს თავის ფუნქციებს, არსებობს სხვა დამატებითიც - მიმწოდებლების შე-რჩევა, მათი უნარის შეფასება და მუდმივი მართვა, ხარისხის მართვა, შესყიდვების საქმიანობის მართვა და ამ სფეროში გა-მოკვლევების ჩატარება.

კერძო შესყიდვების და მომარაგების სფეროში საქმიანობის ყველა სახე ერთიანდება შესყიდვების ლოგისტიკური მენეჯმე-ნტის სახით. შესყიდვების ლოგისტიკური მენეჯმენტის ძირი-თად მიზანს წარმოადგენს შემკვეთი კომპანიის საწარმოო ქვე-დანაყოფების უზრუნველყოფა საიმედო და მაღალი ხარისხის მატერიალური რესურსებით, რომელიც აუცილებელია საწარ-მოო გეგმის შესასრულებლად. საწარმოო გეგმა ჩამოყალიბებ-ულ უნდა იქნეს მზა პროდუქციის გასაღების ბაზარზე ფირმის მარკეტინგულ-ლოგისტიკური სტრატეგიის შესაბამისად, რი-თაც მიიღწევა ბაზისური ლოგისტიკური აქტივობების ინტეგ-რაცია. ამ მიზნის მიღწევა შეიძლება შესრულებულ იქნეს რესუ-რსების სხვადასხვა დანახარჯებით. ამიტომ ლოგისტიკური

მენეჯმენტის წინაშე წარმოიშვება ხარჯის ოპტიმიზაციის პრობლემები.[15]

ლოგისტიკის უცხოელი სპეციალისტები შესყიდვების მართვას განიხილავენ, როგორც „შებრუნებულ დისტრიბუციას", იმის გათვალისწინებით, რომ ორივე სფეროში რეალიზდება ერთი და იგივე ლოგისტიკური აქტივობები: შეკვეთები, ტრანსპორტირება, ტვირთგადამუშავების პროცედურები, მარაგების მართვა, დასაწყობება და სხვა. მიუხედავად მსგავსებისა, არსებობს პრინციპული განსხვავებანი, რომლებიც დაკავშირებულია, უპირველეს ყოვლისა, საკვანძო ლოგისტიკური აქტივობების სხვადასხვა შინაარსთან და სხვადასხვა დანიშნულებით მართვასთან.

განვითარებული ქვეყნების მწარმოებელ კომპანიებში შესყიდვების მართვასთან დაკავშირებული ლოგისტიკური აქტივობების ტიპიური ნაკრების დახასიათება წარმოდგენილია ცხრილში №6.

ცხრილი 6

ლოგისტიკური აქტივობების ნაკრები შესყიდვების მართვაში[16]

დასახელება	მოკლე დახასიათება
მოთხოვნილებათა იდენტიფიკაცია და გადაფასება	შესყიდვების მენეჯმენტი იწყება მომარაგების ტრანზაქციის განსაზღვრით, რომლებიც დადგენილი უნდა იქნეს შესყიდვის განყოფილებისა და ფირმის კონკრეტულ მომხმარებელ ქვედანაყოფის მიერ.
მომხმარებელთა მოთხოვნების განსაზღვრა და შეფასება	როგორც კი განისაზღვრება რესურსის შიდა საფირმო მომხმარებლები და ნომენკლატურა, დადგენილი უნდა იქნეს ნომენკლატურის თითოეულ პოზიციაზე წონის, ზომებისა, მიწოდებებისა, გეგმებისა და სპეციფიკაციებისადმი მოთხოვნები, ან მატერიალური რესურსების განსაზღვრული ნომენკლატურული ჯგუფებისადმი წაყენებული მოთხოვნები. გარდა ამისა

[15] ბოცვაძე ლ. ერაძე კ. და სხვები, ლოგისტიკური მენეჯმენტი და მოდელირება, თბ., 2010, გვ. 309.

[16] ბოცვაძე ლ. ერაძე კ. და სხვები, ლოგისტიკური მენეჯმენტი და მოდელირება, თბ., 2010, გვ. 310.

	დადგენილ უნდა იქნეს მომხმარებლებისადმი წაყენებული მოთხოვნები რომლებიც განსაზღვრავენ მიწოდებათა სერვისს.
გადაწყვეტილება „გავაკეთოთ თუ ვიყიდოთ“	ვიდრე განვსაზღვრავდეთ შესაძლო მიმწოდებლებს, საჭიროა გადავწყვიტოთ საკითხი: ხომ არ იქნება მომგებიანი თვით ფირმისათვის ვაწარმოოთ მატერიალური რესურსების განსაზღვრული სახე (მაგ., ავტომობილების, კომპიუტერების რთული დეტალების წარმოება), ვიდრე ვიყიდოთ ისინი სხვებისგან. ამ შემთხვევაში საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად ჩვეულებრივად ფასდება შესაბამისი დანახარჯები და ხარისხის მიღწევადი დონე.
შესყიდვების ტიპების განსაზღვრა	ამ ეტაპზე ხდება განსაზღვრა თუ რა ტიპის შესყიდვის ფორმა იქნეს გამოყენებული. (ხვადასხვა ტიპის კონკურსი, ტენდერი თუ სხვა).
ბაზრის ქცევის ანალიზი	მიმწოდებლები შეიძლება ფუნქციონირებდნენ სხვადასხვა საბაზრო გარემოში - მონოპოლისტური, ოლიგოპოლისტური, მაღალკონკურენტული. მიმწოდებლების ბაზრების ცოდნა და ანალიზი ფირმის ლოგისტიკურ პერსონალს ეხმარება განსაზღვროს შესაძლო მიმწოდებლების რაოდენობა, პოზიციები ბაზარზე და სხვა ფაქტორები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს სწორედ დავგეგმოთ შესყიდვების ორგანიზება.
ყველა შესაძლო მიმწოდებლის იდიენტიფიკაცია	ეს ლოგისტიკური აქტივობა მოიცავს ყველა შესაძლო მიმწოდებლის განსაზღვრას, რომლებსაც შეუძლიათ დააკმაყოფილონ შემკვეთი კომპანიის მოთხოვნა.
ყველა შესაძლო წყაროს წინასწარი შეფასება	შესასყიდი მატერიალური რესურსის შესაძლო წყაროების წინასწარი შეფასება მდგომარეობს მიმწოდებლების მიერ შემოთავაზებულ მატერიალური და სერვისის ხარისხის შედარებაში შემკვეთის შიდა საფირმო მომხმარებლების მოთხოვნილებასთან. ასეთი შედარება უნდა იქნეს ჩატარებული როგორც საწარმოო, ისე ლოგისტიკური მენეჯმენტის ექსპერტის მიერ.

შესყიდვების მართვაში გამოყენებული ტიპიური ლოგისტიკური აქტივობები უმჯობესია თუ გაერთიანებულ იქნებიან კავშირების ერთიანი პოლიტიკით, ასეთი პოლიტიკა განისაზღვრება ფირმის მიერ გამოყენებული ლოგისტიკური კონცეფციით. ასეთი კონცეფციების გამოყენების დროს საჭიროა გრძე-

ლვადიანი პარტნიორული კავშირების დამყარება საიმედო მიმწოდებლებთან, რომლებიც განახორციელებენ მცირე მოცულობით საქონლის ხშირ მიწოდებებს.

შესყიდვების ლოგისტიკური მენეჯმენტის ამოცანების გადაჭრისას მთავარი ყურადღება დათმობილი უნდა ჰქონდეს საერთო დანახარჯების შემცირებას, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ამ საკვანძო აქტივობასთან. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც დანახარჯები შესყიდვების მართვაზე სხვადასხვა დარგების მიხედვით განვითარებულ ქვეყნების მზა პროდუქციის თვითღირებულებაში შეადგენს 40-60%. შესყიდვებთან დაკავშირებულ დანახარჯებში ყველაზე დიდ ხვედრით წილს ბუნებრივია იკავებს საქონლის ფასი ასევე დანახარჯები ტრანსპორტირებაზე და საქონლის მარაგების მართვაზე (დასაწყობება, ტვირთგადამუშავება, შენახვა და სხვ.).

დანახარჯების ამ მდგენელების შემცირებისათვის საჭიროა შემკვეთი ფირმის ლოგისტიკური მენეჯმენტის მიზანმიმართული პოლიტიკა. იგი მოიცავს ღონისძიებათა კომპლექსს, რომელთა შორის აღსანიშნავია:

- შემკვეთი ფირმის საწარმოო ქვედანაყოფებისათვის საქონლის ხარჯვის მოთხოვნისა და ნორმირების დაგეგმვის სრულყოფა;
- „საწარმოო წუნი"-საგან გამოწვეული დანაკარგების (პოლიტიკა „ნულოვანი დეფექტები") და მიმწოდებლებისაგან საქონლის მოწოდების დროს მატერიალური რესურსების დაზიანების აღმოფხვრა;
- წარმოების ნარჩენების მაქსიმალური შემცირება და საქონლის ეფექტური გამოყენება;
- შეძლებისდაგვარად, მატერიალური რესურსების ტრანსპორტირების დროს შუალედური დასაწყობების გამორიცხვა მიმწოდებლებისაგან;

- მიმწოდებლებისგან საქონლის ტრანსპორტირება, რაც შეიძლება დიდი პარტიებით სატრანსპორტო საშუალებათა ტვირთამწეობის მაქსიმალური გამოყენებით და მინიმალური ტარიფებით.

კომპანიაში საქონლის მართვის საერთო სტრატეგია ძირითადად ყალიბდება ფინანსური, ოპერაციული და ლოგისტიკური მენეჯმენტის პრიორიტეტებისა და ურთიერთქმედების გათვალისწინებით. ფინანსური მენეჯმენტისათვის ასეთ კრიტერიუმებს წარმოადგენენ: მინიმალური დანახარჯები საქონლის შესყიდვებზე, მინიმალური მოთხოვნები დამატებით ინვესტიციებზე (მაგალითად, სასაწყობო მეურნეობაში, ტრანსპორტზე), მინიმალური ფინანსური რისკები (დაკავშირებული დაბალი მოგების მიღებასთან), კაპიტალის ბრუნვის მაქსიმალური სიჩქარე და სხვა.

ოპერატიული მენეჯმენტის ძირითად მოთხოვნებს წარმოადგენს მისაწოდებელ საქონლის ნომენკლატურაში და მოცულობებში გეგმიური შეკვეთების სრული დაკმაყოფილება, მათი მიტანის ვადების სინქრონიზაცია საწარმოო გეგმასთან, მიწოდებებში შეფერხებების არ არსებობა და სხვა.

ლოგისტიკური მენეჯმენტის მიერ რეალიზებული შესყიდვების სტრატეგია, რომელიც დაფუძნებულია განხილულ კრიტერიუმებზე, მიმწოდებლების ბაზრის ანალიზზე და დადგენილ დროით პრიორიტეტებზე, დიდ სარგებელს აძლევს შემკვეთ ფირმებს. უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტთა რიცხვს მიეკუთვნება კონკრეტულ ბაზარზე მიმწოდებლების კონკურენტუნარიანობა (ლიდერობა), ხანგრძლივი ურთიერთკავშირის დროს ფასდაკლებათა მიცემის შესაძლებლობა, მიწოდებათა შეთავაზება ფირმის ლოგისტიკურ სტრატეგიასთან, მიმწოდებლებისაგან საქონლის მიტანაზე და შენახვაზე დანახარჯების მაქსიმალური შემცირება (სიახლოვე ფირმის საწარმოო ქვედანაყოფებთან, შუალედური დასაწყობების გამორიცხვა), ბიზნესში ხანგრძლივი პარტნიორობის შესაძლებლობა და სხვა.

5.2. მიმწოდებლის შერჩევა და შეფასება

შესყიდვების მენეჯმენტში ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს მიმწოდებლის შერჩევა. მისი მნიშვნელობა განისაზღვრება არა იმით, რომ თანამედროვე ბაზარზე ფუნქციონირებს ერთნაირი საქონლის მიმწოდებლების დიდი რაოდენობა, არამედ, უმთავრესად იმით, რომ მიმწოდებელი უნდა იყოს შემკვეთის საიმედო პარტნიორი მისი ლოგისტიკური სტრატეგიების რეალიზაციაში. ამ პროცესში ჩართულია არა მარტო პირები, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებას, არამედ ისინიც, ვინც ასეთ გადაწყვეტილებაზე ახდენენ გავლენას. სწორედ ამ პირთა ჯგუფი წარმოადგენს კომპანიაში შესყიდვის სტრუქტურულ ქვედანაყოფს.

შესყიდვებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი შედგება რიგი ეტაპებისაგან და მოიცავს შემდეგ 12 ბიჯს: მოთხოვნების იდენტიფიკაცია; სპეციფიკაციების ფორმულირება; ალტერნატიული ვარიანტების ძიება; კონტრაქტების დადგენა; შესყიდვების კრიტერიუმების შერჩევა და მათი გამოყენება; ალტერნატიულ მოქმედებათა შეფასება შესყიდვების დროს; საშუალებათა გამოყოფა შესყიდვებზე; ცალკეული ვარიანტების შეფასება; მოლაპარაკებების ჩატარება მიმწოდებლებთან; პროდუქციის შესყიდვა, მისი გამოყენება და შესყიდვის შეფასება.

შესყიდვის პროცესმა, თუ საქმე არ ეხება ახალ შესყიდვას, ყოველთვის უნდა გაიაროს ყველა 12 ბიჯი (ტიპიურ შესყიდვაში შესაძლოა ზოგიერთი ბიჯი გამოვტოვოთ).

იღებენ რა გადაწყვეტილებას შესყიდვების შესახებ, შესყიდვების მენეჯერებმა შეიძლება გაითვალისწინონ შემდეგი პარამეტრები (ცვლადები), ან მათი ნაწილი:

- შეკვეთის შესრულების დრო;
- შეკვეთების შესრულების დროის არასტაბილურობა;
- დროული მიწოდების წილი (%);
- პროდუქციის წილი (%), რომელიც არსებობს მარაგში;

- შეკვეთის განთავსების მოხერხებულობა;
- ექსპედირების შესაძლებლობა;
- დროითი დანაკარგები, რომლებიც გამოწვეულია გამყიდველების შეცდომებით, არასრული გადატვირთვით და ან/და დაგვიანებული მოწოდებით;
- პროდუქციის საიმედოობა და ხარისხიანობა;
- პროდუქციის ტექნიკური მომსახურების მოხერხებულობა;
- პროდუქციის ნაკლოვანებანი მისი დეტალების დაზიანების, ან უხარისხო მასალების გამო;
- უარის თქმა მიტანილი პროდუქციის მიღებაზე ხარისხთან მისი შეუსაბამობის გამო;
- ტექნიკური სპეციფიკაციები;
- კონკურენტული ფასები;
- კონფიდენციალურობა სავაჭრო წარმომადგენლობასთან ურთიერთქმედების დროს;
- გამყიდველთან ურთიერთობის გამოცდილება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- გამყიდველის საერთო რეპუტაცია;
- ფინანსური პირობები;
- მომხმარებელთა მომსახურება მის მიერ შესყიდვის შესრულების შემდეგ;
- გაანალიზება, თუ რამდენად აქვს უნარი მიმწოდებელს ნებისმიერი სიხშირით დააკმაყოფილოს შემსყიდველის დაკვეთები;
- საინჟინრო-საპროექტო-საკონსტრუქტორო მახასიათებლები.

შესყიდვების მენეჯერები საქმიანობის შესწავლის საფუძველზე გამოყოფენ ექვსი ძირითადი სახეობის პროდუქციას, რომელთა შესყიდვა წარმოებს კომპანიათა უმრავლესობის მიერ:

1. მაკომპლექტებელი ნაწილები;
2. ნედლეული;
3. სახარჯი მასალები;

4. დამხმარე მოწყობილობა;
5. ტექნოლოგიური მოწყობილობა;
6. სხვადასხვა ტიპის მომსახურება.

პროდუქციის თითოეული კატეგორია შეიძლება შესყიდულ იქნეს ნებისმიერ ოთხი ფორმით:

1. ტიპიური შეკვეთის ფორმა (Routine order situations). ესაა სიტუაცია, როდესაც შესყიდვის ობიექტი ადრე რამდენიმეჯერ იქნა შესყიდული და ამ შეკვეთების შესრულების საერთო პროცედურები უკვე დამუშავებულია.
2. სიტუაცია, რომელსაც თან ახლავს პროცედურული სიძნელეები. ესაა შესყიდვა, რომელიც არ მიეკუთვნება ტიპიური შეკვეთის კატეგორიას და როდესაც მაგალითად, შემსყიდველ ორგანიზაციებს სურთ გაიგონ, თუ როგორ უნდა გამოიყენონ და ისარგებლონ შესყიდვის ობიექტით.
3. სიტუაცია, რომელიც გამოწვეულია შესყიდვის ობიექტის გამოყენების პრობლემებით. ესაა - არატიპიური შესყიდვები, ადრე გამოყენებული შესყიდვის ობიექტის შეცვლის მიზნით, იმავე დროს ახალმა შესყიდვის ობიექტებმა უნდა გაიარონ შემოწმება ვარგისიანობაზე.
4. სიტუაცია, რომელსაც თან ახლავს კომპანიის მასშტაბის პრობლემები. ესაა ასევე არატიპიური შესყიდვები, რომელთა გამოყენებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს კომპანიის მრავალი განყოფილებისა და ქვედანაყოფების საქმიანობაზე. ამის გამო გადაწყვეტილების მიღების პროცესში შესაძლოა ჩართულ იქნეს მთელი კომპანიის თანამშრომელთა უმრავლესობა.

ამჟამად, განვითარებულ ქვეყნებში დიდი ყურადღება ექცევა მჭიდრო კავშირების ჩამოყალიბებას მიმწოდებლების ნაკლებ რიცხვთან.

მიმწოდებლების შერჩევის ძირითადი ეტაპები ნაჩვენებია ნახაზზე 13. განვიხილოთ ისინი უფრო დაწვრილებით.



ნახაზი 13. საქონლის (პროდუქცია, მასალა და სხვა) შესყიდვების ლოგისტიკური მენეჯმენტის სტრატეგია

კონკრეტული სახის საქონლის მიმწოდებელთა ანალიზი და მათი შემდგომი შერჩევა ხორციელდება კრიტერიუმების განსაზღვრული ნაკრების შესაბამისად. ეს კრიტერიუმები, აგრეთვე მათი რანჟირება (პრიორიტეტი) უნდა დადგინდეს შემსყიდველი კომპანიის უმაღლესი მენეჯმენტის მიერ ბიზნესის სტრატეგიული და ტაქტიკური მიზნებიდან გამომდინარე. მიმწოდებლის შერჩევის უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმების რიცხვს მიეკუთვნება: მიწოდებული საქონლის რაოდენობა და სერვისის ხარისხი, მიწოდებების საიმედოობა, ფინანსური პირობები, შემსყიდველი კომპანიის მოთხოვნების დაკმაყოფილე-

ბის შესაძლებლობები (უნარები), განლაგება (დისლოკაცია), თანმხლები სერვისი და სხვა.

შერჩევის ყველაზე მნიშვნელოვან კრიტერიუმებს შორის დიდი მნიშვნელობა აქვს ხარისხს. მისაწოდებელი ხარისხმა უნდა დააკმაყოფილოს ფირმის საწარმოო ქვედანაყოფები სპეციფიკაციის მახასიათებლების, ტექნიკური და კონსტრუქციული პარამეტრების, ფიზიკური და ქიმიური თვისებების და ა.შ., ე.ი. სრულად დააკმაყოფილოს დადგენილი სტანდარტების შესაბამისი მოთხოვნები, რომლებიც როგორც წესი ასახულია სერტიფიკატებში. შემკვეთი კომპანიის ლოგისტიკისა და შესყიდვების მენეჯერებმა, რომლებიც პასუხს აგებენ ზოგადად შესყიდვებისათვის, უნდა შეადარონ მიწოდებული საქონლის ფაქტიური პარამეტრები სტანდარტულს ან მიწოდების ხელშეკრულებაში აღნიშნულს. ეს შედარება ჩვეულებრივ ხორციელდება კონტროლის ეტაპებზე, თუმცა რიგ შემთხვევებში კონტროლი არ წარმოებს მაგ. როდესაც პარტნიორები კარგად იცნობენ ერთმანეთს და მიმწოდებლის საიმედობა ეჭვს არ იწვევს. საქონლის ხარისხის შეფასების დროს შეიძლება დამატებით მოკვლეულ იქნეს მიწოდებული საქონლის, მასალის და ა.შ. ექსპლოატაციის ვადა, საჭიროების შემთხვევაში შეკეთების შესაძლებლობა, საჭირო ტექნიკური მხარდაჭერის არსებობა (სერვისი, გამოყენების სიადვილე, შენახვის უნარი და ა.შ.) და სხვ.

მიმწოდებლის საიმედოობა წარმოადგენს ერთ-ერთ საკვანძო (კრიტიკულ) მაჩვენებელს, რომელიც განსაზღვრავს მის უნარს დააკმაყოფილოს საკმაოდ ხანგრძლივ დროის შუალედში შემსყიდველი კომპანიის მოთხოვნები მიწოდებათა ხარისხზე და მოცულობაზე. საიმედოობა წარმოადგენს კომპლექსურ მაჩვენებელს, რომელიც ასახავს შესყიდვების პროცესის ყველა მხარეს. პარტნიორობა საიმედო მიმწოდებლებთან - ეს არის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი თანამედროვე მიკროლოგისტიკურ სტრატეგიებში.

მიმწოდებლის შერჩევის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს მის შესაძლებლობებსა და უნარებს დააკმაყოფილოს მომხმარე-

ბელთა განსაზღვრული მოთხოვნები. აქ შედის საწარმოო სიმძლავრეები, გამოყენებული ტექნოლოგიური მოწყობილობა, მიმწოდებლის სასაწყობო სისტემა და სადისტრიბუციო ქსელი, დიდი რაოდენობით მოწოდების შესაძლებლობები მიწოდების ორგანიზაციისა და კონტროლის დონე და ა.შ. ამ მაჩვენებლების ანალიზი საშუალებას იძლევა შეფასდეს მიმწოდებლის პოტენციური უნარები შემსყიდველი კომპანიის ლოგისტიკურ სტრატეგიებთან მიმართებაში. ამ დროს მნიშვნელოვანია ამ მაჩვენებლების არა მარტო ახლანდელი დონე, არამედ მისი შესაძლებლობანი სწრაფად შეცვლილ გარემოსთან ადაპტაციის მიმართულებით.

შემსყიდველი კომპანიები შეიძლება არ იყვნენ მიმწოდებლის საწარმოო და სადისტრიბუციო სტრატეგიის მომხრე. ამ სტრატეგიებმა ასევე შესაძლებელია გამოიწვიოს კონფლიქტები მომავალ პარტნიორულ ურთიერთობებში. მიმწოდებლის უნარების შეფასება აგრეთვე მიმართული უნდა იქნეს მიმწოდებლის სადისტრიბუციო ქსელში საქონლის მიწოდებაზე და მარაგების მართვაზე დანახარჯების შემცირების პოტენციურ შესაძლებლობისკენ.

მიმწოდებლის პარამეტრების შეფასების შემდეგ სფეროს წარმოადგენს ფინანსური პირობები. მთავარ ადგილს აქ იკავებს მისაწოდებელი საქონლის ფასი. მაგრამ ზოგ შემთხვევაში პირველ ადგილზეა სხვა ფინანსური პირობები, მაგ., მიმწოდებლის უნარი მისცეს კლიენტს ანგარიშსწორების გადავადების საშუალება, მიაწოდოს საქონელი კრედიტით და ა.შ. მნიშვნელოვან როლს თამაშობს საფასო პოლიტიკა, კერძოდ ფასდაკლებები. მრავალჯერადი შეკვეთისათვის მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ მიწოდებული საქონლის ფასი ზოგჯერ შეიძლება შეადგენდეს მზა პროდუქციის ღირებულების მნიშვნელოვან ნაწილს, მაგრამ მრავალი ფირმა თანამედროვე პირობებში უპირატესობას ანიჭებს მიმწოდებლის საიმედოობას, მატერიალური რესურსებისა და სერვისის ხარისხს. მიმწოდებლის შერჩევის დროს ფინანსური პირობების ანალიზში აუცილებლად უნ-

და შედიოდეს მისი ფინანსური მდგრადობის შემოწმება. ეს პროცედურა წარმოებს დამოუკიდებელი აუდიტორის დახმარებით.

მიმწოდებლის შეფასებაში არსებობს ხარისხობრივი მაჩვენებლების დიდი ჯგუფი, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ შერჩევის პროცედურაში, თუმცა, ძნელად ემორჩილებიან შეფასებას. ასეთ მაჩვენებლებს მიეკუთვნება: მიმწოდებლის იმიჯი, მის შესახებ ნეგატიური ინფორმაციის არსებობა პარტნიორთან, ან მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. კეთილგანწყობა, კონტაქტურობა და ხანგრძლივი პარტნიორული ურთიერთობების სურვილი. ამ მაჩვენებელთაგან ერთ-ერთი რომელიმეს ნეგატიურმა შეფასებამ შეიძლება ამოშალოს მიმწოდებელი პოტენციური პარტნიორების სიიდან. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქონლის შეფუთვა, თანმხლები სერვისი და მომსახურება. ხოლო ზოგ შემთხვევაში ხორციელდება ერთობლივი მუშაობა შემკვეთთან საქონლის ახალი სახეების ან მოდიფიკაციების დასამუშავებლად, მაგ. თუ შესასყიდი საქონლის ჯგუფის ნომენკლატურაში შედის რთული ტექნიკური კომპონენტები (მაგ., აგრეგატები ავტომობილებისათვის), მაშინ თანმხლები სერვისის შემადგენლობაში შედის აგრეთვე საჭირო მარაგით უზრუნველყოფა.

მიმწოდებლის შერჩევაში ასევე ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს თამაშობს მისი გეოგრაფიული განლაგება და ლოკაცია. ამ კრიტერიუმის მნიშვნელობა უმთავრესად, განისაზღვრება სატრანსპორტო დანახარჯებით. პარტნიორობა ახლომდებარე მიმწოდებლებთან უზრუნველყოფს, ერთის მხრივ მიწოდებას შუალედური შენახვის გარეშე, ხოლო მეორეს მხრივ ტრანსპორტირების ნაკლებ დანახარჯებს. თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ შესაძლოა გეოგრაფიულად შორს მყოფ მიმწოდებლებს შეეძლოთ მიწოდება უფრო მაღალი ხარისხით, უფრო დაბალი ფასებითა და უკეთესი სერვისით.

პრიორიტეტების დადგენა მიმწოდებლის შერჩევის დროს დამოკიდებულია მრავალ ფაქტორებზე. განზოგადებულად

ისინი შეიძლება დაყვანილი იქნეს სამ ძირითადზე: **ფასი, ხარისხი, მიწოდებათა სერვისი (საიმედოობა).**

ფასის ფაქტორი, ისე როგორც დანახარჯები, რომელიც დაკავშირებულია შესყიდვების მართვასთან, წარმოადგენს უპირატესს კომპანიათა უმრავლესობისათვის, რადგანაც პირდაპირ განსაზღვრავს მოგებას. ამიტომ უპირველესად მიმწოდებლის შერჩევა წარმოებს ფასის კრიტერიუმით. ჩვეულებრივ შესყიდვების მენეჯერი სარგებლობს პოტენციური მიმწოდებლების მისაწოდებელი საქონლის ფასის განსაზღვრის ოთხი საბაზრო კრიტერიუმით: სასაქონლო ბირჟების ფასებით, პრაის-ფურცლებით, საფასო კოტირებებით და პარტნიორებთან პირდაპირი მოლაპარაკებებით.

სასაქონლო ბირჟების ფასები (შესყიდვების ლოგისტიკურ მენეჯმენტში გამოიყენება მხოლოდ საბირჟო საქონლისათვის. ასეთ საქონელს მიეკუთვნება; მარცვლეული, ზეთოვანი კულტურები, ფერადი და შავი ლითონები, ნავთობი და ნავთობპროდუქტები, დაუმუშავებელი ხე-ტყე და რიგი სხვა): სასაქონლო ბირჟების ფასები (კერძოდ, მსხვილი ფიუჩერსული ბირჟებისათვის) წარმოადგენს საუკეთესო ორიენტირს კოტირების მომენტისათვის, რადგანაც განისაზღვრება მოთხოვნისა და მიწოდების წონასწორობის პირობიდან.

პრაის-ფურცლები ჩვეულებრივ ქვეყნდება სპეციალური გამოცემებით და კლიენტს სტანდარტულ პროდუქტებთან ერთად მიმწოდებლის მიერ გამოცემული კატალოგები შეიცავს დაწვრილებით ფასებს საქონლისა თუ მომსახურების ყველა სახისათვის. აქვე მოცემულია ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ შემსყიდველებს შეუძლიათ მიიღონ ფასდაკლება პროდუქციის ცალკეულ სახეებზე. გარდა ამისა, ფასდაკლება განისაზღვრება შესყიდვების მოცულობითაც.

შესყიდვების მენეჯერები ხშირად **იყენებენ ფასების** კოტირების მეთოდს, ორი ძირითადი მიზეზის გამო - კონკურენციის მხარდასაჭერად მიმწოდებლებს შორის და ფასების შემცირებისათვის.

და ბოლოს, საფასო კრიტერიუმის მიხედვით მიმწოდებლის შერჩევის ბოლო ვარიანტს წარმოადგენს **პირდაპირი მოლაპარაკებები** სავარაუდო მიმწოდებლებთან. ეს განსაკუთრებით სასარგებლოა მაშინ, როდესაც შემსყიდველი კომპანია აპირებს დაამყაროს ხანგრძლივი პარტნიორული ურთიერთობები ამ მიმწოდებლებთან. მოლაპარაკებებმა შეიძლება დაიკავონ საკმაოდ ხანგრძლივი დრო, მაგრამ შედეგად, როგორც წესი, შეიძლება მივიღოთ შეთანხმებული, ფასისა და ხარისხის თვალსაზრისით საუკეთესო ვარიანტი.

საფასო ფაქტორის გათვალისწინება მიმწოდებლის შერჩევის გადაწყვეტილებებში ნიშნავს საუკეთესო ფასის შერჩევას, რომელიც ყოველთვის თანხმდება მინიმალურს.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით მიმწოდებლის შერჩევის ალგორითმი განზოგადებულად შეიძლება წარმოვადგინოთ ქვემოთ მოცემული სქემის სახით (ნახაზი 14).

როგორც სქემიდან ჩანს, დადგენილი კრიტერიუმების სისტემას შეიძლება უპასუხოს რამდენიმე მიმწოდებელმა. ამ შემთხვევაში საჭირო იქნება მათი რანჟირება სხვადასხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით.



ნახაზი 14. მიმწოდებლის შერჩევის ალგორითმი

5.3. შესყიდვის პროცესის მაჩვენებლების განსაზღვრა და შეფასება

შემსყიდველი კომპანიების შესყიდვის მენეჯერებმა უნდა განსაზღვრონ, თუ რა ინფორმაციაა საჭირო შესყიდვების წარმატებით შესრულებისათვის, მისი მაჩვენებლების გაზომვისა და

შეფასებისათვის. იმისათვის რომ განვსაზღვროთ და შევაფასოთ შესყიდვის პროცესი აუცილებელია ვიცოდეთ შემდეგი:

- შესყიდვის ობიექტის რაოდენობა, სახეები და აღწერა;
- თარიღი, როდესაც საჭიროა პროდუქციის მოწოდება;
- მიმწოდებლის (მიმწოდებლების) ფასები;
- თარიღი, როდესაც მიმწოდებელმა შეადგინა ფასები თავის პროდუქციაზე;
- თარიღი, როდესაც ფასები მოთხოვნილ იქნა მიმწოდებლიდან;
- მიმწოდებლის ფასდათმობების ცხრილი;
- შეკვეთის ნომერი შესყიდვაზე;
- შესყიდვაზე შეკვეთის გაცემის თარიღი;
- შესყიდვის ობიექტის ერთეულის შესასყიდი ფასი;
- შეკვეთის რაოდენობა, ან/და წილი შესყიდვების წლიურ მოცულობაში;
- შესყიდვის ობიექტის ერთეულის დასაგეგმი შესასყიდი ფასი;
- მიმწოდებლის დასახელება;
- მიმწოდებლის მისამართი;
- მიმწოდებლის მიერ განსაზღვრული მიწოდების ვადა;
- მიმწოდებლის მიერ შეკვეთის შესრულების დრო (შესასყიდ ერთეულზე შეკვეთის შესრულების დღეთა რაოდენობა ან/და კვირა);
- თარიღი, როდესაც შესასყიდი ერთეული უნდა შემოვიდეს შემკვეთის საწყობში;
- მიღებული ტვირთის მოცულობა;
- მითითება იმასთან დაკავშირებით, ჩაიბარა თუ არა შემსყიდველმა კომპანიამ მიწოდებული შესყიდვის ობიექტი;
- შენახვის ადგილი;
- შემსყიდველი;
- ქვედანაყოფი;
- ფასის ცვლილება.

ძირითად მოსარგებლებს შესყიდვის პროცესში/საქმიანობაში მიეკუთვნებიან შემკვეთი კომპანიის ტოპ-მენეჯერები და

ქვედანაყოფების ფუნქციონალური მენეჯერები, აგრეთვე სხვადასხვა დონის მენეჯერები.

თითოეული მითითებული ჯგუფისათვის ინტერესი სხვადასხვაა. ტოპ-მენეჯერებს უპირველესად, აინტერესებთ, შეესაბამება თუ არა მათი კომპანიის შესყიდვების განყოფილების მუშაობა სხვა კომპანიების ანალოგიური განყოფილებების საქმიანობის მაჩვენებლებს და რამდენად ეფექტიანი არიან ისინი. ფუნქციონალურმა მენეჯერებმა (მაგალითად, შესყიდვების ვიცე-პრეზიდენტებმა) უნდა მიიღონ სრული ინფორმაციული მიმოხილვა, გატარებული პოლიტიკისა და განსახორციელებელი პროცესების აუდიტის შედეგებზე, აგრეთვე საკვანძო რაოდენობრივი მაჩვენებლების ანალიზზე, მათ შორის მარაგების, შესყიდვების მინიმალური მოცულობებისა და ადმინისტრაციული ხარჯების შესახებ.

ოპერაციული დონის მენეჯერებს აინტერესებთ საწყობში შემოსული საქონლის მარაგები და მათი ხარისხი.

შემსყიდველი ორგანიზაციები შესყიდვებზე კონტროლის განხორციელებისათვის სარგებლობენ რიგი საკვანძო მაჩვენებლებით. მათ მიეკუთვნება: საფასო ეფექტურობა, დანახარჯების ეკონომია, მწარმოებლურობა, მატერიალური რესურსების ნაკადების სამართლებრივი, საზოგადოებრივი და ეკოლოგიური ხასიათის მაჩვენებლები, მომარაგების დაგეგმვის დონე; მარაგების პარამეტრები; ტრანსპორტირების მახასიათებლები და სხვ.

საკონტროლო კითხვები:

- ახსენით საშემსყიდველო ლოგისტიკის არსი.
- ჩამოთვალეთ ლოგისტიკური მიდგომის უპირატესობები ტრადიციულთან შედარებით.
- ჩამოთვალეთ შესყიდვებში ლოგისტიკური აქტივობები.
- რა პარამეტრებს აქცევენ ყურადღებას შესყიდვებში ლოგისტიკის მენეჯერები?
- მიმწოდებლის შერჩევის დროს ლოგისტიკის მენეჯერი უპირატესობას აძლევს სამ ფაქტორს. რომელია ეს ფაქტორები?

თავი 6. სახელმწიფო შესყიდვების როლი საჯარო ფინანსების ადმინისტრირებაში

6.1 საჯარო ფინანსების არსი

აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში საჯარო ფინანსების, როგორც ტერმინის ცალსახა განმარტება არ არსებობს, თუმცა ზოგადად შესაძლებელია მისი არსი ასე განვსაზღვროთ - საჯარო ფინანსები ეს არის ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემა, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური რესურსების მიზანდასახულ წარმოქმნასთან, განაწილებასა და გამოყენებასთან.

საჯარო ფინანსები არეგულირებს სახელმწიფო ფინანსურ საშუალებათა ფონდების განაწილებასა და გადანაწილებასთან დაკავშირებულ ურთიერთობათა სისტემას. ნებისმიერ ქვეყანაში საფინანსო სისტემის უმნიშვნელოვანეს სფეროს წარმოადგენს საჯარო (სახელმწიფო) ფინანსები, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები მათი ფუნქციების რეალიზაციისათვის საჭირო ფინანსური რესურსებით. ამ სფეროში ფულად ურთიერთობათა სუბიექტებად გამოდიან სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები, ორგანიზაციები და მოქალაქეები. საჯარო (სახელმწიფო) ფინანსების ეკონომიკური შინაარსი გამოიხატება მთლიანი ეროვნული პროდუქტისა და ეროვნული სიმდიდრის გარკვეული მოცულობის გადანაწილებაში. ის დაკავშირებულია ფინანსური საშუალებების ფორმირებასთან და სახელმწიფოს მიერ ამ რესურსების გამოყენებასთან, დასახული ფუნქციებისა და ღონისძიებების დაფინანსების უზრუნველსაყოფად.

საჯარო ფინანსები მოიცავს: სახელმწიფოს ყველა დონის ბიუჯეტს, ბიუჯეტგარეშე სახელმწიფო სპეციალურ ფონდებს, სახელმწიფო კრედიტს, სახაზინო საწარმოთა ფინანსებს და ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის შემოსავალს. სახელმწიფოს შემოსავლები მრავალფეროვანია თავისი სახეების, სახსრების მობილიზაციის მეთოდების და

წყაროების მიხედვით. იგი შედგება სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლებისაგან, სახელმწიფო და კერძო საწარმოების შემოსავლებისაგან, მოსახლეობის გადასახადებისა და სხვა ბიუჯეტგარეშე სპეციალური ფონდებისაგან.

საჯარო ფინანსები სხვადასხვა დონის ბიუჯეტების ძირითადი მაჩვენებლებით, უმთავრესად, ხარჯების ეფექტიანობით, მმართველობითი სისტემის ყველა დონის წარმომადგენლობით აღმასრულებელ ორგანოებს საშუალებას აძლევს გადამწყვეტი ზემოქმედება გააჩნდეს ქვეყნის ეკონომიკურ სიტუაციაზე და მოაგვარონ მნიშვნელოვანი პრობლემები. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები არის ეკონომიკური ურთიერთობები, რომელიც წარმოიქმნება როგორც სახელმწიფო ფულადი საშუალებების მიზნობრივი განაწილებით დარგობრივი და ტერიტორიული დანიშნულებით, ასევე საშინაო და საგარეო ვალდებულებების შესრულებით.

სახელმწიფო ბიუჯეტი არის სახელმწიფო ფულადი რესურსების ცენტრალიზებული ფონდების წარმოქმნისა და განაწილების ძირითადი ფორმა, ეროვნული შემოსავლის ნაწილის გადანაწილების საშუალება, მომდევნო და მიმდინარე წლის სახელმწიფო ხარჯთა და შემოსავალთა რიცხობრივად გამოხატული ვარაუდი. საჯარო ფინანსების ძირითადი არსი მის ფუნქციებში გამოისახება, ესენია: გამანაწილებელი და კონტროლის ფუნქციები.

- გამანაწილებელი ფუნქციის მეშვეობით მკვეთრად ვლინდება საჯარო ფინანსების სახელმწიფო-სამეურნეო დანიშნულება, მისი ამ ფუნქციის მოქმედების ობიექტად გამოდის: მთლიანი ეროვნული პროდუქტის ღირებულება, ეროვნული შემოსავალი და ეროვნული სიმდიდრე ფულად გამოხატულებაში. საჯარო ფინანსების გამანაწილებელი ფუნქცია ხასიათდება მრავალმხრივობით. ის ემსახურება განაწილების სხვადასხვა ეტაპებს, მონაწილეობს მთლიანი ეროვნული პროდუქტის განაწილება-გადანაწილებაში.

- საჯარო ფინანსების საკონტროლო ფუნქციის ამოცანებია: ქვეყანაში საფინანსო კანონმდებლობის ზუსტი დაცვა, საგადასახადო ორგანოების, ბანკების, საბიუჯეტო სისტემის წინაშე ფინანსურ ვალდებულებათა დროულად და სრულად შესრულების კონტროლი, საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის ანგარიშსწორებათა და გადასახდელების ურთიერთვალდებულებათა შესრულების კონტროლი.

6.2 ბიუჯეტი, საბიუჯეტო მოწყობა და ბიუჯეტირების ძირითადი პრინციპები

სიტყვა „ბიუჯეტი“ წარმოშობილია ძველი ფრანგული სიტყვისგან **bougette pochette**, რაც ტყავის ქისას ნიშნავს. შემდეგ ეს ტერმინი გადაიღეს ინგლისელებმა და იყენებდნენ როგორც **“budget”**, რაც ნიშნავდა ჩანთას, ტყავის ტომარას თავისი შიგთავსით. მე-19 საუკუნეში ინგლისის ლორდთა პალატაში, როდესაც ხაზინის კანცლერი მოხსენებით გამოდიოდა, სიმბოლურად, წინ ფულით სავსე ტომარა ედო. იგი ტრიბუნის ნაცვლად ამ ტომარას ეყრდნობოდა და ასე წარმოთქვამდა სიტყვას ქვეყანაში ფინანსების მდგომარეობის შესახებ, რომელსაც **„ბიუჯეტს“** უწოდებდნენ. სწორედ აქედან გავრცელდა შემდგომ მთელს მსოფლიოში ეს ცნება.

სახელმწიფო ბიუჯეტი - ეს არის განსაზღვრული პერიოდისათვის (მიმდინარე წლისათვის) ქვეყნის შემოსავლებისა და ხარჯების ძირითადი ფინანსური გეგმა, რომელსაც კანონის ძალა გააჩნია. მასში აკუმულირებულ ფულად სახსრებს სახელმწიფო თავისი ძირითადი ფუნქციებისა და ამოცანების განსახორციელებლად იყენებს.

ბიუჯეტი უზრუნველყოფს მოსახლეობას საზოგადოებრივი სარგებლობის საქონლითა და მომსახურებით, იცავს მის უსაფრთხოებას, თავდაცვას, ხელს უწყობს განათლების დონის განვითარებას, ეხმარება სოციალურად დაუცველ ოჯახებს.

ბიუჯეტი უზუნველყოფს ასევე ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილურობასაც.

პირველად ბიუჯეტის ყოველწლიურად დამტკიცების პრაქტიკა დიდ ბრიტანეთში იქნა შემოღებული. იქვე ჩამოყალიბდა ბიუჯეტის შედგენის ძირითადი პრინციპები:

- **ბიუჯეტის ერთიანობის პრინციპი** - რომლის თანახმად სახელმწიფოს უნდა ჰქონოდა მხოლოდ ერთი ბიუჯეტი, რომელშიც თავმოყრილი იქნებოდა სახელმწიფოს მიერ გასაწევი ყველა ხარჯი და შემოსავალი;
- **ბიუჯეტის სისრულის პრინციპი** - გულისხმობდა ბიუჯეტის შედგენას, სადაც თითოეული მუხლის მიხედვით იქნებოდა ასახული ყველა შემოსავალი და ხარჯი. ეს აადვილებდა სახელმწიფო ფინანსებზე კონტროლის დაწესებას და შესაძლებელს ხდიდა ანგარიშგების შემოღებას ბიუჯეტის შესრულების შესახებ;
- **ბიუჯეტის რეალურობის** - პრინციპი გამორიცხავდა ხარჯთაღრიცხვების გაყალბებას. ეს პრინციპი უზრუნველყოფდა მთავრობის მიერ გატარებული ოპერაციების სიზუსტეს და დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისობას ბიუჯეტის შესრულებასთან.
- **ბიუჯეტის საჯაროობის პრინციპი** - რომლის თანახმად მთავრობა ვალდებული იყო გამოექვეყნებინა სახელმწიფო ბიუჯეტი, რათა საყოველთაოდ ცნობილი ყოფილიყო მისი შემოსავლებისა და ხარჯების ძირითადი მუხლები.

სახელმწიფო ბიუჯეტის აღნიშნული პრინციპების მიხედვით აგება უდავოდ პროგრესული მოვლენა და წინგადადგმული ნაბიჯი იყო. შემდგომში ისინი კიდევ უფრო დაიხვეწა და გაფართოვდა. დღესდღეობით თანამედროვე განვითარებული ქვეყნების ბიუჯეტები ეყრდნობა შემდეგ ძირითად პრინციპებს:

1. **ყოვლისმომცველობა** - ბიუჯეტში სრულყოფილად უნდა იქნეს ასახული ყველა შემოსავალი და ხარჯი (შემოსულობა და გადასახდელი);

2. **გამჭვირვალობა** - ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია (გარდა საიდუმლო ინფორმაციისა) ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის. საჯარო უნდა იყოს საკანონმდებლო ორგანოებში მისი განხილვის პროცედურები, უნდა ქვეყნდებოდეს დამტკიცებული ბიუჯეტებისა და მათი შესრულების შესახებ ანგარიშები;
3. **ანგარიშვალდებულება** - საბიუჯეტო პროცესის მონაწილე ყველა პირი პასუხისმგებელია მის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე და ვალდებულია წარადგინოს შესაბამისი ანგარიში;
4. **დამოუკიდებლობა** - სახელმწიფო ბიუჯეტის სტრუქტურული ერთეულები (იქნება ეს ფედერალური, თუ შტატების (აშშ) ბიუჯეტები, ადგილობრივი თუ ავტონომიური რესპუბლიკების და ა.შ.) დამოუკიდებლად განსაზღვრავენ შემოსავლების წყაროებს და საკუთარ გასაწევ ხარჯებს, შესაბამისი კანონმდებლობიდან გამომდინარე.
5. **ერთიანობა** - სახელმწიფო ბიუჯეტის სტრუქტურული ერთეულები უნდა ხელმძღვანელობდნენ საერთო საფუძვლებითა და პრინციპებით, ერთიანი საბიუჯეტო კლასიფიკაციითა და ანგარიშთა ერთიანი ჩამონათვალით;
6. **უნივერსალობა** - ბიუჯეტის ყველა შემოსავალი (შემოსულობა) მიმართული უნდა იყოს საერთო ხარჯების (გადასახდელების) დასაფინანსებლად (გარდა კანონით განსაზღვრული გამონაკლისებისა, მაგალითად, დონორის დაფინანსება, რომელიც მიზნობრივად უნდა იქნეს მიმართული კონკრეტული გადასახადის დასაფინანსებლად).
7. **კონსოლიდირება** - ყველა შემოსავალი (შემოსულობა) მოქცეული უნდა იქნეს ერთიანი ანგარიშის სისტემაში, რომელიც იმართება სახელმწიფო ხაზინის მიერ და განთავსებულია ქვეყნის ცენტრალურ ბანკში (საქართველოში - ეროვნული ბანკი).

სახელმწიფო ბიუჯეტი შედგება ორი ურთიერთდაკავშირებული ნაწილისგან:

1. **შემოსავლის ნაწილი** (შემოსულობები), რომელიც მოიცავს ფულადი სახსრების შემოსავლების ჩამონათვალს;
2. **გასავლის ნაწილი** (გადასახდელები), რომელიც აერთიანებს სახელმწიფოს მიერ გასაწევ ყველა ხარჯს;

შემოსულობებში ზოგადად თავს იყრის გადასახადები, მოსაკრებლები, სახელმწიფო სესხები, მათ შორის საგარეო სესხებიც, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის გასავლის ანუ, ხარჯების ნაწილში მოცემულია ჩამონათვალი თუ რა დანიშნულებით იქნება გამოყენებული ბიუჯეტში აკუმულირებული ფულადი სახსრები. აღსანიშნავია, რომ მრავალ ქვეყანაში მოქმედებს საბიუჯეტო კლასიფიკაცია[17], რომელიც უზრუნველყოფს ბიუჯეტის აღრიცხვას საერთაშორისო სავალუტო ფონდის 2001 წლის სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის (GFSM2001) შესაბამისად[18]. იგი ოთხ ქვეკატეგორიას მოიცავს:

- შემოსავლების კლასიფიკაციას;
- ხარჯების კლასიფიკაციას;
- არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციას;
- ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციას.

შემოსავლების კლასიფიკაცია აერთიანებს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადებიდან (საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, დღგ და ა.შ.), ჯარიმებიდან, მოსაკრებლებიდან და სხვა შემოსავლებიდან, ასევე გრანტებიდან მიღებულ სახსრებს.

---

[17] საბიუჯეტო კლასიფიკაცია ეკონომიკური ხასიათის, ფუნქციონალური ღონისძიებების, ორგანიზაციული სტრუქტურისა და სხვა მახასიათებლების მიხედვით ბიუჯეტის შემოსავლებისა და გადასახდელების თანმიმდევრული დაჯგუფებაა (ქვეყნის კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად).

[18] საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბრძანებით, 2007 წლის 19 სექტემბრის N1064 ბრძანებით 2008 წლის 1 იანვრიდან საქართველოში მოქმედებს GFSM2001 კლასიფიკაცია.

ხარჯების კლასიფიკაცია აერთიანებს გადასახდელებს, რომელიც მიმართულია შრომის ანაზღაურებაზე, საქონელსა და მომსახურებაზე, პროცენტის გადახდაზე, სოციალურ უზრუნველყოფაზე, გასაცემ გრანტებზე, სუბსიდიებზე და სხვა ხარჯებზე.

არაფინანსური აქტივების კლასიფიკაცია წარმოადგენს სრულიად ახალი ტიპის კლასიფიკაციას, რომელიც აერთიანებს ინფორმაციას წლის განმავლობაში განხორციელებული კაპიტალური შეძენებისა და გაყიდვების შესახებ. აღნიშნულ კლასიფიკაციაში აღირიცხება ძველი კლასიფიკაციით გათვალისწინებული კაპიტალური შემოსავლები და კაპიტალური ხარჯები. შესაბამისად, აღნიშნული კლასიფიკაცია იძლევა ინფორმაციას წლის განმავლობაში ძირითადი აქტივებით, სასაქონლო მარაგებით, ფასეულობებით და არაწარმოებული აქტივებით განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია აერთიანებს, ერთის მხრივ ინფორმაციას სახელმწიფოს მიერ შეძენილი და გასხვისებული ფინანსური აქტივების შესახებ (მაგალითად, აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების შეძენა-გასხვისება, სესხების გაცემა-დაბრუნება, თავისუფალი საბრუნავი სახსრების დაგროვება-გამოყენება), ხოლო მეორეს მხრივ - ინფორმაციას სახელმწიფოს მიერ აღებული სესხებისა და მათი დაფარვის შესახებ.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან შეიძლება ითქვას, რომ:

- ბიუჯეტი წარმოადგენს მთავრობის მიერ შემუშავებულ გეგმას, თუ როგორ მოიძიოს სახსრები აღებული ვალდებულებების შესასრულებლად და რა სახის და მოცულობის თანხები უნდა იქნეს ამისათვის მობილიზებული სხვადასხვა სახის გადასახადებიდან, როგორიცაა, მაგ., დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), აქციზის, მოგებისა და სხვა გადასახადები;
- ბიუჯეტი წარმოადგენს გეგმას, თუ როგორ უნდა დახარჯოს (გაანაწილოს) მთავრობამ მის მიერ მობილიზებული თანხები. რა ღონისძიებები უნდა იქნეს დაფინანსებული და

როგორ უნდა განაწილდეს შემოსავლები სხვადასხვა სფეროებზე, კერძოდ, თავდაცვაზე, ჯანმრთელობაზე, განათლებაზე, სოციალურ დაცვაზე და ა.შ.

- ბიუჯეტი განსაზღვრავს მთავრობის მიერ ასაღები სახელმწიფო ვალისა და სესხების ლიმიტებს. თუ ხარჯები ჭარბობს შემოსავლებს, მთავრობამ უნდა აიღოს გარკვეული მოცულობის ვალი, რათა დაფაროს მოსახლეობისთვის გაწეული მომსახურების ხარჯები და გადაიხადოს გასული წლების დავალიანება.
- ბიუჯეტი გავლენას ახდენს ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე. მაგალითად, განათლებასა და მეცნიერებაზე, აგრეთვე ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე გაწეული ხარჯები ზრდის პროდუქტიულობას, რაც მომავალში გამოიწვევს მოსახლეობის შემოსავლის ზრდასაც; მეორეს მხრივ კი გაზრდილი გადასახადები ამცირებენ მოსახლეობის შემოსავალს. ბიუჯეტით ისე უნდა მოხდეს ხარჯებისა და გადასახადების დაბალანსება, რომ იგი ქვეყნის განვითარების მძლავრ ბერკეტად იქცეს.

აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის შემოსავლების წყაროებისა და ხარჯების მიმართულება, მისი არსი და როლი განისაზღვრება სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურით. სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენა მით უფრო რთულია, რაც უფრო დიდია განსხვავება არსებულ რესურსებსა და იმ მოთხოვნილებებს შორის, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს. ყოველი კონკრეტული საბიუჯეტო გადაწყვეტილების მიღება ნიშნავს განსაზღვრული პოლიტიკის გატარებას - პრიორიტეტების განსაზღვრას, თუ რა მიმართულებებით უნდა დაიხარჯოს აკუმულირებული სახსრები[19].

---

[19] ყოველ კონკრეტულ ვითარებაში, ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, იქმნება ე.წ. „მკაცრი ეკონომიკის ბიუჯეტი“, „სოციალური ბიუჯეტი“, „კაპიტალური მშენებლობის ბიუჯეტი“, „სამხედრო ბიუჯეტი“ და ა.შ.

6.3 საქართველოს საბიუჯეტო სისტემა და საბიუჯეტო მოწყობა

ზოგადად საბიუჯეტო სისტემა წარმოადგენს ქვეყნის ყველა დონის ბიუჯეტების ერთიანობას, რაც დაფუძნებულია სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობაზე. იგი წარმოადგენს ქვეყნის ყველა დონის ბიუჯეტების სამართლებრივი და ეკონომიკური ურთიერთობების ნორმების ერთობლიობას.

თითოეული ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტს მისთვის დამახასიათებელი თავისებურებები გააჩნია, რაც გამომდინარეობს ქვეყნის ადმინისტრაციული სისტემიდან და მისი ეკონომიკის სტრუქტურული თავისებურებებიდან. საბიუჯეტო სისტემის აგება სტრუქტურულად საბიუჯეტო კანონმდებლობით გათვალისწინებული პრინციპების შესაბამისად, დადგენილი წესით ხორციელდება.

თანამედროვე ეკონომიკური ურთიერთობების პირობებში არსებობს სახელმწიფოებრივი მოწყობის ორი ფორმა: უნიტარული და ფედერალური. უნიტარულ სახელმწიფოებში საბიუჯეტო სისტემა ორი რგოლისგან შედგება - სახელმწიფო ბიუჯეტისა და მრავალრიცხოვანი ადგილობრივი ბიუჯეტებისგან. მათში მთავარ როლს სახელმწიფო ბიუჯეტი ასრულებს, რომლის საშუალებითაც მართვის ცენტრალური ორგანოები თავიანთ განკარგულებაში მოაქცევენ ეროვნულ შემოსავალს და გადაანაწილებენ არსებული ფინანსური სისტემის მეშვეობით. ფედერალურ სახელმწიფოებში სახელმწიფო საბიუჯეტო სისტემა სამი რგოლისაგან შედგება: სახელმწიფო ბიუჯეტი, ფედერალური ბიუჯეტი ან ცენტრალური ხელისუფლების ბიუჯეტი; ფედერაციის წევრთა (მაგ. აშშ-ში - შტატები, გფრ-ში - მიწები, კანადაში - პროვინციები) და ადგილობრივი ბიუჯეტები.

საქართველოში საბიუჯეტო მოწყობასა და სისტემას განსაზღვრავს საქართველოს „საბიუჯტო კოდექსი", რომელიც ძალაშია 2010 წლის 1 იანვრიდან. საბიუჯეტო კოდექსში განსაზღვრულია საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ფორმირების პრინციპები და ის არეგულირებს: ა) ბიუჯეტის პროექტის მომზადების; ბ) ბიუ-

ჯეტის დამტკიცების; გ) ბიუჯეტის შესრულების; დ) ბიუჯეტის ანგარიშგების და ე) ბიუჯეტის კონტროლის პროცესებს. ამასთან ცენტრალური ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საბიუჯეტო ქმედებებს, ურთიერთობებსა და მათ პასუხისმგებლობას. საქართველოს საბიუჯეტო სისტემა წარმოადგენს ქვეყნის ბიუჯეტების ერთიანობას, რაც განსაზღვრულია სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობით, ეკონომიკური და სამართლებრივი ურთიერთობის ნორმებით. საქართველოს საბიუჯეტო სისტემა შედგება სახელმწიფო ბიუჯეტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტებისაგან (იხ. დიაგრამა №1).

დიაგრამა № 1. საქართველოს საბიუჯეტო სისტემა

6.4 ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები

როგორც ზემოთ აღინიშნა ნებისმიერი დონის ბიუჯეტი შედგება შემოსულობებისა და გადასახდელების ნაწილისგან. ქვემოთ მოკლედ მიმოვიხილავთ თითოეულ მათგანს:

ბიუჯეტის შემოსულობების შემადგენელი კომპონენტები მოცემულია დიაგრამაზე №2.

დიაგრამა № 2. ბიუჯეტის შემოსულობები



სახელმწიფოს მიერ მობილიზებული ფინანსური სახსრების ერთობლიობა ქმნის საბიუჯეტო შემოსულობებს. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი"-ს შესაბამისად ბიუჯეტის შემოსულობები ეს არის საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში მიღებული ფულადი სახსრების ერთობლიობა, რაც უზრუნველყოფს ბიუჯეტის გადასახდელების (ხარჯების) დაფინანსებას.

1. **შემოსავლები**, მათ შორის:
   - გადასახადები (საშემოსავლო, მოგების, დღგ-ს, აქციზის, საბაჟო გადასახადები და კანონმდებლობით დადგენილი სხვა გადასახადები);
   - გრანტები მიმდინარე დანიშნულების და კაპიტალური დანიშნულების გრანტები. გრანტი თავის მხრივ წარმოადგენს გრანტის გამცემის მიერ გრანტის მიმღებისთვის უსასყიდლოდ გადაცემულ მიზნობრივ სახსრებს, ფულადი ან ნატურალური ფორმით, რაც გამოიყენება კონ-

კრეტული ჰუმანიტარული, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, სპორტული, ეკოლოგიური და სოციალური პროგრამების დაფინანსებისთვის. გრანტად არ ითვლება სამეწარმეო და პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად გაცემული ფინანსური და ნატურალური რესურსები. გრანტის გამცემ წყაროებს წარმოადგენენ: სხვა ქვეყნის მთავრობები, საერთაშორისო ორგანიზაციები, საგარეო არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციები და სხვ.

- სხვა შემოსავლები - შემოსავლები საკუთრებიდან; პროცენტები; დივიდენდები; რენტა; საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია; ჯარიმები სანქციები და საურავები; შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები.

1. **არაფინანსური აქტივები** - სახელმწიფოს მიერ არაფინანსური აქტივებით (ძირითადი კაპიტალი, სასაქონლო მარაგები, ფასეულობები და არაწარმოებული აქტივები) ოპერაციებიდან მიღებული სახსრები.
2. **ფინანსური აქტივები** - სახელმწიფოს მიერ ფინანსური აქტივებით (აქციები, ფასიანი ქაღალდები) განხორციელებული ოპერაციებიდან მიღებული სახსრები, ნაშთის გამოყენების გარდა.
3. **ვალდებულებები** - სახელმწიფოს მიერ სესხის აღების შედეგად მიღებული სახსრები.

ბიუჯეტის შემოსულობების ზუსტი აღრიცხვა და ბიუჯეტში ასახვა უზრუნველყოფს ბიუჯეტის გადასახდელების რაციონალურ დაგეგმვას და მის ეფექტურ გამოყენებას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის.

რაც შეეხება გადასახდელების ნაწილს და მის შემადგენელ კომპონენტებს იგი ასე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ დიაგრამა № 3 - ზე.

დიაგრამა № 3. ბიუჯეტის გადასახდელები



მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ბიუჯეტის გადასახდელები არის ბიუჯეტის ანგარიშიდან გასაცემი ყველა სახის ფულადი სახსრების ერთობლიობა. იგი წარმოადგენს სახელმწიფოს ამოცანებისა და ფუნქციების განხორციელების მიზნით გამოყენებულ ფულად სახსრებს. გადასახდელების აღრიცხვისა და ანალიზისთვის როგორც აღვნიშნეთ შემუშავებულია კლასიფიკაციის სისტემა, რომლის მიხედვითაც საქართველოში დამტკიცებულია გადასახდელების ასახვის ერთიანი ეკონომიკური და ფუნქციური კლასიფიკატორი.

საქართველოს ბიუჯეტის გადასახდელების ზოგადი კლასიფიკაცია შემდეგ გადასახდელებს მოიცავს:

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება;
- თავდაცვა;
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება;
- ეკონომიკური საქმიანობა;
- გარემოს დაცვა;
- საბინაო კომუნალური მეურნეობა;
- ჯანმრთელობის დაცვა;
- დასვენება, კულტურა, რელიგია;
- განათლება;
- სოციალური დაცვა.

ხოლო ბიუჯეტის გადასახდელების ეკონომიკური კლასიფიკაცია მოიცავს შემდეგ ჯგუფებს:

1. **ხარჯები,** მათ შორის:
   - **შრომის ანაზღაურება**-ხელფასი; ხელფასი ფულადი ფორმით; თანამდებობრივი სარგო; წოდებრივი სარგო; კომპენსაცია; დანამატი; ჰონორარი; პრემია; ხელფასი სასაქონლო ფორმით; სოციალური შენატანები.
   - **საქონელი და მომსახურება** - შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება; ოფისის ხარჯები; მივლინებები; წარმომადგენლობითი ხარჯები; კვების ხარჯები; სამედიცინო ხარჯები; რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები; ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები; სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები; სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება.
   - **სუბსიდიები** - საწარმოებსა და ორგანიზაციებზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან სახელმწიფო ერთეულიდან მიმდინარე მიზნებისათვის გაცემული ტრანსფერი.
   - **პროცენტი** - საგარეო ვალდებულებებზე; ორმხრივ კრედიტორებზე; მრავალმხრივ კრედიტორებზე; კომერციულ ორგანიზაციებზე; სხვა არარეზიდენტებზე; საშინაო ვალდებულებებზე, გარდა სახელმწიფო ერთეულებისა; სახელმწიფო ერთეულებიდან აღებულ საშინაო ვალდებულებებზე.
   - **გრანტები** - ერთი დონის სახელმწიფო ერთეულიდან, სხვა ქვეყნის სახელმწიფოთა მთავრობაზე, საერთაშორისო ორგანიზაციებზე ან სხვა დონის სახელმწიფო ერთეულზე, არასავალდებულო მიმდინარე ან კაპიტალური დანიშნულების ტრანსფერის გადაცემა.
   - **სოციალური უზრუნველყოფა** - სოციალური დახმარება; დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება.

➢ **სხვა ხარჯები** - ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა პროცენტისა; სხვადასხვა ხარჯები.

2. **არაფინანსური აქტივების მატება** - არაფინანსური აქტივებით ოპერაციებზე მიმართული სახსრები.
3. **ფინანსური აქტივების მატება** - ფინანსური აქტივებით ოპერაციებზე მიმართული სახსრები, ნაშთის დაგროვების გარეშე.
4. **ვალდებულებების კლება** - ვალდებულებების ძირითადი ნაწილის დაფარვაზე მიმართული სახსრები.

საბიუჯეტო გადასახდელების ერთობლიობა, მათი მიზნობრივი და ეფექტური გამოყენება, ხარჯვის პროცესში გამჭვირვალობისა და საჯაროობის პრინციპის სავალდებულო დაცვა, განსაზღვრავს, როგორც ბიუჯეტის გადასახდელების ნაწილში განსაზღვრული აქტივობების ასევე ზოგადად სახელმწიფოებრივი და ეროვნული მიზნების რეალურ განხორციელებას.

6.5 სახელმწიფო შესყიდვების როლი საჯარო ფინანსებისა და მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირების პროცესში

სახელმწიფო შესყიდვები საჯარო ფინანსების სისტემის განუყოფელი ნაწილია, რადგანაც იგი არეგულირებს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შესრულებას და საჯარო ფინანსების ხარჯვის უმთავრეს ინსტრუმენტს წარმოადგენს. უფრო კონკრეტულად სახელმწიფო შესყიდვები ბიუჯეტის გადასახდელების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისად განსაზღვრულ „საქონელი და მომსახურების“ ჯგუფს მოიცავს (გარდა შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურებისა). აღსანიშნავია, რომ „საქონელი და მომსახურება“ ბიუჯეტის გადასახდელების ნაწილში ერთ-ერთი ყველაზე მოცულობითი ჯგუფია, იხ. დიაგრამა №4.

დიაგრამა №4. საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის გადასახდელები 2015 წელს (მლნ. ლარი)



1	შრომის ანაზღაურება	1601.7
2	საქონელი და მომსახურება	1203.2
3	პროცენტი	329.8
4	სუბსიდიები	670.9
5	გრანტები	83.8
6	სოც. უზრუნველყოფა	3036.7
7	სხვა ხარჯები	1254.3

როგორც დიაგრამაზე ჩანს 2015 წელს საქართველოში ყველა დონის ბიუჯეტის კონსოლიდირებული მონაცემებით (ნაერთი ბიუჯეტი) „საქონელი და მომსახურების"-თვის 1 203,2 მლნ ლარი იქნა დახარჯული.

ასევე აღსანიშნავია, სახელმწიფო შესყიდვების როლი მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ფორმირებისა და გაანგარიშების პროცესში. მთლიანი შიდა პროდუქტი ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ მაჩვენებელს წარმოადგენს, რომელიც ქვეყნის ტერიტორიის შიგნით წარმოებული საბოლოო საქონლისა და მომსახურების საბაზრო ფასებში გამოხატული მთლიანი ღირებულებაა. ქვეყანაში წლიდან წლამდე შექმნილი მთლიანი შიდა პროდუქტის შემადგენელ კომპონენტებს შორის ერთერთი მნიშვნელოვანი ადგილი სახელმწიფო შესყიდვებს უკავია გამომდინარე აქედან, ქვეყანა-

ში საჯარო ფინანსების რაციონალური და ყაირათიანი ხარჯვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია არსებობდეს ინსტიტუციურად და სისტემურად ჩამოყალიბებული სახელმწიფო შესყიდვების სისტემა.

აღსანიშნავია, რომ არსებობს მთლიანი შიდა პროდუქტის მიმდინარე საბაზრო ფასებში დათვლის სამი საერთაშორისოდ აღიარებული მეთოდოლოგია, მათ შორის „გამოყენების (დანახარჯების) მეთოდი", რომელიც ეკონომიკის რეზიდენტი ერთეულების მიერ მიმდინარე პერიოდში გაწეული დანახარჯების გამოთვლას ეფუძნება და შემდეგი კომპონენტებისაგან შედგება[20]:

შინამეურნეობების სამომხმარებლო ხარჯები

+

შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების მიერ გაწეული

მომსახურება

+

სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ გაწეული კოლექტიური (სახელმწიფოს მართვა, თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა) და პერსონალური (განათლებისა და ჯანდაცვის) მომსახურება

+

ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება

+

მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების ცვლილება

=

მთლიანი შიდა ხარჯები საბაზრო ფასებში

+

საქონლისა და მომსახურების ექსპორტი

-

საქონლისა და მომსახურების იმპორტი

=

მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში.

---

[20] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცხრილში №7 მოცემულია მთლიანი შიდა პროდუქტის შემადგენელი კომპონენტები ზემოაღნიშნული მეთოდის მიხედვით, რომელთა შორის არის სახელმწიფო შესყიდვების (სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ ინდივიდუალური საქონელი და მომსახურების და კოლექტიური მომსახურებისათვის გაწეული ხარჯები) წილი აბსოლუტურ მაჩვენებლებში 2011-2015 წლებში[21].

ცხრილი №7

მთლიანი შიდა პროდუქტის კომპონენტები 2011-2015 წლებში „დანახარჯების მეთოდით".

დასახელება	2011	2012	2013	2014	2015
მთლიანი დამატებული ღირებულება საბაზისო ფასებში	20 975,4	22 505,3	23 335,0	25 095,7	27 468,4
(+) გადასახადები პროდუქტებზე	3 492,7	3 790,0	3 659,5	4 203,6	4 445,4
(-) სუბსიდიები პროდუქტებზე	124,1	128,0	147,2	148,8	158,3
(=) მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში**	24 344,0	26 167,3	26 847,4	29 150,5	31 755,6
მთლიანი შიდა პროდუქტის გამოყენება					

[21] სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ხარჯები ინდივიდუალური მოხმარების საქონელსა და მომსახურებაზე – სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული მოსახლეობისათვის გაწეული უფასო მომსახურება განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის სფეროში. სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ხარჯები კოლექტიურ მომსახურებაზე – სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული უფასო მომსახურება არა ცალკეული შინამეურნეობებისათვის, არამედ მთლიანად საზოგადოებისათვის ან მოსახლეობის გარკვეული ჯგუფისათვის. ამ მაჩვენებელში შედის თავდაცვის, სახელმწიფო მმართველობის და სხვა ხარჯები.

ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე	22 487,3	23 733,2	23 671,8	25 570,7	27 318,7
შინამეურნეობები	17 160,3	18 220,3	18 622,1	20 117,4	20 990,1
შმაკო (შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციები)	896,4	880,3	571,0	587,7	659,5
სახელმწიფო მართვის ორგანოები	4 430,5	4 632,5	4 478,7	4 865,6	5 669,2
ინდივიდუალური საქონელი და მომსახურება	1 055,1	1 173,6	1 306,3	1 544,1	2 272,0
კოლექტიური მომსახურება	3 375,4	3 458,9	3 172,4	3 321,5	3 397,2
(+) მთლიანი კაპიტალის ფორმირება	6 368,0	7 575,4	6 652,9	8 688,9	10 004,3
ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება	5 474,3	6 496,8	5 892,7	7 534,7	9 032,0
მარაგების ცვლილება	893,7	1 078,6	760,2	1 154,1	972,3
ფასეულობის შეძენა, წმინდა	...	...	...	...	...
(+) საქონლისა და მომსახურების ექსპორტი	8 822,9	9 983,0	11 997,9	12 518,3	14 206,8
საქონლის ექსპორტი	5 475,9	5 782,5	7 068,5	7 192,4	7 045,8
მომსახურების ექსპორტი	3 346,9	4 200,4	4 929,4	5 325,8	7 161,0
(-) საქონლისა და მომსახურების იმპორტი	13 334,2	15 124,3	15 475,2	17 627,3	19 774,3
საქონლის იმპორტი	11 217,2	12 742,4	12 881,7	14 668,9	15 983,0
მომსახურების იმპორტი	2 116,9	2 381,8	2 593,5	2 958,5	3 791,2
(=) მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში**	24 344,0	26 167,3	26 847,4	29 150,5	31 755,6

<u>წყარო:</u> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

თუ გადავხედავთ გასული წლების დინამიკას, ვნახავთ, რომ 2011-2013 წლებში სურათი ძირითადად ერთგვაროვანია, ხოლო 2014-2015 წლებში სახელმწიფო მართვის ორგანოების დანახარჯები გარკვეულწილად იმატებს, ხოლო საერთო ჯამში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2015 წელს ფიქსირდება, იხ. დიაგრამა №5.

დიაგრამა №5. სახელმწიფო მართვის ორგანოების დანახარჯები წილი მშპ-ში 2011-2015 წლებში



<u>წყარო:</u> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტროლო კითხვები

- განმარტეთ საჯარო ფინანსების არსი და მნიშვნელობა;
- დაახასიათეთ ბიუჯეტი და საბიუჯეტო მოწყობის ძირითადი პრინციპები;
- დაახასიათეთ საქართველოს საბიუჯეტო სისტემა;
- რას მოიცავს საბიუჯეტო შემოსულობები და გადასახდელები?
- განმარტეთ სახელმწიფო შესყიდვების როლი საჯარო ფინანსებისა და მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირების პროცესში.

თავი 7. სახელმწიფო შესყიდვები საქართველოში

7.1 სახელმწიფო შესყიდვების არსი და ცნება

სახელმწიფო შესყიდვები, საჯარო ფინანსების ხარჯვის უმთავრეს ინსტრუმენტს წარმოადგენს. იგი შინაარსობრივად სახელმწიფო დაწესებულებების მიერ საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შეძენას წარმოადგენს. სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას ძირითადი პრინციპებია:

- შესყიდვების საჯაროობა და გამჭვირვალობა;
- არადისკრიმინაციული და კონკურენტული გარემოს შექმნა;
- საჯარო ფინანსების რაციონალური და მიზანშეწონილი ხარჯვა.

სახელმწიფო შესყიდვების პროცესს საქართველოში ეროვნულ დონეზე კოორდინაციას უწევს საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, რომელიც დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირია. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო შესყიდვების სისტემა დეცენტრალიზებულია და შესყიდვების განხორციელებაზე უფლებამოსილია კონკრეტული შემსყიდველი ორგანიზაცია, რომელსაც ეკისრება პასუხისმგებლობა სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მართლზომიერებაზე.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვა ეს არის: შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესაბამისი სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სახელმწიფო შესყიდვის საშუალებების გამოყენებით ნებისმიერი **საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს** შესყიდვა შემდეგი სახსრებით:

- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და სახელმწიფო ბიუჯეტში კონსოლიდირებული სახსრებით;
- აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების სახსრებით;

- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით;
- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სახსრებით;
- საბიუჯეტო ორგანიზაციების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების ფონდის, ასევე სახელმწიფო შესყიდვის განმახორციელებელი, სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული (50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით) საწარმოების მიერ უცხო ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე, აგრეთვე სხვა სახელმწიფოს რეზიდენტი პირებისაგან გრანტისა და კრედიტის სახით მიღებული სახსრებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ სამართალურთიერთობის მონაწილეს წარმოადგენს მსოფლიო ბანკი, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, აზიის განვითარების ბანკი, გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KFW) და ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB), ამ შემთხვევაში შესაძლოა გამოყენებულ იქნეს აღნიშნული ორგანიზაციების მიერ განსაზღვრული რეგულაციები;
- სახელმწიფო გარანტიით მიღებული საკრედიტო და საინვესტიციო სახსრებით;
- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითა-

რების ფონდის, ასევე საჯარო სამართლის იურიდიული პირის (გარდა წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირისა) სახსრებით, ამ სახსრების წარმოშობის წყაროს მიუხედავად, გარდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის 3[1] პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა;

- იმ საწარმოს სახსრებით, რომლის აქციათა ან წილის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული საწარმო თავისი საქმიანობის სპეციფიკასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების შესყიდვისას ხელმძღვანელობს საქართველოს მთავრობის მიერ ამ საქონლის ან მომსახურების შესყიდვისათვის დადგენილი სპეციალური წესით, რომლის მოქმედების ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 2 წელს. საქართველოს მთავრობის მიერ დასადგენ სპეციალურ წესს შეიმუშავებს და საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ან საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო შესაბამისი საწარმოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წინადადებათა საფუძველზე. საქართველოს მთავრობის მიერ სპეციალური წესის დაუდგენლობის შემთხვევაში შესყიდვა უნდა განხორციელდეს ამ კანონის შესაბამისად.

რაც შეეხება **შემსყიდველ ორგანიზაციას**, ის წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილი სახსრებით სახელმწიფო შესყიდვის განმახორციელებელ იურიდიულ პირს.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად ყველა შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია: რაციონალურად და საქართველოს სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვები

წინასწარ განსაზღვრული და დამტკიცებული შესყიდვების წლიური გეგმის მიხედვით.

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების ეფექტური სისტემის არსებობა დიდწილად განაპირობებს სახელმწიფოს (სახელმწიფო ორგანიზაციების) მიერ მოქალაქეთათვის მიწოდებული საზოგადოებრივი პროდუქტის ხარისხსა და მომხმარებელთა მიერ მიღებულ სარგებლიანობას. თუ სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში დარღვეულია ზემოთ ხსენებული ფუნდამენტური პრინციპები, ამ შემთხვევაში სახელმწიფოში ადგილი აქვს საჯარო ფინანსების არაყაირათიან ხარჯვას, რაც საჯარო სტრუქტურებში კორუფციის არსებობის და განვითარების პირდაპირი საფუძველია.

7.2 საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ჩამოყალიბების ისტორია

სახელმწიფო შესყიდვების, როგორც სისტემის ჩამოყალიბება საქართველოში 1993 წლიდან იწყება. 1993 წლის 30 მარტს მიღებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის №264 დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საჭიროებისათვის პროდუქციისა და საქონლის მიწოდების შესახებ", აღნიშნული დადგენილება იყო ქვეყანაში პირველი სამართლებრივი ხასიათის აქტი, რომლითაც დაიწყო სახელმწიფო შესყიდვების სისტემის რეგულირება.

შემდეგი დოკუმენტი 1996 წლის 31 მარტს გამოიცა - საქართველოს პრეზიდენტის №244 ბრძანებულება - „საქართველოს სამხედრო ძალების მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაში ქვეყნის სამრეწველო პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ" და „სამშენებლო დარგში სახელმწიფო დაკვეთების შესახებ" საქართველოს კანონი (პარლამენტის უწყებანი, №8-9, 21.02.1998).

აღსანიშნავია, რომ 1998 წლის 9 დეკემბრამდე სახელმწიფო შესყიდვები ქვეყანაში ზემოთ აღნიშნული სამართლებრივი აქტებით ხორციელდებოდა, ხოლო 1998 წლის 9 დეკემბერს მიღებულ იქნა კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", რომლის სრულყოფილად ამოქმედება დაიწყო 1999 წლის 1 ივლისიდან. აღნიშნული კანონის მე-7 და მე-8 თავები ამოქმედდა კანონის გამოქვეყნებისთანავე, რომელთა მიხედვითაც 1999 წლის 1 ივლისამდე:

- საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროში უნდა შექმნილიყო სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი;
- საქართველოს პრეზიდენტს 1999 წლის 1 ივლისამდე უნდა დაენიშნა საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის თავმჯდომარე;
- საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს უნდა მიეღო ამ კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" ამოქმედებისათვის აუცილებელი ნორმატიული აქტები;
- საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსთან შეთანხმებით უნდა დაემტკიცებინა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ სტატისტიკური ანგარიშის ფორმა;
- საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის ხარჯები უნდა გაეთვალისწინებინა 1999 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

1998 წლის 9 დეკემბერს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მიღების შემდეგ, კანონის გამოქვეყნებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალა საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 28 ოქტომბრის №612 გრძანებულება „საქართველოს

თავდაცვის სამინისტროსათვის გათვალისწინებული ბიუჯეტური ასიგნებებიდან პროდუქციით უზრუნველყოფის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ", ხოლო 1999 წლის 1 ივლისიდან ძალადაკარგულად ჩაითვალა:

- საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 30 მარტის №264 დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საჭიროებისათვის პროდუქციისა და საქონლის მიწოდების შესახებ";
- საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 31 მარტის №244 ბრძანებულება „საქართველოს სამხედრო ძალების მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაში ქვეყნის სამრეწველო პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ";
- „სამშენებლო დარგში სახელმწიფო დაკვეთების შესახებ" საქართველოს კანონი (პარლამენტის უწყებანი, №8-9, 21.02.1998).

1999 წლის 1 ივლისს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის სრულად ამოქმედებას ამავე წლის 4 აგვისტოს მოჰყვა კანონქვემდებარე აქტის - „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების დამტკიცება, რის საფუძველზეც სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაციისა და მონიტორინგის განხორციელების მიზნით საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს ფარგლებში შეიქმნა და ფუნქციონირება დაიწყო სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტმა.

2001 წლის 5 ივნისს გამოიცა „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შექმნისა და მისთვის სახელმწიფო ქონების გადაცემის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის №223 ბრძანებულება რომლის მიხედვითაც სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაციისა და მონიტორინგის მიზნით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონების შე-

საბამისად საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი რეორგანიზებულ იქნა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდ.

რეორგანიზაციის შედეგად შექმნილი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო გახდა საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფლებამონაცვლე, თუმცა იგი ჯერ კიდევ ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს დაქვემდებარებაში იმყოფებოდა.

2005 წლის 20 აპრილს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" ახალი კანონი, რომლითაც გაუქმდა 1998 წლის 9 დეკემბერს მიღებული „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონი, რასაც ავტომატურად ამ კანონის საფუძველზე მიღებული დებულების გაუქმებაც მოჰყვა. ახალი კანონის გარდამავალ დებულებებში (თავი VII, მუხლი 24.) განისაზღვრა, რომ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში საქართველოს მთავრობას მოემზადებინა აღნიშნულ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი, რომლის მიხედვითაც „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს" არ ეყოლებოდა სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანო (როგორიც ამ პერიოდისთვის იყო საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო), შესაბამისად 2006 წლის 18 ივლისს საქართველოს პარლამენტის მიერ შეტანილ იქნა ცვლილებები „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-4 მუხლში, რომლის მიხედვით შესყიდვებთან დაკავშირებულ საქმიანობის კოორდინაციასა და მონიტორინგს ახორციელებს მუდმივმოქმედი დამოუკიდებელი ორგანო, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო.

ახალმა კანონმა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", რომელიც 2006 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა, მოიცვა სახელმწიფო

შესყიდვების განხორციელების ზოგად სამართლებრივი, ორგანიზაციული და ეკონომიკური პრინციპები, ამასთან შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მიერ 2006 წლის 3 იანვრის ბრძანებით დამტკიცებულ იქნა ახალი დებულება „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" სადაც დეტალურად გაიწერა სახელმწიფო შესყიდვების საშუალებები, პროცედურები, განისაზღვრა სატენდერო დოკუმენტაცია, დოკუმენტაციის არსი, დანიშნულება.

2010 წელს საქართველოში, სახელმწიფო შესყიდვების სფეროში განხორციელებული მნიშვნელოვანი რეფორმის შემდეგ სახელმწიფო შესყიდვები ერთიანი ელექტრონული სისტემით ხორციელდება. შესყიდვების ელექტრონული სისტემა 2010 წლის 1 აგვისტოდან ფუნქციონირებს, რომლის გამოყენება 2010 წლის 1 დეკემბრამდე ნებაყოფლობითი იყო, ხოლო 1 დეკემბრიდან სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება ელექტრონული სისტემით სავალდებულო გახდა. ელექტრონული სისტემა ერთი წლის განმავლობაში მუშავდებოდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში. პარალელურად გარკვეული ცვლილებები შევიდა კანონში - „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", გაუქმდა „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" მოქმედი დებულება და შემოღებულ იქნა „სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული საშუალებით განხორციელების შესახებ დროებითი წესი", რომელიც შემდეგ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებამ („გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ") შეცვალა, ასევე გამოიცა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ხელმძღვანელის რამდენიმე ბრძანება და ა.შ.

7.3 სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა საქართველოში

საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემას არაერთი სამართლებრივ-ნორმატიული აქტი არეგულირებს, თუმცა ძირითად სამართლებრივ ბაზას - საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" წარმოადგენს, რასაც ეყრდნობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებები, რომლებიც ცალკეულ შემთხვევებს აკონკრეტებენ.

როგორც ზედა თავებში აღინიშნა, საქართველოში კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 1998 წელს იქნა მიღებული. საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით 2006 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის ახალი ვარიანტი. აღნიშნულმა კანონმა სახელმწიფო შესყიდვების სისტემის სერიოზული სრულყოფა მოახდინა, რომელიც გაცილებით კომპლექსური იყო 1998 წელს მიღებულ კანონთან შედარებით, თუმცა 2006 წლიდან მოყოლებული კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" პერიოდულად განიცდიდა ცვლილებებს, რის შედეგადაც ამ ეტაპისთვის არსებული კანონი შინაარსობრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვნად განსხვავდება მისი პირვანდელი სახისგან, მაგ. აქ გვხდება ისეთი ახალი ტერმინები და განმარტებები, რომელიც მანამდე მოქმედ კანონში არ არსებობდა.

აღნიშნული ცვლილებების საფუძველი სხვა გარემოებებთან ერთად იყო სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის დანერგვა, რომელიც 2010 წლის 1 აგვისტოდან ამოქმედდა და რითაც შეიქმნა სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი სამართლებრივი ბაზა.

კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" შედგება 7 თავისა და 26 მუხლისგან. აღსანიშნავია, რომ კანონში სტრუქტურული თვალსაზრისით (თავებისა და მუხლების რაოდენობა) ცვლილება არ არის, რაც შეეხება მის შინაარსობრივ მხარეს, გვაქვს რადიკალური ცვლილებები.

7.3.1 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების სფერო

კანონის მოქმედება ვრცელდება, ყველა სახის სახელმწიფო შესყიდვაზე, გარდა ამავე კანონით განსაზღვრული გამონაკლისებისა. აღსანიშნავია, რომ 2008 წლის დეკემბრიდან დღემდე კანონში შეტანილი ცვლილების შესაბამისად I თავის 1 მუხლის მე-3 პუნქტს დამატებული აქვს მთელი რიგი ქვეპუნქტები, სადაც დაკონკრეტებულია ის შემთხვევები, რომლებზეც არ ვრცელდება აღნიშნული კანონის მოქმედება. 2008 წლამდე კანონით დადგენილი წესი არ ვრცელდებოდა მხოლოდ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებულ, განსაზღვრულ სახელმწიფო შესყიდვებზე, რელიგიური ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებზე და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფულად საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებულ შესყიდვებზე, ხოლო 2008 წლის 15 დეკემბრიდან „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის გავრცელება გარდა აღნიშნულისა შეიზღუდა შემდეგ სფეროებზე:

- საბიუჯეტო კლასიფიკაციის „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გათვალისწინებულ შტატგარეშე მომუშავეთა მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და ასევე მივლინების დროს განსახორციელებელ სახელმწიფო შესყიდვაზე;
- უძრავი ქონების სახელმწიფო შესყიდვასა და მისი სარგებლობის უფლებით მიღებასთან დაკავშირებულ სახელმწიფო შესყიდვებზე.

ასევე, 2009 წლიდან სახელმწიფო „შესყიდვების შესახებ“ კანონი აღარ ვრცელდება:

- ვაუჩერის გამოყენებით განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის შესაბამისი მომსახურების ან საქონლის დაფინანსებაზე, ასევე ვაუჩერის განაღდებასა და მასთან დაკავშირებულ ოპერაციებზე.

კანონის მოქმედებისგან ასევე გათავისუფლდა საქართველოს „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ არარეზიდენტი პირისგან ტელე-რადიო პროდუქციის ან მასთან დაკავშირებული მომსახურებისა და სატელიტური თანამგზავრის საშუალებით ტელე-რადიო პროდუქციის გავრცელებასთან ან მიღებასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა.

დღესდღეობით კანონის მოქმედება არ ვრცელდება:

- „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის განხორციელებასთან და ნაღდი ფულით ქვეყნის ეკონომიკის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სახელმწიფო შესყიდვებზე, აგრეთვე საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიშგების გარე აუდიტის განსახორციელებლად აუდიტორული ფირმის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე. საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს მიერ დამტკიცებული ადმინისტრაციული და კაპიტალური ხარჯების ბიუჯეტიდან გამომდინარე შესყიდვები, გარდა არამატერიალურ აქტივებთან, ოქროს ზოდებთან, საკოლექციო ან/და სხვა საჭიროებისათვის განკუთვნილ ლარის ბანკნოტებსა და მონეტებთან, აგრეთვე ლარის ბანკნოტებისა და მონეტების რეპროდუცირებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვებისა, რეგულირდება ამ კანონით;
- იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირების სახსრებით განსახორციელებელ სახელმწიფო შესყიდვებზე, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით ითვლებიან რელიგიურ ორგანიზაციებად;
- ელექტროენერგიის, გარანტირებული სიმძლავრის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სახელმწიფო შესყიდვებზე;
- საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულებისათვის, თავდაცვის ატაშესათვის, აგრეთვე საქართველოს თავდა-

ცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებისათვის ავტოსატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო შესყიდვაზე, გარდა საქართველოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

- საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის, საქართველოს მინისტრის, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის და ქ. თბილისის მერის შეხვედრებისა და ვიზიტების, საქართველოს პარლამენტში დელეგაციების მიღებისა და საქართველოს პარლამენტის დელეგაციების საზღვარგარეთ ვიზიტების ორგანიზების უზრუნველსაყოფად, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში დელეგაციების მიღებისა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაციების საზღვარგარეთ ვიზიტების ორგანიზების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და ქ. თბილისის მერიის სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხებით განსახორციელებელ სახელმწიფო შესყიდვებზე;
- საბიუჯეტო კლასიფიკაციის „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გათვალისწინებულ შტატგარეშე მომუშავეთა მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე, აგრეთვე მივლინების დროს განსახორციელებელ სახელმწიფო შესყიდვაზე;
- საბიუჯეტო კლასიფიკაციის „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული ხელშეკრულებითა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე, აგრეთვე მივლინების დროს განსახორციელებელ სახელმწიფო შესყიდვაზე;

- საექსპერტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე, თუ აღნიშნული მომსახურების შესყიდვა ხორციელდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 144-ე – 147-ე მუხლების შესაბამისად;
- უძრავი ქონების სახელმწიფო შესყიდვასთან, ასევე უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიღებასთან დაკავშირებულ სახელმწიფო შესყიდვებზე;
- ვაუჩერის გამოყენებით განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის შესაბამისი მომსახურების/საქონლის დაფინანსებაზე, აგრეთვე ვაუჩერის განაღდებისა და განაღდებასთან დაკავშირებულ ოპერაციებზე;
- შეხვედრების ჩასატარებლად შესაბამისი ფართობის დაქირავებასთან დაკავშირებულ სახელმწიფო შესყიდვებზე;
- სოციალური რეკლამის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მათ შორის, ვებგვერდითა და სოციალური ქსელით, გავრცელებასთან დაკავშირებულ სახელმწიფო შესყიდვებზე (გარდა ტელერადიოეთერის დროის შესყიდვასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვისა, რომელიც ხორციელდება ამ კანონის შესაბამისად, „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 661-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პირობებით);
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ არარეზიდენტი პირისაგან ტელე-რადიოპროდუქციის (პროგრამის, გადაცემის, ფილმის, რეპორტაჟის, კულტურული ღონისძიების) და მასთან დაკავშირებული მომსახურების, აგრეთვე სატელიტური თანამგზავრის საშუალებით ტელე-რადიოპროდუქციის (პროგრამის, გადაცემის, ფილმის, რეპორტაჟის, კულტურული ღონისძიების) გავრცელებასთან ან/და მის მიღებასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვაზე;
- სუვერენული საკრედიტო – სარეიტინგო მომსახურებისა და სახელმწიფო ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული საკრედიტო – სარეიტინგო მომსახურების შესყიდვებზე,

აგრეთვე აღნიშნული მომსახურების მიმწოდებლისათვის საკრედიტო – სარეიტინგო მომსახურების თანმდევი ხარჯების ანაზღაურებაზე;

- „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ლატარიის ორგანიზატორის ან აგენტის მიერ ლატარიის ბილეთის შენახვის, სარეალიზაციო ან/და ლატარიის ორგანიზატორის სარეკლამო საქონლის უსასყიდლო გავრცელებასთან დაკავშირებული მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე;
- „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ლატარიის ორგანიზატორის მიერ აღნიშნულ საწარმოში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილის მართვის უფლების მქონე პირისაგან მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე;
- „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ლატარიის ორგანიზატორის მიერ ლატარიის ორგანიზებისათვის ან/და ჩატარებისათვის საჭირო ინფორმაციული და ტექნოლოგიური მხარდაჭერის სახელმწიფო შესყიდვაზე;
- შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ სავაჭრო ობიექტებიდან რეალიზაციის მიზნით შეძენილი საქონლის სახელმწიფო შესყიდვაზე;
- შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შპს „საქართველოს ფოსტისაგან“ საფოსტო და საკურიერო მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვაზე;
- შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე;

- „საქართველოს მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის განსაკუთრებით საშიში პათოგენების აღმოჩენის, ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის და რეაგირების ერთიანი ლაბორატორიული სისტემისა და საქართველოს რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ხარჯებისა და პასუხისმგებლობების გადაცემის შესახებ“ შეთანხმების შესაბამისად ერთიანი ლაბორატორიული სისტემისათვის განკუთვნილ იმ საქონლის სახელმწიფო შესყიდვებზე, რომლის ჩამონათვალიც განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

აღნიშნული ცვლილებების საჭიროება ძირითადად დადგა მას შემდეგ, რაც შეიქმნა შესყიდვების ახალი (ელექტრონული) სისტემა და აღნიშნული სფეროები დაექვემდებარა გამარტივებული შესყიდვის წესს, რაც გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ ტენდერის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის შემთხვევაში, ამ სფეროების სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია შექმნილიყო მთელი რიგი პრაქტიკულ-ტექნიკური ხასიათის პრობლემები.

7.3.1.1. კანონის მიზანი

სახელმწიფო შესყიდვების კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად კანონის მიზანს საჯარო ფინანსების რაციონალური და მიზანშეწონილი ხარჯვა, მიმწოდებლებისთვის არადისკრიმინაციული და ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნა, პროცესის მაქსიმალური გამჭვირვალობა და „სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შექმნა და საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბება“ წარმოადგენს. როგორც აღვნიშნეთ ელექტრონული სისტემა 2010 წლიდან ამოქმედდა და ამ ეტაპისთვის წარმატებით ფუნქციონირებს.

7.3.2 სფეროს მარეგულირებელი სხვა სამართლებრივი აქტები

როგორც ზემოთ აღინიშნა სახელმწიფო შესყიდვებს საქართველოში გარდა „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონისა რიგი სამართლებრივ ნორმატიული აქტები არეგულირებს. განვიხილოთ ის ძირითადი სამართლებრივი აქტები, რომლებიც აკონკრეტებენ სახელმწიფო შესყიდვის საშუალებების გამოყენების პირობებს, საჭიროებას, დაგეგმვასა თუ სხვ.:

- **სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის N7 ბრძანებით დამტკიცებული „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესი“** - რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტების იდენტიფიკაცია, კლასიფიკაცია და შესყიდვის ობიექტების ერთგვაროვნების დადგენა CPV (COMMON PROCUREMENT VOCABULARY) კლასიფიკატორის გამოყენებით;
- **სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესი“**, რომლის მიზანია სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საქმიანობის ამსახველი დოკუმენტების ანგარიშგების შესახებ უზრუნველყოფა;
- **სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“** - აღნიშნული ბრძანება 27 მუხლისგან შედგება და იგი აკონკრეტებს სახელმწიფო შესყიდვის კანონით განსაზღვრულ იმ საშუალებების გამოყენებას, როგორიცაა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი და ელექტრონული ტენდერი. სამართლებრივ აქტში დეტალურადაა გაწერილი ყველა ის ნიუანსი, რომელიც ელექტრონული ტენდერების გამოყენებას უკავშირდება. მათ შორის: სატენდერო განცხა-

დების მომზადება, თუ რა მონაცემს უნდა მოიცავდეს განაცხადი და მისი განთავსება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, ასევე უკვე განთავსებულ სატენდერო განაცხადში ცვლილებების შეტანის პირობები და ვადები, ტექნიკური და საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრის პირობები პრეტენდენტის მიმართ და შესყიდვის ობიექტის განსაზღვრის წესი, ელექტრონული ტენდერების მიმდინარეობის ეტაპები და დასრულებული ტენდერების შერჩევა შეფასება, დისკვალიფიკაციის შემთხვევები, სატენდერო კომისიის დაკომპლექტება და კომისიის უფლება მოვალეობები, ხელშეკრულების მომზადება, ხელშეკრულებაში გასათვალისწინებელი გარემოებები, ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა, შესყიდვის პროცესში გამოყენებული გარანტიები, ინტერესთა კონფლიქტი სახელმწიფო შესყიდვებში, სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის განსხვავებული წესი და ა.შ., როგორც ზემოთ აღინიშნა მოცემული სამართლებრივი აქტი ერთერთი უმთავრესი დოკუმენტია სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული ტენდერების საშუალებით განხორციელების პროცესში.

- **სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“.** მოცემული სამართლებრივი აქტი შედგება 16 მუხლისგან და როგორც აქტის სათაურში ჩანს იგი ადგენს „გამარტივებული შესყიდვის“ - როგორც სახელმწიფო შესყიდვის ერთ-ერთი საშუალების მნიშვნელობასა და გამოყენების პირობებს. „გამარტივებული შესყიდვა“ გარდა მონეტარული ზღვრებისა შესაძლოა გამოყენებული იქნეს სხვადასხვა გარემოებების საფუძველზე, მათ შორის როგორებიცაა: გადაუდებელი აუცილებლობა, ხარისხის გაუარესების თავიდან აცილება, ექსკლუზიური უფლება შესყიდვის ობიექტზე, სახელმწიფოებრივი

და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში ჩატარება, ავტოსატრანსპორტო საშუალების ან ელექტროტექნიკის ჩანაცვლება და სხვ., სწორედ ამ გარემოებებს ადგენს და განმარტავს აღნიშნული სამართლებრივი აქტი და როგორც აღვნიშნეთ იგი განსაზღვრავს სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძვლებსა და კრიტერიუმებს, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გამარტივებული შესყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან (შემდგომში – სააგენტო) შეთანხმების წესს, აგრეთვე გამარტივებულ შესყიდვასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

- **სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის N7 ბრძანება „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“.** აღნიშნული სამართლებრივ აქტის მიზანს წარმოადგენს შესყიდვის ობიექტების იდენტიფიკაცია, კლასიფიკაცია და შესყიდვის ობიექტების ერთგვაროვნების დადგენა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული კლასიფიკატორის გამოყენებით სახელმწიფო შესყიდვის შესაბამისი საშუალებებით შესყიდვის განხორციელებისას. სამართლებრივი აქტი 5 მუხლისგან შედგება და ადგენს სახელმწიფო შესყიდვის კლასიფიკატორს, რის მიხედვითაც შემდეგ განისაზღვრება შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნება. კლასიფიკატორი თავის მხრივ მოიცავს კოდებს, რომლებშიც განაწილებულია შესყიდვის ობიექტები. კლასიფიკატორის კოდი შედგება 8 ციფრისგან და კოდის პირველი სამი ციფრი განსახავავებს შესყიდვის ობიექტს სხვა შესყიდვის ობიექტისგან და ამასთან ასევე პირველი სამი ციფრი ადგენს შესყიდვის ობიექტების ერთგვაროვნებას. აღნიშნული წესის შესაბამისად ხორციელდება სახელმ-

წიფო შესყიდვის გეგმის მომზადება, ხდება გამოსაყენებელი შესყიდვის საშუალების განსაზღვრა მონეტარული ზღვრების შესაბამისად და სხვ.

- **სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის №7 ბრძანება „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესი და პირობები“.** მოცემული სამართლებრივი აქტის მიზანია საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების განსაზღვრა, კონკურსის მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებული საქმიანობის მოწესრიგება, კოორდინაცია და მონიტორინგი. 2015 წლიდან კონკურსი როგორც სახელმწიფო შესყიდვის საშუალება, რომელიც კონკრეტული შესყიდვის ობიექტის (საპროექტო საინჟინრო მომსახურეობა) შესასყიდად გამოიყენება, ელექტრონული ფორმით ხორციელდება. სწორედ აღნიშნული სამართლებრივი აქტი არეგულირებს და ადგენს კონკურსის მომზადების, ერთიან ელექტრონულ სისტემაში გამოცხადების, შერჩევა-შეფასების და შეფასების შესაბამისი ფორმულების გამოყენების პირობებს და გარემოებებს. სამართლებრივი აქტი 22 მუხლისგან შედგება.

გარდა ზემოთ აღნიშნული სამართლებრივი აქტებისა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ რეგულაციები მოცემულია სხვადასხვა სამართლებრივ აქტებში მათ შორის იმ აქტებში როგორებიცაა: საქართველოს „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს „სისხლის სამართლის კოდექსი“, საქართველოს „საგადასახადო კოდექსი“, საქართველოს მთავრობის განკარგულებები, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებები და ა.შ., რომლებსაც შემდეგ თავებში სახელმწიფო შესყიდვების საშუალებების აღწერისას განვიხილავთ.

7.4 სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელი სუბიექტები

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვას ახორციელებენ **შემსყიდველი ორგანიზაციები**, ამავე კანონით დადგენილი შესყიდვის საშუალებების გამოყენებით. თავის მხრივ შემსყიდველი ორგანიზაციები წარმოადგენენ იმ ორგანიზაციებს, რომელებიც დარეგისტრირებულნი არიან სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში და ნებისმიერი საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვას ახორციელებენ შემდეგი სახსრებით:

- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და სახელმწიფო ბიუჯეტში კონსოლიდირებული სახსრებით;
- აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების სახსრებით;
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით;
- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სახსრებით;
- საბიუჯეტო ორგანიზაციების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების ფონდის, ასევე სახელმწიფო შესყიდვის განმახორციელებელი, ამ პუნქტის „ა.თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საწარმოების მიერ უცხო ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე, აგრეთვე სხვა სახელმწიფოს რეზიდენტი პირებისაგან გრანტისა

და კრედიტის სახით მიღებული სახსრებით, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;

- სახელმწიფო გარანტიით მიღებული საკრედიტო და საინვესტიციო სახსრებით;
- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების ფონდის, ასევე საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახსრებით, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისებისა;
- იმ საწარმოს სახსრებით, რომლის აქციათა ან წილის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული საწარმო თავისი საქმიანობის სპეციფიკასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების შესყიდვისას ხელმძღვანელობს საქართველოს მთავრობის მიერ ამ საქონლის ან მომსახურების შესყიდვისათვის დადგენილი სპეციალური წესით, რომლის მოქმედების ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 2 წელს. საქართველოს მთავრობის მიერ დასადგენ სპეციალურ წესს შეიმუშავებს და საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ან საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო შესაბამისი საწარმოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წინადადებათა საფუძველზე.

2017 წლის 1 მარტის მდგომარეობით სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში 4459 ერთეული შემსყიდველი ორგანიზაციაა რეგისტრირებული[22].

---

[22] www.spa.ge

დიაგრამა № 6. შესყიდვის განმახორციელებელი სუბიექტები



შენიშვნა: დიაგრამაზე მოცემულ არასამეწარმეო იურიდიულ პირებსა და საწარმოებში იგულისხმება ის ორგანიზაციები, რომლებიც წარმოადგენენ სახელმწიფო, ავტ. რესპუბლიკების ან თვითმმართველი ერთეულების მიერ 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ ორგანიზაციებს.

საკონტროლო კითხვები:

- განმარტეთ სახელმწიფო შესყიდვების არსი და მნიშვნელობა;
- როგორია სახელმწიფო შესყიდვების ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორია საქართველოში?
- რა სამართლებრივი აქტებით რეგულირდება საქართველოში სახელმწიფო შესყიდვები?
- დაახასიათეთ შესყიდვის განმახორციელებელი სუბიექტები.

თავი 8. სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვა

8.1 დაგეგმვის მნიშვნელობა სახელმწიფო შესყიდვებში

ნებისმიერი ორგანიზაციის წინაშე არსებული გამოწვევების გადაწყვეტისას ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი დაგეგმვის ეტაპს უკავია. სწორი დაგეგმვა ორგანიზაციაში მიმდინარე ნებისმიერი პროცესის წარმატებით განხორციელების აუცილებელი წინაპირობაა. უდიდესი როლი აქვს დაგეგმვის ეტაპს ასევე სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას. სწორი დაგეგმვა შესყიდვების მთლიანი ციკლის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია და წარმატებული შესყიდვის უმთავრესი წინაპირობაა. შესყიდვების დაგეგმვის ეტაპი წარმოადგენს შესყიდვების მოსამზადებელ - საწყის ფაზას, რასაც შემდეგ უკვე მოსდევს შესყიდვის ისეთი ეტაპები, როგორებიცაა: შესყიდვის საშუალების შერჩევა და შესყიდვის განხორციელება, კონტრაქტის დადება მიმწოდებელთან, კონტრაქტის მართვა და შესყიდვის ობიექტის მიღება. დაგეგმვის ეტაპზე იგულისხმება ის კონკრეტული ქმედებები, რომლებიც უნდა განხორციელდეს შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ, კერძოდ კი, წლის განმავლობაში შესასყიდი ობიექტების წინასწარი განსაზღვრა, აღნიშნულის საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შემუშავება და შემდეგ უკვე საჭიროების შესაბამისად თანმიმდევრული კონკრეტული შესყიდვების განხორციელება.

აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ არასწორად, არაკვალიფიციურად წარმართული დაგეგმვის პროცესი ხშირ შემთხვევაში ხდება არასასურველი შედეგის განმაპირობებელი ფაქტორი, მაგ. საშესყიდვო პერიოდის გაჭიანურება, გადაუდებელ შემთხვევის სიხშირე, სატენდერო დოკუმენტაციის და ხელშეკრულების პირობების ხშირი ცვლილებები, სახელშეკრულებო პირობების დარღვევები და ა.შ., ამასთან არასათანადო დაგეგმვის შემთხვევაში, ხორციელდება რეალურ საჭიროე-

ბასთან შეუსაბამო შესყიდვის ობიექტის (საქონელი, მომსახურება ან სამუშაო) შესყიდვა. არსებობს რეალური რისკები, რომ შესყიდვა შესაძლოა წარიმართოს შემცირებული კონკურენციის პირობებში, რაც შესაბამისად იწვევს საჯარო ფინანსების არარაციონალურ ხარჯვას და ზოგადად სახელმწიფო შესყიდვების იდეისა და მიზნების უგულვებელყოფას.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვა მჭიდრო კავშირშია ბიუჯეტირების პროცესთან. შემსყიდველი ორგანიზაციები, რომლებიც ბიუჯეტს პროგრამულ ფორმატში ამზადებენ წინასწარ განსაზღვრავენ ორგანიზაციის მისაღწევ საბოლოო და შუალედურ შედეგებს და ამასთანავე განსაზღვრავენ შედეგის მისაღწევად საჭირო ღონისძიებებსა და რესურსებს. შესაბამისად, ამ შემთხვევაში შესყიდვა წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დაგეგმილი სხვადასხვა პროექტების განხორციელების აუცილებელ კომპონენტს და გამომდინარე აქედან საჭიროებს აღნიშნული პროექტებისათვის საჭირო საქონლის, მომსახურებისა თუ სამშენებლო სამუშაოების საჭიროების, მათი ოდენობის, ფიზიკური და ხარისხობრივი მახასიათებლების ზუსტ განსაზღვრას.

შესყიდვების სფეროს ექსპერტების მოსაზრებით შესყიდვის ყოველ პროექტს შესაძლოა სამი ძირითადი განზომილება ახასიათებდეს:

1. პროექტის ღირებულება;
2. პროექტის შესრულებისთვის საჭირო დრო;
3. ხარისხი.

აღნიშნული განზომილებები გრაფიკულად შესაძლოა ე.წ. „რკინის სამკუთხედის“[23] სახით წარმოვიდგინოთ, იხ. დიაგრამა №7.

---

[23] Public Procurement Training for IPA Beneficiaries, SIGMA, გვ. C–20.

დიაგრამა № 7. „რკინის სამკუთხედი“



მოცემული განზომილებები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და ნებისმიერი მათგანის ცვლილება იწვევს დანარჩენი ორის ცვლილებას. მაგ. თუ მცირდება კონკრეტული პროექტის განხორციელებისთვის დროის პერიოდი ამ შემთხვევაში დაგეგმილი შედეგის მისაღებად იგივე ხარისხის პირობებში აუცილებელია ბიუჯეტის გაზრდა. გამომდინარე აქედან აუცილებელია დაგეგმვის ეტაპის სრულყოფილად განხორციელება, რათა საბოლოო შედეგი მივიღოთ, როგორც დაგეგმილი ხარისხის, ასევე რაციონალური დანახარჯის პირობებში და ამასთანავე დროის იმ ოპტიმალურ პერიოდში რა პერიოდშიც შემსყიდველ ორგანიზაციას უდგას შესყიდვის ობიექტის საჭიროება. ამისათვის კი, ისევე როგორც ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის მომზადების დროს, სავარაუდო საჭიროებებისა და შესაბამისი ღონისძიებების განსაზღვრას ახორციელებენ შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი პასუხისმგებელი პირები, ანალოგიურად გარკვეული პერიოდით ადრე უნდა ჰქონდეს შემსყიდველ ორგანიზაციას წარმოდგენა წლის განმავლობაში განსახორციელებელი შესყიდვის შესახებ, რათა დაგეგმვა და შესაბამისად შესყიდვა არ განხორციელდეს ფორსირებულ რეჟიმში რაც შემდეგ შესაძლოა სწორედ შესყიდვის ობიექტის არასასურველ ხარისხსა და მაღალ ღირებულებაში აისახოს.

8.2 ერთგვაროვნების ცნება, სახელმწიფო შესყიდვებში და სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის ეტაპები

დაგეგმვა სახელმწიფო შესყიდვებში, როგორც აღვნიშნეთ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაზაა, რომელიც თავის მხრივ რამდენიმე ეტაპისგან შედგება. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

8.2.1 შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროებების განსაზღვრა და შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავება

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მომდევნო წლის შესყიდვების წლიური გეგმის მომზადება და წარდგენა ხდება მიმდინარე წლის არაუგვიანეს 20 ნოემბრისა. შესაბამისად სწორედ შემდეგი წლის წლიური გეგმის მომზადების პროცესში უნდა მოხდეს შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროებების განსაზღვრა მომავალი წლისათვის და ამასთანავე საჭიროებების ბიუჯეტთან შესაბამისობაში მოყვანა, რათა შესყიდვების გეგმაში სწორად აისახოს ის ღონისძიებები, რის განხორციელებასაც შემსყიდველი ორგანიზაცია მომდევნო წლის განმავლობაში აპირებს. აღნიშნულ ეტაპზე მხარჯავი დეპარტამენტების მიერ ხორციელდება პირველადი საჭიროებების დასახელება, საჭიროებების დაკმაყოფილების ალტერნატივების განხილვა და შესყიდვის ობიექტების მიმართ წაყენებული მოთხოვნების მოკლე აღწერა. ამ პროცესში აუცილებელია კიდევ ერთხელ გადამოწმდეს, თუ რა მიზანს ემსახურება კონკრეტული ობიექტის შესყიდვა და გააჩნია, თუ არა შემსყიდველ ორგანიზაციას ფინანსური სახსრები ამისათვის. საჭიროების განსაზღვრის პროცესში ძალზედ მნიშვნელოვანია შესყიდვების კოორდინატორების ჩართულობა, რადგანაც ისინი იღებენ ინფორმაციას მხარჯავი დეპარტამენტების საჭიროებების შესახებ და ამასთან მათი ჩართულობა მნიშვნელოვანია იმისათვის, რათა მათ მოახდინონ ორგანიზაციის მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის

საჭირო ერთგვაროვანი საშუალებების იდენტიფიცირება და შესყიდვების წლიურ გეგმაში შეტანა შესაბამისი შესყიდვის საშუალების გამოყენებით. საქონლის მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს ფუნქციონალური თვისებებისა და რაოდენობის/მოცულობის განსაზღვრასთან ერთად ორგანიზაციის საჭიროებების დადგენისას ხორციელდება შესყიდვის სავარაუდო ღირებულების პირველადი შეფასება, რა დროსაც შესაძლებელია გათვალისწინებული იქნეს მიწოდების ბაზრების შესახებ არსებული გამოცდილების შესაბამისად, თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად დაგეგმვის ფაზის სწორად წარმართვისა შემსყიდველი ორგანიზაციის პროფილის გათვალისწინებით შესაძლოა შესყიდვების გეგმა მისი შესრულების პროცესში რიგ ცვლილებებს დაექვემდებაროს. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შესყიდვების მთლიანი ციკლის ფარგლებში უმნიშვნელოვანესია შემსყიდველ ორგანიზაციაში მკაფიოდ განისაზღვროს შესყიდვების წარმართვასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობები. ქვემოთ მოცემულ ცხრილში 8 მოყვანილია შესყიდვების პროცესთან დაკავშირებული პასუხისმგებლობების განაწილების ტიპიური მაგალითი[24]:

ცხრილი 8

ტექნიკური დეპარტამენტების უფროსები	პროექტების მართვა/განხორციელება
პროექტის მენეჯერები პროექტი A პროექტი B პროექტი C	საჭირო შესყიდვის ობიექტის იდენტიფიცირება და შესყდვის დაგეგმვა; შესაბამის პროექტებთან დაკავშირებული შესყიდვების გეგმების შემუშავება; შესყიდვების განხორციელებაზე მიღებული განაცხადების

[24] http://www.publicprocurementguides.treasury.gov.cy/OHS-EN/HTML/index.html?1_8_1_role_definition.htm
http://procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/metod-mititebebi-da-recomendaciebi/Untitled-1.pdf.aspx

	დადასტურება; არსებულ ხელშეკრულებებში ცვლილებების ინიცირება, საჭიროების შემთხვევაში ჩართულობა ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებულ მოლაპარაკებების პროცესში.
ტექნიკური პერსონალი	ტექნიკური დავალებების და სპეციფიკაციების შემუშავება; შესყიდვების კოორდინატორებისთვის დახმარების გაწევა პრეტენდენტების შერჩევა-შეფასების დროს; მიღება-ჩაბარების ადმინისტრირება.
ფინანსური დეპარტამენტი	ფინანსური ანგარიშების და სახსრების მიმოქცევის ზედამხედველობა; ბიუჯეტირება; გადახდების სერვისი.
შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი	შესყიდვების პროცესების დაგეგმვა, კოორდინირება და მონიტორინგი; კანონმდებლობასთან/წესებთან შესაბამისობის კონტროლი.
შესყიდვების კოორდინატორები	დადასტურებული შესყიდვების წარმართვა, ტექნიკური დავალებების და სპეციფიკაციების სისრულის და ლოგიკურობის გადამოწმება, შესყიდვებთან დაკავშირებული კორესპონდენციის დამუშავება და არქივირება, სატენდერო დოკუმენტაციების შედგენა, ერთობლივი მუშაობა ტექნიკურ, იურიდიულ და ფინანსურ დეპარტამენტებთან; პრეტენდენტების შერჩევა-შეფასების პროცესის წარმართვა, გამარჯვებულის გამოვლენის გადაწყვეტილებისათვის წინა მოსამზადებელი სამუშაოების წარმართვა; შესყიდვების წესებთან დაკავშირებით სხვა დეპარტამენტების კონსულტირება; გაფორმებული ხელშეკრულებების თანახმად ფინანსური ვალდებულებების დადგენა.
იურიდიული დეპარტამენტი	ხელშეკრულებების პირობებთან, დავებთან და საჩივრებთან დაკავშირებული კონსულტაციები; დახმარების გაწევა და საჭიროებისამებრ ჩართულობა მოლაპარაკებებში.

8.2.2. ერთგვაროვნების განსაზღვრა სახელმწიფო შესყიდვების კლასიფიკატორის შესაბამისად

ორგანიზაციის კონკრეტული საჭიროების გამოვლენის შემდეგ ხდება შესყიდვის საშუალების შერჩევა, რისთვისაც უნდა მოხდეს შესყიდვის ობიექტისთვის შესაბამისი კლასიფიკატორის კოდის (ერთგვაროვნების) განსაზღვრა. შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნების დადგენას განსაზღვრავს „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის N7 ბრძანება. აღნიშნული ნორმატიული აქტის შესაბამისად შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნება განისაზღვრება საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების კლასიფიკატორის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ევროკავშირის EC№213/2008 დირექტივით გათვალისწინებული შესყიდვების ერთიანი ლექსიკონს (Common Procurement Vocabulary – CPV). კლასიფიკატორი ადგენს სახელმწიფო შესყიდვის ობიექტების ერთიან სისტემას და მიზნად ისახავს შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ შესყიდვის ობიექტის აღწერისას გამოყენებული მითითებების სტანდარტიზაციას.

ამავე ნორმატიული აქტით განსაზღვრულია კლასიფიკატორის სტრუქტურა, რომელიც შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

- კლასიფიკატორი იყოფა 4 ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებულ შესყიდვების იერარქიულ დონედ, რომელთაგან ყველაზე გამსხვილებულ დონეს წარმოადგენს დანაყოფი, რომელიც შედგება ჯგუფებისგან, ჯგუფები, თავის მხრივ, შედგება კლასებისგან, ხოლო კლასები – კატეგორიებისგან. ზოგიერთ შემთხვევებში კატეგორიები შედგება ქვეკატეგორიებისგან.
- კლასიფიკატორის ძირითადი კოდი შედგება 8 ციფრისგან, სადაც:

- ✓ პირველი სამი ციფრი განსაზღვრავს დანაყოფს (მაგ., XXX00000 – სადაც XXX არის დანაყოფის განმსაზღვრელი ციფრები);
- ✓ პირველი ოთხი ციფრი განსაზღვრავს ჯგუფს (მაგ., XXXX0000 – სადაც XXXX არის ჯგუფის განმსაზღვრელი ციფრები);
- ✓ პირველი ხუთი ციფრი განსაზღვრავს კლასს (მაგ., XXXXX000 – სადაც XXXXX არის კლასის განმსაზღვრელი ციფრები);
- ✓ პირველი ექვსი ციფრი განსაზღვრავს კატეგორიას (მაგ., XXXXXX00 – სადაც XXXXXX არის კატეგორიის განმსაზღვრელი ციფრები);
- ✓ უკანასკნელი ორი ციფრი გამოიყენება შესყიდვის ობიექტის იდენტიფიკაციის მიზნით.

რაც შეეხება შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნებას, იგი განისაზღვრება კლასიფიკატორის პირველი სამი ციფრის შესაბამისად: მაგალითი 1. შესყიდვის ობიექტი 8-ნიშნა კოდით: 18820000 (სპორტული ფეხსაცმელი) და შესყიდვის ობიექტი 8-ნიშნა კოდით: 18830000 (დამცავი ფეხსაცმელი) შედიან ერთ დანაყოფში (18800000 ფეხსაცმელი), რადგან ორივე ობიექტის 8-ნიშნა კოდის პირველი სამი ციფრი (188) არის იდენტური, შესაბამისად, აღნიშნული შესყიდვის ობიექტები წარმოადგენს შესყიდვის ერთგვაროვან ობიექტებს.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ კლასიფიკატორის ჩამონათვალში კონკრეტული შესყიდვის ობიექტი არ არსებობს ამ შემთხვევაში შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა გამოიყენოს შესყიდვის ობიექტთან ყველაზე მიახლოებული დასახელების კლასიფიკატორის კოდი.

მას შემდეგ რაც, მოხდება კონკრეტული საჭიროებების გამოვლენა, ასევე მოხდება მათი სახელმწიფო შესყიდვის კლასიფიკატორის შესაბამისად ერთგვაროვნების დადგენა მზადდება სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა, რომლის წარდგენას

შემსყიდველი ორგანიზაცია ახორციელებს ელექტრონულად სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში. როგორც ზემოთ აღინიშნა მომდევნო წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა შემსყიდველმა ორგანიზაციებმა უნდა წარადგინონ არაუგვიანეს მიმდინარე წლის 20 ნოემბრისა, ხოლო გეგმის რედაქტირება შესაძლებელია ნებისმიერ დროს ორგანიზაციის წინაშე მდგარი წინასწარ გაუთვალისწინებელი ამოცანებისა და საჭიროებების შესაბამისად. სახელმწიფო შესყიდვების გეგმა მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- ✓ კლასიფიკატორის (CPV) კოდი;
- ✓ სავარაუდო ღირებულება;
- ✓ შესყიდვის საშუალება;
- ✓ კვარტლები (ინფორმაცია იმის თაობაზე თუ რომელ კვარტალში ხორციელდება შესყიდვა);
- ✓ შესყიდვის საფუძვლები;
- ✓ დაფინანსება (ინფორმაცია დაფინანსების წყაროების შესახებ);
- ✓ მითითება იმის შესახებ ხორციელდება თუ არა შესყიდვა: პრეისკურანტის გამოყენებით, ორ-ეტაპიანი ტენდერის გამოყენებით, ალტერნატიული შესყიდვის გამოყენებით ან ერთობლივი შესყიდვის პრინციპით.

ელექტრონულ სისტემაში ასევე ჩანს თუ რა დროს მოხდა კონკრეტული ინფორმაციის ჩაწერა, რა დროს შევიდა ცვლილება და ვინ შეიტანა ეს ინფორმაცია ელექტრონულად.

აღსანიშნავია, რომ მომდევნო წლის გეგმის წარდგენის შემდეგ, შემსყიდველ ორგანიზაციებს შეუძლიათ დაიწყონ მომდევნო წლის შესყიდვები, მაგ. გამოაცხადონ ტენდერები რათა შეუფერხებლად მიიღონ სხვადასხვა უწყვეტი მომსახურებები და ა.შ.

8.2.3. შესყიდვის ობიექტის ფასის განსაზღვრა

შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნების იდენტიფიცირების მომდევნო ეტაპია, შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ფასის განსაზღვრა და შესაბამისად შესყიდვების წლიურ გეგმაში ასახვა. ფასის განსაზღვრისთვის აუცილებელია შემსყიდველს მკაფიო წარმოდგენა გააჩნდეს შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებით, კერძოდ, მის თვისობრივ, რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებთან მიმართებაში, აღნიშნული გარემოება ხშირ შემთხვევაში საკმაოდ რთულ პრობლემას წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციისთვის. განსაკუთრებით პრობლემურია შესყიდვის ობიექტის ხარისხობრივი მაჩვენებლების განსაზღვრა, რაც პირდაპირ კავშირშია საჯარო ფინანსების რაციონალურ ხარჯვასთან. მაგალითისთვის განვიხილოთ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საკანცელარიო საქონლის შესყიდვა. სატენდერო წინადადებაში შესასყიდი საქონლის ჩამონათვალი შეესაძლოა რამდენიმე ათეულ პოზიციას მოიცავდეს მაგალითად, საწერი კალამი, ჭიკარტი, ფლომასტერი, ფანქარი, საშლელი, კორექტორი და ა.შ. შემსყიდველი ორგანიზაციისთვის გარკვეულ პრობლემას წარმოადგენს განსაზღვროს მაგალითად, საწერი კალმის ხარისხი და ჩამოაყალიბოს თუ რა ხარისხობრივ პარამეტრებს უნდა აკმაყოფილებდეს, მით უფრო თუ გავითვალისწინებთ რომ ნებისმიერი შემსყიდველისთვის მსგავსი პროდუქციის ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია. გამომდინარე აქედან შემსყიდველი ორგანიზაციების უმრავლესობა ხარისხის განსაზღვრისას იყენებს ზოგად ფრაზას - მოწოდებული საქონელი უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის სტანდარტებს და უნდა იყოს მაღალი ხარისხის, რაც ბუნებრივია ბუნდოვანია და ამიტომაც ხშირად ხარისხობრივი მახასიათებლების ვერ, ან არ განსაზღვრა ხდება საჯარო ფინანსების არარაციონალური და არაყაირათიანი ხარჯვის მიზეზი. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით თავს იჩენს მსხვილი შესყიდვის განხორციელებისას მაგალითად, როცა შემსყიდველი ორგანიზაცია ყიდულობს

სამშენებლო სამუშაოს, რომლის ხარჯთაღრიცხვა რიგ შემთხვევებში მოიცავს ასობით პოზიციას და რომლის ღირებულება შესაძლებელია გარკვეულ შემთხვევებში ცდებოდეს ასობით ათას ლარს. სამუშაოს შესრულება თავისთავში მოიცავს, როგორც მომსახურების, ასევე საქონლის მიწოდების ერთიანობას. სამუშაოს შესყიდვის დროს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის მოცულობიდან გამომდინარე შეუძლია სამუშაოთა წარმოების ზედამხედველობა დაუკვეთოს სხვა (სპეციალიზებულ) კომპანიას/პირს (თუმცა ეს საკმაოდ გააძვირებს შესყიდვის ობიექტს). ასევე შეუძლია მოსთხოვოს სამუშაოს მიმწოდებელ ორგანიზაციას შესრულებული სამუშაოების როგორც პერიოდულ, ასევე საბოლოო შესრულებაზე საექსპერტო დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ შესრულებული სამუშაოები სრულ შესაბამისობაშია სახელშეკრულებო პირობებთან. გავრცელებული პრაქტიკის შესაბამისად დღესდღეობით ექსპერტიზის ნებისმიერ ეტაპზე განხორციელება გულისხმობს, მხოლოდ შესრულებული სამუშაოების მოცულობის გაზომვას და მის შედარებას სახელშეკრულებო მოცულობასთან და არა შესრულებული სამუშაოებისა და გამოყენებული მასალების ხარისხის დადგენას. ხარისხობრივი მახასიათებლების სწორად ჩამოყალიბების პრობლემა გამოწვეულია რამდენიმე ფაქტორით, მათ შორის:

- შემსყიდველი ორგანიზაციის დაბალი კვალიფიკაცია, რაც გულისხმობს შესაბამისი პირების (ხშირ შემთხვევაში ხელმძღვანელი პირის) ცოდნისა და გამოცდილების სიმწირეს სახელმწიფო შესყიდვებსა და ზოგადად საჯარო ფინანსებთან დაკავშირებით. შემსყიდველ ორგანიზაციაში შესყიდვის ობიექტის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე შესაძლებელია ხშირად დადგეს გარემოება, როდესაც შესყიდვების სპეციალისტი ნაკლებად არის გათვიცნობიერებული კონკრეტულ შესყიდვის ობიექტთან მიმართებაში, თუმცა მოქმედი კანონმდებლობა იძლევა საშუა-

ლებას კონკრეტული შესყიდვის დროს შეიძლება შესაბამისი სფეროს სპეციალისტების ჩართვა და მათგან კონსულტაციის მიღება. აღსანიშნავია, რომ შემსყიდველი ორგანიზაციები ამ შესაძლებლობას იშვიათად იყენებენ;

- პრობლემის ერთ-ერთ ძირითად მიზეზს წარმოადგენს ის, რომ შემსყიდველი ორგანიზაციები სათანადოდ არ იყენებენ საერთაშორისო/რეგიონული ორგანიზაციების (ISO, IEC/CEN, CENELEC) დადგენილ თუ საქართველოში რეგისტრირებულ სტანდარტებს, რომელთა შემუშავებას (დაინტერესებული მხარეების ჩართულობით), რეგისტრაციასა და გავრცელებას ახორციელებს სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო (სმეს). საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სტანდარტი განიმარტება, როგორც კონსენსუსის საფუძველზე შემუშავებული და სტანდარტების ორგანოს მიერ რეგისტრირებული დოკუმენტი, რომელიც საყოველთაო და მრავალჯერადი გამოყენებებისათვის ადგენს წესებს, ზოგად პრინციპებს ან/და მახასიათებლებს სხვადასხვა მომსახურებისა და საქონლისათვის, ან მისი შედეგებისათვის გარკვეულ სფეროში, ოპტიმიზაციის მიზნით. აღნიშნული განსაზღვრება მსგავსია ISO-ს მიერ შემუშავებული დეფინიციისა, რომლის თანახმადაც სტანდარტი არის სახელმძღვანელო მითითებების, სპეციფიკაციებისა და მახასიათებლების ერთობლიობა, რომლის გამოყენება შეიძლება თანმიმდევრულად, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საქონლის, პროცესებისა და სერვისების შესაბამისობა აღნიშნული პროდუქციის მიზნებთან და დანიშნულებასთან[25].

სტანდარტიზაციას სახელმწიფო შესყიდვებში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ამ შემთხვევაში როგორც შემსყიდველმა,

[25] http://www.iso.org/iso/home/standards.htm.

ასევე მიმწოდებელმა სუბიექტებმა ზუსტად იციან რა ხარისხის საქონელისა თუ მომსახურების შესყიდვა ხორციელდება. სტანდარტებით განსაზღვრული ტექნიკური სპეციფიკაციების მეშვეობით, მიმწოდებელმა სუბიექტმა იცის რა სურს მეორე მხარეს. შესაბამისად, რისკი იმისა, რომ კერძო სუბიექტი სწორად ვერ აღიქვამს შემსყიდველის მოთხოვნას და მიაწვდის მისთვის გამოუსადეგარ ან/და უხარისხო პროდუქტს, მინიმუმამდე მცირდება.

სტანდარტიზაცია ასევე უმნიშვნელოვანესია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ფასის განსაზღვრის შემთხვევაშიც, რადგანაც გავრცელებული პრაქტიკის შესაბამისად დღესდღეობით შემსყიდველი ორგანიზაცია ფასის განსაზღვრის დროს ძირითადად ითვალისწინებს საშუალო ხარისხის კონკრეტულ საქონელსა თუ მომსახურებაზე ბაზარზე არსებულ ფასს. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი ორგანიზაცია არ უთითებს მისთვის სასურველ ხარისხობრივ მახასიათებლებს ელექტრონული ვაჭრობის შედეგად სავარაუდო ფასი შესაძლებელია გაცილებით გაიაფდეს, რადგანაც მიმწოდებელი ძირითადად დაითვლის შესყიდვის ყველაზე დაბალი ხარისხის ფასს, რადგანაც მას არა აქვს შეზღუდვა ხარისხზე. თუმცა მეორე მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ შესაძლებელია შემსყიდველის მხრიდან მოხდეს სტანდარტის გამოყენება და შესაბამისი სერტიფიკატის მოთხოვნა ისეთ შემთხვევებში, როდესაც კონკრეტული შესყიდვის ხასიათიდან გამომდინარე გამართლებული და მიზანშეწონილი არ არის, რამაც შეიძლება ხელოვნურად შეზღუდოს კონკურენცია.

რაც შეეხება კონკრეტული შესყიდვის განხორციელებისას შესყიდვის ობიექტის ფასის განსაზღვრის მიზნით ჩასატარებელ სხვადასხვა ტიპის აქტივობებს მათ შორის ბაზრის მოკვლევას, აღნიშნული დეტალურად იქნება მოცემული მომდევნო თავებში სადაც სახელმწიფო შესყიდვის საშუალებებს განვიხილავთ.

8.2.4. შესყიდვის განხორციელება

დაგეგმვის ბოლო ეტაპს წარმოადგენს შესყიდვის განხორციელება, რაც თავისთავად მოიცავს კონკრეტული შესყიდვის იდენტიფიცირებას, შესაბამისი შესყიდვის საშუალების შერჩევას, ბაზრის მოკვლევას, ტენდერის შემთხვევაში სატენდერო პირობის მომზადებასა და ელექტრონულ სისტემაში განთავსებას, მიმწოდებელთა შერჩევა შეფასებას და საბოლოოდ ხელშეკრულების დადებას. წარმატებული შედეგი ნებისმიერი შესყიდვის განხორციელების დროს ძირითადად დამოკიდებულია სწორად დაგეგმილ და თანმიმდევრულად განხორციელებულ იმ ეტაპებზე, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

საკონტროლო კითხვები

- განმარტეთ დაგეგმვის მნიშვნელობა სახელმწიფო შესყიდვებში;
- დაახასიათეთ ერთგვაროვნება სახელმწიფო შესყიდვებში;
- როგორ ხდება სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შემუშავება?
- დაახასიათეთ წინამოსამზადებელი სამუშაოებისა და დაგეგმვის ეტაპები;
- როგორ განვსაზღვროთ შესყიდვის ობიექტის ფასი?

თავი 9. ელექტრონული ტენდერები

9.1. სახელმწიფო შესყიდვის საშუალებები

საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, სახელმწიფო შესყიდვის შემდეგ საშუალებებს განსაზღვრავს:

1. ელექტრონული ტენდერი;
2. გამარტივებული ელექტრონული ტენდერი;
3. გამარტივებული შესყიდვა;
4. კონკურსი;
5. კონსოლიდირებული ტენდერი.

სახელმწიფო შესყიდვის საშუალებები და მათი გამოყენება ერთმანეთისგან განსხვავდება კანონმდებლობით განსაზღვრული კონკრეტული ფაქტორების გათვალისწინებით. თითოეულ მათგანის გამოყენების საჭიროებასა და გამოყენების ფორმებს გარდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონისა აზუსტებს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები. როგორც ზემოთ აღინიშნა, მოცემული შესყიდვის საშუალებები 2010 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი რეფორმის შემდეგ დამკვიდრდა, მანამდე მოქმედი კანონმდებლობა არ ცნობდა ელექტრონული შესყიდვის ფორმას. რეფორმამდე ტენდერები ტარდებოდა სატენდერო კომისიისა და პოტენციურ მიმწოდებლებს შორის ზეპირი მოლაპარაკების ფორმით, ამასთან მინიმუმამდე იყო დაყვანილი პროცესის საჯაროობა, რაც უმეტეს შემთხვევაში ხდებოდა კორუფციის არსებობის საფუძველი. 2010 წლის 1 დეკემბრიდან სავალდებულო გახდა ტენდერების ელექტრონული ფორმით გამოცხადება და მოყოლებული აქედან დღემდე სახელმწიფო შესყიდვების სისტემა მუდმივად ვითარდება ამ თვალსაზრისით. მაგ., ეტაპობრივად სისტემამ შეიძინა ისეთი ფუნქციები როგორებიცაა, გამარტივებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებების ელექტრონული სისტემის შესაბამის მოდუ-

ლში განთავსება, სახელმწიფო შესყიდვების გეგმის ელექტრონული ფორმით განთავსება, ტენდერისა თუ გამარტივებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებში ფაქტობრივი გადახდების ელექტრონული ასახვა და გადახდებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის სისტემური განთავსების აუცილებლობა, კონკურსის ელექტრონული ფორმით გამოცხადება და ა.შ. სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ელექტრონიზაციასთან დაკავშირებით გადადგმული ეს ნაბიჯი ემსახურება სისტემის გამჭვირვალობისა და ღიაობის ხარისხის გაზრდას, მეტ შესაძლებლობას მცირე და საშუალო დონის მიმწოდებლებისათვის, საჯარო ფინანსების რაციონალურ ხარჯვას და სხვა.

მოცემულ თავში განვიხილავთ კონკრეტულად ელექტრონული ტენდერების არსს და მათი ორგანიზების ტექნოლოგიებს.

9.2 ელექტრონული ტენდერები

საქართველოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად[26] ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება ელექტრონული ტენდერისა და გამარტივებული ელექტრონული ტენდერის გამოყენებით. გამარტივებული ელექტრონული ტენდერით შესყიდვის განხორციელების ვალდებულება შემსყიდველ ორგანიზაციას წარმოეშობა იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო შესყიდვების კლასიფიკატორის ერთ ერთგვაროვნებაზე წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად განსაზღვრული აქვს 5 000 ლარზე მეტი, ხოლო იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული ციფრი 200 000 ლარს ან მეტს შეადგენს სავალდებულოა, რომ შესყიდვა განხო-

[26] საქართველოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის 10^1 მუხლის 1 პუნქტი.

რციელდეს ელექტრონული ტენდერის გამოყენებით.[27] აქვე უნდა აღინიშნოს რომ მოქმედი კანონმდებლობა არ ზღუდავს ტენდერების გამოყენებას იმ შემთხვევაშიც კი, როცა ერთგვაროვნებაზე დასახარჯი თანხის მოცულობა წლის განმავლობაში 5 000 ლარზე ნაკლებია. მაგ., თუ შემსყიდველ ორგანიზაციას დაგეგმილი აქვს ლაზერული პრინტერების შესყიდვა (CPV-30232110) საერთო ღირებულებით 3000 ლარი და კომპიუტერის აქსესუარები (CPV-30232110) ღირებულებით 2100 ლარი, რადგანაც ეს ორი შესყიდვის ობიექტი ერთგვაროვანია (მათი CPV კოდები 302-ზე იწყება) და ჯამში 5 000 ლარს სცდება, ამ შემთხვევაში შესყიდვის საშუალებად გამოყენებულ უნდა იქნეს გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მაგ., წლის განმავლობაში დაგეგმილია კომპიუტერის მაგიდები (CPV-39134100) ღირებულებით 120 000 ლარი და საარქივე თაროები (CPV – 39134100) ღირებულებით 81 500 ლარი გამოყენებულ უნდა იქნეს ელექტრონული ტენდერი, რადგანაც ორივე შესყიდვის ობიექტი ერთგვაროვანი საქონელია სახელმწიფო შესყიდვების კლასიფიკატორის მიხედვით (CPV – 39100000) და შესაბამისად მათი ღირებულება წლის განმავლობაში ჯამურად 200 000 ლარს აჭარბებს. აქვე ის გარემოებაც უნდა აღინიშნოს, რომ შესყიდვის ობიექტის განსაზღვრის დროს მნიშვნელობა არა აქვს შესყიდვა ერთჯერადად განხორციელდება თუ დაიყოფა და რამდენიმე ეტაპად მოხდება შესყიდვა. ელექტრონული ტენდერების განხორციელებას გამოცხადებიდან ხელშეკრულების გაფორმებამდე, ისევე როგორც შესყიდვის ნებისმიერ სხვა ფორმას, წინ უძღვის რიგი მოსამზადებელი სამუშაოები, რისი მნიშვნელობაც განსაკუთრებით დიდია ტენდერების შემთხვევაში და სწორედ მოსამზადებელი სამუშაოები განაპირობებს მათ წარმატებით დასრულებას.

---

[27] საქართველოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის 3 მუხლის ჟ-რ პუნქტები.

დიაგრამა №8. ელექტრონული ტენდერების განხორციელების ეტაპები



დიაგრამაზე მოცემულია ის ძირითადი ეტაპები, რაც ელექტრონული ტენდერს ახასიათებს.

9.3 წინამოსამზადებელი სამუშაოები

წინამოსამზადებელი სამუშაოები ელექტრონული ტენდერების შემთხვევაში თავის მხრივ მოიცავს შემდეგ აქტივობებს: უპირველესად ხორციელდება საჭიროების იდენტიფიცირება, შემდეგ ხდება სახელმწიფო შესყიდვის წლიურ გეგმაში არსებული რესურსის მოძიება და შესყიდვის საშუალების შერჩევა (გამარტივებული ელექტრონული ან ელექტრონული ტენდეი), ბაზრისა და ფასის მოკვლევა და სატენდერო წინადადების მომზადება. წინამოსამზადებელ სამუშაოებში ყველაზე რთულ და საპასუხისმგებლო საკითხს წარმოადგენს ბოლო ორი აქტი-

ვობა, ფასისა და ბაზრის მოკვლევა და სატენდერო წინადადების შემუშავება, რასაც ქვემოთ დეტალურად მიმოვიხილავთ.

- **ბაზრისა და ფასის მოკვლევა.** მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად კონკრეტული შესყიდვის ღირებულება უნდა გამომდინარეობდეს შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებიდან, რაც ბაზრის მოკვლევის შედეგად უნდა დადგინდეს, თუმცა კანონმდებლობა არ ადგენს ბაზრის მოკვლევის სავალდებულო მეთოდოლოგიას. ბოლო პერიოდში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო აქტიურად ამუშავებს მეთოდოლოგიურ მითითებებს და ამ დროისთვის უკვე გამოცემულია, მეთოდოლოგიური მითითებები წინამოსამზადებელ სამუშაოებთან[28] და მითითებები სტანდარტების გამოყენებასთან[29] დაკავშირებით, რომლებიც სარეკომენდაციო ხასიათს ატარებენ. ბაზრის მოკვლევას ორი უმთავრესი ფუნქცია გააჩნია - 1. გავარკვიოთ არსებობენ თუ არა კონკრეტული შესყიდვის ობიექტის პოტენციური მიმწოდებლები; 2. განვსაზღვროთ შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება. ზოგადად ბაზრის მოკვლევის ჩატარების აუცილებლობის საჭიროება განსაკუთრებით იმ შემთხვევაში იჩენს თავს, როდესაც შესყიდვის ობიექტი არ არის საყოველთაოდ გავრცელებული საქონელი, მომსახურება ან სამუშაო და შესაბამისად ნაკლებად არის ცნობილი ის ინფორმაცია (სპეციფიკაციები, ფასი და სხვ.), რომელიც აუცილებელია ვიცოდეთ სატენდერო პირობის მომზადების დროს. შესყიდვის ობიექტის განსაზღვრის შემდეგ ბაზრის კვლევის ეტაპები შესაძლებელია ამგვარად იქნეს წარმოდგენილი:

---

[28] http://procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/metod-mititebebi-da-recomendaciebi/Untitled-1.pdf.aspx

[29] http://procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/metod-mititebebi-da-recomendaciebi/standartebi.pdf.aspx

1. **განისაზღვროს შესყიდვის ობიექტის პოტენციური მიმწოდებლები.** ამისათვის ძირითადად გამოიყენება ინტერნეტი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია მიღებული იქნეს აღნიშნული ინფორმაცია. ამასთან ნებისმიერ ეტაპზე შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს თავად სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა (www.spa.ge) სადაც შეიძლება მოიძებნოს შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული სხვა ტენდერები, აქვე ინახოს მიმწოდებლები გარკვეულ იქნეს ფასი, გაანალიზებულ იქნეს ის სპეციფიკაციები რაც სხვა შემსყიველმა გამოიყენა და ა.შ., თუმცა ამ შემთხვევაში შესაძლოა სხვადასხვა ტიპის პრობლემას წავაწყდეთ, მაგ. თუ ჩვენი შესყიდვის ობიექტია კონკრეტული მედიკამენტი და მოკვლევას ამასთან დაკავშირებით ვახორციელებთ, ამ შემთხვევაში შესყიდვების ელექტრონული სისტემა შესაძლოა ვერ გამოვიყენოთ, რადგანაც სისტემის საძიებო ველებში შეიძლება მითითებულ იქნეს ზოგადად ფარმაცევტული პროდუქტის კლასიფიკატორის კოდი ამ შემთხვევაში CPV – 33600000 და არა კონკრეტული მედიკამენტი.

2. **პოტენციურ მიმწოდებლებთან კომუნიკაცია.** გულისხმობს უკვე იდენტიფიცირებულ პოტენციურ მიმწოდებლებთან კომუნიკაციას ინფორმაციის მიღების მიზნით. მათგან შესაძლოა მივიღოთ შესყიდვის ობიექტის სპეციფიკაციასთან დაკავშირებული ინფორმაცია და ასევე განვსაზღვროთ შესყიდვის ობიექტის ფასი. გამომდინარე იქიდან, რომ მოკვლევის სავალდებულო მეთოდოლოგია არ არსებობს, არ არის დადგენილი თუ რამდენი მიმწოდებელი უნდა გვყავდეს ფასის დადგენის მიზნით გამოკითხული. ზოგადი მსჯელობით შესაძლოა ითქვას, რომ რაც ურო მეტი პოტენციური მიმწოდებლის პირობა გვეცოდინება მით უფრო მეტად მივუახლოვდებით რეალურ საბაზრო ღირებულებას, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში ეს არც ისე მარტივია, რადგანაც მიმწოდებლები უმეტესად თავს არიდებენ ასეთი ტიპის თანამშრომლობას და მიაჩნიათ რომ ეს მხოლოდ დროის ფუჭი ხარჯვაა და ა.შ. პოტენციურ მიმწოდებლებთან ურთიერთობისას არ უნდა დაგვავიწყდეს

შემდეგი გარემოებები: 1. არ უნდა მოვარგოთ სატენდერო პირობა ერთი რომელიმე კონკრეტული მიმწოდებლის პირობას; 2. არ უნდა შევიდეთ გარიგებაში მიმწოდებელთან. აღნიშნული გარემოებები გარდა იმისა, რომ ეწინააღმდეგება სახელმწიფო შესყიდვების იდეას - საჯარო ფინანსების ხარჯვა განხორციელდეს რაციონალურად და ჯანსაღი კონკურენციის პირობებში, ასევე წარმოადგენს დანაშაულს, რაც დასჯადია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

- **სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მომზადება** სატენდერო დოკუმენტაცია – ეს არის შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მოთხოვნების აღწერის მიზნით სატენდერო განცხადებაზე თანდართული დოკუმენტაცია, რომელიც აღწერს შესყიდვის ობიექტს და რომელსაც ამტკიცებს შემსყიდველ ორგანიზაციაში მოქმედი სატენდერო კომისია. სატენდერო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს:
- იმ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში[30]), რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტი;

---

[30] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" N9 ბრძანების მე-11 მუხლის 4 პუნქტის შესაბამისად „საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნა შესაძლებელია პრეტენდენტთა მდგომარეობის/საქმიანობის სამართლებრივ მხარესთან დაკავშირებით (სარეგისტრაციო მონაცემები, უფლებრივი შეზღუდვები, არსებული ფინანსური და სხვა სახის ვალდებულებები და სხვ.). ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში, სატენდერო დოკუმენტაცია შესაძლებელია არ შეიცავდეს პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნას. გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების მოთხოვნა დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში და უნდა იყოს დასაბუთებული სატენდერო დოკუმენტაციაში, ხოლო მათი რაოდენობა – შესაძლოდ მინიმალური, კონკრეტული შესყიდვის თავისებურებათა გათვალისწინებით".

- შესასყიდი საქონლის რაოდენობას, სამუშაოს ან მომსახურების მოცულობას, საქონლის მიწოდების, სამუშაოს შესრულების ან მომსახურების გაწევის ვადას, ადგილსა და ფორმას;
- შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლების სრულ აღწერას, მათ შორის, შესაბამის ტექნიკურ სპეციფიკაციებს, გეგმებს, ნახაზებსა და ესკიზებს;
- ხელშეკრულების ნიმუშს და იმ აუცილებელ პირობებს, რომლებიც შემსყიდველი ორგანიზაციისათვის წინასწარ არის ცნობილი, აგრეთვე მითითებას ხელშეკრულების ფორმაზე და ხელშეკრულების შესრულების გარანტიაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- მეთოდებს, რომელთა მეშვეობითაც უნდა მოხდეს სატენდერო წინადადების ღირებულების გაანგარიშება, იმის მითითებით, უნდა შეიცავდეს თუ არა იგი საქონლის, სამუშაოს ან მომსახურების ღირებულების გარდა სხვა ხარჯებსაც (ტრანსპორტირება, დაზღვევა, გადასახადები და სხვ.);
- სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებების მოთხოვნის საშუალებებსა და პროცედურას;
- სატენდერო კომისიის აპარატის იმ წევრის ვინაობასა და საკონტაქტო ინფორმაციას, რომელსაც უფლება აქვს, გასცეს ინფორმაცია და განმარტებები შესყიდვის პროცედურების შესახებ;
- მითითებას საკომუნიკაციო მომსახურების ალტერნატიული შესყიდვის თაობაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- მითითებას შესყიდვის ობიექტის ნიმუშის წარმოდგენის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებისას შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლების აღწერისას გამოყენებული

ტექსტური მასალები, ტექნიკური სპეციფიკაციები, გეგმები, ნახაზები, ესკიზები და სხვა მასალები შეუსაბამოს საქართველოში და საერთაშორისო პრაქტიკაში აღიარებულ სტანდარტებს, ტექნიკურ მაჩვენებლებს, ტერმინოლოგიასა და პირობით აღნიშვნებს. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიუთითოს შესაბამის გამოყენებულ სტანდარტზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში. შესყიდვის ობიექტის აღწერილობაში დაუშვებელია სასაქონლო ნიშნის, პატენტის, მოდელის, წარმოშობის წყაროს ან მწარმოებლის მითითება. შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა მოახდინოს იმ მახასიათებლების მაქსიმალური აღწერა, რომელიც საჭიროა მისთვის კონკრეტული შესყიდვის განხორციელების დროს, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც მახასიათებლების აღწერა პრობლემას წარმოადგენს შესყიდვის ობიექტის აღწერისას აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული ისეთი ტერმინები, როგორებიცაა „მსგავსი", „ეკვივალენტური" და სხვ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფორმით შესყიდვის ობიექტის აღწერას შემსყიდველი ორგანიზაციები უმეტესად ერიდებიან და უფრო ხშირად შესყიდვის ობიექტის აღწერილობა შესაძლებელია მორგებული იყოს კონკრეტული დასახელების შესყიდვის ობიექტზე. განვიხილოთ მაგალითი პირობითად X შემსყიდველ ორგანიზაციას გადაწყვეტილი აქვს მსუბუქი ავტომობილის შეძენა და სატენდერო დოკუმენტაციაში მახასიათებლები შემდეგნაირად განსაზღვრა:

- ავტომობილის წონა - 1750 კგ;
- ძარის სიგრძე - 4,5 მ;
- ძრავის მოცულობა - 2500 სმ^3;
- ცხენის ძალა -192 ერთეული.

მიუხედავად იმისა, დოკუმენტაციაში მოცემული იქნება თუ არა ავტომობილის მარკისა და მოდელის დასახელება, აღნიშნული ფორმით დოკუმენტაციის მომზადება მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევაა, რადგანაც იგი მხოლოდ ერთ კონკრეტულ მოდელზეა მორგებული. შესაბამისად შემსყიდველმა ორგანიზაციამ ზუსტად უნდა განსაზღვროს მისთ-

ვის საჭირო მახასიათებლები (და არა კონკრეტული მოდელი) და საჭიროების შემთხვევაში აღწერისას შეზღუდოს მახასიათებლების მინიმალური და მაქსიმალური მონაცემები, მაგ., ძრავის მოცულობა - არანაკლებ 2200 სმ³ და არაუმეტეს 2800 სმ³;

სატენდერო დოკუმენტაციაში შესყიდვის ობიექტის არასწორი ფორმულირება გამოწვეულია შემდეგი ძირითადი მიზეზებით:

- შემსყიდველი ორგანიზაცია ცდილობს კონკრეტული შესყიდვის ობიექტის მიღებას და შესაბამისად დოკუმენტაცია მორგებული აქვს კონკრეტულ მოდელსა თუ მარკაზე. აღნიშნული გარემოება ძირითადად საქონლის შესყიდვისას შეიძლება განვითარდეს;
- შემსყიდველი ორგანიზაცია ცდილობს შესყიდვის ობიექტი იყიდოს კონკრეტული წინასწარ ცნობილი მიმწოდებელი სუბიექტისგან, რაც თავის მხრივ შესაძლოა მოხდეს შემდეგი მიზეზების გამო: 1. შემსყიდველი ორგანიზაცია თვლის, რომ მხოლოდ კონკრეტული სუბიექტი შეძლებს მიაწოდოს მას შესყიდვის ობიექტი; 2. შესაძლოა მხარეებს შორის არსებობდეს მატერიალური დაინტერესება და გარიგება, ამ შემთხვევაში სახეზეა დანაშაულის ნიშნები და ადგილი აქვს სამართალდარღვევას;
- შემსყიდველ ორგანიზაციაში შესაბამისი პირების დაბალი კვალიფიკაცია, რის გამოც ვერ ხერხდება სატენდერო დოკუმენტაციაში შესყიდვის ობიექტის სწორად ფორმულირება/განსაზღვრა.

საბოლოოდ მომზადებულ სატენდერო დოკუმენტაციას ამტკიცებს სატენდერო კომისია, რის შემდეგაც ხდება დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსება. სატენდერო დოკუმენტაცია შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით ელექტრონულ სისტემაში შესაძლოა განთავსდეს ინგლისურ ენაზე, ხოლო იმ შემთხვევაში თუ შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სავარაუდო

ღირებულება აღემატება 2 000 000 ლარს, ხოლო სამუშაოსი – 4 000 000 ლარს, ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ინგლისურ ენაზე განთავსება სავალდებულოა. ელექტრონული ტენდერისა და გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევებში სატენდერო განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია უნდა განთავსდეს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, რის შედეგადაც სატენდერო განცხადებას ენიჭება უნიკალური ნომერი და სატენდერო განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია ითვლება ოფიციალურად გამოქვეყნებულად.

სატენდერო განცხადება - ეს არის შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ სისტემაში განთავსებული განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ან ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ.

სატენდერო განცხადების შევსება და განთავსება ხდება სისტემის მეშვეობით. წინადადებების მიღების დაწყებისა და წინადადებების მიღების დასრულების ვადის ათვლა იწყება სატენდერო განცხადების სისტემაში განთავსების მომდევნო სამუშაო დღიდან. პრეტენდენტს[31] ტენდერის განცხადების გასაცნობად და სატენდერო წინადადების წარსადგენად გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში აქვს მინიმუმ სრული 3 სამუშაო დღე (ერთი დღე განცხადების გასაცნობად, მინიმუმ 2 დღე წინადადების წარმოსადგენად), ხოლო ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში - მინიმუმ სრული 20 დღე (15 დღე განცხადების გასაცნობად, მინიმუმ 5 დღე წინადადების წარმოსადგენად). გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში სატენდერო განცხადების გაცნობის ვადა უნდა შეადგენდეს არანაკლებ ერთ დღეს სატენდერო განცხადების სისტემაში

[31] პირი, რომელმაც სახელმწიფო შესყიდვის პროცედურაში მონაწილეობის მიზნით გადაიხადა საფასური.

განთავსების მომენტიდან. ამ ვადის დასრულებიდან ორი დღის განმავლობაში პრეტენდენტს შეუძლია სისტემის საშუალებით წარადგინოს წინადადება და ელექტრონული ვაჭრობის გზით შეცვალოს წარმოდგენილი წინადადების ფასი კლებადობის პრინციპითა და ფასის კლების ბიჯის გათვალისწინებით. ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობის ვადა უნდა შეადგენდეს არანაკლებ თხუთმეტ დღეს, სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის სისტემაში განთავსების მომენტიდან. ამ ვადის დასრულებიდან ხუთი დღის განმავლობაში პრეტენდენტს შეუძლია სისტემის საშუალებით წარადგინოს წინადადება და ელექტრონული ვაჭრობის გზით შეცვალოს წარმოდგენილი წინადადების ფასი კლებადობის პრინციპითა და ფასის კლების ბიჯის გათვალისწინებით. თუ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში სატენდერო წინადადებების მიღების დასრულების ვადა ემთხვევა შაბათ-კვირას ან უქმე დღეს, სატენდერო წინადადებების მიღების ვადა დასრულდება მომდევნო სამუშაო დღეს. სატენდერო განცხადებაში უნდა მიეთითოს შემდეგი ინფორმაცია:

- ტენდერის ტიპი;
- სატენდერო განცხადების ნომერი;
- შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება;
- ტენდერის გამოცხადების თარიღი ზუსტი დროის მითითებით;
- წინადადებების მიღების დაწყებისა და დასრულების თარიღი ზუსტი დროის მითითებით;
- შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება;
- მითითება იმის შესახებ, რომ წინადადება წარმოდგენილ უნდა იქნეს დამატებული ღირებულების გადასახადის (შემდგომში – დღგ) გათვალისწინებით თუ მის გარეშე;
- კლასიფიკატორის დანაყოფი და მისი შესაბამისი CPV კოდი;

- შესყიდვის ობიექტის რაოდენობა ან მოცულობა;
- შესყიდვის ობიექტის მიწოდების ან შესრულების ვადა;
- წარმოდგენილი სატენდერო ფასის კლების ბიჯის ოდენობა;
- ელექტრონული გარანტიის ოდენობა;
- შემსყიდველი ორგანიზაციის იმ უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი და გვარი, რომელმაც განათავსა სატენდერო განცხადება სისტემაში, განთავსების თარიღი და ზუსტი დრო;
- ელექტრონული გარანტიის მოქმედების მინიმალური ვადა;
- მითითებას პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- სამუშაოს შესყიდვის შემთხვევაში – შესასრულებელი სამუშაოს გონივრული საგარანტიო ვადა.

სატენდერო განცხადებისას ბუნებრივია გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო შესყიდვის წლიური გეგმით გათვალისწინებულ შესაბამის ერთგვაროვან შესყიდვის ობიექტთა ჯამურ ღირებულებას.

სატენდერო განცხადებაში შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება და ბიჯის ოდენობა შესაძლებელია მითითებულ იქნეს მხოლოდ ლარში. სატენდერო წინადადების ფასის კლების ბიჯი ეს არის შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სატენდერო განცხადებაში მითითებული თანხა შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 0.4 პროცენტიდან 2 პროცენტამდე ოდენობით. ასევე სატენდერო განცხადებას გააჩნია დამატებითი ინფორმაციის ველი, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ შესყიდვის ობიექტის დამატებითი აღწერის მიზნით.

9.4 სატენდერო განცხადების ერთიან ელექტონულ სისტემაში განთავსება და ტენდერის მიმდინარეობის ეტაპები

ელექტრონული ტენდერისა და გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევებში სატენდერო განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია უნდა განთავსდეს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, რის შედეგადაც სატენდერო განცხადებას ენიჭება უნიკალური ნომერი და სატენდერო განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია ითვლება ოფიციალურად გამოქვეყნებულად. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულია ელექტრონული ტენდერების მიმდინარეობის სხვადასხვა სტატუსი, რომელიც წარმოადგენს ელექტრონული ტენდერის ან გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მიმდინარეობის კონკრეტული ეტაპს. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

- **ტენდერი გამოცხადებულია** – სტატუსი, რომელიც მოიცავს სატენდერო განცხადების ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსებიდან სატენდერო წინადადებების მიღების დაწყებამდე ტენდერის მიმდინარეობის ეტაპს. აღნიშნულ ეტაპზე შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს შეიტანოს ცვლილება სატენდერო განცხადებაში (გარდა ტენდერის ტიპისა და შესყიდვის ობიექტისა) და შეცვალოს სატენდერო დოკუმენტაცია სისტემაში უკვე ატვირთული სატენდერო დოკუმენტაციის გაუქმებით და შეცვლილი /დამატებული დოკუმენტაციის სისტემაში ატვირთვის გზით. საყურადღებოა, რომ შემსყიდველი ორგანიზაცია აღნიშნული უფლებით სარგებლობს მხოლოდ მოცემულ ეტაპზე. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 თავის მეთორმეტე მუხლში 2010 წლის 1 აგვისტოდან შევიდა ცვლილება სატენდერო დოკუმენტაციის შედგენისა და ელექტრონულ სისტემაში განთავსებასთან დაკავშირებით.

- **წინადადებების მიღება დაწყებულია** – სტატუსი, რომელიც აღნიშნავს ტენდერის მიმდინარეობის ეტაპს, რომლის დროსაც მიმწოდებელს ვაჭრობის ძირითად დროში უფლება აქვს წარადგინოს თავისი სატენდერო წინადადება და მიიღოს მონაწილეობა ელექტრონულ ვაჭრობაში. წინადადების წარდგენამდე, პრეტენდენტი ეთანხმება ელექტრონულ სისტემაში მოცემულ აფიდავიტის[32] ფორმას, რის შემდეგაც მას ეძლევა საშუალება მოახდინოს შესაბამისი გადახდები, რომელიც გულისხმობს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საგარანტიო თანხას (სავარაუდო ღირებულების - 1%) და ტენდერში მონაწილეობის საფასურს - 50 ლარს. საგარანტიო თანხა შესაძლებელია გადახდილ იქნეს საბანკო-საკრედიტო ბარათის საბანკო დაწესებულების ან სადაზღვევო კომპანიების მიერ გაცემული ელექტრონული გარანტიის საშუალებით. რაც შეეხება 50-ლარიან საფასურს, მისი გადახდა შესაძლებელია მხოლოდ საბანკო-საკრედიტო ბარათის საშუალებით.

გადახდების განხორციელების შემდეგ პრეტენდენტს ეძლევა საშუალება მოახდინოს ტექნიკური დოკუმენტაციის სისტემაში ატვირთვა, რის შემდეგაც იგი აფიქსირებს სატენდერო წინადადების ფასს. პრეტენდენტის მიერ შეთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი უნდა იყოს წინადადების

---

[32] აფიდავიტი - წერილობითი დოკუმენტი, რომლის ხელმომწერი ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობისთვის, საქართველოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-3 მუხლის „შ" ქვეპუნქტი.

სავარაუდო ღირებულების ტოლი ან მინიმუმ ერთი ბიჯით[33] ნაკლები. პრეტენდენტის მიერ შემსყიდველი ორგანიზაციისთვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა მოიცავს მინიმუმ ორ კომპონენტს: 1. პრეტენდენტის რეკვიზიტები; 2. შესყიდვის ობიექტის განფასება. შემსყიდველს ასევე უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია როგორიცაა: პრეტენდენტის გამოცდილება ანალოგიური მიმართულებით, საქონლის ნიმუშის წარმოდგენა, შესაბამისი ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატების წარმოდგენა და ა.შ., ნებისმიერ ინფორმაციას პრეტენდენტი წარმოადგენს მხოლოდ ელექტრონული ფორმით. იმ შემთხვევაში თუ ტენდერი აუქციონით არის ვაჭრობის ძირითადი დროის დასრულების შემდეგ მიმდინარეობს ვაჭრობის დამატებითი რაუნდები, ამ დროს პრეტენდენტებს საშუალება აქვთ გაიგონ ჰყავთ თუ არა ამ კონკრეტულ შემთხვევაში კონკურენტი. დამატებითი ვაჭრობა სულ სამი რაუნდისგან შედგება სადაც თითოეულ რაუნდში მონაწილე ყველა პრეტენდენტს დამოუკიდებლად ეძლევა ორი წუთი რათა თავისი საბოლოო ფასი დააფიქსიროს.

- **წინადადებების მიღება დასრულებულია** – სტატუსი, რომელიც მოიცავს ტენდერის მიმდინარეობის ეტაპს ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი რაუნდების დასრულებიდან ტენდერისთვის შერჩევა/შეფასების სტატუსის მინიჭებამდე.

---

[33] სატენდერო წინადადების ფასის კლების ბიჯი – შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სატენდერო განცხადებაში მითითებული თანხა შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 0.4 პროცენტიდან 2 პროცენტამდე ოდენობით, „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-2 მუხლის „შ“ ქვეპუნქტი.

- **ტენდერი არ შედგა** - სტატუსი, რომელიც ტენდერს ენიჭება იმ შემთხვევაში, როდესაც ტენდერში არცერთმა პრეტენდენტმა არ მიიღო მონაწილეობა;
- **შერჩევა/შეფასება** – სტატუსი, რომელიც აღნიშნავს ტენდერის მიმდინარეობის ეტაპს, რომლის დროსაც ხდება ტექნიკური დოკუმენტაციის შეფასება. მას შემდეგ თუ შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისია შერჩევა-შეფასების ეტაპზე, ყველაზე დაბალი ფასის სატენდერო წინადადების მქონე პრეტენდენტის შეთავაზების განხილვისას დაადგენს, რომ აღნიშნულ წინადადება შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს და მასში გათვალისწინებულ პუნქტებს, იგი ელექტრონულ სისტემაში ატვირთავს შესაბამის ოქმს და წერილს რითაც ამცნობს პრეტენდენტს, რომ მან შესაბამის ვადაში უზრუნველყოს დამატებითი დოკუმენტაციის ან ხარვეზის შემცველი ინფორმაციის გასწორების თაობაზე, რის შემდეგაც იწყება ხელშეკრულების მომზადება და შემდეგ მისი გაფორმება, რაც ასევე შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ აიტვირთება ელექტრონულ სისტემაში. პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში ხორციელდება ელექტრონული სისტემის გამოყენების გარეშე. პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოუდგენლობის ან ხარვეზის მქონე საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, სატენდერო კომისია ვალდებულია მოახდინოს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია. რის შემდეგაც, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს ყველაზე დაბალი ფასის მქონე მომდევნო პრეტენდენტს, თუ ამ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემულ მოთხოვნებს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მომდევნო ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის წინა-

დადების ფასი ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შედეგად, მნიშვნელოვნად აღემატება დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ ფასს ან ამ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას, სატენდერო კომისიას უფლება აქვს შეწყვიტოს ტენდერი.

იმ შემთხვევაში თუ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეიცავს ისეთ უზუსტობებს, რომელთა წარმოდგენა ან დაზუსტება არ გამოიწვევს ტექნიკური დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას შემსყიდველ ორგანიზაციას არ აქვს უფლება მოახდინოს პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია, აღნიშნული გარემოების შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს პრეტენდენტს მის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნით არა უმეტეს 3 სამუშაო დღისა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკური დოკუმენტაცია არსებით ცვლილებას იწვევს ან აღნიშნულ ვადაში არ მოხდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის დაზუსტება, სატენდერო კომისია ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას, თუმცა ამ შემთხვევაში პრეტენდენტს უბრუნდება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საგარანტიო თანხა. პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია ხდება ასევე მაშინაც, როდესაც იგი უარს ამბობს სატენდერო წინადადებაზე ან როდესაც პრეტენდენტის მხრიდან ადგილი აქვს არაკეთილსინდისიერ ქმედებას, ამ უკანასკნელის შემთხვევაში პრეტენდენტი გადაყვანილი იქნება „შავ სიაში". ზემოთ აღწერილ ორივე შემთხვევაში პრეტენდენტს არ უბრუნდება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საგარანტიო თანხა.

- **დასრულებულია უარყოფითი შედეგით** - სტატუსი, რომელიც ტენდერს ენიჭება იმ შემთხვევაში, როდესაც ტენდერში მონაწილე არცერთი პრეტენდენტის სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს;
- **გამარჯვებული გამოვლენილია** – სტატუსი, რომელიც ტენდერს ენიჭება იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში შერჩე-

ვა/შეფასების შედეგად გამოვლინდება ისეთი პრეტენდენტი, რომლის მიერ სისტემაში წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

- **მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება** - სტატუსი, რომელიც ტენდერს ენიჭება იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გამოვლენილი გამარჯვებული პრეტენდენტის ხელშეკრულების გასაფორმებლად მოწვევა;
- **ხელშეკრულება დადებულია** - სტატუსი, რომელიც ტენდერს ენიჭება იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეებს შორის (შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელ პირს შორის) გაფორმებული ხელშეკრულება აიტვირთება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

საბოლოოდ როგორც ელექტრონული ასევე გამარტივებული ელექტრონული ტენდერი შესაძლოა დამთავრდეს რომელიმე შემდეგი საბოლოო სტატუსით:

1. **ხელშეკრულება დადებულია.** ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში კონკრეტულ ტენდერში მონაწილეობა მიიღო მინიმუმ ერთმა პრეტენდენტმა, რომლის სატენდერო შეთავაზებამ სრულად დააკმაყოფილა სატენდერო განცხადების/დოკუმენტაციის მოთხოვნები, რის საფუძველზეც მოხდა პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმება;
2. **დასრულებულია უარყოფითი შედეგით** - გულისხმობს შემთხვევას, როდესაც ტენდერში პრეტენდენტ(ებ)მა მიიღო მონაწილეობა, მაგრამ მისი სატენდერო შეთავაზება არ შეესაბამება შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ პირობებს;
3. **არ შედგა** - გულისხმობს შემთხვევას, როდესაც ტენდერში არცერთმა პრეტენდენტმა არ მიიღო მონაწილეობა;
4. **შეწყვეტილია** - შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით შესაძლებელია განხორციელდეს ტენდერის შეწყვე-

ტა, ნებისმიერ ეტაპზე იქამდე ვიდრე მიმწოდებელთან ხელშეკრულება გაფორმდება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობა მკაფიოდ არ აზუსტებს იმ შემთხვევებს, როდესაც შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია შეწყვიტოს ტენდერი, გამომდინარე აქედან ხშირად შეიძლება შევხვდეთ ისეთ ტენდერებს, რომლებიც მიმდინარეობის სხვადასხვა ეტაპზე იქნა შეწყვეტილი, მათ შორისაა ისეთებიც, როდესაც ვაჭრობის პროცესი დამთავრებულია, მეტიც გამარჯვებული პრეტენდენტი გამოვლენილია და მოწვეულია ხელშეკრულების გასაფორმებლად და ა.შ.

რაც შეეხება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას, ამ შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობა განსაზღვრავს ხელშეკრულებაში გასათვალისწინებელ აუცილებელ კომპონენტებს. ელექტრონული შესყიდვის საშუალებების გამოყენების შემთხვევაში ხელშეკრულება იდება სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული ხელშეკრულების პროექტისა და სატენდერო დოკუმენტაციაში განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. ზოგადად სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას[34]:

- მხარეთა ზუსტ დასახელებას და რეკვიზიტებს;
- ხელშეკრულების ობიექტის დასახელებას, კლასიფიკატორის კატეგორიის ან ქვეკატეგორიის კოდს. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის დასახელებას არ შეესაბამება კლასიფიკატორის კატეგორიის ან ქვეკატეგორიის კოდი, შესაძლებელია მითითებულ იქნეს კლასიფიკატორის შესაბამისი კლასის, ჯგუფის ან დანაყოფის კოდი;
- ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხას – სახელშეკრულებო ღირებულებას;

---

[34] გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-19 მუხლი.

- საქონლის მიწოდების, მომსახურების გაწევის ან/და სამუშაოს შესრულების ვადას;
- ხელშეკრულების შესრულების გარანტიის ან დაზღვევის პირობებს (გამოყენების შემთხვევაში);
- ხელშეკრულების მოქმედების ვადას კონკრეტულ, აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა მინიმუმ ერთი თვით უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიწოდების ვადას;
- სატენდერო განცხადების ნომერი;
- სამუშაოს შესყიდვის შემთხვევაში – შესასრულებელი სამუშაოს გონივრულ საგარანტიო ვადას.

გარდა ზემოაღნიშნულისა შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია ხელშეკრულებაში გაითვალისწინოს სხვა დამატებითი პირობები.

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას აკონტროლებს ინსპექტირების ჯგუფი, რომლის შემადგენლობას, კონკრეტული შესყიდვისთვის განსაზღვრავს შემსყიდველი ორგანიზაცია. ინსპექტირების ჯგუფის შემადგენლობა და უფლება-მოვალეობები ასევე მოცემული უნდა იქნეს ხელშეკრულებაში. ხელშეკრულებაში ასევე განსაზღვრული უნდა იქნეს შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც მიიღებს შესყიდვის ობიექტს და ხელს აწერს მიღება-ჩაბარების აქტს. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელს აქვს გარკვეული შეფერხება შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით (ნებისმიერი მიზეზით გარდა ფორსმაჟორული მდგომარეობისა, როგორიცაა მაგ. სამარი ან/და საგანგებო სიტუაცია და ა.შ.) ან უარს აცხადებს გააგრძელოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, შემსყიდველი ორგანიზაცია ახორციელებს ხელშეკრულებით განსაზღვრული საჯარიმო სანქციების ამოქმედებას. საჯარიმო ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების მომზადებისას და ძირითა-

დად იგი შეადგენს მოცემული მომენტისათვის შეუსრულებელი ვალდებულების გარკვეულ პროცენტს თითო ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან ხელშეკრულებაში მოცემული უნდა იყოს ის ზღვრული ოდენობა რომლის მიღწევის შემთხვევაშიც შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიაწოდოს ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გამონაკლის შემთხვევებში მხარეთა შეთანხმებით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ შესაძლებელია ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელება[35]. კერძოდ, კანონი მიუთითებს, რომ დაუშვებელია ხელშეკრულების პირობების შეცვლა, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, ამ შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელებულ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. მიუხედავად ამ დათქმებისა რიგ შემთხვევებში ადგილი აქვს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანას უსაფუძვლოდ, მაგ. როდესაც მიმწოდებელი ითხოვს შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის გადაწევას კლიმატური პირობების გამო და ა.შ.; გარდა ვადის ცვლილებისა, ხშირად ხდება სახელშეკრულებო ღირებულების ზრდა. მოქმედი კანონმდებლობა გარკვეულწილად ითვალისწინებს მსგავსი შემთხვევების პრევენციას, რაც გამოი-

---

[35] სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 21 (5); საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 398.

ხატება იმაში, რომ ღირებულების ზრდა შესაძლებელია სახელშეკრულებო ღირებულების არაუმეტეს 10%-ისა, თუმცა გარკვეულ შემთხვევაში ეს შეზღუდვა შესაძლოა არ იყოს საკმარისი ხელშეკრულების უსაფუძვლო ზრდისა და საჯარო ფინანსების რაციონალური ხარჯვის თვალსაზრისით.

9.5 ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება

„გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სააგენტოს თავმჯდომარის №9 ბრძანებაში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 6 აპრილის ბრძანებით შესული ცვლილებების შესაბამისად, შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შემთხვევაში, პრეტენდენტ ორგანიზაციას აქვს ვალდებულება, დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე. შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შემთხვევაში, პრეტენდენტი ვალდებულია, დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა.

ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, შესაძლებელია დასაბუთდეს ექსპერტიზის დასკვნით, შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით, ანგარიშფაქტურით (ინვოისით) ან/და სხვა ისეთი დოკუმენტაციით, რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას.

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული ცვლილებების მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, დასაბუთებული გადაწყვეტილებით, უარი თქვას ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების მოთხოვნაზე.

მოცემული ცვლილების შემდეგ შემსყიდველმა ორგანიზაციებმა მასიურად და რიგ შემთხვევაში გაუაზრებლად დაიწყეს ადეკვატურობის მოთხოვნის დაფიქსირება სატენდერო დოკუმენტაციაში, რამაც ცალკეული პრობლემები შექმნა მიმწოდებელთა შორის განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც შესყიდვის ობიექტია ინტელექტუალური მომსახურება, თუ ასეთ ტენდერში პრეტენდენტი ფიზიკური პირია, მას უწევს დამატებით აუდიტორის მიერ გაცემული დასკვნის წარმოდგენა, რომ მას ნამდვილად შეუძლია კონკრეტულ ტენდერში პირობითად - სათარჯიმნო მომსახურების გაწევა *n* ლარად.

9.6. შესყიდვა პრეისკურანტის გამოყენებით

შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით ელექტრონული ტენდერით შესყიდვის განხორციელებისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს პრეისკურანტის პრინციპი, რომელიც რიგ შემთხვევაში საკმაოდ მოსახერხებელი საშუალებაა. პრეისკურანტით ტენდერის გამოცხადება საშუალებას გვაძლევს სატენდერო პირობაში გავითვალისწინოთ ყველა ის საჭიროება, რომელიც შესაძლოა საშესყიდვო პერიოდში იქნეს საჭირო, ხოლო მიწოდება ხელშეკრულების დადების შემდეგ შევუკვეთოთ მხოლოდ იმ მომსახურებაზე რაც კონკრეტულ მომენტში არის საჭირო. აღსანიშნავია, რომ პრეისკურანტის გამოყენება შეზღუდულია და მხოლოდ კანონმდებლობით განსაზღვრულ შემდეგ ერთგვაროვნებებზე შეიძლება იქნეს გამოყენებული:

- ✓ CPV 50100000 - სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები;
- ✓ CPV 50200000 - თვითმფრინავების, რკინიგზის, საგზაო და საზღვაო მოწყობილობების შეკეთების, ტექნიკური მომსახურება და მათთან დაკავშირებული მომსახურებები;
- ✓ CPV 50300000 - პერსონალური კომპიუტერების, საოფისე აპარატურის, სატელეკომუნიკაციო და აუდიო-ვიზუალური მოწყობილობების შეკეთების, ტექნიკური მომსახურება და მათთან დაკავშირებული მომსახურებები;
- ✓ CPV 50700000 - შენობის მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება;
- ✓ CPV 51700000 - ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობების მონტაჟი;
- ✓ CPV 55500000 - სასადილოებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომსახურება;
- ✓ CPV 66500000 - სადაზღვევო და საპენსიო მომსახურებები.

აღსანიშნავია, რომ პრეისკურანტის გამოყენება ყველაზე მეტად გავრცელებულია სატრანსპორტო საშუალებების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების შესყიდვის დროს. განვიხილოთ კონკრეტული მაგალითი: *პირობითად "X" შემსყიდველ ორგანიზაციას ჰყავს რამდენიმე ავტომობილი და სურს შეისყიდოს მათი ტექნიკური მომსახურება. ბუნებრივია შემსყიდველმა არ იცის და ვერც გათვლის თუ რა დაზიანებას მიიღებს რომელიმე ავტომობილი საშესყიდვო პერიოდში. გამომდინარე აქედან პრეისკურანტის პრინციპზე დაყრდნობით სატენდერო პირობაში განათავსებს ყველა იმ სავარაუდო შემთხვევას რისი შესყიდვაც შეიძლება დასჭირდეს კონკრეტული ავტომობილი-*

სთვის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში და მას შემდეგ რაც ხელშეკრულება დაიდება მიმწოდებელთან შეიძენს იმ მომსახურებას რაც სახელშეკრულებო პერიოდში იქნება საჭირო.

შემსყიდველი ორგანიზაცია სატენდერო განცხადების პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულების ველში უთითებს პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულებას, ხოლო შესყიდვის ობიექტის სახელშეკრულებო ღირებულების ველში – შესყიდვის ობიექტის სახელშეკრულებო ღირებულებას, რომელიც შესაძლოა განსხვავდებოდეს პრეისკურანტის ღირებულებისაგან. პრეტენდენტის მიერ სისტემის მეშვეობით წარდგენილი წინადადების ფასი არ უნდა აღემატებოდეს პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულებას და ელექტრონული ვაჭრობის შედეგად წინადადების ფასის კლება შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულებასთან მიმართებაში. პრეისკურანტის საფუძველზე ტენდერის ჩატარებისას, შემსყიდველი ორგანიზაცია სატენდერო დოკუმენტაციაში თვითონ განსაზღვრავს პრეისკურანტში მოცემული მომსახურების ერთეულების ღირებულების დადგენის წესს გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ სისტემის მეშვეობით წარდგენილი წინადადების საბოლოო ფასთან მიმართებაში. ხელშეკრულების დადების შემდეგ, იმ შემთხვევაში თუ პრეისკურანტში მომსახურების რომელიმე ერთეული არ არსებობს და დგება მისი შესყიდვის აუცილებლობა, შესაძლებელია მხარეთა შეთანხმების საფუძველზე მოხდეს დამატება არსებულ ჩამონათვალში. ასეთ შემთხვევაში ფასი დგინდება შემსყიდველი ორგანიზაციისა და მიმწოდებლის შეთანხმებით საბაზრო ფასის გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში პრეისკურანტში შესაბამისი მომსახურების ერთეულის არარსებობით გამოწვეული შესყიდვის ხვედრითი წილი არ შეიძლება აღემატებოდეს მიმწოდებლის მიერ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული პრეისკურანტის საბოლოო ჯამური ღირებულების 10%-ს.

9.7 ორეტაპიანი ტენდერი

2016 წლის 1 აგვისტოს ძალაში შევიდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 28 ივლისის №11 ბრძანებით დამტკიცებული „ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერისა და ორეტაპიანი გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“, რომლის თანახმადაც, დაინერგა გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების ახალი მეთოდი – ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერი და ორეტაპიანი გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (ორეტაპიანი ტენდერი).

ახალი მეთოდი ორდინალური ტენდერებისგან იმით განსხვავდება, რომ მასში პრეტენდენტთა რანჟირების (რიგითობის) განსაზღვრისთვის გადამწყვეტი აღარ არის მხოლოდ სატენდერო წინადადების ფასი, არამედ საუკეთესო სატენდერო წინადადების პრეტენდენტის გამოვლინება ხდება, როგორც ხარისხის, ასევე ფასის გათვალისწინებით. შემსყიდველი ორგანიზაცია, მისი საჭიროებიდან და კონკრეტული შესყიდვის მიზნიდან გამომდინარე, უფლებამოსილია, განსაზღვროს სხვადასხვა თვლადი კრიტერიუმი, რომელიც მას მისცემს საშუალებას, დაბალ ფასად შეისყიდოს საუკეთესო ხარისხის მქონე შესყიდვის ობიექტი.

ორეტაპიანი ტენდერების მოდული სრულად ავტომატიზებულია. როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული კრიტერიუმები, ასევე მათი მაჩვენებლები (პრეტენდენტის შეთავაზება ამ კრიტერიუმების საპირწონედ), მიეთითება სისტემის შესაბამის ველში, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ სისტემამ ავტომატურად, სატენდერო პირობებით დადგენილი კრიტერიუმებისა და მათი წონების გათვალისწინებით, სისტემაში გენერირებული საუკეთესო სატენდერო წინადადების მქონე პრეტენდენტის გამოვლენის ფორმულის გამოყენებით, განსაზღვროს პრეტენდენტების რანჟირება და, შესაბამისად, გამოავლინოს საუკეთესო სატენდერო წინადადების მქონე პრეტენდენტი.

ორეტაპიანი ტენდერი ტარდება ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი რაუნდების გარეშე. ამავდროულად, სატენდერო წინადადების ფასის წარდგენის შემდეგ, პრეტენდენტს უფლება არ აქვს, შეცვალოს სატენდერო წინადადების შეფასების კრიტერიუმების მნიშვნელობები და ტექნიკური დოკუმენტაცია.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 28 ივლისის №11 ბრძანებით დამტკიცებული „ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერისა და ორეტაპიანი გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი"-ს დანართი განსაზღვრავს კრიტერიუმების შესაბამისად საუკეთესო შემოთავაზების მქონე პრეტენდენტის გამოვლენის ფორმულას სხვადასხვა შემთხვევისთვის:

ა) თვლადი კრიტერიუმები, სადაც უპირატესობა ენიჭება მაღალ ციფრობრივ მაჩვენებელს

იმ კრიტერიუმების შეფასებისათვის, სადაც უპირატესობა ენიჭება მაღალ ციფრობრივ მაჩვენებელს, გამოიყენება შეფასების შემდეგი ფორმულა:

$Q_i = K_i^a$ *თუ* $K_i > 0$, ხოლო

$Q_i = 0{,}00001$ *თუ* $K_i = 0$

სადაც ცვლადების აღნიშვნა შემოღებულია შემდეგნაირად:

- Q_i - პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული შესყიდვის ობიექტის i კრიტერიუმის შეფასება;
- K_i – პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული შესყიდვის ობიექტის i კრიტერიუმის თვლადი მაჩვენებელი;
- i – კრიტერიუმის წონა, რომელსაც შემსყიდველი ორგანიზაცია წინასწარ განსაზღვრავს და უთითებს სატენდერო დოკუმენტაციაში. ამასთან, ცალკეული კრიტერიუმების წონათა ჯამი საჭიროა შეადგენდეს ერთ მთელს: თუ კრიტერიუმების წონაა $a, b, \ldots, y$ *მაშინ* $a+b+\ldots+y=1$

ბ) თვლადი კრიტერიუმები, სადაც უპირატესობა ენიჭება დაბალ ციფრობრივ მაჩვენებელს.

სატენდერო წინადადების ფასის ან იმ სხვა კრიტერიუმის შეფასებისათვის, სადაც უპირატესობა ენიჭება დაბალ ციფრობრივ მაჩვენებელს, გამოიყენება შეფასების შემდეგი ფორმულა:

$Q_i = \left(\frac{1}{K_j}\right)^b$ თუ $K_j > 0$, ხოლო

სადაც ცვლადების აღნიშვნა შემოღებულია შემდეგნაირად:

- Q_i - პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული შესყიდვის ობიექტის j კრიტერიუმის შეფასება;
- K_j – პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული შესყიდვის ობიექტის j კრიტერიუმის თვლადი მაჩვენებელი;
- b - j – კრიტერიუმის წონა, რომელსაც შემსყიდველი ორგანიზაცია წინასწარ განსაზღვრავს და უთითებს სატენდერო დოკუმენტაციაში. ამასთან, ცალკეული კრიტერიუმების წონათა ჯამი საჭიროა შეადგენდეს ერთ მთელს: თუ კრიტერიუმების წონაა $a, b, \ldots, y$ მაშინ $a+b+\ldots+y=1$

გ) პრეტენდენტების მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადებების ჯამური შეფასებებისა და შესაბამისად, რანჟირების განსაზღვრა

პრეტენდენტების სატენდერო წინადადებების შეფასება განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$N_j = Q_1 * Q_2 * \ldots * Q_i$

სადაც ცვლადების აღნიშვნა შემოღებულია შემდეგნაირად:

- N_j - j პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შეფასება, სადაც $Q_1 * Q_2 * \ldots * Q_i$ წარმოადგენს ცალკეული კრიტერიუმების შეფასებით მიღებულ ქულებს ზემოთ მოყვანილი ფორმულების შესაბამისად.

აღნიშნული ფორმულით დაანგარიშებული სატენდერო წინადადებების შეფასების 0-10-ბალიანი მნიშვნელობის მიღებისათვის გამოიყენება შემდეგი ფორმულა:

$$N_{j(0\text{-}10)} = 10\frac{N_j}{N_{max}}$$

მოცემული ფორმულა ემსახურება პრეტენდენტების სატენდერო წინადადებების შეფასების პროპორციულად ზრდას ან შემცირებას საუკეთესო სატენდერო წინადადების მქონე პრე-

ტენდენტისთვის მაქსიმალური – 10 ბალიანი შეფასების მინიჭებისათვის.

როგორც ზემოთ აღინიშნა ორეტაპიანი ტენდერი სრულად ელექტრონულია და სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა აღნიშნული ფორმულების გამოყენებით და შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით გამოავლენს საუკეთესო შესყიდვის ობიექტის მქონე პრეტენდენტს.

ორეტაპიანი ტენდერისთვის სტატუსის „წინადადებების მიღება დასრულებულია" მინიჭებისთანავე, საჯარო ხდება მხოლოდ საუკეთესო სატენდერო წინადადების მქონე პრეტენდენტის ვინაობა და სატენდერო წინადადება. ორეტაპიან ტენდერში პრეტენდენტთა რაოდენობა, სხვა პრეტენდენტების ვინაობა და მათი სატენდერო წინადადებები საჯარო ხდება მხოლოდ ორეტაპიანი ტენდერისთვის სტატუსის „ხელშეკრულება დადებულია" მინიჭების შემთხვევაში, სტატუსის მინიჭებისთანავე. ორეტაპიანი ტენდერის შეწყვეტის შემთხვევაში პრეტენდენტთა რაოდენობა, სხვა პრეტენდენტების ვინაობა და მათი სატენდერო წინადადებები, რომლებიც ჯერ კიდევ არ გახსნილა, საჯარო არ ხდება და რჩება დაფარული. აღსანიშნავია, რომ 2016 წლის ოქტომბრის მდგომარეობით ორეტაპიანი დანერგვის დღიდან საქართველოში მხოლოდ ოთხი ორეტაპიანი ტენდერი გამოცხადდა.

9.8 ტენდერის გამოცხადება ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი რაუნდების გარეშე

2016 წლის 1 ივლისს ძალაში შევიდა „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებაში „ცვლილების შეტანის თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 28 ივნისის №5 ბრძა-

ნება, რომლის თანახმადაც, დაინერგა გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების ახალი მეთოდი – ტენდერის გამოცხადება ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი რაუნდების გარეშე.

2016 წლის 1 ივლისიდან შემსყიდველ ორგანიზაციებს ენიჭებათ უფლება-მოსილება, შესყიდვები გამოაცხადონ აქამდე არსებული მეთოდის გარდა, შესყიდვების ახალი მეთოდით.

ახალი მეთოდის შესაბამისად ელექტრონული ვაჭრობა მიმდინარეობს მხოლოდ ძირითად დროში, რომლის განმავლობაშიც პრეტენდენტს მხოლოდ ერთხელ აქვს უფლება, შეამციროს მის მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადების ფასი არანაკლებ ერთი ბიჯის ოდენობით. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ ელექტრონული ვაჭრობის ძირითად დროში სისტემა უზრუნველყოფს პრეტენდენტების რაოდენობის, მათი ვინაობისა და სატენდერო წინადადებების ანონიმურობას. ტენდერისთვის სტატუსის „წინადადებების მიღება დასრულებულია" მინიჭებისთანავე, საჯარო ხდება მხოლოდ ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის ვინაობა და სატენდერო წინადადება. ტენდერში პრეტენდენტთა რაოდენობა, სხვა პრეტენდენტების ვინაობა და მათი სატენდერო წინადადებები საჯარო ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი შემსყიდველი ორგანიზაცია ტენდერის შედეგად გააფორმებს ხელშეკრულებას და ტენდერს მიანიჭებს სტატუსს „ხელშეკრულება დადებულია". ტენდერის შეწყვეტის შემთხვევაში პრეტენდენტთა რაოდენობა, სხვა პრეტენდენტების ვინაობა და მათი სატენდერო წინადადებები, რომლებიც ჯერ კიდევ არ გახსნილა, ისევე, როგორც ორეტაპიანი ტენდერის შემთხვევაში რჩება დაფარული.

9.9 ინფორმაციის წარდგენა საქართველოს მთავრობისთვის და თანხმობის მიღება შესყიდვის განხორციელებაზე

2016 წლის 9 ივნისს ძალაში შევიდა საქართველოს მთავრობის №252 დადგენილება „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიების შესახებ", ხოლო ამავე დადგენილებაში ცვლილება შევიდა 2017 წლის 26 იანვრის №33 განკარგულებით რომელთა მიხედვითაც ყველა შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია ამავე დადგენილების დანართით განსაზღვრული CPV კოდებით, ელექტრონული საშუალებით შესყიდვის შემთხვევაში საქართველოს მთავრობას წარუდგინოს ინფორმაცია შესყიდვის განხორციელების თაობაზე წინასწარ და შესყიდვა განახორციელოს მხოლოდ თანხმობის მიღების შემდეგ. დანართში მოცემულია კლასიფიკატორის 29 კოდი რომელთა შორისაა მაგ. ავეჯი, სატრანსპორტო საშუალებები, კომპიუტერული ტექნიკა, მობილური ტელეფონები, ჰაერის კონდიცირების საშუალებები, კომპიუტერის პერიფერიული მოწყობილობები და სხვ.

9.10 სატენდერო კომისია

გამარტივებულ ელექტრონულ და ელექტრონულ ტენდერს ატარებს სატენდერო კომისია[36], რომელსაც არანაკლებ სამი წევრის შემადგენლობით ქმნის შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი. კომისიის წევრებად ინიშნებიან შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირები, სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები და ორგანიზაციის სხვა თანამშრომლები. ასევე კომისიის გადაწყვეტილებით სათათბირო ხმის უფლებით კომისიაში შესაძლებელია მოწვეული იყოს შესაბა-

[36] საქართველოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-11 მუხლი.

მისი დარგის სპეციალისტები, კონკრეტულ ტენდერთან დაკავშირებით. კომისიას ტექნიკური და ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია გააჩნდეს კომისიის აპარატი. გამარტივებული ელექტრონული ტენდერის, ან ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში სატენდერო კომისია გადაწყვეტილებას იღებს კომისიის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. ხმათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია სატენდერო კომისიის თავმჯდომარის ხმა. სატენდერო კომისიას და შესაბამისად კომისიის აპარატს თავმჯდომარეობს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან მის მიერ დანიშნული პირი.

სატენდერო კომისიის ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა აისახოს სატენდერო კომისიის შესაბამის სხდომის ოქმში. სატენდერო კომისიის სხდომის შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები. ყველა ის სხდომის ოქმი, რომელიც შეიქმნება „წინადადების მიღება დაწყებულია" ეტაპის შემდეგ, სატენდერო კომისიის დამსწრე წევრების მიერ ხელმოწერისთანავე ატვირთული უნდა იქნეს სისტემაში. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება მხოლოდ სატენდერო კომისიის ყველა დამსწრე წევრის მიერ ოქმზე ხელმოწერის შემდეგ. სისტემაში ატვირთული ოქმის შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ სისტემაში უკვე ატვირთული ოქმის გაუქმებით და შეცვლილი/დამატებული ოქმის სისტემაში ატვირთვის გზით. სატენდერო კომისიის პირველ სხდომაზე ხორციელდება სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა, მისი დამტკიცება და ა.შ. სატენდერო კომისიის სხდომის პირველი ოქმი უნდა შედგეს ტენდერის გამოცხადებამდე და მისი ატვირთვა ხდება სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

სატენდერო კომისიის ფუნქციები და მოვალეობებია:

1. ტენდერის გამოცხადებამდე განიხილოს და დაამტკიცოს სატენდერო დოკუმენტაცია და სატენდერო განცხადება, რომლის შემდგომ სატენდერო აპარატი უფლებამოსილია გამოაცხადოს ტენდერი.

2. განახორციელოს პრეტენდენტთა შეფასება სატენდერო წინადადების ფასის, მათ მიერ სისტემაში განთავსებული ტექნიკური დოკუმენტაციისა და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის მიხედვით:
   2.1. სატენდერო კომისია მსჯელობს შეესაბამება თუ არა ყველაზე დაბალი ფასის სატენდერო წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში განთავსებული დოკუმენტაცია სატენდერო განცხადებაში და სატენდერო დოკუმენტაციაში განსაზღვრულ მოთხოვნებს;
   2.2. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული დოკუმენტაცია სრულად შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ პირობებს, სატენდერო კომისია პრეტედენტს გამოავლენს გამარჯვებულად;
   2.3. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს, სატენდერო კომისია იღებს გადაწყვეტილებას, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების დაზუსტების შესახებ, თუ აღნიშნული არ გამოიწვევს სატენდერო წინადადების არსებით ცვლილებას ან შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასის გაზრდას.
   2.4. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია, დაზუსტების შემდეგაც არ შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ მოთხოვნებს, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით ხდება პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია.
3. სატენდერო კომისია რიგ შემთხვევაში იღებს ტენდერის მიმდინარეობის შესახებ სტატუსების მინიჭების გადაწყვეტილებას. სატენდერო კომისიის ყველა გადაწყვეტილება უნდა აისახოს კომისიის სხდომის ოქმებში.
4. სატენდერო კომისიას უფლება აქვს შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე შეწყვიტოს ტენდერი.

9.11 ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების წესი და პირობები

ელექტრონული ვაჭრობის დასრულების შემდეგ, სატენდერო კომისია ვალდებულია ტენდერს მიანიჭოს შერჩევა/ შეფასების სტატუსი და უზრუნველყოს შესაბამისი ოქმის ატვირთვა. ელექტრონული ვაჭრობის დასრულების შემდეგ, სატენდერო კომისიის და მისი აპარატის წევრები, ასევე შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან შესყიდვაში მონაწილე ნებისმიერი პირი ვალდებულია წერილობით დაადასტუროს მასსა და პრეტენდენტებს შორის ინტერესთა კონფლიქტის არარსებობა და აღნიშნული დოკუმენტი ატვირთული უნდა იქნეს ელექტრონულ სისტემაში ტენდერის დასრულების შემდეგ ასატვირთ პირველივე ოქმთან ერთად, ხოლო თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან ვინმეს წარმოეშობა ინტერესთა კონფლიქტი, მან დაუყოვნებლივ უნდა განაცხადოს აღნიშნულის თაობაზე და უნდა შეწყვიტოს მონაწილეობა ამ კონკრეტული შესყიდვის განხორციელებაში. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები ეხება სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ შემდეგ საქმიანობას:

1. საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების განხილვას, შერჩევას და შეფასებას;
2. კანონითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოლაპარაკების გამართვას;
3. ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლსა და ზედამხედველობას;
4. მიმწოდებლის შერჩევას გამარტივებული შესყიდვის შემთხვევაში.

ინტერესთა კონფლიქტი გულისხმობს მონაწილე პირების ურთიერთდამოკიდებულებას, რომელიც რეგულირდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლით. კერძოდ, ზემოაღნიშნული საქმიანობის განმახორციელებელ ფიზიკურ პირს ექნება ინტერესთა კონფლიქტი პრეტენდენტთან ან მიმ-

წოდებელთან, თუ ისინი წარმოადგენენ ურთიერთდამოკიდებულ პირებს. ურთიერთდამოკიდებულ პირებად ითვლებიან ის პირები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მათი ან მათ მიერ წარმოდგენილი პირების საქმიანობის პირობებზე ან ეკონომიკურ შედეგებზე. განსაკუთრებულ ურთიერთობებს მიეკუთვნება ურთიერთობები, რომლის დროსაც:

- ✓ პირები არიან ერთი საწარმოს დამფუძნებლები (მონაწილეები), თუ მათი ჯამური წილი არანაკლებ 20 პროცენტია;
- ✓ ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს მეორე პირ საწარმოში, თუ ასეთი მონაწილეობის წილი არანაკლებ 20 პროცენტია;
- ✓ პირი ახორციელებს საწარმოს კონტროლს;
- ✓ ფიზიკური პირი თანამდებობრივად ექვემდებარება სხვა ფიზიკურ პირს;
- ✓ ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მეორე პირს; პირებს პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მესამე პირი;
- ✓ პირები ერთად, პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებენ მესამე პირს;
- ✓ პირები ნათესავები არიან;
- ✓ პირები ამხანაგობის წევრები არიან.

ფიზიკური პირის ნათესავებად ითვლებიან:

1. ნათესავების პირველი შტო: მეუღლე, მშობელი, შვილი, და, ძმა;
2. ნათესავების მეორე შტო: პირველი შტოს თითოეული ნათესავის მეუღლე, მშობელი, შვილი, და, ძმა, გარდა იმ ფიზიკური პირისა, რომელიც უკვე მიეკუთვნა პირველ შტოს;
3. პირები, რომლებიც ხანგრძლივი მეურვეობის შედეგად ერთმანეთთან დაკავშირებული არიან, როგორც მშობლები და შვილები.

4. ნათესაობის განსაზღვრისას გერი დები (ძმები) გათანაბრებული არიან ღვიძლ დებთან (ძმებთან), ხოლო შვილად აყვანილები – ღვიძლ შვილებთან. ამასთანავე, სამეურვეო ურთიერთობები გათანაბრებულია საოჯახო ერთობასთან (რომლის დროსაც პირები ერთმანეთთან დაკავშირებული არიან, როგორც მშობლები და შვილები), რომელიც, თავის მხრივ, უთანაბრდება ნათესაურ ურთიერთობას. კონტროლი გულისხმობს: სამეთვალყურეო საბჭოს წევრობას, დირექტორობას და ამ თანამდებობებზე პირების დანიშვნის უფლებას; ხმის უფლების მქონე წილის ან აქციების 20 პროცენტის ფლობას. ფიზიკური პირი ითვლება წილის არაპირდაპირ მფლობელად, თუ ამ წილს ფლობს მისი ნათესავი. დაუშვებელია, პრეტენდენტმა ან მიმწოდებელმა სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების განმახორციელებელ პირზე პირდაპირ ან არაპირდაპირ მოახდინოს ზეგავლენა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

საკონტროლო კითხვები:

- ჩამოთვალეთ სახელმწიფო შესყიდვის საშუალებები;
- განმარტეთ ტენდერების წინამოსამზადებელი სამუშაოები და ტენდერების მიმდინარეობის ეტაპები;
- რა შემთხვევაში გვჭირდება ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება?
- დაახასიათეთ ორეტაპიანი ტენდერი;
- რას გულისხმობს ტენდერი გამოცხადება ვაჭრობის დაფარული მონაცემებით?
- რა შემთხვევაში გვჭირდება ინფორმაციის წარდგენა და თანხმობის მიღება საქართველოს მთავრობისათვის?
- რას ნიშნავს ინტერესთა კონფლიქტი სახელმწიფო შესყიდვებში?

თავი 10. მონაწილეობა ელექტრონულ ტენდერებში

10.1. მიმწოდებლის რეგისტრაცია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში

მას შემდეგ რაც ტენდერს (გამარტივებული ელექტრონული და ელექტრონული ტენდერი) მიენიჭება სტატუსი - „წინადადებების მიღება დაწყებულია" ნებისმიერ პრეტენდენტს შეუძლია წარადგინოს წინადადება ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით იქამდე ვიდრე ტენდერს მიენიჭება სტატუსი - „წინადადებების მიღება დასრულებულია". სატენდერო წინადადების წარდგენისათვის პრეტენდენტი სისტემაში დარეგისტრირებული უნდა იყოს მიმწოდებლის სტატუსით. სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა მიმწოდებლის პროფილით დარეგისტრირების საშუალებას აძლევს შემდეგ სუბიექტებს:

1. **საქართველოს რეზიდენტი:**

- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს);
- სააქციო საზოგადოება (სს);
- სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს);
- კომანდიტური საზოგადოება (კს);
- კოოპერატივი;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ);
- ფილიალი/წარმომადგენლობა;
- ინდივიდუალური მეწარმე (ი/მ);
- ფიზიკური პირი (ფ/პ);
- ამხანაგობა;
- არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი (ააიპ);

2. **საქართველოს არარეზიდენტი:**

- იურიდიული პირი;
- ფიზიკური პირი;
- კონსორციუმი;
- სხვა.

მიმწოდებლის პროფილის დარეგისტრირებისთვის აუცილებელია მოქმედი ელექტრონული ფოსტა, სადაც იგზავნება პროფილის გააქტიურების ინტერნეტ-ბმული. აღსანიშნავია, რომ ბმულზე გადასვლისთანავე მიმწოდებლის პროფილი აქტიურია განსხვავებით შემსყიდველი ორგანიზაციის პროფილის რეგისტრაციისა, რადგანაც შემსყიდველ ორგანიზაციას გააქტიურებისათვის დამატებით უწევს წერილობითი მიმართვა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის. რეგისტრაციის შემდეგ მიმწოდებელს შეუძლია სახელმწიფო შესყიდვების კლასიფიკატორიდან აირჩიოს მისთვის საინტერესო კოდები და სისტემა ავტომატურად შეატყობინებს მას მონიშნულ კოდზე გამოცხადებული ტენდერის შესახებ.

10.2 ტენდერში მონაწილეობის მიღება

სასურველ ტენდერში მონაწილების მისაღებად ნებისმიერი მიმწოდებელი ვალდებულია გაეცნოს აფიდავიტს და დაეთანხმოთ მას (გაცნობას და თანხმობას ადასტურებს სისტემის მეშვეობით). აფიდავიტი ეს არის წერილობითი დოკუმენტი, რომლის ხელმომწერი ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციის სინამდვილეზე. აღსანიშნავია, რომ აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195[1] მუხლის შესაბამისად. აფიდავიტი განსაზღვრულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონით, ხოლო მისი ფორმა დამტკიცებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს შესაბამისად:

10.2.1 აფიდავიტი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აფიდავიტის ფორმას განსაზღვრავს შესაბამისი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი და იგი მოცემულია შემდეგი ფორმით:

„გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

- ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;
- უფლებამოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;
- ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;
- ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი „კონკურენტი“ აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში;
- მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:
  - სატენდერო წინადადების ფასი;
  - სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
  - სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;

- ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის პირობებს;
- შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება.

➢ სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე".

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ სწორედ ამ ფორმას ეთანხმება პრეტენდენტი ნებისმიერ ტენდერში მონაწილეობისას და ელექტრონულად ადასტურებს მოცემული პირობების უტყუარობას.

10.2.1 ტენდერში მონაწილეობის საფასური და სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია

აფიდავიტის პირობებზე ელექტრონულად დათანხმების შემდეგ პრეტენდენტმა უნდა მოახდინოს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიისა და ტენდერში მონაწილეობის საფასურის გადახდა.

წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია წარმოადგენს წინადადების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ სააგენტოსთვის სისტემის მეშვეობით წარდგენილი გარანტირების მექანიზმს, რომლის ოდენობა განისაზღვრება ყოველი კონკრეტული ტენდერისათვის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 1 (ერთი) პროცენტის ოდენობით. გარანტიის წარდგენა ელექტრონულად ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში არსებული ავტომატური საშუალების მეშვეობით. წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონულ გარანტიას გააჩნია მოქმედების ვადები, კერძოდ:

- გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში – არანაკლებ 120 კალენდარული დღე ამ კონკრეტული ტენდერისათვის „წინადადებების მიღება დაწყებულია“ სტატუსის მინიჭებიდან;
- ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში - არანაკლებ 160 კალენდარული დღე ამ კონკრეტული ტენდერისათვის „წინადადებების მიღება დაწყებულია“ სტატუსის მინიჭებიდან.

იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული გარანტია წარდგენილია საბანკო პლასტიკური ბარათიდან სააგენტოს ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით, სისტემა ავტომატური საშუალებების გამოყენებით უზრუნველყოფს ელექტრონული გარანტიის მოქმედების ვადას შესაბამისი ტენდერისათვის საბოლოო სტატუსის მინიჭებამდე. გამონაკლის შემთხვევებში სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გაუმართაობის დროს სახელმწიფო შესყიდვების სისტემა საშუალებას იძლევა ელექტრონული გარანტია და მონაწილეობის საფასური წარდგენილ იქნეს სისტემის გამოყენების გარეშე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე. ელექტრონული გარანტია მიმწოდებელს უბრუნდება მას შემდეგ, რაც კონკრეტულ ტენდერს მიენიჭება რომელიმე საბოლოო სტატუსი: „ხელშეკრულება დადებულია“ ან „დასრულებულია უარყოფითი შედეგით“, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი დისკვალიფიცირებულია შემდეგი გარემოებების გამო:

- თუ პრეტენდენტი უარს იტყვის თავის სატენდერო წინადადებაზე;
- თუ მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები არ შეესაბამება სატენდერო განცხადებას ან/და სატენდერო დოკუმენტაციას;

- თუ ის არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს ამ წესის მოთხოვნათა დაცვით;
- თუ ის არ წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების გარანტიას (ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში), უარს აცხადებს ხელშეკრულების დადებაზე ან/და სხვა-გვარად გამოხატავს უარს ხელშეკრულების დადებაზე;
- თუ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას.

როგორც ზემოთ აღინიშნა წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტიის წარდგენის/გადახდის შემდეგ პრეტენდენტი ახორციელებს ტენდერში მონაწილეობის საფასურის გადახდას, რომლის ოდენობაც ფიქსირებულია და 50 ლარს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ ჩვეულებრივ მონაწილეობის საფასური დაბრუნებას არ ექვემდებარება და მხოლოდ იმ შემთხვევაშია დაბრუნება დასაშვები, როდესაც გადახდა შეცდომით განხორციელდა კანონით განსაზღვრულ განაკვეთზე მეტი ოდენობით. ასეთ დროს ბრუნდება მხოლოდ სხვაობა გადახდილ თანხასა და კანონით განსაზღვრულ განაკვეთს შორის. შეცდომით ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დაბრუნების შესახებ სააგენტოში წარმოდგენილი მოთხოვნა უნდა შეიცავდეს შეცდომით გადახდილი ზედმეტი თანხის დაბრუნების კანონიერი საფუძვლის არსებობის დასაბუთებას და შესაბამის დოკუმენტაციას. შეცდომით ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დაბრუნების თაობაზე დაინტერესებული პირის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სააგენტო ამ მოთხოვნას ათი სამუშაო დღის ვადაში უგზავნის თანხის დაბრუნებაზე შესაბამის უფლებამოსილ პირს. ამასთან სააგენტოში მოთხოვნა წარდგენილი უნდა იქნეს შეცდომით ზედმეტად გადახდილი თანხის გადახდიდან სამი თვის ვადაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ ზედმეტად გადახდილი თანხა არ ბრუნდება.

10.2.4 სატენდერო დოკუმენტაციის სისტემაში განთავსება

წინადადების წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ სისტემის მეშვეობით აფიდავიტის პირობებზე დათანხმების, ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და საფასურის გადახდის შემდეგ, შესაბამისი თანმიმდევრობით (იხ. დიაგრამა №9).

დიაგრამა №9

აღნიშნული ქმედებების განხორციელების გარეშე პრეტენდენტს არ ექნება სატენდერო წინადადების წარდგენისა და შესაბამისად, ტენდერში მონაწილეობის შესაძლებლობა. მას შემდეგ, რაც ზემოაღნიშნულ ქმედებებს განახორციელებს, პრეტენდენტს უფლება აქვს სისტემის მეშვეობით წარადგინოს სატენდერო წინადადება. სატენდერო წინადადება შედგება სატენდერო წინადადების ფასის და ტექნიკური დოკუმენტაციისგან. ტექნიკური დოკუმენტაცია არის პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტის შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც მოთხოვნილია სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით, გარდა ადმინისტრაციული ორგანოდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა.

როგორც ზემოთ აღინიშნა წინადადების წარდგენის დროს პრეტენდენტმა პირველ რიგში სისტემაში უნდა ატვირთოს ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც უნდა შეიცავდეს წარმოდგენილი შესყიდვის ობიექტის ტექნიკურ და ხარისხობრივ აღწერას. ამის შემდეგ, პრეტენდენტმა სისტემის შესაბამის ველში უნდა მიუთითოს წინადადების ფასი (ეროვნულ ვალუტაში), რომელიც არ უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის ღირებულებას ან უნდა იყოს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე სულ მცირე ერთი ბიჯით ნაკლები. ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვისა და წინადადების ფასის მითითების შემდეგ, დაუშვებელია ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაციის შეცვლა, დამატება, გაუქმება ან წაშლა. ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვის შემდეგ, ტენდერში მონაწილეს შესაძლებლობა აქვს მიუთითოს სატენდერო წინადადების ფასი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში თუ ტენდერი აუქციონით არის გამოცხადებული (SPA) სატენდერო წინადადების ფასის მითითებისთანავე პრეტენდენტს უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა ელექტრონულ ვაჭრობაში, რომელიც იყოფა ძირითადი

და დამატებით ვაჭრობის ეტაპებად. ძირითად დროში ტენდერში მონაწილეს უფლება აქვს ცვალოს შეთავაზებული ფასი, კლებადობის პრინციპის გათვალისწინებითა და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ბიჯზე არანაკლები ოდენობით. ბიჯი, როგორც უკვე აღინიშნა - ეს არის სატენდერო წინადადების ფასის კლების წინასაწარ განსაზღვრული მინიმალური ოდენობა, რომელიც მითითებულია სატენდერო განცხადების შესაბამის ველში და რომლის რაოდენობას განსაზღვრავს შემსყიდველი კონკრეტულ ტენდერში შესყიდვის სავარაუდო ღირებულების 0,4%-დან 2%-მდე დიაპაზონში. დამატებითი ვაჭრობის თითოეულ რაუნდში პრეტენდენტს უფლება აქვს მხოლოდ ერთხელ შეამციროს წინადადების ფასი, რისთვისაც განესაზღვრება ორი წუთი. დამატებით რაუნდებში მონაწილეობა სავალდებულო არ არის და პრეტენდენტს უფლება აქვს რაუნდში მონაწილეობა არ მიიღოს და შესაბამისად, ძალაში დარჩება მის მიერ ბოლოს დაფიქსირებული ფასი. რაუნდებში მონაწილეობის მიღება გულისხმობს ზემოთ აღნიშნული პრინციპით ფასის შემცირებას ან მის იგივე ოდენობით დატოვებას. დამატებით რაუნდებში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებმაც ძირითად დროში წარადგინეს წინადადება დადგენილი წესით. პირველ რაუნდში პრეტენდენტის მიერ წინადადების ფასის წარდგენის რიგითობა განისაზღვრება ძირითად დროში წარდგენილი წინადადების ფასის მიხედვით, კერძოდ, პირველ რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც ძირითად დროში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა, ხოლო ყოველ მომდევნო რაუნდში - კი ის პრეტენდენტი, რომელმაც წინა რაუნდში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა. წინადადების თანაბარი ფასების დაფიქსირების შემთხვევაში, რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც პირველმა დააფიქსირა ასეთი ფასი. ძირითად დროში სისტემა უზრუნველყოფს პრეტენდენტთა ვინაობის ანონიმურობას, აგრეთვე მათ მიერ მითითებული წინადადების ფასისა და ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცი-

ის დაფარვას. პრეტენდენტის მიერ მითითებული წინადადების ფასი ხელმისაწვდომი ხდება დამატებითი რაუნდების დაწყებიდან. დამატებითი რაუნდების დასრულების შემდგომ, პრეტენდენტების (არსებობის შემთხვევაში) ვინაობა და მათ მიერ ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია ხელმისაწვდომი ხდება სტუმრისა და რეგისტრირებული მომხმარებლისთვის. მას შემდეგ, რაც დასრულდება დამატებითი ვაჭრობის რაუნდები, სისტემა პრეტენდენტებს აჯგუფებს სატენდერო წინადადების ფასის მიხედვით. ამის შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მოწმდება ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია. იმ შემთხვევაში თუ ორი ან მეტი პრეტენდენტის მიერ სისტემაში მითითებულია თანაბარი ფასი, სისტემა ავტომატურად ანიჭებს უპირატესობას იმ პრეტენდენტს, რომელმაც პირველმა მიუთითა სატენდერო წინადადების აღნიშნული ფასი. ხოლო იმ შემთხვევაში თუ ტენდერი გამოცხადებულია აუქციონის გარეშე (NAT) პრეტენდენტს მხოლოდ ძირითად დროში შეუძლია ფასის ცვლილება, რადგან ასეთი ტიპის ტენდერი არ ითვალისწინებს დამატებითი ვაჭრობის რაუნდებს და შესაბამისად დამატებით რაუნდებში ვაჭრობას. ამ შემთხვევაში, როგორც შემსყიდველი, ასევე ნებისმიერი სხვა რეგისტრირებული მომხმარებელი, ტენდერის დასრულების შემდეგ ხედავს ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტს და სხვა დანარჩენი მონაწილეები (არსებობის შემთხვევაში) გამოჩნდება მას შემდეგ, რაც ტენდერს მიენიჭება საბოლოო სტატუსი, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტი მიიღებს დისკვალიფიკაციას გამოჩნდება მხოლოდ მომდევნო პრეტენდენტი.

სატენდერო წინადადების მომზადებისას გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ როდესაც სატენდერო განცხადებით გათვალისწინებულია წინადადების ფასის დღგ-ის გარეშე წარდგენა, პრეტენდენტი წინადადების ფასში არ ითვალისწინებს დღგ-ს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი დღგ-ის გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში დოკუმენტაცია შესაძლებელია განთავსებულ იქნეს მხოლოდ „PDF“ ფორმატში, ხოლო მოცულობითი ხარჯთაღრიცხვა ასევე შესაძლებელია ატვირთულ იქნეს „Excel“ ფორმატში. დოკუმენტაციის ატვირთვის დროს მაქსიმალურად ყურადღება უნდა მიექცეს დოკუმენტების ტექნიკურ გამართულობას, რადგანაც იმ შემთხვევაში, როდესაც სატენდერო დოკუმენტაცია ატვირთულია ხარვეზის მქონე ფაილის სახით (რომელიც არ იკითხება), შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება არ აქვს, პრეტენდენტს მიმართოს ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხარვეზიანია ტექნიკური დოკუმენტაციის ისეთი ნაწილი, რომლის წარმოდგენა ან/და დაზუსტება არ გამოიწვევს ტექნიკური დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას ან/და არ გაზრდის წინადადების ფასს. ამასთანავე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ბოლო პერიოდის ცვლილებების შესაბამისად დაზუსტებას არ ექვემდებარება ტექნიკური დოკუმენტაცია, თუ სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნ(ებ)ის შესაბამისად, არ არის წარდგენილი ან მასში არ არის მითითებული ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის წარმოშობის ქვეყნის, მწარმოებლის ან/და მოდელის შესახებ, ასევე არ არის ან განუფასებლადაა წარდგენილი ხარჯთაღრიცხვა.

ასევე ბოლო პერიოდის ცვლილებების შესაბამისად ტენდერის გამოცხადებისას სატენდერო დოკუმენტაციით შემსყიდველი ორგანიზაცია აღარ ითხოვს მიმწოდებლის რეკვიზიტებს, ხოლო თავის მხრივ ნებისმიერი ტენდერში მონაწილე მიმწოდებელი ვალდებულია სრულყოს სახელმწიფო შესყიდვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში თავისი პროფილის მონაცემები, რათა ხელმისაწვდომი გახადოს იგი შემსყიდველი ორგანიზაციისა თუ ნებისმიერი სხვა დაინტერესებული პირისათვის.

ტენდერის დასრულების შემდეგ პრეტენდენტი ელოდება შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიის მოქმედებებს. როგორც ზემოთ აღინიშნა სატენდერო კომისიას ტენდე-

რის დასრულების შემდეგ წარმოდგენილი წინადადებების შერჩევა-შეფასებისთვის გააჩნია განსაზღვრული ვადები, კერძოდ: სატენდერო კომისიამ, ტენდერისთვის სტატუსის „წინადადებების მიღება დასრულებულია“ მინიჭებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში, უნდა იმსჯელოს, შეესაბამება თუ არა წინადადების ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ წინადადებების მიღების ეტაპზე სისტემაში განთავსებული ტექნიკური დოკუმენტაცია სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებს. ამ პუნქტში მითითებული ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს არაუმეტეს 5 სამუშაო დღით, სატენდერო კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელშიც მითითებული იქნება სათანადო ობიექტური მიზეზ(ებ)ი.

10.3. განმარტების მიღების უფლება

2012 წლის ოქტომბრიდან მიმწოდებლებს საშუალება აქვთ სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული შეკითხვები დასვან სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში გენერირებული კითხვა/პასუხის მოდულის მეშვეობით. ტენდერისთვის სტატუსის „ტენდერი გამოცხადებულია“ მინიჭებიდან სტატუსის - „წინადადებების მიღება დასრულებულია“ მინიჭებამდე არაუგვიანეს 24 საათისა, სისტემაში „მიმწოდებლად“ რეგისტრირებულ ნებისმიერ მომხმარებელს უფლება აქვს, შემსყიდველ ორგანიზაციას, ზემოთ აღნიშნული მოდულის მეშვეობით, მოსთხოვოს სატენდერო პირობების კონკრეტული ჩანაწერის განმარტება. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, კითხვის დასმიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, „კითხვა-პასუხის“ მოდულის მეშვეობით, გააკეთოს შესაბამისი განმარტება, რითაც შესაძლებელია იხელმძღვანელოს ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა. იმ შემთხვე-

ვაში თუ კითხვის დასმიდან ტენდერისთვის სტატუსის „წინადადებების მიღება დასრულებულია“ მინიჭებამდე დარჩენილია 24 საათზე ნაკლები, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია გააკეთოს განმარტება ტენდერისთვის სტატუსის „წინადადებების მიღება დასრულებულია“ მინიჭებამდე არაუგვიანეს 2 საათისა. ამასთან გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტება არ უნდა იყოს ბუნდოვანი და კონკრეტულად უნდა პასუხობდეს დასმულ კითხვას. ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტს სატენდერო პირობების ჩანაწერის ან/და შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილების/ქმედების თაობაზე განმარტების მოთხოვნის უფლება ასევე აქვს ტენდერისთვის სტატუსის „წინადადებების მიღება დასრულებულია“ მინიჭებიდან სტატუსის „ხელშეკრულება დადებულია“ მინიჭებამდე. ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია გააკეთოს შესაბამისი განმარტება გონივრულ ვადაში. მიმწოდებელს „კითხვა-პასუხის“ მოდულით სარგებლობის უფლება აგრეთვე აქვს ხელშეკრულებისთვის სტატუსის „შესრულებული ხელშეკრულება“ ან „შეუსრულებელი ხელშეკრულება“ მინიჭებამდე. ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ასევე ვალდებულია გააკეთოს შესაბამისი განმარტება გონივრულ ვადაში.

საკონტროლო კითხვები:

- ვინ შეიძლება იქნეს რეგისტრირებული მიმწოდებლად?
- როგორ მივიღოთ მონაწილეობა ტენდერში?
- განმარტეთ აფიდავიტი;
- განმარტეთ წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია;
- დაახასიათეთ სატენდერო დოკუმენტაციის ელექტრონულ სისტემაში განთავსებისთვის აუცილებელი პროცედურები.

თავი 11. გამარტივებული შესყიდვა

11.1 გამარტივებული შესყიდვის არსი

გამარტივებული შესყიდვა, ისევე როგორც სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული საშუალებები სახელმწიფო შესყიდვების პროცესში ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებადი ფორმაა. გამარტივებული შესყიდვა შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა შემთხვევებში. გამარტივებული შესყიდვის განხორციელების დროს შემსყიდველს შეუძლია პირდაპირ გააფორმოს მიმწოდებელ სუბიექტთან ხელშეკრულება. შესაბამისად ამ შემთხვევაში გაცილებით მეტია რისკი მიმწოდებელთა ტენდენციურად შერჩევისა და ფასის არარაციონალური განსაზღვრა. მოქმედი კანონმდებლობით ამ შემთხვევაში იზღუდება იმ მიმწოდებლებთან შესყიდვის განხორციელება, რომლებიც მოცემულ პერიოდში იმყოფებიან ე.წ. „შავ სიაში"[37]. ზოგადად რეკომენდებულია გამარტივებული შესყიდვა „ბაზრის კვლევის" შედეგებს ეყრდნობოდეს.

როგორც ზემოთ აღინიშნა გამარტივებული შესყიდვა სხვადასხვა შემთხვევაში გამოიყენება. მათ შორის შესაძლოა გამოვყოთ შესყიდვა მონეტარული ზღვრების ფარგლებში და შესყიდვა სხვა დანარჩენი საფუძვლებით. მონეტარული ზღვრები თავის მხრივ გამოიყენება შემდეგ შემთხვევაში:

1. 5 000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვისას;
2. საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ 50 000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვისას;

[37] არაკვალიფიციურ პირთა რეესტრი

3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემაში შემავალი შემსყიდველი ორგანიზაციების, აგრეთვე სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მიერ თავდაცვასთან, უშიშროებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული შესყიდვების განხორციელების შემთხვევაში 20 000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვისას.

მონეტარული ზღვრების შესაბამისად შესყიდვის დაგეგმვა ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შემუშავების დროს, ანუ ერთგვაროვნების ის ჯგუფები (CPV კოდების პირველი სამი ციფრი ერთგვაროვანია), რომელთა წლის განმავლობაში შესყიდვა იგეგმება იმ ზემოაღნიშნულ მონეტარულ ზღვარზე ნაკლები ოდენობით, მათი განხორციელება შესაძლებელია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

გარდა მონეტარული ზღვრებით განსაზღვრული შემთხვევებისა გამარტივებული შესყიდვის ფორმა გამოიყენება ასევე იმ შემთხვევებში, როდესაც:

1. **საქონლის მიწოდება, მომსახურების გაწევა ან სამშენებლო სამუშაოს შესრულება მხოლოდ ერთი პირის ექსკლუზიური უფლებაა** და არ არსებობს მიზანშეწონილი ალტერნატივა შესყიდვის ობიექტის ჩასანაცვლებლად, ამასთან ექსკლუზიურ უფლებად არ განიხილება შემთხვევა, როდესაც:
   - შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება აღემატება 2 000 000 ლარს, ხოლო სამუშაოსი – 4 000 000 ლარს და ქვეყნის გარეთ, გონივრულ ტერიტორიულ ფარგლებში, არსებობს სხვა პირი, რომელსაც შეუძლია განახორციელოს იმავე საქონლის მიწოდება, სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა;
   - შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება არ აღემატება 2 000 000 ლარს, ხოლო სამუშაოსი – 4 000 000 ლარს და ქვეყნის შიგნით არსებობს სხვა პირი, რომელსაც შეუძლია განახორციელოს იმავე საქონლის მიწოდება, სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა.

2. **არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა**. ეს არის ის შემთხვევა, როდესაც შემსყიდველი ორგანიზაცია წინასწარ ვერ გაითვალისწინებდა კონკრეტული გარემოებისა და საჭიროების დადგომას. იგი მრავალი მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული და აღნიშნული საფუძველი საშუალებას აძლევს შემსყიდველს არ შეაფერხოს სხვადასხვა პროცესები, თუმცა აქვეა შესაბამისი დათქმა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რომ ასეთ შემთხვევაში შესასყიდი საქონლის რაოდენობა, სამუშაოს ან მომსახურების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული პრობლემების მოსაგვარებლად საჭირო ოდენობასა და მოცულობას. გადაუდებელ აუცილებლობად ითვლება ვითარება, რომელიც რეალურ საფრთხეს უქმნის შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას და რომელიც არ შეიძლებოდა ყოფილიყო წინასწარ განსაზღვრული, ამასთანავე აღნიშნული გარემოების დადგომა არ არის გამოწვეული შემსყიდველი ორგანიზაციის ქმედებით, ან რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ინტერესებს ან შემსყიდველი ორგანიზაციის ქონებას. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ შემსყიდველმა ორგანიზაციამ მაქსიმალურად უნდა აარიდოს თავი ისეთ ქმედებას, რომელიც ხელოვნურად იწვევს გადაუდებელი შესყიდვის აუცილებლობას. იმ შემთხვევაში, როდესაც გადაუდებელი შესყიდვის აუცილებლობა გამოწვეულია ტენდერისათვის/კონკურსისთვის სტატუსის „დასრულებულია უარყოფითი შედეგით", „არ შედგა" ან „შეწყვეტილია" მინიჭების მიზეზით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ხელშეკრულების დადება შეიძლება მხოლოდ იმ მიმწოდებელთან, რომელიც აკმაყოფილებს სატენდერო/საკონკურსო პირობებს შემდეგი პრინციპების დაცვით:

- დაუშვებელია შესყიდვის ობიექტის ერთეულის ღირებულება აღემატებოდეს სატენდერო/საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ ერთეულის ფასს;
- დაუშვებელია მიმწოდებლის გამოცდილება და სხვა პერსონალური მახასიათებლები (წლიური ბრუნვა, დასაქმებულთა რაოდენობა და სხვ.) იყოს სატენდერო/საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ ანალოგიურ მონაცემებზე უარესი;
- დაუშვებელია შესყიდვის ობიექტის ხარისხობრივი, თვისობრივი ან სხვაგვარი მონაცემები იყოს სატენდერო/საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ ანალოგიურ მონაცემებზე უარესი.

3. **მიმწოდებლისაგან შესყიდული ობიექტის ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების ან/და მისი შემდგომი ექსპლუატაციის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია შესყიდვა განხორციელდეს იმავე მიმწოდებლისაგან ან იმავე მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქვეკონტრაქტორისგან.** ასეთი გარემოება შემსყიდველ ორგანიზაციას შესაძლებელია დაუდგეს იმ შემთხვევაში, როდესაც მაგ. იგი ფლობს მაღალი დონისა და სირთულის ძვირადღირებულ ტექნიკას, რომელსაც პერიოდულად სჭირდება პროფილაქტიკური ტიპის შემოწმება/შეკეთება. შესაძლოა ასეთი ტიპის მომსახურება ექსკლუზივს არ წარმოადგენდეს და ბაზარზე არსებობდეს ალტერნატიული მომწოდებლები, თუმცა შემსყიდველს დასაბუთებულად მიაჩნია, რომ უმჯობესია შეკეთება განახორციელოს ერთი და იგივე მიმწოდებელმა, რათა არ მოხდეს ხარისხის გაუარესება და არ დადგეს ექსპლოატაციის საფრთხე. ამ შემთხვევაშიც არსებობს სამართლებრივი დათქმა, რაც გულისხმობს იმას, რომ შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს თავდაპირველად შესყიდული ობიექტის ღირებულებას;

4. **სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეუფერხებლად ჩატარებისთვის გათვალისწინებულია შეზღუდული ვადები.** ასეთ შემთხვევაში ჩასატარებელი ღონისძიება უნდა ემსახურებოდეს ქვეყნისთვის მნიშვნელოვან პოლიტიკურ, თავდაცვით, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, საგანმანათლებლო ან სხვა საჯარო მიზნების მიღწევას. ამასთან, აუცილებელია, რომ შეზღუდული დროის გამო, ღონისძიების ჩატარებასთან დაკავშირებული შესყიდვის ობიექტების შესყიდვა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის, ელექტრონული ტენდერის ან კონკურსის პროცედურების მეშვეობით იწვევდეს ამ ღონისძიების არსებითი შეფერხებით ჩატარებას, ჩაშლას ან/და ხელს უშლიდეს მის უწყვეტად ჩატარებას. შემსყიდველმა ორგანიზაციამ მაქსიმალურად უნდა აარიდოს თავი ისეთ ქმედებას, რომელიც ხელოვნურად იწვევს ღონისძიების არსებითი შეფერხებით ჩატარებას, ჩაშლას ან/და მისი უწყვეტად ჩატარების ხელშეშლას. აღსანიშნავია, რომ ამ საფუძვლით შესყიდვის განხორციელებისას აუცილებელია, როგორც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანხმობა, ასევე საქართველოს მთავრობის, ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობის ან ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული შესაბამისი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც ადასტურებს ღონისძიების უტყუარობასა და მნიშვნელობას და საშუალებას აძლევს შემსყიდველს განახორციელოს კონკრეტული მოქმედებები.

5. **ხორციელდება ერთი ან ერთზე მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალების, კომპიუტერული ტექნიკის, ასევე შესაბამისი ნორმატიული აქტით განსაზღვრული ელექტროდანადგარის ჩანაცვლება.** ამ შემთხვევაში ავტოსატრანსპორტო საშუალება, კომპიუტერული ტექნიკა, ასევე შესაბამისი ნორმატიული აქტით განსაზღვრული ელექტროდანადგარი უნდა ნაცვლდებოდეს ახალი – იმავე ან გაუმჯობესებული

პარამეტრების მქონე ერთი ან ერთზე მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალებით, კომპიუტერული ტექნიკით ან/და ელექტრო დანადგარით. ახალი ავტოსატრანსპორტო საშუალების, კომპიუტერული ტექნიკის ან/და ელექტროდანადგარის ღირებულების ნაწილი ანაზღაურდება ჩასანაცვლებელი ავტოსატრანსპორტო საშუალების, კომპიუტერული ტექნიკის ან/და ელექტროდანადგარის მიმწოდებლისათვის დაბრუნებით ან სხვა იმ ფიზიკური ან იურიდიული პირისათვის გადაცემით, რომელიც რეალიზაციას უწევს მსგავს პროდუქციას (საქონელს). ეს მეთოდი გამოიყენება შემსყიდველი საკუთრებაში არსებული კომპიუტერული ტექნიკის, ავტომობილებისა და ელექტროდანადგარების, ახალი ან/და გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე შესაბამისი ტექნიკით ჩანაცვლების განსახორციელებლად. ამასთან, ახალი (შესაძენი) ტექნიკის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ჩასანაცვლებელ ტექნიკის რაოდენობას. ამ მეთოდის გამოყენების დროს მიზანშეწონილია ჩასანაცვლებელ ტექნიკას, საბაზრო ღირებულების დადგენის მიზნით, ჩაუტარდეს ექსპერტიზა ან აუდიტორული შეფასება. ჩასანაცვლებელ ტექნიკის სახელშეკრულებო ღირებულების დადგენის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს როგორც ნარჩენი საბალანსო ღირებულება, ასევე აუდიტორული დასკვნის შედეგად მიღებული საბაზრო ღირებულება. ამასთანავე აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია უნდა აისახოს სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში.

6. **ხორციელდება წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვა.** საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის 33-ე ქვეპუნქტის შესაბამისად პირის მიერ ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში გაწეული ხარჯი, რომელიც მოიცავს:

   ა) პირის სახელით გამართული ღონისძიებებისათვის (პრეზენტაციები, მიღებები) გათვალისწინებულ (წვენები,

მინერალური წყლები, გამაგრილებელი სასმელები, ჩაი, ყავა, საუზმე, სადილი, ვახშამი, ბანკეტი) ხარჯებს;

ბ) საექსკურსიო და კულტურულ-სანახაობითი ღონისძიებების ხარჯებს;

გ) სუვენირების შეძენის ხარჯებს;

დ) სტუმრების მომსახურების უზრუნველყოფის ხარჯებს, მათ შორის:

დ.ა) საკონსულო მომსახურების (ვიზების გაფორმება, ვადის გაგრძელება) ხარჯებს;

დ.ბ) აეროპორტში დახვედრისა და გაცილების (VIP-დარბაზის მომსახურება) ხარჯებს;

დ.გ) სატრანსპორტო მომსახურების ხარჯებს;

დ.დ) სასტუმრო მომსახურების (ადგილების დაჯავშნა, ცხოვრების ღირებულება) ხარჯებს;

დ.ე) მიღებებისა და წვეულებებისათვის გათვალისწინებულ (წვენები, მინერალური წყლები, გამაგრილებელი სასმელები, ჩაი, ყავა, საუზმე, სადილი, ვახშამი, ბანკეტი) ხარჯებს.

7. **სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება საქართველოს ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახდელების გადახდის გზით.** ასეთ შემთხვევაში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ხელშეკრულების დადება შეიძლება ადმინისტრაციული ორგანოსგან შესასყიდ მხოლოდ იმ საქონელზე, მომსახურებაზე ან სამუშაოზე, რომლის მისაწოდებლად, გასაწევად ან შესასრულებლად გადასახდელი საფასურის ოდენობა დადგენილია საქართველოს შესაბამისი ნორმატიული აქტით. შემსყიდველი ორგანიზაცია ხშირ შემთხვევაში ახორციელებს სახელმწიფოს მიერ გაწეული ფასიანი მომსახურების შესყიდვას (მაგ: ავტომობილის რეგისტრაცია და ა.შ.), რომელთა საფასური დადგენილია შესაბამისი ნორმატიული აქტით. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია ასევე უნდა აისახოს სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში.

8. ხორციელდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წლოვანების ან/და პირობების მქონე გარანტიის ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურების ან/და ასეთი მომსახურებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების ან/და საცხებ-საპოხი მასალების სახელმწიფო შესყიდვა. საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულია 5 ან ნაკლები წლოვანების ასევე საგარანტიო პირობების მქონე ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების ან/და ასეთი მომსახურებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების ან/და საცხებ-საპოხი მასალების სახელმწიფო შესყიდვა. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია ასევე უნდა აისახოს სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში.
9. საჯარო სამართლის იურიდიული პირი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ხორციელდება ლიტერატურის (ბეჭდური, ელექტრონულ ან აუდიოვიზუალურ მატარებელზე განთავსებულს), რეაქტივის, კომპიუტერული პროგრამის, ფარმაცევტული პროდუქტის (სამკურნალო საშუალება), ლაბორატორიული აღჭურვილობისა და მონაცემთა ბაზის შესყიდვა.
10. სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის განმახორციელებელი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების ფონდის მიერ რეგენტთა საბჭოს თანხმობის საფუძველზე ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვა. ასეთ შემთხვევაში, რეგენტთა საბჭოს თანხმობა გაიცემა შემსყიდველი ორგანიზაციის მოტივირებული მომართვის საფუძველზე.

11.2 გამარტივებული შესყიდვის გამონაკლისი შემთხვევების სააგენტოსთან შეთანხმება

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 გრძანების „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის ზემოთ ჩამოთვლილი 1-4 შემთხვევა, იმ შემთხვევაში თუ ცდება მონეტარულ ზღვრებს (5 000 ლარი წლის განმავლობაში ერთგვაროვნებაზე) უნდა შეთანხმდეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან შესყიდვის განხორციელებამდე და მხოლოდ თანხმობის მიღების შემდეგ აქვს უფლება შემსყიდველ ორგანიზაციას განახორციელოს კონკრეტული შესყიდვის ობიექტის შესყიდვა.

აღსანიშნავია, რომ გამარტივებული შესყიდვის შესახებ გადაწყვეტილება სააგენტოსთან თანხმდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, სპეციალური „SMP" მოდულის გამოყენებით. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მოდულის გამოყენებით მიმართვიდან სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო არაუმეტეს სამი სამუშაო დღის ვადაში, იღებს გადაწყვეტილებას, სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებაზე თანხმობის გაცემის ან თანხმობაზე უარის თქმის შესახებ. შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვა უნდა იყოს დასაბუთებული, კერძოდ, უნდა დასტურდებოდეს გამარტივებული შესყიდვის ჩატარების საფუძველი და მომართვის ამ საფუძვლისთვის დადგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისობა. შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვის საფუძვლიანობა და მისი დადგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისობა მოწმდება ნორმატიული აქტით განსაზღვრული კითხვარით, რომელიც ასევე გენერირებულია სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის „SMP" მოდულში. იმ შემთხვევაში, თუ გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული შესყიდვის შესახებ მიღებული გადაწყ-

ვეტილების სააგენტოსთან შეთანხმება შეუძლებელია, რადგან შესყიდვის დაყოვნება, ალბათობის მაღალი ხარისხით, გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას ან/და სახელმწიფო ინტერესებსა და ქონებას შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, დაიწყოს შესყიდვის პროცედურები, რაზეც იგი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას და აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ მიმართავს სააგენტოს რათა მოახდინოს გადაუდებელი აუცილებლობის გამო შესყიდვის შემდგომი შეთანხმება. ქვემოთ მოცემულია ის კითხვარი, რომელიც შემსყიდველმა ორგანიზაციამ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით უნდა შეავსოს ზემოთ აღნიშნული გამარტივებული შესყიდვის კონკრეტული საფუძვლის გამოყენებისთვის თანხმობის მისაღებად:

1. **ექსკლუზიური უფლებამოსილება**
   - ✓ გთხოვთ მიუთითოთ, რომელი პირის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენს შესასყიდი საქონლის მიწოდება, მომსახურების გაწევა ან სამშენებლო სამუშაოს შესრულება.
   - ✓ გთხოვთ მონიშნოთ CPV კოდი.
   - ✓ გთხოვთ მიუთითოთ შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა.
   - ✓ გთხოვთ მიუთითოთ შესყიდვის ღირებულება.
   - ✓ რა არის შესყიდვის ობიექტი?
   - ✓ რით არის განპირობებული შესყიდვის საჭიროება?
   - ✓ რა მეთოდით დადგინდა პირის ექსკლუზიური უფლებამოსილება?
   - ✓ რა მეთოდით დადგინდა, რომ არ არსებობს მიზანშეწონილი ალტერნატივა შესყიდვის ობიექტის ჩასანაცვლებლად?
   - ✓ რა მეთოდით განისაზღვრა შესყიდვის სავარაუდო ღირებულება?

- ✓ აღემატება თუ არა შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება 2 000 000 ლარს, ხოლო სამშენებლო სამუშაოსი – 4 000 000 ლარს? (კი/არა)
- ✓ [თუ აღემატება] ქვეყნის გარეთ, გონივრულ ტერიტორიულ ფარგლებში, ხომ არ არსებობს სხვა პირი, რომელსაც შეუძლია განახორციელოს იმავე საქონლის მიწოდება, მომსახურების გაწევა ან სამშენებლო სამუშაოს შესრულება?
- ✓ [თუ აღემატება] როგორ განისაზღვრა ქვეყნის გარეთ გონივრული ტერიტორიული ფარგლები?
- ✓ [თუ აღემატება] რა მეთოდით დადგინდა, რომ ქვეყნის გარეთ, გონივრულ ტერიტორიულ ფარგლებში, არ არსებობს სხვა პირი, რომელსაც შეუძლია განახორციელოს იმავე საქონლის მიწოდება, მომსახურების გაწევა ან სამშენებლო სამუშაოს შესრულება?
- ✓ [თუ არ აღემატება] ქვეყნის შიგნით ხომ არ არსებობს სხვა პირი, რომელსაც შეუძლია განახორციელოს იმავე საქონლის მიწოდება, მომსახურების გაწევა ან სამშენებლო სამუშაოს შესრულება?
- ✓ [თუ არ აღემატება] რა მეთოდით დადგინდა, რომ ქვეყნის შიგნით არ არსებობს სხვა პირი, რომელსაც შეუძლია განახორციელოს იმავე საქონლის მიწოდება, მომსახურების გაწევა ან სამშენებლო სამუშაოს შესრულება?
- ✓ რამდენად შესაძლებელია, რომ შესყიდვის ობიექტი დანაწევრდეს ცალკეულ კომპონენტებად და იმგვარად იქნეს შესყიდული? (კი/არა)
- ✓ [თუ არ არის შესაძლებელი დანაწევრება] რატომ არ შეიძლება დანაწევრდეს შესყიდვის ობიექტი?
- ✓ [თუ არ არის შესაძლებელი დანაწევრება] რატომ არ შეიძლება შესყიდვა დანაწევრებული კომპონენტების მიხედვით?
- ✓ [თუ შესაძლებელია დანაწევრება] რატომ არ შეიძლება დანაწევრებული კომპონენტების სხვადასხვა პირისგან შესყიდვა?

- ✓ როგორ განისაზღვრება ხელშეკრულების შესრულებისა და მოქმედების ვადები?
- ✓ რამდენად გონივრულია ხელშეკრულების შესრულებისა და მოქმედების ვადა იმ თვალსაზრისით, რომ ამ პერიოდში ბაზარზე შესაძლებელია გაჩნდეს საქონლის მომწოდებელი, მომსახურების გამწევი ან სამშენებლო სამუშაოს შემსრულებელი სხვა პირი ან/და მიზანშეწონილი ალტერნატივა შესყიდვის ობიექტის ჩასანაცვლებლად?
- ✓ გთხოვთ წარმოადგინოთ გამარტივებული შესყიდვის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილება.

2. **გადაუდებელი აუცილებლობა**
   - ✓ გთხოვთ მონიშნოთ CPV კოდი.
   - ✓ გთხოვთ მიუთითოთ შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა.
   - ✓ რა არის შესყიდვის ობიექტი?
   - ✓ რით არის განპირობებული შესყიდვის საჭიროება?
   - ✓ რამ გამოიწვია გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების დადგომა?
   - ✓ რატომ ვერ იქნებოდა ვითარება წინასწარ განსაზღვრული?
   - ✓ რა რეალური საფრთხე ექმნება შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას? ხომ არ აყენებს ვითარება მნიშვნელოვან ზიანს საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ინტერესებს ან შემსყიდველი ორგანიზაციის ქონებას? რატომ?
   - ✓ ხომ არ არის გადაუდებელი აუცილებლობა გამოწვეული ტენდერისთვის/კონკურსისთვის სტატუსის „დასრულებულია უარყოფითი შედეგით“, „არ შედგა“ ან „შეწყვეტილია“ მინიჭების მიზეზით? (კი/არა)
   - ✓ [თუ გამოწვეულია] გთხოვთ მონიშნოთ ტენდერის/კონკურსის სტატუსი.
   - ✓ [თუ გამოწვეულია] გთხოვთ მიუთითოთ ტენდერის/კონკურსის ნომერი/ნომრები.

- ✓ [თუ გამოწვეულია] ხელშეკრულების დადებით ხომ არ უარესდება სატენდერო/საკონკურსო პირობები? (კი/არა)
- ✓ [თუ იცვლება პირობები] გთხოვთ დაასაბუთოთ, რატომ ვერ იქნება დაცული სატენდერო/საკონკურსო პირობები?
- ✓ გთხოვთ მიუთითოთ ვადა, რომელიც საჭიროა ვითარების აღმოსაფხვრელად. გთხოვთ მიუთითოთ, თუ როდის დადგა გადაუდებელი აუცილებლობის ვითარება და რა ღონისძიებები გაატარეთ სააგენტოში მომართვის წარდგენამდე?
- ✓ გთხოვთ მიუთითოთ შესასყიდი საქონლის რაოდენობა, მომსახურების ან სამშენებლო სამუშაოს მოცულობა, რომელიც საჭიროა შექმნილი ვითარების აღმოსაფხვრელად.
- ✓ რით დასტურდება, რომ შესასყიდი საქონლის რაოდენობა, მომსახურების ან სამშენებლო სამუშაოს მოცულობა არ აღემატება გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული პრობლემების მოსაგვარებლად საჭირო შესყიდვის მოცულობას?
- ✓ რა ვადაა საჭირო ხელშეკრულების გასაფორმებლად? გთხოვთ წარმოადგინოთ გამარტივებული შესყიდვის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილება.
- ✓ გთხოვთ ატვირთოთ გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულებები (ფოტოსურათი, ექსპერტის დასკვნა, ინსპექტირების აქტი და სხვ.).

3. **გადაუდებელი აუცილებლობა (შესყიდვის განხორციელების შემდეგ შეთანხმება)**
   - ✓ გთხოვთ მონიშნოთ CPV კოდი.
   - ✓ გთხოვთ მიუთითოთ შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა.
   - ✓ გთხოვთ მიუთითოთ შესყიდვის ღირებულება.
   - ✓ რა არის შესყიდვის ობიექტი? რით არის განპირობებული შესყიდვის საჭიროება?

- ✓ რამ გამოიწვია გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების დადგომა?
- ✓ რატომ ვერ იქნებოდა ვითარება წინასწარ განსაზღვრული?
- ✓ რა რეალური საფრთხე ექმნებოდა შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას?
- ✓ ხომ არ აყენებდა ვითარება მნიშვნელოვან ზიანს საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ინტერესებს ან შემსყიდველი ორგანიზაციის ქონებას? რატომ?
- ✓ გთხოვთ მიუთითოთ, ალბათობის მაღალი ხარისხით, შესყიდვის დაყოვნება რა გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს ზემოთ ჩამოთვლილ სიკეთეებს?
- ✓ გთხოვთ მიუთითოთ, თუ როდის დადგა გადაუდებელი აუცილებლობის ვითარება და რა ღონისძიებები გაატარეთ სააგენტოში მომართვის წარდგენამდე?
- ✓ გთხოვთ მიუთითოთ ვითარების აღმოსაფხვრელად შესყიდული საქონლის რაოდენობა, მომსახურების ან სამშენებლო სამუშაოს მოცულობა.
- ✓ რით დასტურდება, რომ შესყიდული საქონლის რაოდენობა, მომსახურების ან სამშენებლო სამუშაოს მოცულობა არ აღემატება გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული პრობლემების მოსაგვარებლად საჭირო შესყიდვის მოცულობას? გთხოვთ ატვირთოთ დადებული ხელშეკრულება, თუ იგი ჯერ არ არის ატვირთული სისტემის CMR მოდულში.
- ✓ გთხოვთ წარმოადგინოთ გამარტივებული შესყიდვის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილება.
- ✓ გთხოვთ ატვირთოთ გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულებები (ფოტოსურათი, ექსპერტის დასკვნა, ინსპექტირების აქტი და სხვ.).

4. **მიმწოდებლისაგან შესყიდული ობიექტის ხარისხის გაუარესების თავიდან აცილება ან/და მისი შემდგომი ექსპლუატაციის უზრუნველყოფა**
   - ✓ გთხოვთ მონიშნოთ CPV კოდი.
   - ✓ გთხოვთ მიუთითოთ შესყიდვის ღირებულება.
   - ✓ გთხოვთ აღწეროთ მიმწოდებლისაგან შესყიდული ობიექტი. ატვირთულია თუ არა სისტემაში თავდაპირველი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება? (კი/არა)
   - ✓ [თუ ატვირთულია] გთხოვთ მიუთითოთ სატენდერო/-საკონკურსო განცხადების ან ხელშეკრულების CMR მოდულში რეგისტრაციის ნომერი.
   - ✓ [თუ ხელშეკრულება დადებულია სისტემის ან სისტემის CMR მოდულის შექმნამდე] გთხოვთ ატვირთოთ ხელშეკრულება.
   - ✓ რა არის შესყიდვის ობიექტი?
   - ✓ რით არის განპირობებული შესყიდვის საჭიროება?
   - ✓ რა მეთოდით განისაზღვრა შესყიდვის ღირებულება?
   - ✓ რატომ იქნება გამოწვეული შესყიდული ობიექტის ხარისხის გაუარესება ან/და მისი შემდგომი ექსპლუატაციის შეუძლებლობა, თუ ხელშეკრულება არ დაიდება თავდაპირველ მიმწოდებელთან ან მის ქვეკონტრაქტორთან?
   - ✓ რატომ ვერ გაფორმდება ხელშეკრულება სხვა მიმწოდებელთან? გთხოვთ წარმოადგინოთ გამარტივებული შესყიდვის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილება.
5. **სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარება**
   - ✓ გთხოვთ მონიშნოთ CPV კოდ(ებ)ი.
   - ✓ გთხოვთ მიუთითოთ შესყიდვის სავარაუდო ღირებულება.
   - ✓ მოკლედ აღწერეთ ჩასატარებელი ღონისძიება.
   - ✓ რატომ ატარებს ღონისძიება სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ხასიათს?

- ✓ რამ გამოიწვია ღონისძიების შეზღუდულ ვადაში ჩატარების აუცილებლობა და რატომ ვერ იქნებოდა შესყიდვები წინასწარ დაგეგმილი?
- ✓ რა პერიოდია გათვალისწინებული ღონისძიების ჩასატარებლად?
- ✓ გთხოვთ მიუთითოთ ღონისძიების ჩასატარებლად საჭირო შესყიდვის ობიექტ(ებ)ის ჩამონათვალი, ოდენობა (მოცულობა).
- ✓ რატომ გამოიწვევს ღონისძიების ჩატარებასთან დაკავშირებული შესყიდვის ობიექტების გამარტივებული ელექტრონული ტენდერის, ელექტრონული ტენდერის ან კონკურსის პროცედურების მეშვეობით შესყიდვა ამ ღონისძიების არსებითი შეფერხებით ჩატარებას, ჩაშლას ან/და მისი უწყვეტად ჩატარების ხელშეშლას?
- ✓ გთხოვთ წარმოადგინოთ საქართველოს მთავრობის, ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ან საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს სამართლებრივი აქტის პროექტი.
- ✓ გთხოვთ წარმოადგინოთ გამარტივებული შესყიდვის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილება.

როგორც აღინიშნა, სწორედ მოცემული კითხვარის საშუალებით ახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაცია დასაბუთებას და არგუმენტირებას გამარტივებული შესყიდვის არამონეტარული საფუძვლით გამოყენების მიზნით, ხოლო სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ადგენს თუ რამდენად მიზანშეწონილია კონკრეტული შემთხვევისათვის კონკრეტული საფუძვლის მისადაგება. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის მიმართვა საჯაროა ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, ამასთან ავტორიზებულ პირებს შეუძლიათ თავიანთი მოსაზრებაც დააფიქსირონ, სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ახორციელებს გამარტივებულ შესყიდვას

„გადაუდებელი აუცილებლობის“ გზით, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს, თანამდებობის პირს ან სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოს მიღებული გადაწყვეტილებისა და სააგენტოში მიმართვის წარდგენის შესახებ. საწარმო, რომლის აქციათა ან წილის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, ამ მუხლის პირველი პუნქტის განსაზღვრულ ინფორმაციას წარუდგენს, შესაბამისად, დამფუძნებელს, მნიშვნელოვანი წილის მფლობელს ან სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ აქციათა ან წილის 100%-იან მმართველს. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით არსებული შემსყიდველი ორგანიზაცია ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ინფორმაციას წარუდგენს, შესაბამისად, დამფუძნებელს ან კონტროლის განმახორციელებელ პირს ან ორგანოს. ინფორმაციის წარდგენა არ ევალება ისეთ შემსყიდველ ორგანიზაციას, რომელსაც არ ჰყავს, შესაბამისად, ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო, თანამდებობის პირი ან სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანო.

შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ „SMP" მოდულში მიმართვის განხორციელების შემდეგ მიმართვას ენიჭება სტატუსი „განიხილება“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო იხილავს შემსყიდველის მოთხოვნას და არაუადრეს 2 და არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა იღებს გადაწყვეტილებას დააკმაყოფილოს ან არ დააკმაყოფილოს კონკრეტული მოთხოვნა. სააგენტო უფლებამოსილია, მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას მომართვის დაზუსტება, თუ მოცემული ინფორმაცია არ არის საკმარისი, არ შეესაბამება განსაზღვრულ მოთხოვნებს ან/და არ შეიცავს სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო ინფორმაციას ან დოკუმენტს. ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვას ენიჭება სტატუსი „დასაზუსტებე-

ლია“. დაზუსტებისათვის შემსყიდველ ორგანიზაციას ეძლევა ერთი სამუშაო დღე, ამ პერიოდში სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღების ვადის ათვლა შეჩერებულია. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი ორგანიზაცია დადგენილ ვადაში არ დააზუსტებს მომართვას, მას ავტომატურად ენიჭება სტატუსი „განუხილველი“, ხოლო თუ შემსყიდველი ორგანიზაცია დააზუსტებს მომართვას, მას ავტომატურად მიენიჭება სტატუსი „დაზუსტებულია“. მომართვა განუხილველი რჩება აგრეთვე, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია არასრულყოფილად დააზუსტებს მას, რა დროსაც მომართვას ასევე მიენიჭება სტატუსი „განუხილველი“. იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ წარდგენილი მომართვა არ აკმაყოფილებს ამ წესით დადგენილ მოთხოვნებს, სააგენტო დასაბუთებულ უარს უცხადებს შემსყიდველ ორგანიზაციას თანხმობის მიცემაზე. ასეთ დროს შემსყიდველი ორგანიზაცის მომართვას ენიჭება სტატუსი „უარყოფილია“. განხილვის შედეგად თუ დადასტურდება, რომ წარდგენილი მომართვა აკმაყოფილებს ამ წესით დადგენილ მოთხოვნებს, სააგენტო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას თანხმობის გაცემის შესახებ და მომართვას მიენიჭება სტატუსი „თანხმობა გაცემულია“. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს, გაიხმოს მომართვა რა დროსაც შემსყიდველი ორგანიზაცის მომართვას ენიჭება სტატუსი „გახმობილია“.

ზემოთ აღნიშნული საფუძვლებით ხელშეკრულების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დადების უფლება შემსყიდველ ორგანიზაციას წარმოეშობა მხოლოდ სააგენტოს თანხმობის მიღების შემთხვევაში (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესყიდვას ახორციელებს გადაუდებელი აუცილებლობის გამო და მერე ათანხმებს სააგენტოსთან). ამასთან სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით შესყიდვების

განსახორციელებლად საქართველოს მთავრობისთვის, ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისთვის ან საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოსთვის მიმართვის უფლება წარმოეშობა მხოლოდ სააგენტოს მიერ თანხმობის გაცემის შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ სააგენტო უარს განაცხადებს თანხმობის გაცემაზე, შემსყიდველ ორგანიზაციას არ აქვს უფლება, დადოს ხელშეკრულება გამარტივებული შესყიდვის საშუალებით და იგი ვალდებულია, შესყიდვა განახორციელოს ამ კონკრეტული შესყიდვისათვის შესაბამისი სხვა შესყიდვის საშუალებით. იმ შემთხვევაში თუ არ დასტურდება შემსყიდველი ორგანიზაციის მიმართვის რეალური აუცილებლობა და ობიექტური გარემოებები სააგენტო მოსთხოვს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის დაწყებული პროცედურების დაუყოვნებლივ შეჩერებასა და მისი კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვას (რა დროსაც მომართვას ენიჭება სტატუსი „უარყოფილია"). ამასთან, შემსყიდველ ორგანიზაციას დაეკისრება პასუხისმგებლობა კანონით დადგენილი წესით. აქვე ისიც უნდა დავამატოთ, რომ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, სააგენტოს გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3 მიმწოდებელთა რანჟირება გამარტივებული შესყიდვის დროს

2017 წლის 1 მაისიდან გამარტივებული შესყიდვის განხორციელების პროცესში გარკვეული სიახლე დაინერგა. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემას დაემატა ახალი მოდული/სერვისი, რომლის საშუალებითაც ხორციელდება შესაბამის მიწოდების ბაზარზე მოქმედი კომპანიების იდენტიფიცირება და მათი რანჟირება სახელმწიფო ტენდერებში მონაწილეობისას დაფიქსირებულ მაჩვენებლებზე დაყრდნობით. აღ-

ნიშნული მოდული შესაძლებლობას იძლევა, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ ამა თუ იმ შემსყიდველი ორგანიზაციისათვის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით თანხმობის გაცემის შემთხვევაში, შემსყიდველმა ორგანიზაციამ სისტემის მეშვეობით მიიღოს იმ კომპანიათა რეიტინგი, რომლებთანაც შესაძლებელია კონტრაქტის გაფორმება, შესყიდვის კონკრეტული ობიექტის გათვალისწინებით.

აღნიშნული მოდული უზრუნველყოფს პოტენციური (რეკომენდებული) მიმწოდებლების ჩამონათვალისა და კომპანიათა რეიტინგის სარეკომენდაციო სიის გენერირებას. დამატებით, მოდულის მეშვეობით, ნებისმიერი დაინტერესებული პირი მარტივად გადაამოწმებს, განეკუთვნება თუ არა შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გამარტივებული შესყიდვის ფარგლებში შერჩეული მიმწოდებელი რეკომენდებულ პოტენციურ მიმწოდებელთა ნუსხას. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია თავად წყვეტს ამა თუ იმ მიმწოდებელთან ხელშეკრულების გაფორმების საკითხს. ახალი მოდულის ამოქმედებიდან, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა დაასაბუთოს, თუ რატომ გაფორმდა გამარტივებული შესყიდვის ფარგლებში ხელშეკრულება რეიტინგში არმოხვედრილ კომპანიასთან. ამასთან მოდულს ენიჭება მრავალმხრივი მნიშვნელობა შემსყიდველი ორგანიზაციებისთვისაც: მაგალითად, ტენდერის დაგეგმვისას, მიწოდების ბაზრის კვლევის ეტაპზე, შემსყიდველ ორგანიზაციას შეეძლება მარტივად მოახდინოს პოტენციური მიმწოდებლების იდენტიფიცირება შესყიდვის დაგეგმვის პროცესის გაუმჯობესებისათვის. გამარტივებული შესყიდვების შემთხვევაში, პრეტენდენტების რანჟირების მოდული იძლევა შესაძლებლობას, იდენტიფიცირებულ იქნეს კონკურენტუნარიანი და სანდო პოტენციური მიმწოდებელი. რანჟირების მოდული სრულად ავტომატიზებულია - ერთიან ელე-

ქტრონულ სისტემაში ინტეგრირებული ალგორითმი ავტომატურად ახდენს სახელმწიფო ტენდერებში დაფიქსირებული მაჩვენებლების ანალიზს. კომპანიების რანჟირება ეფუძნება მხოლოდ თვლად, ობიექტურ მაჩვენებლებს, როგორიცაა მაგალითად, ტენდერებში გამარჯვებების მოპოვების პროცენტული მაჩვენებელი, კომპანიის ზოგადი წლიური შესაძლებლობები (ბრუნვა), მოდულის გამოყენების მომენტისთვის თავისუფალი რესურსის არსებობა (როგორც სხვაობა შესაძლებლობებსა და მიმდინარე ვალდებულებებს შორის), ტენდერების პროცენტული წილი, სადაც განხორციელდა კომპანიის დისკვალიფიკაცია (დისკვალიფიკაციის განსხვავებული საფუძვლებით), მიმწოდებლის არსებობა გაფრთხილებულ მიმწოდებელთა რეესტრში და სხვ.

საკონტროლო კითხვები:

- განმარტეთ გამარტივებული შესყიდვა;
- დაახასიათეთ გამარტივებული შესყიდვის სხვადასხვა საფუძვლები;
- რა შემთხვევაშია გამარტივებული შესყიდვის შესახებ გადაწყვეტილების სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან შეთანხმება?
- რას გულისხმობს მიმწოდებელთა რანჟირება?

თავი 12. კონკურსი და კონსოლიდირებული ტენდერი

12.1 კონკურსი

კონკურსი – ეს არის საპროექტო მომსახურების (მათ შორის, დიზაინერული, დაგეგმარების, ხარჯთაღრიცხვის, არქიტექტურული, საინჟინრო გეგმები ან პროექტები) სახელმწიფო შესყიდვის საშუალება, რომელიც გამოიყენება შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით ორგანიზაციის წინაშე არსებული საჭიროებების შესაბამისად. 2015 წლიდან კონკურსის საშუალებით საპროექტო მომსახურების შესყიდვის პრინციპები მნიშვნელოვნად შეიცვალა, კერძოდ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის №7 ბრძანებით დამტკიცდა „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესი და პირობები", რომელიც ითვალისწინებს კონკურსის ტენდერის მსგავსად, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით გამოცხადებასა და ჩატარებას. აღსანიშნავია, რომ ამ ცვლილებამდე კონკურსი ტარდებოდა არაელექტრონულად და პრეტენდენტებს უწევდათ საკონკურსო დოკუმენტაციის ნაბეჭდი ფორმით წარდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში. დღესდღეობით პრეტენდენტთა რანჟირება ხორციელდება ხარისხობრივი კრიტერიუმების და საკონკურსო წინადადების ფასის ერთდროულად გათვალისწინებით. შემსყიდველი ორგანიზაცია საკონკურსო პირობებში განსაზღვრავს, როგორც ხარისხობრივ კრიტერიუმებს და მათ ხვედრით წონებს, ასევე ხარისხის ჯამური შეფასებისა და საკონკურსო წინადადების ფასის პრიორიტეტებს. იმისათვის, რომ გამოვლინდეს საუკეთესო საკონკურსო წინადადება, შემსყიდველმა ორგანიზაციამ საჭიროა გამოითვალოს საკონკურსო წინადადების ხარისხის შეფასების ჯამური ქულა, რომელიც, სისტემის მეშვეობით, აგრეგირდება წინადადების ფასთან. საბოლოოდ, აგრეგირების (წინასწარ განსაზღვრული ხვედრით წონათა შესაბამისად, ხარისხის ჯამური ქულისა და წინადადების ფასის ერთმანეთთან შეპირისპირება) შედეგად,

სისტემა ავტომატურად მოახდენს პრეტენდენტების რანჟირებას და გამოავლენს საუკეთესო საკონკურსო წინადადების მქონე პრეტენდენტს. კონკურს ატარებს საკონკურსო კომისია, რომელსაც ქმნის შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი. ისევე როგორც ელექტრონულ ტენდერებს, კონკურსის შემთხვევაშიც მზადდება განცხადება და დოკუმენტაცია. საკონკურსო განცხადება, რომელიც ივსება და ქვეყნდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- ✓ შესყიდვის ტიპს;
- ✓ საკონკურსო განცხადების ნომერს;
- ✓ შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელებას;
- ✓ კონკურსის გამოცხადების თარიღს ზუსტი დროის მითითებით;
- ✓ საკონკურსო წინადადებების მიღების დაწყებისა და დასრულების თარიღს ზუსტი დროის მითითებით;
- ✓ შესყიდვის დაფინანსებას (წელსა და წყაროს);
- ✓ შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებას;
- ✓ კლასიფიკატორის დანაყოფსა და მის შესაბამის CPV კოდს;
- ✓ შესყიდვის შესაძლო ყველაზე დეტალურ ობიექტსა და მის შესაბამის CPV კოდს (კლასიფიკატორის კატეგორია, კლასი, ჯგუფი ან დანაყოფი. კლასიფიკატორის დაბალი იერარქიული დონის მითითების შეუძლებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია უთითებს მის მომდევნო ზედა იერარქიულ დონეს);
- ✓ შესყიდვის ობიექტის მოცულობას;
- ✓ შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას;
- ✓ ხარისხის ჯამური შეფასებისა და საკონკურსო წინადადების ფასის ხვედრით წონებს, რომელთა ჯამი უნდა შეადგენდეს ერთ მთელს. ამასთან, ხარისხის ჯამური შეფასების ხვედრითი წონა არ უნდა აღემატებოდეს 80%-ს და არ უნდა იყოს 70%-ზე ნაკლები.

ხოლო საკონკურსო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს:

- ✓ იმ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტი (ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში);
- ✓ შესასყიდი მომსახურების მოცულობასა და სრულ აღწერას, მისი გაწევის ვადას, ადგილსა და ფორმას;
- ✓ ხელშეკრულების იმ აუცილებელ პირობებს, რომლებიც შემსყიდველი ორგანიზაციისათვის წინასწარ არის ცნობილი, აგრეთვე მითითებას ხელშეკრულების ფორმასა და ხელშეკრულების შესრულების გარანტიაზე (მისი არსებობის შემთხვევაში);
- ✓ დათქმას, საჭიროა თუ არა საკონკურსო წინადადების ფასის გაანგარიშების წარდგენა, ასევე, ასეთ შემთხვევაში, მეთოდებს, რომლებითაც უნდა იყოს გაანგარიშებული საკონკურსო წინადადების ფასი, იმის მითითებით, უნდა შეიცავდეს თუ არა იგი მომსახურების ღირებულების გარდა სხვა ხარჯებსაც;
- ✓ ხარისხის ჯამური შეფასებისა და საკონკურსო წინადადების ფასის ხვედრით წონებს, რომელთა ჯამი უნდა შეადგენდეს ერთ მთელს. ამასთან, ხარისხის ჯამური შეფასების ხვედრითი წონა არ უნდა აღემატებოდეს 80%-ს და არ უნდა იყოს 70%-ზე ნაკლები;
- ✓ საუკეთესო საკონკურსო წინადადების გამოვლენისთვის დადგენილ ხარისხის კრიტერიუმებსა და მათ ხვედრით წონებს. შემსყიდველი ორგანიზაცია, მისი საჭიროების შესაბამისად, განსაზღვრავს ხარისხის შეფასების კრიტერიუმებს, ამ წესის მე-7 მუხლით დადგენილი წესით. ხარისხის შეფასების თითოეულ კრიტერიუმს უნდა გააჩნდეს ციფრობრივად გამოსახული ხვედრითი წონა. ამასთან, ხარისხის შეფასების კრიტერიუმების ხვედრითი წონების ჯამი უნდა შეადგენდეს ერთ მთელს;
- ✓ საკონკურსო დოკუმენტაციის შესახებ დამატებით ინფორმაციას (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

- ✓ საკონკურსო კომისიის აპარატის იმ წევრის ვინაობასა და საკონტაქტო ინფორმაციას, რომელსაც უფლება აქვს, გასცეს ინფორმაცია და განმარტებები შესყიდვის პროცედურების შესახებ.

საკონკურსო დოკუმენტაცია, კონკრეტული შესყიდვის თავისებურებიდან გამომდინარე, შესაძლებელია შეიცავდეს პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების (ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი დოკუმენტები – სარეგისტრაციო მონაცემები, უფლებრივი შეზღუდვები, არსებული ფინანსური ან/და სხვა სახის ვალდებულებები და სხვ.) წარმოდგენის მოთხოვნას, რაც შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა დაასაბუთოს.

12.2 ხარისხის შეფასების კრიტერიუმები კონკურსში

კონკურსის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების დროს შემსყიდველი ორგანიზაცია, ყოველი კონკრეტული კონკურსის შემთხვევაში, განსაზღვრავს მოთხოვნებს, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს შესყიდვის ობიექტი, პრეტენდენტი და მისი საკონკურსო წინადადება. პრეტენდენტების მიმართ მოთხოვნები შესაძლებელია დაწესდეს მათი პროფესიული კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და საქმიანობის სხვა საჭირო საკითხებთან დაკავშირებით. ამასთანავე შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, განსაზღვროს ხარისხის შეფასების კრიტერიუმების შემდეგი ტიპები:

1. მოთხოვნები, რომლებსაც შესყიდვის ობიექტი, პრეტენდენტი, მისი ტექნიკური დოკუმენტაცია უპირობოდ უნდა აკმაყოფილებდეს და ამ მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა იწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას;

2. თვლადი კრიტერიუმები, სადაც უპირატესობა ენიჭება მაღალ ციფრობრივ მაჩვენებელს. ასეთ შემთხვევაში, ამ კრიტერიუმში, უმაღლეს შეფასებას ღებულობს ის პრეტენდენტი,

რომლის ტექნიკური დოკუმენტაციაც ყველაზე მეტად აღემატება საკონკურსო პირობებით განსაზღვრულ ამ კრიტერიუმისთვის დადგენილ მინიმალურ მოთხოვნას;

3. თვლადი კრიტერიუმები, სადაც უპირატესობა ენიჭება დაბალ ციფრობრივ მაჩვენებელს. ასეთ შემთხვევაში, ამ კრიტერიუმში, უმაღლეს შეფასებას ღებულობს ის პრეტენდენტი, რომლის ტექნიკური დოკუმენტაციაც ყველაზე მეტად სცილდება (მეტობიდან ნაკლებობისკენ) საკონკურსო პირობებით განსაზღვრულ ამ კრიტერიუმისთვის დადგენილ მაქსიმალურ მოთხოვნას;

4. არათვლადი კრიტერიუმები, სადაც უპირატესობა ენიჭება საკონკურსო კომისიის წევრების მიერ მინიჭებული ქულების მაღალ საშუალო არითმეტიკულ მაჩვენებელს;

5. კრიტერიუმები, რომლებიც გულისხმობს საკონკურსო დოკუმენტაციით დადგენილი გარკვეული პირობ(ებ)ის შესრულებას და პრეტენდენტის მიერ ამ პირობ(ებ)ის შეუსრულებლობა არ იწვევს მის დისკვალიფიკაციას. ასეთ შემთხვევაში, თუ ტექნიკური დოკუმენტაცია ვერ აკმაყოფილებს აღნიშნულ პირობას/პირობებს, ტექნიკური დოკუმენტაციის ხარისხის შეფასება კლებულობს საკონკურსო დოკუმენტაციაში განსაზღვრული პროცენტული ოდენობის შესაბამისად.

შემსყიდველი ორგანიზაცია, ყოველი კონკრეტული კონკურსის შემთხვევაში, უფლებამოსილია, ზემოთ მოცემულ ჩამონათვალში მე-2 და მე-4 პოზიციებზე მითითებული კრიტერიუმების ცალკეული ტიპისთვის ჯამურად განსაზღვროს არაუმეტეს ხუთი კრიტერიუმი, მე-3 პოზიციაზე მითითებული კრიტერიუმების ცალკეული ტიპისთვის – არაუმეტეს ხუთი, ხოლო მე-5 პოზიციაზე მითითებული კრიტერიუმების ცალკეული ტიპისთვის – არაუმეტეს სამი კრიტერიუმი.

12.3 კონკურსის მიმდინარეობის ეტაპები

საკონკურსო წინადადების ელექტრონულ სისტემაში განთავსების შემდეგ კონკურსი გაივლის კანონმდებლობით განსაზღვრულ ეტაპებს:[38]

- **კონკურსი გამოცხადებულია** – სტატუსი, რომელიც მოიცავს საკონკურსო განცხადების სისტემაში განთავსებიდან და რეგისტრაციიდან საკონკურსო წინადადებების მიღების დაწყებამდე კონკურსის მიმდინარეობის ეტაპს;
- **წინადადებების მიღება დაწყებულია** – კონკურსის მიმდინარეობის ეტაპი, რომლის დროსაც პრეტენდენტს უფლება აქვს, წარადგინოს ტექნიკური დოკუმენტაცია და სისტემის შესაბამის ველში მიუთითოს საკონკურსო წინადადების ფასი;
- **წინადადებების მიღება დასრულებულია** – სტატუსი, რომელიც კონკურსს სისტემის მეშვეობით ავტომატურად ენიჭება მას შემდეგ, რაც დასრულდება საკონკურსო წინადადებების მიღება;
- **შერჩევა-შეფასება** – კონკურსის მიმდინარეობის ეტაპი, რომლის დროსაც ფასდება პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაციის საკონკურსო პირობებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა;
- **გამარჯვებული გამოვლენილია** – სტატუსი, რომელიც კონკურსს სისტემის მეშვეობით ენიჭება ავტომატურად, მას შემდეგ, რაც შემსყიდველი ორგანიზაცია დაადგენს პრეტენდენტების ტექნიკური დოკუმენტაციის საკონკურსო პირობებთან შესაბამისობას, სისტემის შესაბამის ველებში დააფიქსირებს საკონკურსო წინადადებების

---

[38] „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის N7 ბრძანების მე-2 მუხლი.

ხარისხის ჯამურ ქულებს, ეს ქულები სისტემის მეშვეობით აგრეგირდება საკონკურსო წინადადებების ფასთან და სისტემის მეშვეობით გამოვლინდება საუკეთესო საკონკურსო წინადადების მქონე პრეტენდენტი;

- **მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება** – სტატუსი, რომელიც კონკურსს ენიჭება შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, მას შემდეგ, რაც საკონკურსო კომისია დაადგენს გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ ამ წესის მოთხოვნათა დაცვით წარდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების ან/და საკონკურსო წინადადების ფასის გაანგარიშების საკონკურსო პირობებთან შესაბამისობას (თუ კონკურსში მოთხოვნილია საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების ან/და საკონკურსო წინადადების ფასის გაანგარიშების წარმოდგენა) და გამარჯვებულ პრეტენდენტს მოიწვევს ხელშეკრულების დასადებად;
- **ხელშეკრულება დადებულია** – სტატუსი, რომელიც კონკურსს ენიჭება მას შემდეგ, რაც შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენელი სისტემაში ატვირთავს მიმწოდებელთან დადებულ ხელშეკრულებას და სისტემის შესაბამის ველში მიეთითება ამ მიმწოდებლის სახელწოდება.

12.3.1 წინადადების წარდგენა კონკურსში

კონკურსში მონაწილეობის მსურველ სუბიექტს კონკურსში საკონკურსო წინადადების წარდგენა შეუძლია კონკურსისთვის სტატუსის „წინადადებების მიღება დაწყებულია“ მინიჭების ეტაპზე. საკონკურსო წინადადების წარდგენამდე, ნებისმიერ რეგისტრირებულ მომხმარებელს უფლება აქვს, გაეცნოს საკონკურსო განცხადებასა და საკონკურსო დოკუმენტაციას. წინადა-

დების წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ სისტემის მეშვეობით, აფიდავიტის პირობებზე დათანხმების, ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის შემდეგ, ქვემოთ მოცემული თანმიმდევრობით. ტექნიკური დოკუმენტაციის სისტემაში ატვირთვის შემდეგ, პრეტენდენტმა სისტემის შესაბამის ველში უნდა მიუთითოს საკონკურსო წინადადების ფასი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებას. საკონკურსო წინადადების ფასს პრეტენდენტი უთითებს მხოლოდ სისტემის შესაბამის ველში. დაუშვებელია ტექნიკურ დოკუმენტაციაში საკონკურსო წინადადების ფასის მითითება. პრეტენდენტი, რომელიც ტექნიკურ დოკუმენტაციაში მიუთითებს საკონკურსო წინადადების ფასს, ექვემდებარება დისკვალიფიკაციას. ამასთანავე პრეტენდენტი წინადადების ფასში არ ითვალისწინებს დღგ-ს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი დღგ-ის გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებული პრეტენდენტი ხელშეკრულების დადების მომენტისთვის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, არის დღგ-ის გადამხდელი, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, ხელშეკრულების ღირებულებაში გაითვალისწინოს საკონკურსო წინადადების ფასის შესაბამისი დღგ-ის ოდენობა. საკონკურსო წინადადების ფასის მითითებისა და ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვის შემდეგ, პრეტენდენტს უფლება არ აქვს, შეცვალოს წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია და საკონკურსო წინადადების ფასი. სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს პრეტენდენტთა ვინაობისა და მათი საკონკურსო წინადადების ანონიმურობას კონკურსისთვის სტატუსის „წინადადებების მიღება დასრულებულია“ მინიჭებამდე. პრეტენდენტების ვინაობა და მათი ტექნიკური დოკუმენტაციები იხსნება კონკურსისთვის სტატუსის „წინადადებების მიღება დასრულებულია“ მინიჭებისთანავე, ხოლო საკონკურსო წინადადებების ფასი იხსნება პრეტენდენტების საკონკურსო წინადადებების ხარისხის

ჯამური ქულების სისტემის შესაბამის ველებში დაფიქსირებისა და მათი საკონკურსო წინადადებების ფასთან სისტემის მეშვეობით ავტომატურად აგრეგირების შემდეგ. ხარისხის ჯამური ქულების სისტემის შესაბამის ველებში დაფიქსირების შემდეგ, დაუშვებელია ხარისხის ჯამური ქულის ცვლილება.

საუკეთესო საკონკურსო წინადადების გამოვლენის შემდეგ საკონკურსო კომისია პრეტენდენტს იბარებს ხელშეკრულების გასაფორმებლად არანაკლებ 11 და არაუმეტეს 15 სამუშაო დღის ვადაში. საკონკურსო ხელშეკრულება იდება წერილობით და უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- მხარეთა ზუსტ დასახელებასა და რეკვიზიტებს;
- საკონკურსო განცხადების ნომერს;
- შესყიდვის ობიექტის დასახელებასა და მის შესაბამის CPV კოდს (კლასიფიკატორის კატეგორია, კლასი, ჯგუფი ან დანაყოფი. კლასიფიკატორის დაბალი იერარქიული დონის მითითების შეუძლებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია უთითებს მის მომდევნო ზედა იერარქიულ დონეს);
- ხელშეკრულების ღირებულებას;
- მომსახურების გაწევის ვადას;
- ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის პირობებს (გამოყენების შემთხვევაში);
- ხელშეკრულების მოქმედების კონკრეტულ ვადას.

შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, ხელშეკრულებაში გაითვალისწინოს დამატებითი პირობები.

12.4 კონსოლიდირებული ტენდერი

მოქმედი კანონმდებლობით კონსოლიდირებული შესყიდვა სახელმწიფო შესყიდვების ერთერთ საშუალებას წარმოადგენს. კონსოლიდირებული შესყიდვა ხორციელდება კონსოლიდირებული ტენდერის სახით, რომელსაც საქართველოს მთავრობა ახორციელებს. კონსოლიდირებული შესყიდვების სისტე-

მა წარმოადგენს მექანიზმს, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულებების შესყიდვებს ერთი შემსყიდველი სუბიექტის მეშვეობით და ახდენს შესყიდული პროდუქციის გადანაწილებას მოთხოვნის შესაბამისად. ზოგადად აღსანიშნავია, რომ კონსოლიდირებას გააჩნია თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. შესაბამისად, შესყიდვის კონსოლიდირების საკითხი ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე ინდივიდუალურად უნდა გადაწყდეს. შესყიდვის კონსოლიდირებული ფორმით განხორციელების მახასიათებელი დადებითი მხარეები საერთაშორისო გამოცდილებითაა აღიარებული, მათ შორის:

- შესყიდვის ფასების შემცირება (მასშტაბის ეკონომიის შედეგად);
- უკეთესი შესყიდვის ობიექტის დაბალ ფასად მიღება;
- ტექნიკური დავალების სრულყოფილად და ნათლად განსაზღვრა;
- მეტი გამჭვირვალობა.

ცენტრალიზებული შესყიდვისა და ელექტრონული სისტემის დანერგვა ეხმარება სახელმწიფოებს მოდერნიზებული და გაუმჯობესებული შესყიდვის მოდელის ჩამოყალიბებასა და მის ეფექტიან ფუნქციონირებაში[39]. სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი სახსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპის უზრუნველსაყოფად, ევროპის მრავალ ქვეყანაში აპრობირებულია შესყიდვების ცენტრალიზებულად განხორციელების პრაქტიკა, რომელიც გულისხმობს გარკვეული კატეგორიის შესყიდვების განხორციელებას კოორდინირებულად ერთი სუბიექტის მიერ. აღნიშნული სუბიექტი შეიძლება წარმოადგენდეს ცალკე დამოუკიდებელ ორგანოს ან ეს ფუნქცია შეთავსებული ჰქონდეს რომელიმე სამინისტროს.

---

[39] ცენტრალიზებული შესყიდვების სისტემა ევროკავშირში - http://www.oecdilibrary.org/governance/centralised-purchasing-systems-in-the-european-union_5kgkgqv703xw-en

საერთაშორისო პრაქტიკისა და სტანდარტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ დიდი მოცულობის სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება ამცირებს შესყიდვის ობიექტის ღირებულებას, რაც თავის მხრივ მკვეთრად ამცირებს შემსყიდველი ორგანიზაციების ხარჯებს.

ამავე დროს, გასათვალისწინებელია ის უარყოფითი მხარეებიც, რაც კონსოლიდირებას/ცენტრალიზაციას ახასიათებს, კერძოდ, რიგ შემთხვევებში, იგი ზღუდავს მცირე მეწარმეების მონაწილეობას ტენდერებში, რაც მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის. გარდა ამისა, ცენტრალიზებული შესყიდვების განხორციელებისას შეიძლება სათანადოდ ვერ მოხდეს რომელიმე ორგანიზაციის (რომლისთვისაც ხორციელდება შესყიდვა) ინტერესების სრულად გათვალისწინება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საერთაშორისო პრაქტიკა ითვალისწინებს მხოლოდ გარკვეული კატეგორიის შესყიდვების ცენტრალიზაციის მიზანშეწონილობას. როგორც წესი, ცენტრალიზაცია გამართლებულია ისეთი პროდუქტების შესაძენად, რომელთაც მეტი ფიქსირებული ხარჯი აქვთ (რადგან შესაძლებელია მასშტაბის ეკონომიის პრინციპით სარგებლობა); ამასთანავე, შესყიდვა უნდა განხორციელდეს ისეთ სფეროებში, სადაც საფრთხე არ ექმნება მცირე ბიზნესს და არ იქმნება მონოპოლიების შექმნის საშიშროება. საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, მსგავსი სახის სფეროებად შეიძლება მივიჩნიოთ:

- საწვავი;
- კომპიუტერული ტექნიკა;
- ავტომობილები;
- დაზღვევა;
- ტელეკომუნიკაციები;
- საბანკო მომსახურება;
- და სხვ.

საქართველოში გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, მოქმედი კანონმდებლობით ცენტრალიზებულად შესაძლებელია განხორციელდეს „ერთობლივი შესყიდვა“, რომლის დრო-

საც გამარტივებული ელექტრონული ტენდერი ან ელექტრონული ტენდერი შესაძლებელია ერთობლივად/ცენტრალიზებულად ჩაატარონ როგორც ერთ სისტემაში შემავალმა (მაგალითად, ჩაატაროს სამინისტრომ თავისი მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ-ების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად), ისე სხვადასხვა შემსყიდველმა ორგანიზაციებმა (რამდენიმე სამინისტრომ ან სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებმა ერთად, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ მსგავსი ტიპის შესყიდვა დიდი პოპულარობით არ სარგებლობს. ცენტრალიზებული შესყიდვა გავრცელებული პრაქტიკით ძირითადად კონსოლიდირებული ტენდერით შემოიფარგლება, რომლის ჩატარებასაც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო უზრუნველყოფს მხოლოდ მთავრობის მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში. კონსოლიდირებულ ტენდერში ხდება საუკეთესო სატენდერო წინადადების გამოვლენა (დგინდება ერთეულის ფასი) და შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაციები დამოუკიდებლად აფორმებენ ხელშეკრულებას გამარჯვებულ პრეტენდენტთან. საქართველოში კონსოლიდირებული ტენდერი ტარდება შემდეგ შესყიდვის ობიექტებზე: საწვავი; საბეჭდი ქაღალდი; კომპიუტერული ტექნიკა; ფიჭური კავშირი; ავტოსატრანსპორტო საშუალებების საბურავები; საბეჭდი მოწყობილობები.

აღნიშნულ მიმართულებებში შესყიდვის ცენტრალიზებულად განხორციელებამ შეიძლება ითქვას, რომ დიდი წვლილი შეიტანა საჯარო ფინანსების დაზოგვაში და დაბალ ფასად მისაღები ხარისხის შესყიდვის ობიექტის მიღების თვალსაზრისით. კონსოლიდირებული ტენდერის დანერგვამდე არაერთი შემთხვევა დაფიქსირდა, როდესაც მაგ. საწვავის მიმწოდებლებს არ სურდათ მონაწილეობა მიეღოთ მცირე მოცულობის ტენდერებში და რეალურად მცირე ადმინისტრაციული რესურსის მქონე ორგანიზაციებს რეალური პრობლემა შეექმნათ საწვავის შესყიდვასთან დაკავშირებით.

12.4.1 2016 წელს ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერების მოკლე მიმოხილვა

როგორც ზემოთ აღინიშნა საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი ხარჯვის უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო საქართველოს მთავრობის შესაბამისი სამართლებრივი აქტებით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, 2012 წლიდან გარკვეული ტიპის შესყიდვის ობიექტებზე უზრუნველყოფს შესყიდვების განხორციელებას ცენტრალიზებული ფორმით, ეგრეთწოდებული კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით. ამ გზით სახელმწიფო კონსოლიდირებულად გამოცხადებულ შესყიდვის ობიექტებზე იღებს მასშტაბის ეკონომიას, რაც საბიუჯეტო სახსრების კიდევ უფრო ეფექტურ და მიზნობრივ ხარჯვას უზრუნველყოფს. 2016 წლის შესყიდვების კონსოლიდირებულად ჩატარების მიზნით, ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით გამოცხადდა და გამარჯვებული გამოვლინდა შემდეგ კონსოლიდირებულ ტენდერებში:

1. 8 (რვა) ტენდერი 5 (ხუთი) სხვადასხვა სახეობის ნავთობპროდუქციაზე (საწვავზე);
2. 2 (ორი) ტენდერი სტანდარტულ პერსონალურ და სტანდარტულ პორტაბელურ/სატარებელ კომპიუტერებზე;
3. 7 (შვიდი) ტენდერი A4 ფორმატის უმაღლესი და პირველი ხარისხის საბეჭდ ქაღალდებზე;
4. 1 (ერთი) ტენდერი ფიჭური კავშირგაბმულობის მომსახურებაზე;
5. 28 ტენდერი მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანების M+S და ზაფხულის სეზონისთვის განკუთვნილ საბურავებზე, ხოლო 12 ტენდერი მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანების M+S და ზამთრის სეზონისთვის განკუთვნილ საბურავებზე.

ცხრილში 9 მოცემულია კონსოლიდირებული ტენდერების შედეგად მიღებული ეკონომია 2016 წელს.

ცხრილი 9

შესყიდვის ობიექტი	გამოცხადებული რაოდენობა	ეკონომია საცალოსთან მიმართებაში (ლარი)
საწვავი	ჯამში 90,191,686 ლიტ.	30,905,245
კომპიუტერები (პერსონალური და პორტაბელური) 11,500 სტანდარტული პერსონალური კომპიუტერი	5 600 სტანდარტული პორტაბელური/სატარე-ბელი კომპიუტერი	4,294,995
A4 ფორმატის ქაღალდი	450,000 შეკვრა უმაღლესი ხარისხის; 200,000 პირველი ხარისხის	533,264
საბურავები	51,544 საბურავი	7,195,920

წყარო: http://procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/AnalyticalStudiesReports/SPA-Report-2016-geo.pdf.aspx

როგორც ცხრილში 9 მოყვანილი მონაცემებიდან ირკვევა 2016 წელს კონსოლიდირებული ტენდერების გზით მიღებულმა ეკონომიამ შესაბამისი შესყიდვის ობიექტების საცალო ფასებთან მიმართებაში გადააჭარბა დაახლოებით 42 მილიონ ლარს (აღნიშნულ თანხაში არ შედის ფიჭური კავშირგაბმულობის მომსახურების კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში არსებული დანაზოგი).

საკონტროლო კითხვები:

- განმარტეთ კონკურსის მნიშვნელობა;
- რომელი მომსახურების შესყიდვა არის შესაძლებელი კონკურსის საშუალებით?
- რას უნდა შეიცავდეს საკონკურსო განცხადება და საკონკურსო დოკუმენტაცია?
- დაახასიათეთ კონკურსის მიმდინარეობის ეტაპები;
- დაახასიათეთ წინადადების წარდგენის პროცესი კონკურსში.

თავი 13. ხელშეკრულება და ხელშეკრულების მართვა შესყიდვებში

13.1 ხელშეკრულების არსი და მნიშვნელობა

ზოგადად შესყიდვებში ხელშეკრულება (ინგ. Contract) წარმოადგენს მხარეთა დოკუმენტური ფორმით შეთანხმებას შესყიდვის პირობების შესაბამისად. ხელშეკრულების დადება შესყიდვის პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, რადგანაც ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ერთის მხრივ მიმწოდებელი მხარე იღებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესყიდვის ობიექტის ხარისხსა და მიწოდებაზე პასუხისმგებლობას, ხოლო მეორეს მხრივ შემსყიდველი პასუხისმგებელია შესყიდვის ობიექტის ღირებულების დროულ ანაზღაურებაზე.

13.2 ხელშეკრულების სტრუქტურა

პრაქტიკაში ორი ტიპის ხელშეკრულება გვხვდება. პირველია მოდულური კონტრაქტი, მეორე - ხაზობრივი.

მოდულური ხელშეკრულების ფორმა ნასესხებია საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და იგი იმავე განყოფილებებს შეიცავს, რასაც საკონკურსო დოკუმენტაცია (საერთო პირობები, სპეციალური პირობები, მოთხოვნების ჩამონათვალი და სხვა).

ხაზობრივი ხელშეკრულება კომერციულ პრაქტიკაში უკვე დამკვიდრებული კონტრაქტია და მასში შემდეგი განყოფილებები შედის:

- პრეამბულა;
- კონტრაქტის საგანი;
- მოწოდების პირობები და წესი;
- ანგარიშსწორების პირობები;
- მხარეთა ვალდებულებები;
- ფორს-მაჟორი;
- კონტრაქტის დანარჩენი პირობები;
- მხარეთა რეკვიზიტები.

13.3 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების თავისებურებები

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა განსაზღვრავს სახელმწიფო შესყიდვებში გამოყენებული ხელშეკრულების შედგენის წესსა და სტრუქტურას შესყიდვის სხვადასხვა საშუალებების შესაბამისად.

ტენდერების შემთხვევაში ხელშეკრულება იდება სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული ხელშეკრულების პროექტის საფუძველზე, შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებისა და ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის წინადადების პირობების შესაბამისად. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის ღირებულება არ შეიძლება აღემატებოდეს ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ სისტემის მეშვეობით დაფიქსირებულ საბოლოო ფასს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების ღირებულებაში ითვალისწინებს სატენდერო წინადადების ფასის შესაბამისი დღგ-ის ოდენობას.

შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, ხელშეკრულების დადება შესაძლებელია როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე. ხელშეკრულების უცხოურ ენაზე დადების შემთხვევაში, იგი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უნდა ითარგმნოს ქართულ ენაზე. ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- მხარეთა ზუსტ დასახელებასა და რეკვიზიტებს;
- სატენდერო განცხადების ნომერს;
- შესყიდვის ობიექტის დასახელებასა და მის შესაბამის CPV კოდს (კლასიფიკატორის კატეგორია, კლასი, ჯგუფი ან დანაყოფი. კლასიფიკატორის დაბალი იერარქიული დონის მითითების შეუძლებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია უთითებს მის მომდევნო ზედა იერარქიულ დონეს);

- ხელშეკრულების ღირებულებას;
- საქონლის მიწოდების, მომსახურების გაწევის ან/და სამუშაოს შესრულების ვადას;
- ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის პირობებს (გამოყენების შემთხვევაში);
- ანგარიშსწორების წესს, აგრეთვე წინასწარი ანგარიშსწორების პირობებს (გამოყენების შემთხვევაში);
- სამუშაოს შესყიდვის შემთხვევაში – შესასრულებელი სამუშაოს გონივრულ საგარანტიო ვადას;
- ხელშეკრულების მოქმედების კონკრეტულ ვადას.
- წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველ ორგანიზაციას წინასწარ გადასახდელი თანხის ოდენობის გარანტია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისა.

გარდა ზემოთ აღნიშნული პუნქტებისა შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია ხელშეკრულებაში გაითვალისწინოს დამატებითი პირობები. ხელშეკრულების მოქმედება სულ მცირე 30 დღით უნდა აღემატებოდეს საქონლის მიწოდების, მომსახურების გაწევის ანდა სამუშაოს შესრულების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადას.

გამარტივებული შესყიდვის შემთხვევაში ხელშეკრულება იდება ასევე წერილობითი ფორმით და უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- მხარეთა ზუსტ დასახელებასა და რეკვიზიტებს;
- შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვის სისტემის SMP მოდულში რეგისტრაციის ნომერს – თუ გამარტივებული შესყიდვა თანხმდება სააგენტოსთან;
- გამარტივებული შესყიდვის სამართლებრივ საფუძველს – კანონის შესაბამის ნორმას;

- შესყიდვის ობიექტის დასახელებასა და მის შესაბამის CPV კოდს (კლასიფიკატორის კატეგორია, კლასი, ჯგუფი ან დანაყოფი. კლასიფიკატორის დაბალი იერარქიული დონის მითითების შეუძლებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია უთითებს მის მომდევნო ზედა იერარქიულ დონეს);
- ხელშეკრულების ღირებულებას;
- საქონლის მიწოდების, მომსახურების გაწევის ან/და სამუშაოს შესრულების ვადას;
- ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის პირობებს (გამოყენების შემთხვევაში);
- ანგარიშსწორების წესს, აგრეთვე წინასწარი ანგარიშსწორების პირობებს (გამოყენების შემთხვევაში);
- სამუშაოს შესყიდვის შემთხვევაში – შესასრულებელი სამუშაოს გონივრულ საგარანტიო ვადას;
- ხელშეკრულების მოქმედების კონკრეტულ ვადას.

კონკურსის ჩატარების შედეგად ხელშეკრულება იდება საკონკურსო დოკუმენტაციაში მოცემული ხელშეკრულების პროექტის საფუძველზე, საკონკურსო პირობებისა და კონკურსში გამარჯვებული პრეტენდენტის საკონკურსო წინადადების შესაბამისად. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის ღირებულება არ შეიძლება აღემატებოდეს კონკურსში გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საკონკურსო წინადადების ფასს, იმ შემთხვევისა, როდესაც შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების ღირებულებაში ითვალისწინებს საკონკურსო წინადადების ფასის შესაბამისი დღგ-ის ოდენობას. შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, ხელშეკრულების დადება შესაძლებელია როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ენებზე. ხელშეკრულების უცხოურ ენაზე დადების შემთხვევაში, იგი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნდა ითარგმნოს ქართულ ენა-

ზე. ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით და უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- მხარეთა ზუსტ დასახელებასა და რეკვიზიტებს;
- საკონკურსო განცხადების ნომერს;
- შესყიდვის ობიექტის დასახელებასა და მის შესაბამის CPV კოდს (კლასიფიკატორის კატეგორია, კლასი, ჯგუფი ან დანაყოფი. კლასიფიკატორის დაბალი იერარქიული დონის მითითების შეუძლებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია უთითებს მის მომდევნო ზედა იერარქიულ დონეს);
- ხელშეკრულების ღირებულებას;
- მომსახურების გაწევის ვადას;
- ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის პირობებს (გამოყენების შემთხვევაში);
- ხელშეკრულების მოქმედების კონკრეტულ ვადას.

შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, ხელშეკრულებაში გაითვალისწინოს დამატებითი პირობები.

რაც შეეხება **კონსოლიდირებულ ტენდერს** და ამ შემთხვევაში გამოყენებულ ხელშეკრულებას, აღსანიშნავია, რომ იგი ძირითადად არ განსხვავდება სხვა საშუალებების დროს გამოყენებული ხელშეკრულებისაგან. კონსოლიდირებული ტენდერის სარეკომენდაციო ფორმას შეიმუშავებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო და ანთავსებს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის ვებგვერდზე, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. კონსოლიდირებულ ტენდერებში გამონაკლისია მხოლოდ საწვავის შესყიდვა, რადგანაც ამ შემთხვევაში დადების მომენტისათვის ისაზღვრება სახელშეკრულებო ღირებულება, თუმცა თავიდანვე არსებობს დათქმა, რომ სახელშეკრულებო ფასი ცვალებადია და იგი დამოკიდებულია ნავთობპროდუქტების PLATTS EUROPEAN MARKETSCAN-ის FOB Med (Italy) ბირჟაზე დაფიქსირებული (გამოქვეყნებული) საწვავის ერთი მეტრული ტონის ღი-

რებულებაზე. მიმწოდებელი ყოველი მიმდინარე კალენდარული თვისათვის განსაზღვრავს 1 ლიტრი შესაბამისი მარკის საწვავის ნომინალური ღირებულებას (შემდგომში – ნომინალური ღირებულება – Cnom) შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

Cnom =R*(P+Z)*(100%+18%)*D/1000

სადაც: P და R წარმოადგენს მიმდინარეს წინა კალენდარული თვის შესაბამისი მონაცემების საშუალო არითმეტიკულ სიდიდეს; Z და D – ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ გამარჯვებული სატენდერო წინადადებით წარმოდგენილ უცვლელ სიდიდეებს. ვინაიდან საწვავის ღირებულება თავისი სპეციფიკის გამო დამოკიდებულია საერთაშორისო სასაქონლო ბირჟაზე არსებულ ცვალებად ფასზე (P) ან/და ეროვნული ვალუტის ოფიციალურ გაცვლით კურსზე (R), მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველ ორგანიზაციას ყოველთვიურად წარუდგინოს ნომინალურ ღირებულებაზე დაყრდნობით გამოთვლილი მიმდინარე თვის განმავლობაში მისაწოდებელი საქონლის ერთეულის ფასი (მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასი – C1).

როგორც ვნახეთ, ნებისმიერი სახელმწიფო შესყიდვის გამოყენების დროს დასადებ ხელშეკრულებებს გააჩნიათ საერთო კომპონენტები. უპირველესად აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით. თუმცა არსებობს კანონით გათვალისწინებული შემთხვევები, როდესაც ხელშეკრულების გაფორმება სავალდებულო არ არის, ეს შემთხვევებია:

- საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულების მიერ, აგრეთვე თავდაცვის ატაშეს, საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელთა მიერ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის საშუალებით განხორციელებისას

და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

- ინტერნეტით გამოწერის გზით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვისას;
- წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას;
- საქართველოს ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახდელების გადახდის გზით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვისას.

13.4 ხელშეკრულების უზრუნველყოფისა და წინასწარი ანგარიშსწორების გარანტია

ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება უზრუნველყოფის გარანტია, რომლის წარმოდგენა მიმწოდებლის მიერ სავალდებულოა თუ ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ან აღემატება 200 000 ლარს. ხელშეკრულების შესრულების გარანტია ან დაზღვევა მისი მოთხოვნისას, გამარტივებული შესყიდვის შემთხვევაში შესაძლებელია წარედგინოს შემსყიდველ ორგანიზაციას ხელშეკრულების დადების შემდგომ, ხოლო ტენდერის საშუალებით შესყიდვის შემთხვევაში წარდგენილი უნდა იქნეს ხელშეკრულების დადებამდე. ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის ოდენობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულია სახელშეკრულებო ღირებულების 2-5%-ის ფარგლებში. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდო ღირებულება ტენდერის დასრულების შემდეგ 20%-ზე მეტად გაიაფდება, შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია განსაზღვროს 2-10%-ს ფარგლებში.

თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბ-

ოლოო ფასი ნაკლებია 200 000 ლარზე, დაუშვებელია პრეტენდ-ენტს მოეთხოვოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის წარდგენა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სატენდერო დოკუმენტაციაში დასაბუთებულია, თუ შესყიდვის ობიექტის რა თავისებურებამ განაპირობა გარანტიის მოთხოვნა. ამავე დროს შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის წარდგენისგან შესაძლებელია განთავისუფლდეს პრეტენდენტი ან პოტენციური მიმწოდებელი მისი საქმიანი რეპუტაციისა და მის მიერ წარმოებული საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოს ხარისხისა და ცნობადობის გათვალისწინებით, აგრეთვე თეთრ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებელი, ხოლო იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი ორგანიზაცია თეთრ სიაში რეგისტრირებულ მიმწოდებელს არ გაათავისუფლებს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის წარდგენისგან, თეთრ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებელი შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგენს მოთხოვნილი ოდენობის ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის ნახევარს.

13.5 წინასწარი ანგარიშსწორება და წინასწარი ანგარიშსწორების გარანტია

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების პროცესში შესაძლებელია დადგეს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სახელშეკრულებო ღირებულების ნაწილობრივ ან მთლიანად ავანსის სახით ანაზღაურების საჭიროება. წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგინოს წინასწარ გადასახდელი თანხის იდენტური ოდენობის გარანტია, რომელიც გაცემული იქნება საბანკო ან სადაზღვევო დაწესებულების მიერ. შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით შემსყიდველი ორგანიზაციის

მიერ წინასწარ გადასახდელი თანხის იდენტური ოდენობის გარანტიის წარდგენისაგან მიმწოდებლის გათავისუფლება შესაძლებელია, თუ:

- მიმწოდებლისათვის წინასწარ გადასახდელი თანხა ჩაირიცხება საამისოდ განკუთვნილ ცალკე საბანკო ანგარიშზე და ეს თანხა გამოიყენება შემსყიდველი ორგანიზაციის კონტროლით სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების მთელ პერიოდში. საამისოდ ცალკე საბანკო ანგარიშზე ჩარიცხული წინასწარ გადასახდელი თანხის კონტროლი შესაძლებელია მოიცავდეს თანხის განკარგვის წინასწარ კონტროლს, დადგენილი ზღვრული ოდენობის თანხის განკარგვის წინასწარ კონტროლს და გახარჯული თანხის შემდგომ კონტროლს, თუ შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. აღნიშნული პირობის შესაბამისად მიმწოდებლის გათავისუფლების შესახებ უნდა მიეთითოს სატენდერო დოკუმენტაციაში.
- შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წინასწარი ანგარიშსწორებისას გადასახდელი თანხის შესაბამისი ოდენობის გარანტიის წარდგენისაგან მიმწოდებლის გათავისუფლება შესაძლებელია, თუ კონკრეტული ხელშეკრულების ჯამური ღირებულება აღემატება 30 000 000 მილიონ ლარს. ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წინასწარ გადასახდელი თანხის შესაბამისი ოდენობის გარანტიის წარდგენისაგან მიმწოდებლის გათავისუფლება შესაძლებელია მისი საქმიანი რეპუტაციისა და მის მიერ წარმოებული საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოს ხარისხისა და ცნობადობის გათვალისწინებით. გათავისუფლების შესაძლებლობისა და ასეთი გათავისუფლების პირობების შესახებ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წინასწარ უნდა იქნეს ინფორმაცია მოცემული სატენდერო დოკუმენტაციაში.

13.6 სახელშეკრულებო ფასისა და პირობების ცვლილება

სახელმწიფო შესყიდვის შედეგად დადებულ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების/დამატების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება/დამატება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით მხარეთა შეთანხმების საფუძველზე და აიტვირთოს სისტემაში ხელშეკრულებაში ცვლილების/დამატების შეტანიდან 10 დღის ვადაში. თუმცა კანონმდებლობაში არსებობს აღნიშნულთან დაკავშირებული შეზღუდვა, კერძოდ: ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა, კერძოდ:

1. თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, მაშინ შეიძლება მოთხოვილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრად დაცვა;
2. გარემოებათა შეცვლას უთანაბრდება, როცა წარმოდგენები, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველი გახდა, არასწორი აღმოჩნდა;
3. მხარეები ჯერ უნდა შეეცადონ, რომ ხელშეკრულება მიუსადაგონ შეცვლილ გარემოებებს. თუკი შეუძლებელია ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, ან მეორე მხარე ამას არ ეთანხმება, მაშინ იმ მხარეს, რომლის ინტერესებიც დაირღვა, შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

სამოქალაქო კოდექსით დადგენილ ამ გარემოებების არსებობის შემთხვევაში სახელშეკრულებო ღირებულების ზრდა დასაშვებია არაუმეტეს პირველადი ღირებულების 10%-ისა. მოქმედი კანონმდებლობა ასევე უშვებს გამონაკლისს განსაკუთრებულ შემთხვევებში კერძოდ: 2015 წლის 1 მარტამდე დადებული ხელშეკრულების შესრულებისას წარმოშობილი შეცვლილი გარემოებებით (ეროვნული ვალუტის კურსის ცვალებადობა ან/და რეგიონში ბოლო პერიოდში მიმდინარე მოვლენები) გამოწვეული მიმწოდებლის ხარჯის ზრდის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულების თავდაპირველი ჯამური ღირებულების 10%-მდე გაზრდა, თუ აღნიშნული იწვევს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების ზრდას 100 000 ლარზე მეტი ოდენობით, ასევე 10%-ზე მეტით გაზრდა შესაძლებელია შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობით, თუ მიმწოდებელი შემსყიდველ ორგანიზაციაში წარადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნას, რომლითაც დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულების შესრულებისას ზემოაღნიშნული გარემოებებით გამოწვეული მიმწოდებლის ხარჯის გაზრდა. წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია უზრუნველყოფს ხელშეკრულების თავდაპირველი ჯამური ღირებულების გაზრდის საკითხის შეთანხმებას საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან. ხელშეკრულების ღირებულების გაზრდასა და მის ოდენობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას, ხოლო ექსპერტიზის მომსახურების ხარჯები – მიმწოდებელს.

აღნიშნული შეზღუდვები არ ეხება ნავთობპროდუქტების შესყიდვას, რადგანაც, როგორც ზემოთ აღინიშნა მისი ფასი ცვალებადია და დამოკიდებულია საფონდო ბირჟაზე არსებულ ფასებზე.

13.7 ხელშეკრულების კონტროლი

შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი დაავალოს როგორც თანამშრომელს ან თანამშრომელთა ჯგუფს, ასევე ნებისმიერ სხვა პირს. მაკონტროლებელი პირების ფუნქციაა მისაწოდებელი ან/და მიწოდებული საქონლის, მომსახურების, სამუშაოს მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესყიდვის ობიექტის მიღება ხდება მხოლოდ შესაბამისი დოკუმენტის (მიღება-ჩაბარების აქტი) გაფორმების საფუძველზე. შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე. წინასწარ განსაზღვრული პირობების შესაბამისად ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლი შესაძლოა განხორციელდეს, როგორც შემსყიდველის ასევე მიმწოდებლის ხარჯით. მაგ. ხშირ შემთხვევაში სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის დროს შემსყიდველი ორგანიზაციები ტენდერის ღირებულებაში და შესაბამისად პირობაშიც ითვალისწინებენ მიმწოდებლის მიერ დამოუკიდებელი ექსპერტიზის დაქირავებას და სამუშაოს განხორციელების პროცესში ეტაპობრივი დასკვნების წარმოდგენას.

თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ხელშეკრულების კონტროლის პროცესში ყველა გამოვლენილი ნაკლოვანების აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

13.8 ხელშეკრულების პირობების დარღვევა და ხელშეკრულების გაწყვეტა

როგორც ზემოთ აღინიშნა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას აკონტროლებს ინსპექტირების ჯგუფი, რომლის შემადგენლობას, კონკრეტული შესყიდვისთვის განსაზღვრავს შემსყიდველი ორგანიზაცია. ინსპექტირების ჯგუფის შემადგენლობა და უფლება-მოვალეობები ასევე მოცემული უნდა იქნეს ხელშეკრულებაში. ხელშეკრულებაში ასევე განსაზღვრული უნდა იქნეს შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც მიიღებს შესყიდვის ობიექტს და ხელს აწერს მიღება-ჩაბარების აქტს, რომელიც მიმწოდებლის მხრიდან შესყიდვის ობიექტის შემსყიდველი ორგანიზაციისთვის მიწოდებას ადასტურებს. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელს აქვს გარკვეული შეფერხება შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით (ნებისმიერი მიზეზით გარდა ფორსმაჟორული მდგომარეობისა, როგორიცაა მაგ. საომარი ან/და საგანგებო სიტუაცია და ა.შ.) ან უარს აცხადებს გააგრძელოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, შემსყიდველი ორგანიზაცია ახორციელებს ხელშეკრულებით განსაზღვრული საჯარიმო სანქციების ამოქმედებას. საჯარიმო ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების მომზადებისას და ძირითადად იგი შეადგენს მოცემული მომენტისათვის შეუსრულებელი ვალდებულების გარკვეულ პროცენტს თითო ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან ხელშეკრულებაში მოცემული უნდა იყოს ის ზღვრული ოდენობა რომლის მიღწევის შემთხვევაშიც შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიაწოდოს ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ და მოითხოვოს მიმწოდებლის შავ სიაში გადაყვანა შესაბამისი დასაბუთებით. განვიხილოთ კონკრეტული მაგალითი:

შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება სადაც:
სახელშეკრულებო ღირებულებაა - 30 000 ლარი;
ჯარიმა ყოველ გადაცილებულ დღეზე: შეუსრულებელი ვალდებულების 1 %;
ჯარიმის მოცულობის მაქსიმალური ზღვარი: სახელშეკრულებო ღირებულების 3%;
მიწოდების პირობა: ეტაპობრივად, შეკვეთიდან არაუგვიანეს 1 კალენდარული დღისა.

კონკრეტული მომენტისათვის მიმწოდებელს შემოტანილი აქვს და შესაბამისად ანაზღაურებული აქვს სახელშეკრულებო ღირებულებიდან 10 000 ლარი. შემსყიდველმა ორგანიზაციამ განახორციელა ახალი შეკვეთა, მაგრამ მიმწოდებელი აცხადებს, რომ შეცვლილი გარემოებების გამო არ შეუძლია ახალი შეკვეთის მოწოდება. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების პირობების შესაბამისად საჯარიმო სანქცია დაანგარიშდება შემდეგნაირად:

ჯარიმა თითო გადაცილებულ დღეზე = დარჩენილი/შეუსრულებელი ღირებულების 1% (20 000*0,01) = 200 ლარს.
ჯარიმის მოცულობის ზედა ზღვარი = სახელშეკრულებო ღირებულების 3% (30 000*0,03) = 900 ლარი.
მას შემდეგ, რაც ყოველდღიური ჯარიმების ოდენობა 900 ლარს მიაღწევს, შემსყიდველს აქვს უფლება ცალმხრივად გაწყვიტოს ხელშეკრულება.

აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს გააჩნია რეკომენდაცია პირგასამტეხლოს ოდენობასთან დაკავშირებით, კერძოდ:

- შემსყიდველმა ორგანიზაციებმა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის შესაძლებელია განსაზღვრონ პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების არაუმეტეს 20%-ის ოდენობით;

- ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს) შემსყიდველმა ორგანიზაციებმა შესაძლებელია განსაზღვრონ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების არაუმეტეს 0.02%-ის ოდენობით;
- ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველმა ორგანიზაციებმა შესაძლებელია განსაზღვრონ პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების არაუმეტეს 10%-ის ოდენობით.

13.9 ხელშეკრულების მიმდინარეობის სტატუსები

სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალების დროს დადებული ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში უნდა აიტვირთოს მისი შექმნიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა. სისტემაში ატვირთვის შემდეგ ხელშეკრულებებს გააჩნია კანონმდებლობით დადგენილი სტატუსები, რომლებიც ასახავს მათ მიმდინარეობის ეტაპს კონკრეტულ პერიოდში. ხელშეკრულების სტატუსებია:

- **მიმდინარე ხელშეკრულება** – ხელშეკრულების სტატუსი, რომელიც ასახავს ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობას. ხელშეკრულებას ეს სტატუსი სისტემის მეშვეობით ენიჭება ავტომატურად, ხელშეკრულების ატვირთვის მომენტიდან;
- **შესრულებული ხელშეკრულება** – ხელშეკრულების სტატუსი, რომელიც ხელშეკრულებას ენიჭება მას შემდეგ, რაც შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენელი სისტემის შესაბამის ველში, დადგენილი წესით, ატვირთავს ხელშეკრულების შესრულების დამა-

დასტურებელ დოკუმენტაციას და ასახავს ანგარიშსწორების შესახებ ინფორმაციას;

- **შეუსრულებელი ხელშეკრულება** – ხელშეკრულების სტატუსი, რომელიც ხელშეკრულებას ენიჭება მას შემდეგ, რაც შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენელი სისტემის შესაბამის ველში, დადგენილი წესით, ატვირთავს ხელშეკრულების შეუსრულებლობის დამადასტურებელ დოკუმენტაციას და ასახავს ანგარიშსწორების შესახებ ინფორმაციას (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ხელშეკრულების შესრულებასთან ან შეუსრულებლობასთან დაკავშირებული შესაბამისი დოკუმენტი შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სისტემის შესაბამის ველში უნდა აიტვირთოს მისი შექმნიდან 10 დღის ვადაში. ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელ დოკუმენტაციად ითვლება ნებისმიერი დოკუმენტი/კორესპონდენცია, რაც დაკავშირებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებასთან/შეუსრულებლობასთან (მათ შორის, მიღება/ჩაბარების აქტი, ზედნადები, ანგარიშფაქტურა, ფოტოსურათი და სხვ.).

საკონტროლო კითხვები:

- რა დოკუმენტია კონტრაქტი (ხელშეკრულება)?
- როგორია კონტრაქტის სტრუქტურა შესყიდვის საშუალებების შესაბამისად?
- რა თავისებურებებით ხასიათდება სახელმწიფო კონტრაქტი?
- ვის აქვს კონტრაქტზე ხელმოწერის უფლება?
- კონტრაქტის ხელმოწერის შემდეგ საქონლის ფასი ან მოწოდების ვადები შეიძლება შეიცვალოს?
- რას ნიშნავს ფორს-მაჟორული მდგომარეობა და რა გავლენა აქვს მას კონტრაქტზე?

თავი 14. სახელმწიფო შესყიდვების მაკოორდინირებელი ორგანო საქართველოში

14.1 სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების სისტემას კოორდინირებას უწევს დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო. მაკოორდინირებელი ორგანოს შექმნა საქართველოში 1999 წლიდან იწყება, როდესაც პირველად იქნა მიღებული კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", ხოლო ამავე წლის 4 აგვისტოს მიღებული კანონქვემდებარე აქტის - „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაციისა და მონიტორინგის განხორციელების მიზნით საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს ფარგლებში შეიქმნა და ფუნქციონირება დაიწყო სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტმა. 2001 წლის 5 ივნისს გამოიცა „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შექმნისა და მისთვის სახელმწიფო ქონების გადაცემის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის №223 გრძანებულება რომლის მიხედვითაც სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაციისა და მონიტორინგის მიზნით ზემოთ აღნიშნული დეპარტამენტი რეორგანიზებულ იქნა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდ.

რეორგანიზაციის შედეგად შექმნილი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო გახდა საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს სახელმწიფოს შესყიდვების დეპარტამენტის უფლებამონაცვლე, თუმცა იგი ჯერ კიდევ ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს დაქვემდებარებაში იმყოფებოდა. 2006 წლის 18 ივლისს საქართველოს პარლამენტის მიერ შეტანილ იქნა ცვლილებები „სახელმწი-

ფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე- 4 მუხლში, რომლის მიხედვით შესყიდვებთან დაკავშირებულ საქმიანობის კოორდინაციასა და მონიტორინგს ახორციელებს მუდმივმოქმედი დამოუკიდებელი ორგანო, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო. სააგენტოს თავმჯდომარეს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. სააგენტოს საქმიანობის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და მათ შესაბამისად შემუშავებული სააგენტოს დებულება, რომელსაც სააგენტოს სტრუქტურასთან ერთად ამტკიცებს საქართველოს მთავრობა. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება ასევე საქართველოს მთავრობის დადგენილებით, ამასთან სააგენტოს საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს მთავრობა. სააგენტო ფინანსდება: ა) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრებით; ბ) შესყიდვებში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი საფასურით; გ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლით.

14.2 სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიზანი, ფუნქციები და უფლებამოსილებები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ძირითადი მიზნებია:

- გადაწყვეტილების მიღებისას მაქსიმალური საჯაროობა, ობიექტურობა, არადისკრიმინაციულობა და გამჭვირვალობა;
- სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების კანონიერების მონიტორინგი;
- სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას საჯაროობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და არადისკრი-

მინაციულობის პრინციპების დაცვა, კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების ზუსტად შესრულებისა და ანგარიშგების, სახელმწიფო შესყიდვების მონაწილეთა რაციონალური და თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობის უზრუნველყოფა ჯანსაღი კონკურენციის პირობებში;

- სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფა, განვითარება და მის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლება;
- სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის სრულყოფა, საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებსა და საუკეთესო პრაქტიკასთან მისი შესაბამისობის უზრუნველყოფა.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად სააგენტოს შემდეგი ფუნქციები და უფლებამოსილებები გააჩნია

სააგენტოს ფუნქციებია:

- სახელმწიფო შესყიდვების პროცესის რეგულირების პოლიტიკის განსაზღვრა;
- სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაცია და მონიტორინგი;
- სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამართული ფუნქციონირებისა და მისი განვითარების უზრუნველყოფა;
- სახელმწიფო შესყიდვების სფეროში არსებული მდგომარეობის სისტემატური შესწავლა, ანალიზი და საქართველოს მთავრობისათვის შესაბამისი წინადადებების წარდგენა;
- სპეციალური სასწავლო პროგრამების და სასწავლო-მეთოდოლოგიური მასალებისა და დოკუმენტაციის სტანდარტული ფორმების მომზადება, სემინარებისა და ტრენინგების მოწყობა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის, მასმედიის წარმომადგენლებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის;

- კომპეტენციის ფარგლებში, შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის საექსპერტო და საკონსულტაციო- სარეკომენდაციო მომსახურების გაწევა;
- თანამედროვე ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ინტეგრირების ხელშეწყობა;
- სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას წარმოშობილი დავების განხილვის გამჭვირვალე და სამართლიანი მექანიზმის უზრუნველყოფა;
- სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრისა (შავი სიის) და კვალიფიციურ მიმწოდებელთა რეესტრის (თეთრი სიის) წარმოება;
- განსაკუთრებულ შემთხვევებში, შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი მიმართვის საფუძველზე ან საკუთარი გადაწყვეტილებით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შესყიდვის ობიექტის იდენტიფიცირება ან/და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებულ კლასიფიკატორში ინტეგრირება;
- სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის შემუშავება;
- საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.

სააგენტო თავისი მიზნებისა და ფუნქციების განხორციელების უზრუნველსაყოფად უფლებამოსილია:

- უფლებამოსილებათა განსახორციელებლად, საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია;
- მოითხოვოს შემსყიდველი ორგანიზაციებისაგან განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ანგარიშგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს

კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი ფორმებითა და ვადებში, აგრეთვე, მოითხოვოს შემსყიდველი ორგანიზაციებისა და სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე პირთაგან სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის ჩათვლით;

- კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი ნორმების დარღვევის ან მათი არასწორი გამოყენებისას, სახელმწიფო შესყიდვებისათვის გამოყოფილი სახელმწიფო სახსრების არარაციონალური ხარჯვის ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში, მიუთითოს ამ ფაქტებზე შემსყიდველ ორგანიზაციებს და მოითხოვოს მათგან არასწორი გადაწყვეტილებებისა და მოქმედების კანონმდებლობით დადგენილ წესებსა და ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა;
- კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში და წესით მოახდინოს შესაბამისი რეაგირება სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებულ სახელმწიფო შესყიდვების სფეროში გამოვლენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ფაქტებზე;
- „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში, კანონმდებლობით უფლებამოსილი ორგანოების წინაშე დასვას სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე პირების პასუხისმგებლობის საკითხი;
- სააგენტოს მიზნების უზრუნველსაყოფად განახორციელოს ფასიანი მომსახურება, რომელიც უშუალოდ არ წარმოადგენს მის ვალდებულებას;
- განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებანი.

14.3 სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სტრუქტურა

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, როგორც აღვნიშნეთ ხელმძღვანელობს სააგენტოს თავმჯდომარე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ მინისტრი. სააგენტოს თავმჯდომარეს ჰყავს ორი მოადგილე, ამასთანავე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავისი ფუნქციების შესასრულებლად გააჩნია სტრუქტურული ერთეულები:

- საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი;
- მონიტორინგის დეპარტამენტი:
  - ტენდერების მონიტორინგის სამმართველო;
  - გამარტივებული ხელშეკრულებების, კონკურსებისა და სახელმწიფო შესყიდვების გეგმების მონიტორინგის სამმართველო.
- იურიდიული დეპარტამენტი:
  - სამართალწარმოების სამმართველო;
  - სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველო;
- სასწავლო ცენტრი;
- ფინანსური მართვისა და ლოგისტიკის სამსახური;
- საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური;
- აპარატი;
- ანალიტიკური ჯგუფი;
- კონსოლიდირებული ტენდერების ორგანიზების სამმართველო.

სტრუქტურული ერთეულებს ბუნებრივია საკუთარი ფუნქცია მოვალეობა გააჩნია, რომელიც განისაზღვრება სააგენტოს თავმჯდომარის მიერ.

14.4 არაკეთილსინდისიერ და კვალიფიციურ მიმწოდებელთა რეესტრის წარმოება

არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრი - შავი სია და კვალიფიციურ პირთა რეესტრი-თეთრი სია, წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ ელექტრონულად წარმოებულ ოფიციალურ რეესტრს, რომელშიც რეგისტრირებულ პრეტენდენტს/მიმწოდებელს რეესტრში რეგისტრირების დღიდან წარმოეშობა გარკვეული შეზღუდვები ან პრივილეგიები. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრი - შავი სია, როგორც აღვნიშნეთ წარმოადგენს სააგენტოს მიერ ელექტრონულად წარმოებულ ოფიციალურ რეესტრს, რომელშიც რეგისტრირებულ პრეტენდენტს/მიმწოდებელს შავ სიაში დარეგისტრირებიდან ერთი წლის განმავლობაში არ აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო შესყიდვაში და დადოს ხელშეკრულება. შავი სიის წარმოება ხორციელდება ელექტრონულად და ინფორმაცია შავ სიაში არსებულ სუბიექტებზე ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

მიმწოდებელი სუბიექტის შავ სიაში რეგისტრაციას სხვადასხვა გარემოებების გამო შეიძლება განხორციელდეს, მათ შორის:

- **გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია ერთ-ერთი შემდეგი გარემოების არსებობა:**

ა) პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულია ტენდერიდან ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის წარუდგენლობის (ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში), ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის ან/და ხელშეკრულების დადებაზე უარის სხვაგვარად გამოხატვის გამო;

ბ) პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულია ტენდერიდან ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

- **კონკურსის შემთხვევაში, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია ერთ-ერთი შემდეგი გარემოების არსებობა:**

ა) პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულია კონკურსიდან ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის წარუდგენლობის (ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში), ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის ან/და ხელშეკრულების დადებაზე უარის სხვაგვარად გამოხატვის გამო;

ბ) პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულია კონკურსიდან ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

- **კონსოლიდირებული ტენდერის შემთხვევაში, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია ერთ-ერთი შემდეგი გარემოების არსებობა:**

ა) პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულია კონსოლიდირებული ტენდერიდან ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო;

ბ) კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვების შემდეგ, ცნობილი გახდა, რომ პრეტენდენტმა, ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება;

გ) შესაბამისი კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიამ, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებ(ებ)ის დადებაზე უარის თქმის ან/და ხელშეკრულების დადებაზე უარის სხვაგვარად გამოხატვის გამო, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიიღო გადაწყვეტილება კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტის თაობაზე;

დ) შესაბამისი კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიამ, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიიღო გადაწყვეტილება ამ კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო, მასთან დადებული

ხელშეკრულებების ყველა შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შეწყვეტის თაობაზე;

- **სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია ერთ-ერთი შემდეგი გარემოების არსებობა:**

ა) ხელშეკრულების დადების შემდეგ, ცნობილი გახდა, რომ პრეტენდენტმა/მიმწოდებელმა, ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება.

ბ) მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და ამოწურულია ხელშეკრულების მოქმედების ვადა ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეწყდა შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო.

იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს რომელიმე ზემოთ აღნიშნულ გარემოებას, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების მოთხოვნით დაუყოვნებლივ მიმართოს სააგენტოს წერილობითი შეტყობინებით (კონსოლიდირებული ტენდერის შემთხვევაში სააგენტოს აცნობებს კონსოლიდირებული ტენდერის კომისია). წერილობითი შეტყობინება უნდა იყოს დასაბუთებული და შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას (იხილეთ ნიმუში):

- შესყიდვის განხორციელების საშუალების დასახელებას;
- ტენდერის შემთხვევაში – სატენდერო განცხადების ნომერს, კონკურსის შემთხვევაში საკონკურსო განცხადების ნომერს, გამარტივებული შესყიდვის ან კონსოლიდირებული ტენდერის საფუძველზე დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში – შესაბამისი ხელშეკრულების სისტემის CMR მოდულში რეგისტრაციის ნომერს;
- შესყიდვის ობიექტის დასახელებასა და მის შესაბამის კლასიფიკატორს – CPV კოდს;

- შეტყობინებაში მითითებული პრეტენდენტის/მიმწოდებლის რეკვიზიტებს;
- სატენდერო კომისიის სხდომის ოქმებსა და ნებისმიერ სხვა დოკუმენტაციას, რომელიც დაასაბუთებს შავ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნას.

პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნის შესახებ წერილობითი შეტყობინების ნიმუში

ქ. თბილისი 21.05.2017

გიგზავნით პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნის შესახებ წერილობით შეტყობინებას:

შესყიდვის საშუალება: გამარტივებული ელექტრონული ტენდერი;

შესყიდვის რეკვიზიტები: SPA1700045;

შესყიდვის ობიექტის დასახელება: CPV- 50532200 - ტრანსფორმატორების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება;

პრეტენდენტი/მიმწოდებელი: შპს „Y", ს/კ (012395125), მის. ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-9 კმ, E-mail: ltdY@gmail.com

შავ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნის საფუძველი: პრეტენდენტმა უარი თქვა ხელშეკრულების დადებაზე, იგი არ გამოცხადდა დადგენილ ვადებში.

თანდართული დოკუმენტები: გთხოვთ იხილოთ მითითებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ატვირთული დოკუმენტაცია, მათ შორის, ოქმები და წერილები;

შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

წერილობითი მოთხოვნის მიღების შემდეგ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო შავ სიაში დარეგისტრირებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას იღებს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევის შედეგად, ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი ორგანიზაციის არგუმენტაცია არასაკმარისია ან არ შეიცავს რეალურ გარემოებებს სააგენტო უარს ამბობს მიმწოდებლის შავ სიაში რეგისტრაციაზე. რეგისტრაციასთან დაკავშირებით უარყოფითი გადაწყვეტილება ასევე შესაძლებელია მიღებულ იქნეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებით მნიშვნელოვნად დაირღვევა ბაზარზე კონკურენციის დაცვისა და საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპები. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს უფლება აქვს გაფრთხილება მისცეს პრეტენდენტს/მიმწოდებელს იმ შემთხვევაში, თუ მისი შავ სიაში დარეგისტრირებით დაირღვევა თანაზომიერების პრინციპი. გაფრთხილება გამოიყენება ერთხელ და მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში. გაფრთხილებულ მიმწოდებელთა სიას სააგენტო განათავსებს ვებგვერდზე, რომელიც ასევე ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. თუ დადგინდა, რომ პრეტენდენტმა/მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება, იგი ექვემდებარება შავ სიაში რეგისტრაციას და მის მიმართ გაფრთხილება არ გამოიყენება. როგორც აღვნიშნეთ, გაფრთხილების ან შავ სიაში რეგისტრაციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას სააგენტო განათავსებს ოფიციალურ ვებგვერდზე. გაფრთხილებულ სუბიექტს არ ეკრძალება სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობა, ხოლო შავ სიაში რეგისტრირებული სუბიექტისთვის ელექტრონული შესყიდვის განხორციელებისას მონაწილეობა სისტემურად შეზღუდულია ერთი წლის განმავლობაში, ხოლო გამარტივებული შესყიდვის განხორციელებისას შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია გადაამოწმოს კონკრეტული სუბიექტი და არ მოახდინოს ხელშეკრულების გაფორმება ისეთ მიმწოდებელთან, რომელიც არაკვალიფიციურ პირთა რეესტრში იმყოფება.

14.5 კვალიფიციურ პირთა რეესტრი - თეთრი სია

ისევე როგორც შავი სია, კვალიფიციურ პირთა რეესტრი - თეთრი სია წარმოადგენს სააგენტოს მიერ ელექტრონულად წარმოებულ ოფიციალურ რეესტრს, რომელშიც რეგისტრირებული მიმწოდებელი სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობისას სარგებლობს კანონითა და ამ წესით გათვალისწინებული გამარტივებული პროცედურებით. აღნიშნულ რეესტრში სუბიექტი რეგისტრირდება ერთი წლის ვადით. კვალიფიციურ პირთა რეესტრი განთავსებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. თეთრ სიაში რეგისტრაციისათვის ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

ა) იგი თეთრ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნის დღისათვის უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში არ ყოფილა რეგისტრირებული შავ სიაში;

ბ) მას თეთრ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნის დღისათვის უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში არ მიუღია გაფრთხილება შავ სიაში დარეგისტრირებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად;

გ) იგი თეთრ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნის დღისათვის არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში;

დ) თეთრ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნის პერიოდისათვის მის მიმართ არ მიმდინარეობს რეორგანიზაციის/ლიკვიდაციის/გადახდისუუნარობის საქმის წარმოება; ე) მას თეთრ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნის პერიოდისათვის სხვადასხვა შემსყიდველი ორგანიზაციისაგან მიღებული აქვს არანაკლებ ორი ცნობა მის მიერ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით (ხელშეკრულების ღირებულება არ უნდა შეადგენდეს 5000 ლარზე ნაკლებს) ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულების შესახებ.

ვ) მიმწოდებელი (მის წარმომადგენლობაზე/ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი ყველა პირი) არ არის ნასამართლევი (ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული აქვს) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე – 182-ე მუხლებით, XXVI თავით (დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ), XXVII თავით (დანაშაული ფულადსაკრედიტო სისტემაში), XXVIII თავით (დანაშაული საფინანსო საქმიანობის სფეროში), XXIX (დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ), 2231, 2241, 3222, 339-ე, 3391 და 362-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის;

ზ) მას თეთრ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნის დღისთვის უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში აქვს არანაკლებ 1 000 000 ლარის საერთო ბრუნვა, მაგრამ ბოლო წლის განმავლობაში არანაკლებ 200 000 ლარისა ან ჯეროვნად აქვს შესრულებული თეთრ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნის დღისთვის უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ არანაკლებ 20 ხელშეკრულება, მაგრამ ბოლო წლის განმავლობაში არანაკლებ 5 ხელშეკრულებისა. ამასთან, სისტემაში ხელშეკრულებას მინიჭებული უნდა ჰქონდეს სტატუსი „შესრულებული ხელშეკრულება“, ატვირთული უნდა იყოს შესრულებული ვალდებულებების მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი და ასახული უნდა იყოს ანგარიშსწორების შესახებ ინფორმაცია;

თ) მიმწოდებელს თეთრ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნის პერიოდისათვის არ გააჩნია დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე;

ი) მას განახლებული აქვს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან ამონაწერი.

ამასთან, ზემოთ მოცემული „დ“, „ვ“, „თ“ და „ი“ პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების დამადასტურებელი დოკუმენტები შექმნილი (გაცემული) უნდა იყოს თეთრ სიაში რეგისტრაციის შესახებ მომართვის სააგენტოში

წარდგენის დღემდე არაუგვიანეს ხუთი დღით ადრე. ხოლო დანარჩენი მოთხოვნები უნდა დადასტურდეს შემდეგი დოკუმენტაციით:

ა) რეორგანიზაციის/ლიკვიდაციის/გადახდისუუნარობის საქმის წარმოების არარსებობა – უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ცნობით ან მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან ამონაწერით;

ბ) ნასამართლობის არქონა – ნასამართლობის შესახებ ცნობით;

გ) არანაკლებ 1 000 000 ლარის საერთო ბრუნვის ქონა – ან საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული ცნობით, ან მოგების გადასახადის, ანდა დღგ-ის დეკლარაცი(ებ)ით, ხოლო არანაკლებ 200 000 ლარის ბრუნვის ქონა – ან საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული ცნობით, ან დღგ-ის დეკლარაცი(ებ)ით;

დ) არანაკლებ 20 (მათ შორის, ბოლო წლის განმავლობაში არანაკლებ 5-ისა) ხელშეკრულების შესრულება – მიმწოდებლის მიერ შედგენილი ჩამონათვალით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს სატენდერო/საკონკურსო განცხადების ნომერი ან ხელშეკრულების სისტემის CMR მოდულში რეგისტრაციის ნომერი;

ე) სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არქონა – საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული ცნობით.

თეთრ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნის განხორციელებისას, გარდა ზემოთ აღნიშნული დოკუმენტებისა სააგენტოში წარმოდგენილი უნდა იქნეს ასევე ე.წ. „კორპორაციულ CV", რომელიც თავის მხრივ უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) მიმწოდებლის რეკვიზიტებს (სახელწოდება/სახელი, სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო კოდი/პირადი ნომერი, რეგისტრაციის თარიღი);

ბ) ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირ(ებ)ს;

გ) საკონტაქტო ინფორმაციას (იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი);

დ) საქმიანობის სფეროს;

ე) გამოცდილებას და სხვ.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო მომართვას იხილავს, წარმოდგენიდან ერთი თვის ვადაში. განხილვის პროცესში სააგენტომ შესაძლებელია მოსთხოვოს მიმწოდებელს წარდგენილი ინფორმაციის დაზუსტება ან/და დამატებითი ინფორმაციის წარდგენა, რაც საჭიროა თეთრ სიაში რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად. ხოლო იმ შემთხვევაში თუ იგი არ წარადგენს (დააზუსტებს) შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას სააგენტო უფლებამოსილია განუხილველად დატოვოს მიმწოდებლის მიმართვა.

თეთრ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებელი:

ა) თავისუფლდება საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენის ვალდებულებისაგან, იმისდა მიუხედავად, ითვალისწინებს თუ არა სატენდერო/საკონკურსო დოკუმენტაცია საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენის მოთხოვნას;

ბ) წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში, შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგენს წინასწარ გადასახდელი თანხის ნახევარი ოდენობის გარანტიას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

გ) ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგენს მოთხოვნილი ოდენობის ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის ნახევარს. ამასთან თეთრ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებელი, შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია სრულად გათავისუფლდეს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის წარდგენის ვალდებულებისაგან.

აღსანიშნავია, ის გარემოებაც, რომ თეთრ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებელი ზემოთ აღნიშნული შეღავათებით სარგებლობს ნებისმიერი საშუალებით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილეობისას.

14.6 მონიტორინგი სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესში

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ახორციელებს მონიტორინგს შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის კუთხით. აღნიშნული მონიტორინგი მოიცავს 4,400-ზე მეტი შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშს. მაგ. 2016 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, განხორციელდა სისტემის ავტომატური შეტყობინებების საშუალებით სხვადასხვა რისკ-ფაქტორებისა და კრიტერიუმების მიხედვით გაფილტრული „ხელშეკრულება დადებულია" სტატუსის მქონე 14,149 ტენდერის მონიტორინგი. აგრეთვე, დამატებით დამუშავდა 691 ტენდერი, რომელთაც მინიჭებული აქვთ სტატუსი: „ტენდერი შეწყვეტილია", „ტენდერი არ შედგა" და „დასრულებულია უარყოფითი შედეგით". ამასთან ერთად, მოხდა სისტემაში პრეტენდენტების დისკვალიფიკაციის შესაბამისობის დადგენის მიზნით 8,860 ტენდერის მონიტორინგი. ასევე, განხორციელდა საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებული 119 კონკურსის მონიტორინგი. უნდა აღინიშნოს, რომ სააგენტო ახორციელებს CMR მოდულის მეშვეობით წარმოდგენილი გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დადებული ხელშეკრულებების მონიტორინგს. საგულისხმოა ის გარემოება, რომ 2016 წელს შემუშავდა ავტომატური შეტყობინებების სისტემა შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებში სარისკო ქმედებებთან მიმართებაში, რაც მონიტორინგის დეპარტამენტს შესაძლებლობას აძლევს ტენდერების მსგავსად უკვე გამარტივებულ შესყიდვებზეც, მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი ყველა არამართლზომიერი ქმედებების გამოვლენის ფაქტები. აღნიშნული ავტომატური შეტყობინებების სისტემის მეშვეობით გაფილტრული გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დადებული ხელშეკრულებების რაოდენობამ 2016 წელს 176,706 შეადგინა. გამოვლენილ დარღვევებზე შემსყიდველ ორგანიზა-

ციებთან გაგზავნილია ჯამში 2,203 წერილი, რომელთა მიმართებაშიც სააგენტო ძირითადად შემოიფარგლა რეკომენდაციით. ხოლო, აქედან 98 შემთხვევაში, დადგინდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი. ადმინისტრაციული ტიპის სამართალდარღვევას სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების პროცესში არეგულირებს საქართველოს „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი". კოდექსში მოცემულია ის შემთხვევები, რომლებიც დარღვევას წარმოადგენს და დაწესებულია დარღვევის შესაბამისი სახდელი. კერძოდ[40]:

- სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების საშუალების არასწორად შერჩევა ტენდერის ან „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული შესყიდვის სხვა საშუალებების თავიდან აცილების მიზნით, ან სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფა შესყიდვის განხორციელების საშუალებების იმ მონეტარული (ფულადი) ზღვრების თავიდან აცილების მიზნით, რომლებიც დადგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით, – გამოიწვევს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით;
- სახელმწიფო შესყიდვის ტენდერის საშუალებით ან „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული შესყიდვის სხვა საშუალებებით განხორციელებისას განცხადების ან სატენდერო დოკუმენტაციის არასწორად შედგენა, გამოიწვევს სატენდერო კომისიის შესაბამისი წევრის დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით.
- სატენდერო კომისიის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების, საკვალიფიკაციო შერჩევისა და პრეტენდენტთა სატენდერო წინადადებების არასათანადოდ (ტენდენციურად) შეფასება, გამოიწვევს სატენდერო კომისიის შესაბამისი წევრის დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით.

---

[40] საქართველოს „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი"-ს 159^5-159^9 მუხლები.

- სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების წესების დარღვევა, გამოიწვევს შემსყიდველი ორგანიზაციის პასუხისმგებელი პირის (სახელმწიფო შესყიდვის სატენდერო კომისიის მიერ განხორციელებისას – სატენდერო კომისიის შესაბამისი წევრის) დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით.
- სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი ინტერესთა შეუთავსებლობის თავიდან აცილების პირობებისა და წესების დარღვევა, გამოიწვევს შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი თანამდებობის პირის დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით.
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებული დავის ადმინისტრაციული წესით განხილვისას მიღებული გადაწყვეტილების შეუსრულებლობა გამოიწვევს შემსყიდველი ორგანიზაციის პასუხისმგებელი პირის (სახელმწიფო შესყიდვის სატენდერო კომისიის მიერ განხორციელებისას–სატენდერო კომისიის შესაბამისი წევრის) დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით.
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსათვის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით ან შესაბამისი ნორმატიული აქტით დადგენილი ინფორმაციის მიუწოდებლობა ან ყალბი ინფორმაციის მიწოდება გამოიწვევს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით.

საკონტროლო კითხვები

- დაახასიათეთ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო;
- განმარტეთ სააგენტოს ფუნქციები და უფლებამოსილებები;
- დაახასიათეთ სააგენტოს სტრუქტურა და შემადგენლობა;
- რას წარმოადგენს შავი და თეთრი სია?
- დაახასიათეთ საქართველოს „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის" შესაბამისად განსაზღვრული სამართალდარღვევები სახელმწიფო შესყიდვებში.

თავი 15. შესყიდვების სფეროში წარმოშობილი დავები და მედიაციის როლი მათ გადაწყვეტაში

15.1 დავები სახელმწიფო შესყიდვებში და დავების განხილვის საბჭო

ნებისმიერი საქმე, რომელშიც ორი მხარე ურთიერთობს ერთმანეთთან შეუთანხმებლობის, დავის ელემენტებს მოიცავს. ასეა სახელმწიფო შესყიდვებიც, სადაც შემსყიდველი და მიმწოდებელი მხარეები მონაწილეობენ.

სახელმწიფო შესყიდვებში წარმოშობილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში, თუმცა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო მიმწოდებელ და პრეტენდენტ სუბიექტებს აძლევს საშუალებას შემსყიდველთან მიმართებაში წარმოქმნილი დავები გაასაჩივრონ სახელმწიფო შესყიდვების დავების განხილვის საბჭოში. აღნიშნული საბჭო 2010 წლის 10 დეკემბრიდან ფუნქციონირებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 6 წევრის შემადგენლობით, რომლის საქმიანობის წესსა და სამართლებრივ საფუძვლებს 2015 წლის 16 მარტიდან განსაზღვრავს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 27 თებერვლის №1 ბრძანება „დავების საბჭოს საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ". ხოლო მანამდე დავების საბჭოს საქმიანობის წესს განსაზღვრავდა და არეგულირებდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 30 ნოემბრის №11 ბრძანება „დავების საბჭოს საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ". აღსანიშნავია, რომ საბჭომ პირველი საჩივარი 2011 წლის იანვრის თვეში განიხილა.

დავების საბჭოს საქმიანობისა და მოქმედების არეალი მოიცავს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის, ელექტრონული ტენდერისა და კონკურსის მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცედურებთან დაკავშირებულ დავებს.

აღსანიშნავია, რომ დავების საბჭო თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და არ ექვემდებარება რომელიმე ორგანოს ან/და თანამდებობის პირს. საბჭო თავისუფალია გადაწყვეტილებების მიღებაში და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შეცვლა/გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ სასამართლო წესით.

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში „მიმწოდებლად" რეგისტრირებულ და შესყიდვებში მონაწილეობის ნებისმიერ მსურველს ან პრეტენდენტს, უფლება აქვს დავების საბჭოში გაასაჩივროს შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და სატენდერო/საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება/ქმედება, თუ მიაჩნია, რომ ამ გადაწყვეტილებით თუ ქმედებით დაირღვა კანონით და შესაბამისი ნორმატიული აქტებით განსაზღვრული სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების განხორციელების მარეგულირებელი წესები, ან შეილახა მისი უფლებები. დავების განხილვის პროცედურა, და მათ შორის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არის საჯარო და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით.

15.2 გასაჩივრების ვადები და პირობები

დავების განხილვის საბჭოში გასაჩივრებისათვის ნორმატიული აქტით განსაზღვრულია შესაბამისი ვადები, კერძოდ:

- სატენდერო/საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების/ქმედების გასაჩივრება შესაძლებელია შესაბამისი გადაწყვეტილების სატენდერო კომისიის მიერ სისტემაში ატვირთვიდან, ხოლო ქმედების შემთხვევაში – ამ ქმედების განხორციელებიდან 5 დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს ტენდერის/კონკურსის ჩატარების შედეგად ხელშეკრულების გაფორმებამდე;

- გამარტივებული ელექტრონული ტენდერის სატენდერო პირობების ჩანაწერის გასაჩივრება შესაძლებელია ტენდერის გამოცხადებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, ხოლო ელექტრონული ტენდერისა და კონკურსის სატენდერო/საკონკურსო პირობების ჩანაწერის გასაჩივრება – ტენდერის/კონკურსის გამოცხადებიდან 10 დღის ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო/საკონკურსო პირობებში შეტანილი იქნება ცვლილება, შეცვლილი ჩანაწერის გასაჩივრება დასაშვებია ამ ცვლილების სისტემაში ატვირთვიდან არაუგვიანეს 2 დღის ვადაში.

გასაჩივრებას არ ექვემდებარება გადაწყვეტილება/ქმედება, თუ პრეტენზია ეხება:

- კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების დაცვით შესყიდვის საშუალების შერჩევას;
- შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებას შესყიდვის პროცედურის შეჩერების შესახებ, რომელიც მიღებულია კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით;
- შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებას შესყიდვის პროცედურის შეწყვეტის შესახებ, რომელიც მიღებულია კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით;
- საკონკურსო წინადადების ხარისხის ჯამური შეფასებისა და საკონკურსო წინადადების ფასის ხვედრითი წონების განსაზღვრის, ხარისხის შეფასების კრიტერიუმების, მათი ტიპებისა და ხვედრითი წონების განსაზღვრის მიზანშეწონილობას, ასევე საკონკურსო კომისიის იმ შეფასებას, რომელიც მიღებულია საკონკურსო წინადადების ხარისხის შეფასების არათვლად კრიტერიუმთან დაკავშირებით.

ამდენად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში საჩივრის წარდგენის შემდეგ, დავების საბჭოს აპარატი უპირველეს ყოვლისა არკვევს თუ რამდენად შეესაბამება საჩივარი კანონით

დადგენილ ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნებს. კერძოდ: თუ საჩივარი ეხება შემსყიდველი ორგანიზაციის ან სატენდერო კომისიის ქმედებას, მაშინ დავას განიხილავს დავების საბჭო, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი არ ეხება შემსყიდველი ორგანიზაციის ან სატენდერო კომისიის ქმედებას, საბჭოს აპარატი დაუშვებლად ცნობს ასეთ საჩივარს და შესაბამისად არ მოხდება მისი განხილვა საბჭოს მიერ.

მაგალითისთვის შესაძლებელია განვიხილოთ რამდენიმე საჩივარი, რომლებიც დაუშვებლად სცნო საბჭოს აპარატმა. კერძოდ:

- მაგალითი №1. ერთ-ერთი საჩივრიდან ირკვევა, რომ მიმწოდებელი საჩივარში მიუთითებს ინტერნეტ შეფერხებაზე, რის გამოც ვერ მოახერხა ტენდერში მონაწილეობის მიღება და ითხოვს, რომ მიეცეს აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობის განმეორებით მიღების საშუალება. ვინაიდან ინტერნეტ შეფერხება არ წარმოადგენს არც შემსყიდველი ორგანიზაციის და არც სატენდერო კომისიის მიერ განხორციელებული რაიმე ქმედების შედეგს. აღნიშნული საჩივრის განხილვა სცდება საბჭოს კომპეტენციას და შესაბამისად საბჭოს აპარატის მიერ ეს საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი და არ იქნა განხილული დავების საბჭოს მიერ.
- მაგალითი №2. ერთ-ერთი საჩივრიდან ირკვევა, რომ მომჩივანი ასაჩივრებს ერთ-ერთი პრეტენდენტის მიერ გაკეთებულ შეთავაზებას, რომელიც მისი აზრით არ შეესაბამება შემსყიდველის ტექნიკური დავალების მოთხოვნებს. ამ საქმეში საყურადღებოა ის გარემოება, რომ საჩივრის წარდგენის მომენტისათვის შემსყიდველს ჯერ არ ჰქონდა გაკეთებული შერჩევა–შეფასება და შესაბამისად არც ოქმები იყო ატვირთული სისტემაში, რაც იმას ნიშნავს, რომ შეფასება სატენდერო კომისიის მიერ ჯერ არ იყო გაკეთებული. ვინაიდან სატენდერო კომისიის მხრიდან საჩივრის წარდგენის მომენტისათვის ადგილი არ

ჰქონია რაიმე ტიპის ქმედებას, საბჭოს აპარატის მიერ აღნიშნული საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი და შესაბამისად არ იქნა განხილული და ა.შ.

საჩივრის დასაშვებად ცნობისთანავე, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეაჩეროს შესყიდვის პროცედურები, მათ შორის, იმავე შესყიდვის ობიექტის შესყიდვასთან დაკავშირებით არ გამოაცხადოს ან შეაჩეროს უკვე გამოცხადებული ხელახალი ტენდერი/კონკურსი. შესყიდვის პროცედურები აგრეთვე ჩერდება პრეტენდენტ(ებ)ისთვისაც. დავის პერიოდში, გადაუდებელ შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, განახორციელოს გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული შესყიდვა.

საჩივარი საბჭოში წარდგენილი უნდა იქნეს ელექტრონულად, სისტემაში სატენდერო/საკონკურსო განცხადებაში არსებული ელექტრონული მოდულის მეშვეობით. საჩივარს, რომელიც საბჭოს წარედგინება 18:00 საათის შემდეგ, საბჭოს აპარატი იხილავს მომდევნო სამუშაო დღეს.

15.3 დავების განხილვის საბჭოს შემადგენლობა

საბჭოს შემადგენლობა განსაზღვრულია ექვსი წევრით. მის შემადგენლობაში პარიტეტული პრინციპით შედიან სააგენტოსა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. საბჭოს ხელმძღვანელობს სააგენტოს თავმჯდომარე. სააგენტოს თავმჯდომარე სააგენტოს თანამშრომელთა შემადგენლობიდან ნიშნავს საბჭოს ორ წევრს ერთი წლის ვადით. ხოლო რაც შეეხება დანარჩენ 3 წევრს, როგორც აღვნიშნეთ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები არიან, რომელნიც მაქსიმალურად ფართო შემადგენლობის მიერ შეირჩევა როტაციის პრინციპით, ერთი წლის ვადით. არასამთავრობო სექტორის ერთი და იგივე წარმომადგენელი საბჭოს წევრად შესაძლოა არჩეულ იქნეს

ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. არასამთავრობო სექტორიდან საბ-ჭოს წევრების შესარჩევად საბჭოს აპარატი უზრუნველყოფს არასამთავრობო ორგანიზაციათა ინფორმირებას საბჭოს წევრ-ობის ვაკანსიის შესახებ კომუნიკაციის თანამედროვე საშუალე-ბებით, მათ შორის, სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდის www.procurement.gov.ge გამოყენებით. ინფორმაცია ვაკანსიის შესახებ მოიცავს ისეთ მონაცემებს როგორიცაა:

- საბჭოს წევრის ვაკანტური ადგილის რაოდენობა;
- საბჭოს წევრის ფუნქციების აღწერას;
- საბჭოს წევრისადმი დადგენილ საკვალიფიკაციო მოთ-ხოვნებს;
- განაცხადების წარმოდგენის ვადასა და პირობებს;
- განმცხადებლის მიერ წარმოსადგენი მონაცემების ჩამო-ნათვალს;
- დამატებით ინფორმაციას.

როგორც აღვნიშნეთ არასამთავრობო სექტორის წარმომად-გენლის მიერ საბჭოს წევრის ვაკანსიის დაკავება შესაძლებელია მხოლოდ არჩევნების წესით ამასთან ერთი არასამთავრობო ორგანიზაციიდან დასაშვებია მხოლოდ ერთი კანდიდატის წარდგენა.

თავისმხრივ საბჭოს წევრობის კანდიდატი უნდა აკმაყოფი-ლებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

- იყოს პროფესიით იურისტი ან ეკონომისტი;
- ფლობდეს საქართველოს სახელმწიფო ენას;
- ფლობდეს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის საბაზისო ცოდნას.

გამოცხადებულ ვაკანსიაზე განაცხადების მიღების ვადა შე-ადგენს არანაკლებ 10 სამუშაო დღეს. განაცხადების დადგენილ მოთხოვნებთან ფორმალური შესაბამისობის შემოწმებასა და გადარჩევას უზრუნველყოფს საბჭოს აპარატი, ხოლო არჩევნე-ბი ინიშნება განცხადებების მიღების დასრულებიდან არაუმე-ტეს 5 სამუშაო დღის ვადაში. საბჭოს აპარატი უზრუნველყოფს საბჭოს წევრთა არჩევნების მხოლოდ ორგანიზაციულ მხარდა-

ჭერას. დაუშვებელია სააგენტოს ან/და საბჭოს აპარატის წარმომადგენლის მიერ საბჭოს წევრთა არჩევნებთან დაკავშირებით აზრის გამოთქმა ან/და ხმის მიცემის პროცესში მონაწილეობის მიღება. არჩევნების შედეგი დაუყოვნებლივ ფორმდება არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სხდომაზე დამსწრე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები და საბჭოს აპარატის წევრი (სხდომის მდივანი). საბჭოს წევრებად ინიშნებიან მხოლოდ ის კანდიდატები, რომლებსაც აირჩევენ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. არჩეული კანდიდატების სია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა წარედგინება სააგენტოს თავმჯდომარეს, რომელიც სიის წარდგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში ნიშნავს წარდგენილ კანდიდატებს საბჭოს წევრებად. აღსანიშნავია, რომ არჩევნები ტარდება საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე სულ მცირე ოცდაათი დღით ადრე. იმ შემთხვევაში, თუ არჩევნები ვერ ჩატარდა ან საბჭოს წევრი ვერ შეირჩა, საბჭოს შესაბამის წევრს უფლებამოსილება უგრძელდება ახლადარჩეული წევრის დამტკიცებამდე, მაგრამ არაუმეტეს სამი თვის ვადით.

15.4 საბჭოს აპარატის სტრუქტურა და საქმიანობის წესი

საბჭოს აპარატის ფუნქციას ასრულებს სააგენტოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული, რომელსაც განსაზღვრავს სააგენტოს თავმჯდომარე. საბჭოს აპარატი ახორციელებს დავების განხილვის მომზადების შიდაუწყებრივ პროცედურებს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, კერძოდ:

- საჩივრის დასაშვებობის დადგენის მიზნით, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, განიხილავს საბჭოში შემოსული საჩივრისა და თანდართული მასალების შესაბამისობას კანონითა და კანონქვემდებარე აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან. საჩივრის

დაუშვებლად ცნობის შემთხვევაში, აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, ეცნობება მომჩივანს. აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდება ვებგვერდზე https://tenders.procurement. gov.ge/dispute. ასეთ შემთხვევაში, აღნიშნული ინფორმაცია ოფიციალურად გაგზავნილად ჩაითვლება მისი ვებგვერდზე განთავსებისთანავე;

- არასრულად ან ხარვეზით წარმოდგენილი საჩივრის შემთხვევაში, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებებისა, საბჭოს აპარატი დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, აცნობებს აღნიშნულის თაობაზე მომჩივანს და განუსაზღვრავს მას ხარვეზის გამოსასწორებელ ვადას, მაგრამ არაუმეტეს მომდევნო სამუშაო დღისა. თუ მომჩივანი დადგენილ ვადაში არ გამოასწორებს ხარვეზს, სისტემა ავტომატურად ცნობს საჩივარს დაუშვებლად. დაზუსტებული საჩივრის წარმოდგენის შემთხვევაში, საბჭო საჩივრის დასაშვებობას იხილავს დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა;
- საჩივრის დასაშვებად ცნობის შემთხვევაში, საბჭო დაუყოვნებლივ უზრუნველყოფს შესაბამისი შესყიდვის პროცედურების შეჩერებას;
- უზრუნველყოფს საბჭოს სხდომების ორგანიზებას, ამ წესის პირველი მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, მხარეებისა (მომჩივანი, მოპასუხე) და დაინტერესებულ პირთა (არსებობის შემთხვევაში) საბჭოს სხდომაზე მოწვევას.

როგორც ზემოთ აღინიშნა საჩივარი დაუშვებლად იქნება ცნობილი, თუ:

- იგი არ ეხება შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და სატენდერო/საკონკურსო კომისიის არასათანადო გადაწყვეტილებას/ქმედებას;
- არ არსებობს დავის საგანი;
- გასულია მისი წარდგენის ვადა (ეტაპი);

- იგი ეხება საკითხს, რომელზეც არსებობს საბჭოს გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით;
- იგი ეხება საკითხს, რომელსაც განიხილავს საბჭო იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით;
- სასამართლო წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით;
- მომჩივანი არ დააზუსტებს ან არასრულყოფილად დააზუსტებს საჩივარს;
- საჩივრის შინაარსს არ აქვს შერჩეული საჩივრის შესაბამისი ფორმა;
- მასში მითითებული საკითხი სასამართლოს განსჯადია.

თუ საჩივრის დასაშვებად ცნობის შემდეგ გამოირკვა მისი დაუშვებლად ცნობის საფუძველი, საბჭოს აპარატი, დაუშვებლად ცნობს საჩივარს. თუ დაუშვებლად ცნობის საფუძველი გამოირკვა საბჭოს სხდომაზე ან მის შემდეგ, საბჭოს მიერ განხორციელდება საჩივრის დაუშვებლად ცნობა. ხოლო საჩივრის დასაშვებად ცნობისთანავე, აღნიშნულის თაობაზე ეცნობებათ საბჭოს წევრებს და მიეთითებათ საჩივრის, აგრეთვე მასზე თანდართული მასალის (არსებობის შემთხვევაში) გაცნობის შესაძლებლობის თაობაზე. საჩივრის დასაშვებად ცნობისთანავე, საბჭოს აპარატი აცნობებს შემსყიდველ ორგანიზაციას აღნიშნულის თაობაზე, რის შემდეგაც იგი ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეაჩეროს შესყიდვის პროცედურები, მათ შორის, იმავე შესყიდვის ობიექტის შესყიდვასთან დაკავშირებით არ გამოაცხადოს ან შეაჩეროს უკვე გამოცხადებული ხელახალი ტენდერი/კონკურსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ამასთანავე შესყიდვის პროცედურები აგრეთვე ჩერდება პრეტენდენტ(ებ)ისთვისაც. იმ შემთხვევაში თუ დავის პერიოდში, დადგა გადაუდებელი გარემოება, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, განახორციელოს გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული შესყიდვა.

15.5 დავების საბჭოს უფლებამოსილება და გადაწყვეტილება

დავების საბჭო უფლებამოსილია:

- სრულად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილოს საჩივარი;
- არ დააკმაყოფილოს საჩივარი.

თუ საბჭოს მიერ საჩივრის და მასთან დაკავშირებული გარემოებების დეტალური შესწავლის შედეგად დადასტურდება საჩივრის სამართლიანობა, საბჭო უფლებამოსილია:

- მიუთითოს შემსყიდველ ორგანიზაციას მის არასწორ გადაწყვეტილებაზე/ქმედებაზე და მოსთხოვოს შესყიდვის პროცედურების კანონმდებლობის დაცვით განხორციელება;
- მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას მიღებული გადაწყვეტილებების/ქმედების გადასინჯვა ან გაუქმება;
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ორგანოების წინაშე დააყენოს შესყიდვის მონაწილეთა პასუხისმგებლობის საკითხი.

აღსანიშნავია, რომ საბჭო იხილავს საჩივარს მასში აღნიშნული მოთხოვნის ფარგლებში, ამასთან საბჭო უფლებამოსილია, იმსჯელოს სხვა ისეთ დარღვევაზე, რომელიც ჩადენილია გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას ან ქმედების განხორციელებისას და რომელიც არ არის აღნიშნული საჩივარში. საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში როგორც წესი მოცემულია:

- მისი მიღების დრო და ადგილი, საბჭოს წევრთა ვინაობა, მომჩივნისა და მოპასუხის, მათი უფლებამოსილი წარმომადგენლებისა და საქმეში მონაწილე სხვა პირთა ვინაობა და დავის საგანი;
- საბჭოს მიერ დადგენილი გარემოება ან/და მტკიცებულება, რის საფუძველზეც დადასტურდა ან უარყოფილ იქნა ესა თუ ის მტკიცებულება, ასევე, სამართლებრივი აქტის შესაბამისი ნორმა, რომლითაც ხელმძღვანელობდა საბჭო;
- საბჭოს გადაწყვეტილება საჩივრის სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ;

➢ მისი გასაჩივრების ვადა და წესი.

საბჭოს გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა. საბჭოს წევრს უფლება არ აქვს, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან. წევრს, რომელიც არ ეთანხმება მიღებულ გადაწყვეტილებას, შეუძლია წერილობით ჩამოაყალიბოს განსხვავებული აზრი, რაც დაერთვება მიღებულ გადაწყვეტილებას. გადაწყვეტილებას ხელს აწერს საბჭოს სხდომაზე დამსწრე და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილე ყველა წევრი. იმ შემთხვევაში, თუ სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრი არ ესწრება გადაწყვეტილების მიღებას, ამის შესახებ გადაწყვეტილებაში კეთდება აღნიშვნა. გადაწყვეტილება მისი მიღებისთანავე განთავსდება ვებგვერდზე https://tenders.procurement.gov.ge/dispute და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. აღსანიშნავია, ის გარემოებაც, რომ საბჭოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ შესრულება სავალდებულოა. ამავე დროს ნებისმიერ დაინტერესებულს პირს უფლება აქვს, მიმართოს სააგენტოს და მიაწოდოს მას ინფორმაცია შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საბჭოს გადაწყვეტილების აღუსრულებლობის ან მისი აღსრულების შეფერხების შესახებ. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საბჭოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა იწვევს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას.

15.6 დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის სტატისტიკა

აღსანიშნავია, რომ დავების განხილვის საბჭოში წარდგენილი საჩივრების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება, რაც ერთის მხრივ განპირობებულია საბჭოს მიმართ მაღალი ნდობით ხარისხით საზოგადოებაში, ხოლო მეორეს მხრივ გასაჩივრების სიმარტივით. როგორც ზემოთ აღინიშნა დღესდღეო-

ბით გასაჩივრება ელექტრონულად ხორციელდება და ნებისმიერ „მიმწოდებლის“ პროფილით დარეგისტრირებულ სუბიექტს აქვს გასაჩივრების უფლება მიუხედავად იმისა არის თუ არა კონკრეტული შესყიდვის მონაწილე.

2016 წელს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შესყიდვებთან დაკავშირებულ დავების განხილვის საბჭოში წარმოდგენილ იქნა 1,573 საჩივარი, რაც 55%-ით აღემატება 2015 წელს წარმოდგენილი საჩივრების რაოდენობას (იხ. დიაგრამა №10).

დიაგრამა №10. დავების საბჭოში შესული საჩივრების რაოდენობა წლების მიხედვით (ერთეული შემთხვევა)



წყარო: www.procurement.gov.ge

2016 წელს შემოსული 1573 საჩივრიდან, 281 (მთლიანი ოდენობის 18%) საჩივარზე მიღებულ იქნა მომჩივანის სასარგებლო გადაწყვეტილება, 305 საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, 547 საჩივარი არ დაკმაყოფილდა, 398 დაუშვებლად იქნა მიჩნეული, ხოლო 42 საჩივარი გაუქმდა.

დიაგრამა № 11. 2016 წელს გასაჩივრებული დავები სტატუსების მიხედვით (ერთეული შემთხვევა)



1. დაუშვებლად იქნა მიჩნეული 398 (25,0%)
2. გაუქმდა 42 (3,0%)
3. დაკმაყოფილდა 281 (18,0%)
4. ნაწილობრივ 305 (19,0%)
5. არ დაკმაყოფილდა 547 (35,0%)

წყარო: www.procurement.gov.ge

აღსანიშნავია ისიც, რომ 2016 წელს დავების საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიდან, სასამართლოში სულ 36 გადაწყვეტილება გასაჩივრდა, რაც საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მხოლოდ 2,3%–ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ძალაში იქნა დატოვებული ყველა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული მიუთითებს, რომ დავების საბჭოს, როგორც მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინსტიტუტის მიმართ არსებობს სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეთა მხრიდან საკმაოდ მაღალი ნდობა, რაც პოზიტიურ გავლენას ახდენს ქვეყანაში არსებულ ბიზნესგარემოზე და ადგილობრივი ბიზნესის განვითარებაზე.

საკონტროლო კითხვები:

- დაახასიათეთ დავების განხილვის საბჭო, მისი ფუნქციები და უფლებამოსილებები;
- რა ტიპის საჩივრებს იხილავს საბჭო?
- რა ვადებში არის შესაძლებელი გასაჩივრება?
- რომელი შესყიდვის საშუალებების შემთხვევაშია შესაძლებელი გასაჩივრება?
- დაახასიათეთ დავების განხილვის საბჭოს სტრუქტურა და შემადგენლობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **კიკვაძე ო.**, სახელმწიფო შესყიდვების სრულყოფა საჯარო ფინანსების ადმინისტრირებაში, თბ. 2016.
2. **შენგელია თ.**, საერთაშორისო მენეჯმენტი, თბ., 2012.
3. **ძაგანია მ., კიკვაძე ო.**, სახელმწიფო შესყიდვების სისტემა საქართველოში, თბ., 2011.
4. **ზარნაძე ნ., ნარმანია დ.**, საზოგადოებრივი ადმინისტრირების საფუძვლები და საზოგადოებრივი ადმინისტრირება საქართველოში, თბ., 2009.
5. **ხომერიკი თ.**, როგორ ვარეგულიროთ სახელმწიფო შესყიდვები, ჟ. „ბიზნესი და კანონმდებლობა", №5 (მარტი), 2005.
6. **ჯიბუტი ა.** და სხვები, საჯარო ფინანსაები, თბ., 2010.
7. **დოღონაძე ი.**, საჯარო ფინანსების მართვის თავისებურებები საქართველოში, „საქართველოს ეკონომიკა", თბ., 2013.
8. **ასათიანი რ.**, საქართველოს ეკონომიკა, თბ., 2011.
9. **პაპავა ვლ.**, საქართველოს ეკონომიკა (რეფორმები და ფსევდო-რეფორმები), თბ., 2015.
10. **ყუფუნია გ.**, საქართველოს ეკონომიკა, თბ., 2010.
11. **Кузнецов К.**, Прокьюремент: тендеры, конкурсы, конкурентные закупки, М., 2001
12. **Кэммпелл Р. Макконнели, Стенли Л. Брю**, Экономика, т. I-II, 1992.
13. Международная закупка, конспект лекции, Одесса, Пласкеот, 2013
14. **Хейне Пол**, Экономический образ мышления, М., 1987.
15. **Долан Э., Линдсей Д.**, Рынок (макроэкономическая модель, Санкт-Петербург), 1992.
16. **Белоусов Н. Г.**, Государственные закупки в Россииской Федерации, М., 2001.

17. **Sue Arrowsmith, John Linarelli and Don Wallace Jr.**, Regulating Public Procurement: National and International Perspectives, Kluwer Law International, Hague 2000.
18. **Gosta Westring and George Jadoun,** Public Procurement Manual. Turin, Italy: ITC ILO, 1996.
19. **Margaret M. Worthington, Louis P. Goldsman, Frank M. contra Alston.**, Contracting with the Federal Government, 4th Edition. John Wiley & Sons, 1998.
20. Procurement and Public Management. AEI Press; June 1990.
21. Trade Police Review. United States. WTO Report to Secretariat WT TPR S 56/June 1, 1999.
22. International Organization for Standardization; International Electrotechnical Commission; European, 2010.
23. Committee for Standardization; European Committee for Electrotechnical Standardization, 2005.
24. United Nations Procurement Practiotioner´s Handbook, 2006, p. 24 - http://www.procurementclassroom.com/market-study-in-public-procurement/; აგრეთვე იხ.: NSW
25. Department for Public Works and Services, Checklist of Potential Risks in Goods and Services Procurement, 2001.
26. Process, December 2006 - http://147.109.254.181/domino/ bfg.nsf/07CC4222E4F10F00CA256C8D007F9FC6/$FILE/Checklist+of+potential+risks+in+the+goods+and+services+procurement+process+V2.pdf
27. Strategy for the Implementation of E-procurement in Irish Public Sector, 2001.
28. http://www.environ.ie/en/LocalGovernment/ProcurementModernisation/PublicationsDocuments/FileDow nLoad,15925,en.pdf
29. http://www.finance.gov.au/sites/default/files/cpr_commonwealth_procurement_rules_july_2012.pdf
30. ეფექტიანი უზრუნველყოფა სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში: გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და

განვითარების თანამედროვე მიდგომები, ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში, თბ., 2014, 18 მარტი, გვ. 3.
31. 2013 წლის საქმიანობის ანგარიში, კონკურენციის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, თბ., 2014.
32. 2014 წლის საქმიანობის ანაგრიში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, თბ., 2015.
33. 2015 წლის საქმიანობის ანაგრიში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, თბ., 2016.
34. 2016 წლის საქმიანობის ანაგრიში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, თბ., 2017.
35. კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, 1999.
36. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", თბ., 2006.
37. სახელმწიფო შესყიდვები: მეთოდური მითითებები წინამოსამზადებელი ეტაპისთვის, თბ., 2010.
38. შესყიდვების მოსამზადებელი ეტაპის წარმართვის მეთოდოლოგია, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, თბ., 2013.
39. 250 - ხშირად დასმული შეკითხვა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, თბ., 2015.
40. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანება „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესი".
41. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ".
42. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი".

43. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანება: „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“.
44. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის N7 ბრძანება: „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესი და პირობები“.
45. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 21 მაისის №5 ბრძანება „სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მომხმარებლის რეგისტრაციისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენების წესი“.
46. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 25 დეკემბრის №27 ბრძანება „სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფის გამოვლენის მეთოდოლოგია“.
47. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 28 ივლისის №11 ბრძანება „ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერისა და ორეტაპიანი გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“.
48. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის N7 ბრძანება: „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“.
49. საქართველოს მთავრობის დადგენილება №306, 2014. 23 აპრილი - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების თაობაზე.
50. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 27 თებერვლის №1 ბრძანება „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესი“.

51. Developing Specifications, Departament of Hoasing and Public Works, Quenland Government, 2006.
52. Public Procurement Training for IPA Beneficiaries, SIGMMA, 2000.
53. პასუხისმგებლობის განაწილებები შესყიდვების ციკლში - http://www.publicprocurementguides. trensury. gov.cy/OHS-EN/HTML/index, html?181 role definition. gtm
54. ისლანდიის შესყიდვების სააგენტოს ბაზრის კვლევის მეთოდოლოგია -http://etenders.gvvile/Media/Default/SileContent/Legis/ation Guides/23,%20 Supply%20 Market%20Analysis.pdf, 2001.
55. საქართველოს კანონი - „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ". საქართველოს კანონში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე, 2005, 8 მაისი.
56. საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 20 სექტემბერის №3 ბრძანება - „დავების საბჭოს საქმიანობის წესის შესახებ".
57. უუფლებო შესყიდვების სააგენტო, ჟ. „საქართველოს ეკონომიკა", №12, 2012.
58. Organization of Economic Cooperation & Development, Government at Glonce – Size of Public Procurement Market, 2011.
59. Arrousmith, Sue, Linarelli John, & Wallace, Don Jr, Regulatiog Public Procurment – National and Internationals Perspeectives, Kluwer Law International, Hague, 2000.
60. 2012 United Mations Public Service Awards Winners – http:/unpanl.un.org/intradoc/groups/public/documents/un-dpadm/unpan 049297.pdf
61. „საჯარო შესყიდვების ქსელი" – PPN - მასალები (ელექტროვერსია).
62. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის 26 დადგენილება „ავტოსატრანსპორტო საშუალებების წლოვანების ან/და გარანტიის პირობების დადგენის შესახებ, რომელთა

ტექნიკური მომსახურების შესყიდვა შესაძლებელია გამარ-
ტივებული შესყიდვის საშუალებით".
63. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 25 იანვრის 99 განკა-
რგულება „სატელეფონო მომსახურების სახელმწიფო შეს-
ყიდვის საშუალებით განხორციელების თაობაზე".
64. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 ივნისის 252 გან-
კარგულება „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით
გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ"
65. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011
წლის 10 თებერვლის 2 ბრძანება „შემსყიდველი ორგანიზა-
ციის ანაგრიშგების წესის დამტკიცების შესახებ".
66. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011
წლის 10 თებერვლის 3 ბრძანება „კონკურსის მეშვეობით
საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირო-
ბები და წესი".
67. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 22 თებერვლის 8
ოქმის ამონაწერი სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირე-
ბით.
68. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასა-
ლები.
69. EBRD-ის სახელმწიფო შესყიდვების რეგიონული კანონმდ-
ებლობის თვითშეფასება, 2012 – http:/semed.ppl.ebrd.com/?id=1
70. სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს" დებულება,
2014.
71. United Nations Public Service Awards – http:/unpan.org/
DPADM/UNPSDay Awards/UNPublicService
Awards/tabid/152/language/en-US/Default.aspx
72. ირლანდიის სახელმწიფო შესყიდვების სტრატეგია -
Strategy for the Implementation of E – procurement in Irish
Public Sector, 2001.
73. სახელმწიფო შესყიდვების ავსტრიის პრაქტიკა -
http://147.109.254.181/Domino/btg.nsf/07cc222E4E10FOOCA2

56c8D00 7F9FC6/SFILE/Checklist+potential+risks+the+goods+and+servises+procurement+process+V2.pdf
74. პროდუქტის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი, 2012.
75. Unitedd Nations Procurment Proactiotioner's Homdbook, 2006.
76. ცენტრალიზებული შესყიდვების სისტემა ევროკავშირში - http://www.oecd-Libraru.org/governance/cemtralised-purchasing-systems-in-the-europem-union_SkgKgqv703xw-en
77. SIGMA report on Performance Measurment on Public Procumment, 2011.
78. Support for Improement in Goverament and Management – http://www.Sigmaweb.org
79. DECD Methodology for Assessing Procurment, 2009.
80. დანიის პრაქტიკა - National Audit Office of Denmark, E – procurment and its Effeets on Future Audit Approach, 2004.
81. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 2013.

ოთარ კიკვაძე

დაიბადა 1984 წლის 16 ივლისს ქ. ქუთაისში.

2006 წელს დაამთავრა ქ. ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტის სრული კურსი, ადგილობრივი ეკონომიკისა და მართვის სპეციალობით და მიენიჭა ეკონომისტის კვალიფიკაცია (მაგისტრის ხარისხთან გათანაბრებულის სტატუსი).

2006 წელს ასევე დაამთავრა ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კოლეჯის სრული კურსი, სახელმწიფო და ადგილობრივი მართვის სპეციალობით და მიენიჭა სახელმწიფო მართვის ბაკალავრის ხარისხი.

2008 წელს დაამთავრა ზურაბ ჟვანიას სახელობის საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) სახელმწიფო მართვის სამაგისტრო კურსი ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართულებით და მიენიჭა სახელმწიფო მართვის მაგისტრის ხარისხი.

2016 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა და მიენიჭა დოქტორის აკადემიური ხარისხი.

2007-2012 წლებში მუშაობდა საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნულ ასოციაციაში, მოწვეულ ტრენერად, სახელმწიფო მართვისა და საჯარო ფინანსების ადმინისტრირების კუთხით.

2008-2014 წლებში მუშაობდა „კავკასიის ეკონომიკურ და სოციალურ კვლევით ინსტიტუტში“ - ექსპერტ-ანალიტიკო-

სის პოზიციაზე, საჯარო ფინანსებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართულებით.

2010 წლიდან აქტიურად არის ჩართული სახელმწიფო შესყიდვების პროცესში, ატარებს ტრენინგებს, უწევს კონსულტაციებს, არის მოწვეული ექსპერტი და კონსულტანტი, როგორც შემსყიდველ ასევე მიმწოდებელ ორგანიზაციებში.

2014 წელს იყო ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის, მოწვეული ლექტორი სახელმწიფო შესყიდვების მიმართულებით.

2014 წლიდან დღემდე არის სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის, ონლაინ სწავლების კურსის, მოწვეული ლექტორი საჯარო ფინანსებში.

2014 წლიდან დღემდე მუშაობს შპს „ჰერმესი"-ს დირექტორის პირველი მოადგილედ და ამასთან არის სახელმწიფო შესყიდვების სატენდერო კომისიის თავმჯდომარე.

ავტორი აქტიურად ეწევა სამეცნიერო მუშაობას, გამოქვეყნებული აქვს შრომები და მონაწილეობს სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებში.

ჰყავს მეუღლე და 2 შვილი.

ირმა მახარაშვილი

ირმა მახარაშვილმა 1995 წელს წარჩინებით დაამთავრა გორის ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტის საბუღალტრო აღრიცხვის ფაკულტეტი, ანალიზისა და კონტროლის სპეციალობით, ხოლო 1998 წელს გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა. 2013-2016 წწ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი იყო. 2016 წელს ამავე უნივერსიტეტში დაიცვა საკვალიფიკაციო ნაშრომი თემაზე: „გადაწყვეტილების მიღების ორგანიზაცია საქართველოს რეგიონულ და კორპორაციულ სტრუქტურებში", და მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორის ხარისხი.

1996-2016 წლებში კითხულობდა ლექციებს გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

2009-2016 წლებში მუშაობდა გორის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მასწავლებლად.

2017წელს დანიშნულ იქნა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის დეკანად.

თანამედროვე მენეჯმენტის აქტუალურ პრობლემებზე გამოქვეყნებული აქვს 31 სამეცნიერო ნაშრომი და სამი სახელმძღვანელოს თანაავტორია.

გავლილი აქვს ტრენინგები:

1. პარიზის და ლისაბონის ტექნიკური უნივერსიტეტი TEMPUS/JEP-21058-2000 ერთიანი ევროპის ეკონომიკურ პროგრამაში მონაწილეობა უმაღლეს სასწავლებლებში ბოლონიის პროცესის შესაბამისად სასწავლო პროგრამების გარდაქმნის მიზნით (ტრენინგ-სემინარი).
2. განათლების და მეცნიერების სამინისტრო „ამერიკული გამოცდილება განათლების სისტემაში".
3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული გადამზადების ცენტრი CCID, ამერიკის სათემო კოლეჯები; საერთაშორისო განვითარებისთვის საქართველოს წარმომადგენლობა „თანამედროვე სწავლისა და სწავლების ტიპები".

ჰყავს მეუღლე და ვაჟიშვილი.

მიხეილ მაგანია

მიხეილ მაგანიამ 2004 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტი და მიენიჭა ეკონომიკის მაგისტრის ხარისხი.

2008 წელს დაამთავრა ზურაბ ჟვანიას სახელობის საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) სახელმწიფო მართვის სამაგისტრო კურსი ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართულებით და მიენიჭა სახელმწიფო მართვის მაგისტრის ხარისხი.

2013 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა და მიენიჭა დოქტორის აკადემიური ხარისხი;

2007-2012 წლებში მუშაობდა საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნულ ასოციაციაში, მოწვეული ტრენერად, სახელმწიფო მართვისა და საჯარო ფინანსების ადმინისტრირების კუთხით.

2008-2014 წლებში მუშაობდა „კავკასიის ეკონომიკურ და სოციალურ კვლევით ინსტიტუტში“ - ექსპერტ-ანალიტიკოსის პოზიციაზე, საჯარო ფინანსებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართულებით.

2010 წლიდან აქტიურად არის ჩართული სახელმწიფო შესყიდვების პროცესში, ატარებს ტრენინგებს, უწევს კონსულტაციებს, არის მოწვეული ექსპერტი და კონსულტანტი, როგორც შემსყიდველ ასევე მიმწოდებელ ორგანიზაციებში.

2014 წლიდან დღემდე არის სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის, ონლაინ სწავლების კურსის, მოწვეული ლექტორი საჯარო ფინანსებში.

2014 წლიდან დღემდე მუშაობს შპს „ჰერმესი"-ს დირექ-ტორად;

ავტორი აქტიურად ეწევა სამეცნიერო მუშაობას, გამოქვეყნე-ბული აქვს შრომები და მონაწილეობს სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებში.

ჰყავს მეუღლე და 2 შვილი.

სახელმძღვანელოში გაშუქებულია, როგორც კერძო სუბიექტების ასევე სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელი შესყიდვების პრინციპები, სამუალებები და ფორმები და ზოგადად შესყიდვების ადმინისტრირება.
წინამდებარე სახელმძღვანელო ქართულ ენაზე შექმნილი პირველი სახელმძღვანელოა. იგი განკუთვნილია სტუდენტებისთვის, მეცნიერებისთვის და ნებისმიერი დაინტერესებული პირებისათვის.

რედაქტორი: ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, **პროფ. დავით ნარმანია**

რეცენზენტები: ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, **პროფ. ევგენი ბარათაშვილი**

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, **პროფ. გიორგი ცაავა**

ეკონომიკის დოქტორი, **პროფ. ბადრი გეჩბაია**

ISBN 978-99928-47 71-8

9 789992 847718

ნაციონალური ბიბლიოთეკა